
გლობალიზაცია და ბიზნესი

GLOBALIZATION & BUSINESS

№10

www.eugb.ge



ევროპის უნივერსიტეტი
EUROPEAN UNIVERSITY

2020 თბილისი
TBILISI

გლობალიზაცია და ბიზნესი

GLOBALIZATION AND BUSINESS

სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

ეკონომიკისა და ბიზნესის აქტუალური პრობლემები
გლობალიზაციის თანამედროვე პირობებში
თეორია და პრაქტიკა

ევროპის უნივერსიტეტი
EUROPEAN UNIVERSITY

SCIENTIFIC-PRACTICAL JOURNAL

Actual Problems of Economy and
Business in Modern Globalization
Theory and Practice

თბილისი
TBILISI
2020

ევროპის უნივერსიტეტის ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის და გლობალიზაციის ეკონომიკური და სოციალური პრობლემების კვლევის ინსტიტუტის რეფერირებადი და რეცენზირებადი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

REFEREED AND PEER-REVIEWED INTERNATIONAL SCIENTIFIC-PRACTICAL JOURNAL OF THE FACULTY OF BUSINESS AND TECHNOLOGY AND THE INSTITUTE OF RESEARCH OF ECONOMIC AND SOCIAL PROBLEMS OF GLOBALIZATION OF THE EUROPEAN UNIVERSITY

ISSN 2449-2396

EDITORIAL BOARD

სარჩევი

CONTENT

სარჩევი CONTENT



ძვირფასო კოლეგებო, ეკონომისტებო და ეკონომიკური პროფილის სტუდენტებო!

2020 წლის 11 სექტემბერს, პარასკევს, საქართველოს ეკონომისტები ტრადიციულად აღვნიშნავთ ეკონომისტის დღეს. შეგახსენებთ, რომ შორეულ 1918 წლის 13 სექტემბერს (თვის მეორე პარასკევს) გამოვიდა პირველი ქართული ეკონომიკური ჟურნალის – „საქართველოს ეკონომისტის" – პირველი ნომერი. ამ მნიშვნელოვან ფაქტთან დაკავშირებით 1999 წელს გადაწყდა, რომ ყოველი სექტემბრის მეორე პარასკევს საქართველოს ეკონომისტებმა აღნიშნონ პროფესიული დღესასწაული – „საქართველოს ეკონომისტის დღე".

2018 წლიდან ამ დღის აღსანიშნავად დამკვიდრდა ეკონომისტთა ერთდღიანი ეროვნული სამეცნიერო კონფერენციის ჩატარება, რომლის ინიციატორია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ეკონომიკურ მეცნიერებათა კომისია.

2019 წელს II ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია ჩატარდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბაზაზე. წელს კი III ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია ტარდება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბაზაზე.

ასევე ტრადიციად იქცა, რომ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ეკონომიკურ მეცნიერებათა კომისიასთან და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტთან ერთად ეროვნული სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზატორები არიან თსუ-ის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი, ევროპის უნივერსიტეტის ბიზნესის და ტექნოლოგიების ფაკულტეტი და გლობალიზაციის ეკონომიკური და სოციალური პრობლემების კვლევითი ინსტიტუტი, ასევე ჟურნალი „გლობალიზაცია და ბიზნესი".

2020 წლის III ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია იმითაა გამორჩეული, რომ, როგორც ვიცით, მსოფლიო მოიცვა გლობალურმა ეკონომიკურმა კრიზისმა, რომლის გამომწვევი მიზეზიც არა ეკონომიკაში, არამედ მედიცინაშია. კორონავირუსით გაჩენილმა ეკონომიკურმა პრობლემებმა კი ახალი ტერმინი „კორონომიკა" წარმოქმნა.

მსოფლიოსა და საქართველოში შექმნილმა ეკონომიკურმა სირთულეებმა განაპირობა ის, რომ III ეროვნული სამეცნიერო კონფერენციის თემაა: „კორონომიკა: ეკონომიკური მეცნიერების და ეკონომიკური პოლიტიკის თანამედროვე გამოწვევები".

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ კორონავირუსით გამოწვეულ პანდემიას საქართველოს მთავრობამ წარმატებით გაართვა თავი, რაც უმთავრესად განპირობებული იყო მისი თანამშრომლობით საქართველოს წამყვან მეცნიერ-მედიკოსებთან, ეპიდემიოლოგებთან, ვირუსოლოგებთან და ინფექციონისტებთან.

საქართველოს მეცნიერ-ეკონომისტები ვიმედოვნებთ, რომ საქართველოს მთავრობისთვის ჩვენი ცოდნაც საჭირო და გამოსაყენებელი გახდება. დარწმუნებული ვარ, რომ ამ კონფერენციაზე წარმოდგენილი კვლევის ცალკეული შედეგი საინტერესო იქნება არა მარტო მეცნიერ-ეკონომისტთა ფართო წრისთვის, არამედ შეასძლოა აისახოს საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებულ ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკაშიც.

2019 წლის 10 სექტემბერს, II ეროვნული სამეცნიერო კონფერენციის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე, მოულოდნელად საქართველოს ეკონომისტთა რიგებს გამოაკლდა ცნობილი ეკონომისტი, საქართველოს ყოფილი ფინანსთა მინისტრი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მაკროეკონომიკის კათედრის გამგე, პროფესორი ნოდარ ხადური. მაშინ გადაწყდა, რომ საქართველოს ეკონომისტთა III ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია სწორედ ნოდარ ხადურის ხსოვნას მიეძღვნებოდა.

აღსანიშნავია, რომ ამ კონფერენციის ფორმატში ჩატარდა ეკონომისტ დოქტორანტთა სამეცნიერო ნაშრომების კონკურსი პროფესორ ნოდარ ხადურის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად. საუკეთესო ნაშრომის ავტორი მიიღებს სოლიდურ პრემიას და მოხსენებით წარსდგება კონფერენციის პლენარულ სესიაზე.

საქართველოს ყველა ეკონომისტს, მეცნიერს თუ საჯარო მოხელეს, განსაკუთრებით კი, ჩვენს სასახელო სტუდენტობას ვულოცავ პროფესიულ დღესასწაულს და ვუსურვებ ახალ წარმატებებს ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ!

პატივისცემით,

აკადემიკოსი ***ვლადიმერ (ლადო) პაპავა***
11 სექტემბერი, 2020 წელი

თეორია, მეთოდოლოგია და სისტემური პრობლემები

THEORY, METHODOLOGY AND SYSTEMIC PROBLEMS

JEL Classification: A12; G01; H12; I15 https://doi.org/10.35945/gb.2020.10.001

ON THE REFLECTION OF CORONOMICS IN ECONOMIC SCIENCE AND ECONOMIC POLICY

VLADIMER PAPAVA

Professor, Ivane Javakhishvili Tbilisi State University,

Principal Research Fellow, Paata Gugushvili Institute of Economics, Georgia

vladimer.papava@tsu.ge

Abstract. The paper discusses the economic issues of the COVID-19 pandemic. The resulting coronomic crisis is not a typical economic crisis since the coronomic crisis was not formed in the economy itself but is the result of the inability of medicine to solve the pandemic problem. The coronomic crisis is, by its very nature, an atypical economic crisis and is fundamentally different from other atypical economic crises that took place in the XX century. The coronomic crisis put the issue of the "crisis of globalization" on the agenda. The coronomic crisis exposed the weaknesses of globalization. Overcoming the COVID-19 pandemic is possible exclusively at the global level. The paper shows that the current process of de-globalization is "forced" by its nature and it will definitely be replaced by a qualitatively renewed process of globalization. Economic recovery from the corona crisis will be most successful only on the basis of the adherence to a free trade regime. In economic science, the problem of government intervention in the economy, especially during the pandemic and the post-pandemic period, is still relevant. The corona crisis has clearly confirmed the inability of inflation targeting to achieve macroeconomic stability. The coronomic crisis requires two approaches to economic policy. In particular, we mean an anti-crisis economic policy and a post-crisis economic policy. Economic incentives provided by the government to businesses contribute to the zombieing of the economy which will be one of the most difficult problems of the post-crisis period. The coronomic crisis made the issue of the economic security of each individual country even more urgent. The problem of ensuring food security is equally important. The economic policy of the post-crisis period must necessarily include measures to ensure a country's food security. Since the possibility of a repetition of a pandemic in the future is similar to the current one, the problems of coronomics should remain in the field of study of economists for many years.

KEYWORDS: ECONOMIC SCIENCE, ECONOMIC POLICY, CORONOMIC CRISIS, GLOBALIZATION/DEGLOBALIZATION, ZOMBIE-FIRMS.

For citation: Papava, V., (2020). On the Reflection of Coronomics in Economic Science and Economic Policy. *Globalization and Business, 10.* 13-24. (In Georgian). https://doi.org/10.35945/gb.2020.10.001

JEL Classification: A12; G01; H12; I15 https://doi.org/10.35945/gb.2020.10.001

ეკონომიკურ მეცნიერებასა და ეკონომიკურ პოლიტიკაში კორონომიკსის ასახვის შესახებ

ვლადიმერ პაპავა

აკადემიკოსი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი, საქართველო
vladimer.papava@tsu.ge

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური მეცნიერება, ეკონომიკური პოლიტიკა, კორონომიკური კრიზისი, გლობალიზაცია/დეგლობალიზაცია, ზომბი-ფირმები.

ციტირებისთვის: პაპავა ვ. (2020). ეკონომიკურ მეცნიერებასა და ეკონომიკურ პოლიტიკაში კორონომიკსის ასახვის შესახებ. *გლობალიზაცია და ბიზნესი, №9*, გვ. 13-24. https://doi.org/10.35945/gb.2020.10.001

შესავალი

2020 წელს მსოფლიო დადგა ახალი გამოწვევის წინაშე, როცა კორონავირუსის COVID-19-ის გლობალურმა გავრცელებამ ეკონომიკას, როგორც ასეთს, თვისებრივად ახალი პრობლემები შეუქმნა.

ცნობილი ფაქტია, რომ მიუხედავად იმისა, რომ 2003 წელს ატიპური პნევმონიის აფეთქება სიცოცხლისთვის განსაკუთრებით საშიში იყო, მას გლობალურ მასშტაბში იმ ტიპის სირთულეები არ შეუქმნია, რაც კორონავირუსის ახალმა შტამმა გამოიწვია. ამის მიზეზი კი გახლავთ ის, რომ COVID-19 ბევრად უფრო ადვილად გადამდები და, შესაბამისად, უფრო სწრაფად გავრცელებადი დაავადება აღმოჩნდა. ამან კი მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ხელმძღვანელს მისცა იმის ობიექტური საფუძველი, რომ COVID-19-ის გავრცელება პანდემიად შეეფასებინა (Ghebreyesus, 2020).

COVID-19-ის პანდემიის განსაკუთრებლ თავისებურებად უნდა მივიჩნიოთ ის, რომ ვერც ერთი ქვეყნის მთავრობამ, სადაც კორონავირუსი გავრცელდა, სრულად ვერ გააცნობიერა, თუ რა სირთულის ამოცანის გადაჭრის წინაშე დადგა. ამას ისიც დაემატა, რომ ზოგიერთი ქვეყნის მთავრობა შექმნილ ვითარებას შეგნებულად მალავდა, სანამ კორონავირუსის გავრცელებამ მასშტაბური ხასიათი არ მიიღო (მაგალითად, Faddis, 2020; Pei, 2020).

მართალია კორონავირუსი თავისი ბუნებით, უწინარეს ყოვლისა, სამედიცინო პრობლემაა, მაგრამ მან განსაკუთრებული სირთულეები შეუქმნა ეკონომიკას. კერძოდ, დაავადების გავრცელების პრევენციის მიზნით საჭირო გახდა ადამიანებს შორის კონტაქტების მინიმუმამდე დაყვანა, რის გამოც არაერთ ფირმას მოუწია საქმიანობის შეჩერება. შედეგად კი მსოფლიოში ახალი გლობალური ეკონომიკური კრიზისი დაიწყო (Geller, Wiseman, Rugaber, 2020).

კორონავირუსის ზეგავლენა ეკონომიკაზე იმდენად მნიშვნელოვანი შეიქნა, რომ აჯით დე ალვისმა (Ajith de Alwis) შრი-ლანკადან ახალი ტერმინი — „კორონომიკსი" („Coronomics") შექმნა, რომელიც ორი ტერმინის — „კორონა" („Corona") და „ეკონომიკსი" („Economics") — გაერთიანებით მიიღება და რომელიც კორონავირუსის ეკონომიკაზე ზეგავლენას შეისწავლის (Alwis, 2020). მოგვიანებით მისი მსგავსი ტერმინიც — „კორონანომიკსი" იქნა შემოთავაზებული („Coronanomics") (Eichengreen, 2020).

კორონომიკსის აქტუალურობას მხოლოდ კორონავირუსის პანდემია კი არ განაპირობებს, არამედ ამ ტიპის გლობალური სირთულეების მომავალში წარმოქმნის რეალური შესაძლებლობაც, რის გამოც სულ უფრო მეტ ყურადღებას იმსახურებს მოსაზრება, რომ მსოფლიომ უნდა ისწავლოს ზოგადად პანდემიის პირობებში ცხოვრება და ეკონომიკური საქმიანობა (Gigerenzer, 2020).

აუცილებელია აღინიშნოს, რომ კორონომიკსის სფეროში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა თანამედროვე ეკონომისტებისთვის უმთავრეს გამოწვევად იქცა. პრაქტიკულად მთელ მსოფლიოში მეცნიერ-ეკონომისტთათვის (მათ შორის ეკონომიკის დარგში ნობელის პრემიის არაერთი ლაურეატისათვისაც) კვლევის უმთავრეს სფეროს სწორედ კორონომიკსი წარმოადგენს, რასაც ადასტურებს სამეცნიერო თუ ანალიტიკური სტატიების საკმაოდ დიდი რაოდენობა. გამოიცა პირველი მონოგრაფიული ხასიათის გამოკვლევაც (Baldwin, Mauro, eds. 2020). საყურადღებოა, რომ ამ კუთხით არც ქართველ ეკონომისტთა საქმიანობაა გამონაკლისი, რომლებმაც არაერთი საყურადღებო ნაშრომი გამოაქვეყნეს როგორც თეორიული საკითხებზე, ისე უშუალოდ საქართველოს ეკონომიკასთან მიმართებაში (Abesadze, 2020; Archvadze, 2020a, 2020b; Benashvili, 2020; Charaia, 2020; Djibuti, 2020; Gaganidze, 2020; Kakulia, 2020; Kovzanadze,

2020; Mekvabishvili, 2020; Papava, 2020a, 2020b; Papava, Charaia, 2020; Shengelia, 2020).

დღეს უკვე ყველასთვის ნათელია, რომ ეკონომიკურ მეცნიერებას და პრაქტიკას საქმე აქვს შეუსწავლელ ფენომენთან – როგორ წარიმართოს ეკონომიკური საქმიანობა პანდემიის დროს და როგორ მოხდეს ეკონომიკის აღდგენა პანდემიის შემდგომ პერიოდში.

წინამდებარე კვლევის მიზანია იმის გააზრება, თუ რა უმთავრეს პრობლემებს წამოწევს წინა პლანზე კორონომიკსი ეკონომიკური მეცნიერების წინაშე და რა ძირითად სირთულეებთან არის დაკავშირებული თანამედროვე ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირება პანდემიის ფაქტორის გათვალისწინებით.

კორონომიკსი და ეკონომიკური მეცნიერება

COVID-19-ის პანდემიის დაწყებამდე ეკონომისტები მედიცინასთან მიმართებაში, როგორც წესი, იკვლევდნენ ეკონომიკური კრიზისის ზეგავლენას ზოგადად ჯანდაცვის სისტემაზე (Maresso, Mladovsky, Thomson, et al., eds., 2015), მოსახლეობის ფსიქიკურ ჯანმრთელობასა (WHO, 2011) და ინფექციურ დაავადებათა გავრცელებაზე (Suhrcke, Stuckler, Suk, et al., 2011). პანდემიამ კი პირიქით დააყენა საკითხი, რადგანაც კორონავირუსი და მისი გლობალურად გავრცელება გახდა ფართომასშტაბიანი ეკონომიკური კრიზისის გამომწვევი (Geller, Wiseman, Rugaber, 2020). სხვა სიტყვებით, კორონავირუსის გავრცელება „ეკონომიკურ პანდემიად" ჩამოყალიბდა (Riley, 2020).

აღსანიშნავია, რომ მედიკოსები, სამწუხაროდ, თავიდანვე აღიარებდნენ რომ არ შეეძლოთ რაიმე დამაჯერებელი ეთქვათ კორონავირუსის დაძლევის და მისი გავრცელების შეზღუდვის ძალისხმევის ეფექტიანობის შესახებ. შედეგად, კი პრაქტიკულად შეუძლებელი გახდა ეკონომიკური აგენტების შესაძლო ქცევასთან დაკავშირებით მეტ-ნაკლებად მკაფიო ეკონომიკური პროგნოზების გაკეთება (Carlsson-Szlezak, Reeves, Swartz, 2020).

COVID-19-ის პანდემიით გამოწვეული გლობალური ეკონომიკური კრიზისი იმით გამოირჩევა, რომ მისი გამომწვევი მიზეზები არა ენდოგენური, არამედ ეგზოგენური ხასიათისაა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს მიზეზები გენერირებულია არა ეკონომიკაში, არამედ პროვოცირებულია ეკონომიკის ფარგლებს გარეთ არსებული წყაროს მიერ. ეს წყარო კი კორონავირუსის სწრაფი გავრცელებაა. მაშასადამე, მიმდინარე ეკონომიკური კრიზისი მანამდე ვერ იქნება დაძლეული, სანამ მედიკოსები, მიკრობიოლოგები და ფარმაკოლოგები მკურნალობის ეფექტიან საშუალებებს არ შეიმუშავებენ და სათანადო ვაქცინა არ შეიქმნება. გამოდის, რომ პანდემიის პირობებში ეკონომიკა მედიცინის მძევალია, ხოლო ჩამოყალიბებული გლობალური ეკონომიკური კრიზისი სულაც არ არის ე.წ. „ტიპიური" ეკონომიკური კრიზისი, მას „კორონომიკური კრიზისის" ("Coronomic Crises") კვალიფიკაცია უნდა მიეცეს (Papava, 2020).

როგორც მოსალოდნელი იყო კორონომიკურმა კრიზისმა ეკონომიკური მეცნიერების წინაშე არაერთი პრობლემა წარმოშვა (მაგალითად, Basu, 2020; Hamada, 2020). ეს კი ართულებს მეცნიერების ამ დარგის მდგომარეობას, რომელიც არც ამ კრიზისის დაწყებამდე (განსაკუთრებით კი 2008-2009 წლების გლობალური ეკონომიკური და ფინანსური კრიზისის ფონზე) იყო სახარბიელო (Balarjishvili, 2018; Birks, 2016; Bookstaber, 2017; Davies, 2010; Fullbrook, 2016; Heilbroner, Milberg, 1996; Hey, eds., 1992; Hill, Myatt, 2010; Kanth, 1997; Kharbedia, 2018; Leiashvily, 2012; Marqués, 2016; McCloskey, 2010; Mekvabishvili, 2018; Offer, Söderberg, 2016; Paarlberg, 1968; Papava, 2018; Pilkington, 2016; Rodrik, 2015a, 2015b; Sandmo, 2011; Shapatava, 2018; Shiller, 2019; Skidelsky, 2016; Söderbaum, 2017; Staveren, 2015; Stiglitz, 2010a, 2010b; Syll, 2016; Tokmazishvili, 2018; Turner, 2012).

სამწუხაროდ, ეკონოკური მეცნიერება დიდი ხნის განმავლობაში თავად იმყოფება კრიზისში (მაგალითად, Papava, 2018), რაც ვლინდება შემდეგი მიმართულებებით: კერძოდ, ეკონომიკური მეცნიერება ჩამორჩება პრაქტიკას და, უკეთეს შემთხვევაში, უკვე მომხდარი ეკონომიკური მოვლენის ინტერპრეტაციის ფუნქციას ასრულებს (მაგალითად, Tokmazishvili, 2018), ამასთან ერთად კი, ეკონომიკური მეცნიერება უშვებს შეცდომებს, რის გამოც უნებლიედ უწყობს ხელს ეკონომიკური კრიზისის წარმოქმნას (Stiglitz, 2010b).

მიუხედავად იმისა, რომ კორონომიკური კრიზისი არ არის „ტიპიური" ეკონომიკური კრიზისი, ის ინსტრუმენტები, რომელთა გამოყენებაც ყველაზე აქტიურად განიხილება ეკონომისტების მიერ, ძირითადად 2008-2009 წლების გლობალური ფინანსური და ეკონომიკური კრიზისის გამოცდილებასთანაა დაკავშირებული (Hatheway, 2020). ეს კი სულაც არ იძლევა იმის საფუძველს, რომ კორონომიკური კრიზისი ტიპიურ ეკონომიკურ კრიზისთან გავაიგივოთ (Roach, 2020).

საყურადღებოა, რომ XX საუკუნის მსოფლიოსათვის ცნობილია ე.წ. „ატიპიური" ეკონომიკური კრიზისები, როგორებიც იყო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ განვითარებული ეკონომიკურ კრიზისი და კომუნისტური რეჟიმების ჩამოშლის შედეგად გამოწვეული ეკონომიკური კრიზისი. ლოგიკურია კითხვა იმის შესახებ, თუ ამ ატიპიურ ეკონომიკურ კრიზისებსა და ასევე ატიპიურ კორონომიკურ კრიზისს შორის მსგავსების არსებობა რამდენადაა შესაძლებელი?

მეორე მსოფლიო ომმა თავისი ბუნებიდან გამომდინარე დაანგრია ქალაქები, სოფლები, ინფრასტრუქტურა. ომის დასრულების შემდეგ გადაუდებელი მნიშვნელობის ამოცანა მათი აღდგენა იყო. კორონომიკური კრიზისის შემთხვევაში მსგავს ნგრევას საერთოდ არ აქვს ადგილი. ამიტომ ამ ორი კრიზისს შორის მსგავსებაზე ბევრად უფრო დიდი განსხვავებაა.

რაც შეეხება კომუნისტური რეჟიმის ჩამოშლის შემდეგ გამოწვეულ ეკონომიკურ კრიზისს, ის გამოწვეული იყო იმით, რომ ამ ჩამოშლას მოჰყვა ერთი ეკონომიკური სისტემიდან (მბრძანებლური ეკონომიკიდან) მეორეზე (საბაზრო ეკონომიკაზე) გადასვლა. კორონომიკური კრიზისის პირობებში კი ეკონომიკური სისტემა მსგავს ცვლილებას საერთოდ არ განიცდის, ხოლო პრობლემას კი ის ქმნის, რომ გარკვეული დროით შეჩერებული ეკონომიკა სრული დატვირთვით მანამდე ვერ ამოქმედდება, სანამ პანდემია არ დასრულდება.

მაშასადამე, მიუხედავად იმისა, რომ თავისი ბუნებით კორონომიკური კრიზისიც ატიპიურია, ის სხვა ატიპიური ეკონომიკური კრიზისებისგან მაინც არსებითად განსხვავდება (Papava, 2020b)

კორონომიკურმა კრიზისმა არაერთი რთული ამოცანის წინაშე დააყენა ეკონომიკური მეცნიერება. მათგან ყველაზე მთავარია გლობალიზაციის პრობლემა.

ზოგადად სოციალურ მეცნიერებებში, და მათ შორის ეკონომიკურ მეცნიერებაშიც, გაბატონებული იყო მოსაზრება, რომ გლობალიზაცია, როგორც ასეთი, გარდაუვალი პროცესია. COVID-19-ის პანდემიამ კი ეჭვის ქვეშ დააყენა ის და გააჩინა კითხვები იმასათან დაკავშირებით, სრულად და საბოლოოდ ხომ არ ჩაანაცვლებს გლობალიზაციას დეგლობალიზაცია, რომელიც იზოლაციონიზმით დასრულდება.

ამ ეჭვის წარმოქნას დიდად შეუწყო ხელი იმან, რომ COVID-19-ის პანდემიამ მკაფიოდ გამოკვეთა თანამედროვე გლობალიზაციის სუსტი მხარეები, როცა ვირუსის სწრაფმა გავრცელებამ ყველას დაანახა, რომ გლობალურ ინსტიტუციებს (უწინარეს ყოვლისა კი, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციას) საერთოდ არ აღმოაჩნდათ სწრაფი რეაგირების მეტ-ნაკლებად ეფექტიანი მექანიზმები. ამან კი გამოიწვია ის, რომ, თითოეულმა სახელმწიფომ პანდემიის წინააღმდეგ მოქმედება დამოუკიდებლად დაიწყო. ბუნებრივია, რომ შექმნილმა სიტუაციამ ხელი შეუწყო იმ განწყობის ფორმირებასა და გაძლიერებას, რომლის თანახმადაც 2020 წელს უკვე დეგლობალიზაციის პროცესი იქნა დაწყებული. სულაც არ არის გასაკვირი, რომ COVID-19-ის პანდემია „გლობალიზაციის კრიზისად" იქნა აღქმული.

ხშირად ყურადღების მიღმა რჩება ის შემთხვევები, რომლებიც გლობალიზაციის ობიექტურ ხასიათზე მეტყველებენ. ასეთია მაგალითად, ნარკობიზნესი, რომელსაც პრაქტიკულად მთელ მსოფლიოში ებრძვიან, მაგრამ, ამის მიუხედავად ბიზნესის ეს არალეგალური სახეობა კარგა ხანია რაც გლობალური ხასიათისაა. ასევე გლობალიზაციის კონტექსტში ყურადსაღებია ინტერნეტი, ენერგეტიკა, იარაღით ვაჭრობა, აშშ დოლარის გავრცელება და სხვ. დღეს კი ამათ COVID-19-ის გლობალური გავრცელებაც დაემატა.

აუცილებელია, გვახსოვდეს, რომ დეგლობალიზაციის პირობებში გატარებული მეტ-ნაკლებად იზოლაციონისტური პოლიტიკა უარყოფითად არა მხოლოდ ეკონომიკურ ზრდაზე (Rogoff, 2020), არამედ სოციალურ, პოლიტიკურ და გარემოსდაცვით სფეროებზეც აისახება (Haass, 2020). მაშასადამე, დეგლობალიზაცია, სხვა თანაბარ პირობებში, კი არ შეამსუბუქებს, არამედ კაცობრიობის წინაშე მდგარი პრობლემების გადაწყვეტას კიდევ უფრო გაართულებს.

ვთვლი, რომ თანამედროვე მსოფლიოში „იძულებითი დეგლობალიზაციის" პროცესი მიმდინარეობს, რაც იმან განაპირობა, რომ COVID-19-ის მასობრივი გავრცელება აღმოჩნდა მოულოდნელი და სწრაფი, ხოლო ამ პრობლემის წინააღმდეგ სამოქმედოდ კი მზად არავინ იყო, რის გამოც ყველა სახელმწიფო უმთავრესად იზოლირებულად მოქმედებდა (Papava, 2020c).

პანდემიის გლობალური ხასიათიდან გამომდინარე იზოლაციონიზმის პირობებში მისი დაძლევა შეუძლებელია. პირიქით, საჭიროა გლობალური მასშტაბის კოორდინირებული მოქმედება (Mazzucato, Torreele, 2020).

ეკონომისტთა მნიშვნელოვანი ნაწილისთვის ეჭვს არ იწვევს, რომ ყველა ის ქვეყანა, რომელიც თავისუფალ ვაჭრობას შეეწინააღმდეგება, საბოლოო ჯამში ეკონომიკურად უფრო მეტად დაზარალდება (მაგალითად, Åslund, 2020). იმისთვის, რომ ქვეყნებმა შეძლონ კორონომიკური კრიზისის შედეგების შემსუბუქება, აუცილებელია, მათ თავისუფალი ვაჭრობის ხელშეწყობით უზრუნველყონ საკუთარი შედარებითი უპირატესობის გამოყენება (Fung, 2020).

მიუხედავად ამისა, აუცილებელია იმის არდავიწყება, რომ დეგლობალიზაციის პროცესი ჯერ კიდევ COVID-19-ის პანდემიამდე აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა დაიწყო (მაგალითად, Sachs, 2017b), რაც პანდემიის პირობებში კიდევ უფრო გაღრმავდა. დონალდ ტრამპის მეორე ვადით არჩევის შემთხვევაში დეგლობალიზაცია მეტ-ნაკლებად შეინარჩუნებს „ტრენდულ" ხაიათს. ეს პერიოდი ქვეყნებმა მაქსიმალურად უნდა გამოიყენონ იმისთვის, რომ უკეთ მოემზადონ განახლებული გლობალიზაციის პროცესის თვისებრივად უფრო მაღალ საფეხურზე გადასასვლელად (El-Erian, 2020).

დიალექტიკის ცნობილი ერთ-ერთი მთავარი კანონის – უარყოფის უარყოფის არსიდან გამომდინარე ეკონომიკური მეცნიერებისათვის ერთ-ერთ გამოწვევად შეიძლება ჩაითვალოს გლობალიზაციის და დეგლობალიზაციის (თუნდაც იძულებითის) მონაცვლეობის გარდაუვალი ხასიათის შესწავლა.

თავის მხრივ, დეგლობალიზაციისათვის დამახასიათებელია მოცემული კონკრეტული ქვეყნის ეკონომიკის ავტონომიური ფუნქციონირების გაღრმავება, რაც, სხვა თანაბარ პირობებში, სახელმწიფოს როლის სულ უფრო მეტად გაძლიერებას მისცემს სტიმულს (Rodrik, 2020). აქედან გამომდინარე, კორონომიკური კრიზისის დროს სულაც არ არის გასაკვირი კეინსიანიზმის იდეების პოპულარობის ზრდა (მაგალითად, Velasco, 2020). აქ ისიც გასათვალისწინებელია, რომ თავად COVID-19-ის პანდემიის დამარცხება სახელმწიფოს აქტიური მოქმედების გარეშე პრაქტიკულაად შეუძლებელია (Stiglitz, 2020a).

მაშასადამე, ეკონომიკური მეცნიერებისათვის სახელ-

მწიფოს ეკონომიკაში ჩარევის ეფექტიანობის პრობლემის კვლევა ტრადიციულ აქტუალურობას კვლავ ინარჩუნებს.

აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ COVID-19-ის პანდემიამ წინ წამოსწია საავტორო უფლებების დაცვის და პატენტების არსებული სისტემის გადახედვის აუცილებლობა (Stiglitz, Jayadev, Prabhala, 2020). ამ კუთხით ეკონომიკურმა მეცნიერებამ უნდა შეისწავლოს საზოგადოებრივი დოვლათის ტრადიციული ფარგლების გაფართოების შესაძლებლობა და ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლებისთვის მოამზადოს რეკომენდაციები, რომელთა თანახმადაც ახალი ტექნოლოგიები სწორედ ამ ტიპის დოვლათად „გარდაიქმნება" (Sachs, 2017a: 91).

კორონომიკური კრიზისის ერთ-ერთ თავისებურებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ეკონომიკის გაჩერების გამო ერთობლივი მოთხოვნის შემცირებასთან ერთად კიდევ უფრო მეტად ერთობლივი მიწოდება შემცირდა (Rogoff, 2020). ეს კი, თავის მხრივ, უშუალოდ აისახება ინფლაციის ზრდაზე, რომლის შეფერხებასაც ცენტრალური ბანკები მათ ხელთ არსებული ინსტრუმენტებით მხოლოდ იმ შემთხვევაში შეძლებენ, თუ კი გაიზრდიან საპროცენტო განაკვეთებს, რაც საბოლოო ჯამში ერთობლივ მიწოდებასა და ეკონომიკურ ზრდაზე უარყოფითად აისახება.

ერთობლივი მიწოდების შემცირებამ თავის მხრივ სერიოზული პრობლემები შეუქმნა იმ ქვეყნების ეკონომიკას, რომელთა ცენტრალური ბანკებიც ინფლაციის თარგეთირების რეჟიმს იყენებენ (Papava, Charaia, 2019).

კორონომიკურმა კრიზისმა ნათლად წარმოაჩინა ცენტრალური ბანკების მიერ ინფლაციის თარგეთირების რეჟიმის სუსტი მხარეები, რაც ეკონომიკური მეცნიერების წინაშე დღის წესრიგში აყენებს მონეტარული პოლიტიკის უფრო სრულყოფილი რეჟიმის კვლევის აუცილებლობას.

ეკონომიკური მეცნიერების წინაშე კორონომიკსის მიერ დაყენებული ზემოთ განხილული საკითხები მხოლოდ მცირე ჩამონათვალია იმ ვრცელი ნუსხის, რომლის ფორმირებაც ეკონომისტთა გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს.

კორონომიკსი და ეკონომიკური პოლიტიკა

COVID-19-ის პანდემიის მოულოდნელმა ხასიათმა სხვადასხვა ქვეყნის მთავრობას არაერთი შეცდომა დააშვებინა.

სავარაუდოდ ტრადიციულ ლიბერალურ მიდგომას უნდა „დაბრალდეს" ის კურიოზული და იმავდროულად სამწუხარო შეცდომა, რომელიც აშშ-ის ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სახელმწიფო მდივნმა დაუშვა, როცა განაცხადა, რომ კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინის შექმნა და გავრცელება თურმე უშუალოდ კერძო სექტორის პრეროგატივა ყოფილა (Sachs, 2020). სინამდვილეში ეპიდემიის დამარცხება მხოლოდ სახელმწიფოს ძალისხმევითაა შესაძლებელი, ხოლო პანდემიის დაძლევა კი სახელმწიფოთა შეთანხმებული მოქმედების გარეშე წარმოუდგენელია (Stiglitz, 2020a).

აშკარაა, რომ COVID-19-ის პანდემიის და კორონომიკური კრიზისის პირობებში აუცილებელია პრინციპულად გადაიხედოს სახელმწიფოს როლი მისი ზრდის მიმართულებით. უწინარეს ყოვლისა, ეს ჯანდაცვის სფეროს ეხება. რაც მთავარია, კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინის შექმნა და მისი საყოველთაო ხელმისაწვდომობა სწორედ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს (Stiglitz, Jayadev, Prabhala, 2020).

COVID-19-ის პანდემიის თანამედროვე ეტაპზე, ანუ სანამ შესაბამისი ვაქცინა ჯერ კიდევ არ არის შექმნილი, ჩემი აზრით, ჯანდაცვის სფეროს ბევრი სპეციალისტი გულუბრყვილოდ თვლის, რომ ამ ვაქცინის შექმნა პრინციპულად გადაწყვეტს პანდემიის დაძლევის ამოცანას. ჩემი აზრით, პრობლემას ართულებს ის გარემოება, რომ COVID-19-ის პანდემიის დაწყებასთან ერთად ფართოდ გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ კორონავირუსი ხელოვნურადაა შექმნილი იმ მიზნით, რომ შემდეგ მისი საწინააღმდეგო ვაქცინის გამოყენებით უზრუნველყონ დედამიწის მოსახლეობის არსებითი შემცირება. ამის გამო სულაც არ არის ერთმნიშვნელოვანი, რომ ყველა ადამიანი დათანხმდება აცრას. ამ შემთხვევაში კი ვაქცინის შექმნა და მისი ფართოდ გავრცელება სულაც არ იძლევა ოპტიმიზმის საფუძველს, რომ COVID-19-ის პანდემიის დამარცხება ვაქცინის გამოყენებით იქნება შესაძლებელი. ნებისმიერ შემთხვევაში, სახელმწიფოთა წინაშეა გამოწვევა, თუ როგორ მოახერხებს COVID-19-ის პანდემიის დაძლევას ვაქცინის მიმართ ხსენებული წინასწარ ფორმირებადი უნდობლობის პირობებში. ამ მიმართულებით პრობლემის შესწავლა აშკარად საშური საქმეა.

კორონომიკურმა კრიზისმა, უწინარეს ყოვლისა, ტურისტული სექტორი დააზარალა. არანაკლები ზიანი მიადგა სამგზავრო გადაზიდვებს. „ჯაჭვური რეაქციის" მსგავსად კრიზისმა ეკონომიკის პრაქტიკულად ყველა სექტორი ჩაითრია.

ბიზნესის მხარდაჭერის მიზნით მთავრობები, როგორც წესი, მიმართავენ საგადასახადო შეღავათებისა და შეღავათიანი დაკრედიტების სისტემებს, რაც ირიბად ხელს უწყობს ეკონომიკის ზომბირების პროცესს (Stiglitz, 2020b). კერძოდ, იმ ფირმებს, რომლებსაც კორონომიკური კრიზისის დაწყებამდეც შეიძლება ჰქონოდათ ფინანსური პრობლემები, ამ კრიზისის გამო მათთვისაც ხელმისაწვდომი ხდება საგადასახადო შეღავათები და შეღავათიანი კრედიტები, რითაც იხანგრძლივებენ ბაზარზე ყოფნის შესაძლებლობას. ამ ტიპის ფირმებს როგორც ცნობილია ზომბი-ფირმები ეწოდება (მაგალითად, Ahearne, Shinada, 2005). კრიზისის შემდგომ პერიოდში განსაკუთრებულ აქტუალურობას შეიძენს ეკონომიკის ზომბი-ფირმებისგან გათავისუფლება, რაც, როგორც ამას საერთაშორისო გამოცდილება ადასტურებს, საკმაოდ რთულ ამოცანას წარმოადგენს (Krugman, 2020).

შექმნილმა მძიმე ვითარებამ ეკონომიკური პოლიტიკის მიმართ ორი მიდგომა ჩამოაყალიბა. კერძოდ, თუ როგორი უნდა იყოს ეკონომიკური პოლიტიკა უშუალოდ კორონომიკური კრიზისის დროს, და როგორი – კრიზისის შემდგომ პერიოდში. პირველს ანტიკრიზისული, მეორეს კი ეკონომიკის აღდგენის პოლიტიკა ეწოდება.

ანტიკრიზისული ეკონომიკური პოლიტიკის უმთავრესი ამოცანაა მოსახლეობის ყველაზე შეჭირვებული ფენებისათვის მიზნობრივი სოციალური დახმარების გაწევა. ამასთან ერთად, გასათვალისწინებელია მთავრობის მხრიდან იმ კომპანიების პირდაპირი თუ ირიბი მხარდაჭერა, რომელთაც პანდემიის შემდგომ პერიოდში უნდა უზრუნველყონ ეკონომიკის მეტ-ნაკლებად სწრაფი აღორძინება.

ეკონომიკის აღდგენის პოლიტიკა კი ორიენტირებული უნდა იყოს იმაზე, რომ ხელი შეეწყოს ეკონომიკის იმ სექტორების განვითარებას, რომლებიც მსგავი ხასიათის პანდემიის განმეორების შემთხვევაში ეკონომიკის უფრო მეტ მდგრადობას უზრუნველყოფს.

ანტიკრიზისული ეკონომიკური პოლიტიკის თავისებურებებიდან გამომდინარე, რომლებიც უმთავრესად სახელმწიფო ბიუჯეტის მიერ ხარჯების ზრდას ეფუძნება აუცილებლად გამოიწვევს საბიუჯეტო დეფიციტის ზრდას. ეს კი პანდემიით მოცული ყველა ქვეყნისთვის ძალზედ სერიოზული პოსტკრიზისული პრობლემა იქნება.

მაშასადამე, ეკონომიკის აღდგენის პოლიტიკა აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს საბიუჯეტო დეფიციტის ზრდით გამოწვეული პრობლემის გადაწყვეტასაც. რადგანაც ამ დეფიციტის დაფარვის ერთ-ერთი აღიარებული გზა საგარეო ვალების ზრდაა, ამიტომ ეკონომიკური პოლიტიკა პოსტკრიზისულ პერიოდში ასევე ფოკუსირებულ უნდა იქნეს ამ ვალების მომსახურებაზე.

COVID-19-ის პანდემიამ წინა პლანზე წამოწია სასურსათო უსაფრთხოების პრობლემა (Blair, Kalibata, 2020). აქედან გამომდინარე, პრაქტიკულად ყველა ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტულ მიმართულებად პოსტკრიზისულ პერიოდში ზოგადად ეკონომიკური (და მათ შორის სასურსათო) უსაფრთხოების გაძლიერების ხელშემწყობი ღონისძიებების გატარება უნდა გახდეს.

ბუნებრივია, რომ ეკონომიკური პოლიტიკის წინაშე კორონომიკსის მიერ დაყანებულ საკითხთა ნუსხა ბევრად უფრო ფართოა. წინამდებარე სტატიაში განხილული საკითხები კი შეირჩა მათი განსაკუთრებული მნიშვნელობიდან გამომდინარე.

დასკვნა

COVID-19-ის პანდემიამ თვისებრივად ახალი კორონომიკური კრიზისი ჩამოაყალიბა, რაც, აუცილებელია, ეკონომიკური მეცნიერების მიერ ყოველმხრივ იქნას შესწავლილი.

იმ პრობლემათა შორის, რომლებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეკონომიკური მეცნიერებისთვის, გლობალიზაციისა და დეგლობალიზაციის პროცესების სიღრმისეული გაანალიზება პრიორიტეტულად უნდა ჩაითვალოს.

კორონომიკურმა კრიზისმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ეკონომიკური მეცნიერებისათვის ისევ და ისევ აქტუალურ თემას წარმოადგენს სახელმწიფოს ეკონომიკაში ჩარევის პრობლემის კვლევა.

პრინციპულად შესაცვლელია დამოკიდებულება საავტორო უფლებების დაცვისა და პატენტების არსებული სისტემის მიმართ. კერძოდ, აუცილებელია საზოგადოებრივი დოვლათის არსებული ფარგლების გაფართოება, როცა ამ დოვლათად ახალი ტექნოლოგიებიც იქნება აღიარებული.

ერთობლივი მიწოდების შემცირებით გამოწვეულმა ინფლაციურმა პროცესებმა გაამძაფრა ცენტრალური ბანკების მიერ ინფლაციის თარგეთირების რეჟიმის გამოყენება, რის გამოც ეკონომიკური მეცნიერების წინაშე დგება მონეტარული პოლიტიკის უფრო სრულყოფილი რეჟიმის კვლევის აუცილებლობა.

კორონავისრუსის საწინააღმდეგო ვაქცინის შექმნა სულაც არ არის საკმარისი პირობა, რომ COVID-19-ის პანდემია დასრულდეს. დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ ეფექტიანი სახელმწიფო პოლიტიკის წარმართვას, რომელიც მოსახლეობაში საყოველთაო ვაქცინაციის მიმზიდველობას გაზრდის.

კორონომიკური კრიზისის პერიოდში ბიზნესისათვის საგადასახადო შეღავათების დაწესება და შეღავათიანი კრედიტების მიცემა ეკონომიკაში ზომბი-ფირმების წარმოქმნას უწყობს ხელს. ეკონომიკის მათგან გათავისუფლება იქნება კრიზისის შემდგომი ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი ურთულესი ამოცანა.

COVID-19-ის პანდემიამ ერთმნიშვნელოვნად განაპირობა ანტიკრიზისული ეკონომიკური პოლიტიკისა და ეკონომიკის აღდგენის პოლიტიკის გამიჯვნის აუცილებლობა.

ანტიკრიზისული ეკონომიკური პოლიტიკის თავისებურებათა გათვალისწინებით საბიუჯეტო დეფიციტის ზრდა გარდაუვალია. კრიზისის შემდგომ პერიოდში ერთ-ერთ პრიორიტეტულ ამოცანად უნდა იქნეს განხილული ამ დეფიციტის დაფარვისათვის სახელმწიფოს მიერ აღებული სესხების (მათ შორის საგარეო სესხების) ეფექტიანი მომსახურების განხორციელება.

იმის გათვალისწინებით, რომ მომავალში COVID-19-ის მსგავსი პანდემიის ფორმირება სულაც არ არის გამორიცხული, ამიტომ პოსტკრიზისული ეკონომიკური პოლიტიკისათვის პრიორიტეტული უნდა იყოს ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების და განსაკუთრებით სასურსათო უსაფრთხოების საკითხების წინა პლანზე წამოწევა.

COVID-19-ის მსგავსი პანდემიის განმეორების რეალური საფრთხის გთვალისწინებით კორონომიკური კრიზისის შესწავლა მხოლოდ მიმდინარე პრობლემად არ უნდა ჩაითვალოს.

კორონომიკურმა კრიზისმა ეკონომიკური მეცნიერების და ეკონომიკური პოლიტიკის წინაშე მრავალი პრობლემა დააყენა. წინამდებარე სტატიაში განხილული საკითხები მათი მხოლოდ ნაწილია, თუმცა საკმაოდ მნიშვნელოვანი.

ლიტერატურა/REFERENCES

Abesadze, R. (2020). Globalization and the Economic Problems of the Pandemic. *Economics and Business,* No. 2. (In Georgian.)

Ahearne, A. G., & Shinada, N. (2005). Zombie Firms and Economic Stagnation in Japan. *International Economics and Economic* Policy, Vol. 2, No. 4.

Alwis, A. de. (2020). Coronomics – Plan Your Eggs and the Basket! *Daily FT,* February 25, http://www.ft.lk/columns/Coronomics-%E2%80%93-Plan-your-eggs-and-the-basket-/4-695109.

Archvadze, J. (2020a). *Global Changes Related to the Coronavirus Pandemic (Politico-Economic Aspects).* Tbilisi, "Mtsignobari." (In Georgian.)

Archvadze, J. (2020b). Transformation of State Function in the Post-Pandemic Period. *Economics and Business,* No. 2. (In Georgian.)

Åslund, A. (2020). Trump's Global Recession. *Project Syndicate,* March 13, https://www.project-syndicate.org/commentary/donald-trump-covid19-global-recession-by-anders-aslund-2020-03.

Balarjishvili, I. (2018). The Paradigm Crisis and the "Mainstream" Potential of the Institutional Economy. *Globalization & Business,* No. 6. (In Georgian.)

Baldwin, R., & Mauro, B.W. di, eds. (2020). *Mitigating the COVID Economic Crisis: Act Fast and Do Whatever It Takes.* London, CEPR Press, https://voxeu.org/content/mitigating-covid-economic-crisis-act-fast-and-do-whatever-it-takes?fbclid=IwAR2tO7kRFEGS1_3J88oedtd1G3CARE4S0PFDSmOFJeSzH5tfEi6Odu55Fx8.

Basu, K. (2020). How the Pandemic Should Shake up Economics. *Project Syndicate,* June 22, https://www.project-syndicate.org/commentary/covid19-pandemic-shows-markets-depend-on-tacit-social-norms-by-kaushik-basu-2020-06?utm_source=Project%20Syndicate%20Newsletter&utm_campaign=4bba15cfe5-sunday_newsletter_06_28_2020&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-4bba15cfe5-93567601&mc_cid=4bba15cfe5&mc_eid=e9fb6cbcc0&barrier=accesspaylog.

Benashvili, G. (2020). Coronomics – the Need for a Rethinking of Economic Policy. *Economics and Business,* No. 2. (In Georgian.)

Blair. T., & Kalibata, A. (2020). Building Food Security During the Pandemic. *Project Syndicate,* May 7, https://www.project-syndicate.org/commentary/four-ways-to-boost-food-security-during-covid19-pandemic-by-tony-blair-and-agnes-kalibata-2020-05?utm_source=Project%20Syndicate%20Newsletter&utm_campaign=2ad6876daf-sunday_newsletter_10_05_2020&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-2ad6876daf-93567601&mc_cid=2ad6876daf&mc_eid=e9fb6cbcc0&barrier=accesspaylog.

Birks, S. (2016). *40 Critical Pointers for Students of Economics.* London, College Publications.

Bookstaber, R. (2017). *The End of Theory. Financial Crises, the Failure of Economics, and the Sweep of Human Interaction. Princeton*, Princeton University Press.

Carlsson-Szlezak, P., Reeves, M., & Swartz, P. (2020). What Coronavirus Could Mean for the Global Economy. *Harvard Business* Review, March 3, https://hbr.org/2020/03/what-coronavirus-could-mean-for-the-global-economy.

Charaia, V. (2020). Coronomics – Threat or Possibility?! *Economics and Business*, No. 2. (In Georgian.)

Davies, H. (2010). *The Financial Crisis: Who is to Blame?* Cambridge, The Polity Press.

Djibuti, M. (2020). Viral Variations of Political Economy. *Economics and Business,* No. 2. (In Georgian.)

Eichengreen, B. (2020). Coronanomics 101. *Project Syndicate,* March 10, https://www.project-syndicate.org/commentary/limits-macroeconomic-tools-coronavirus-pandemic-by-barry-eichengreen-2020-03?utm_source=Project+Syndicate+Newsletter&utm_campaign=cba7e1c6a1-sunday_newsletter_15_03_2020&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-cba7e1c6a1-93567601&mc_cid=cba7e1c6a1&mc_eid=e9fb6cbcc0.

El-Erian, M.A. (2020). Navigating Deglobalization. *Project Syndicate,* May 11, https://www.project-syndicate.org/commentary/covid19-deglobalization-two-priorities-by-mohamed-a-el-erian-2020-05?utm_source=Project%20Syndicate%20Newsletter&utm_campaign=3ce69c95d3-sunday_newsletter_17_05_2020&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-3ce69c95d3-93567601&mc_cid=3ce69c95d3&mc_eid=e9fb6cbcc0&barrier=accesspaylog.

Faddis, C.S. (2020). Coronavirus: The True Face of Iran. *The Hill,* March 3, https://thehill.com/opinion/international/486438-coronavirus-the-true-face-of-iran.

Fullbrook, E. (2016). *Narrative Fixation in Economics.* London, College Publications.

Fung, V.K. (2020). The Trade Cure for the Global Economy. *Project Syndicate,* April 22, https://www.project-syndicate.org/commentary/covid19-crisis-revive-multilateralism-open-trade-by-victor-k-fung-2020-04?utm_source=Project%20Syndicate%20Newsletter&utm_campaign=871db40e9f-sunday_newsletter_26_04_2020&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-871db40e9f-93567601&mc_cid=871db40e9f&mc_eid=e9fb6cbcc0&barrier=accesspaylog.

Gaganidze, G. (2020). World Economy Before the Pandemic, During the Pandemic and After the Pandemic. *Economics and Business*, No. 2. (In Georgian.)

Geller A., Wiseman P., & Rugaber C. (2020). Outbreak Starts to Look More Like Worldwide Economic Crisis. *Herald Tribune*, February 28, https://www.heraldtribune.com/business/20200228/outbreak-starts-to-look-more-like-worldwide-economic-crisis.

Ghebreyesus, T.A. (2020). WHO Director-General's Opening Remarks at the Media Briefing on COVID-19 – 11 March 2020. *World Health Organization*, March 11, https://www.who.int/dg/speeches/detail/who-director-general-s-opening-remarks-at-the-media-briefing-on-covid-19---11-march-2020.

Gigerenzer, G. (2020). Why What Does Not Kill Us Makes Us Panic. *Project Syndicate,* March 12, https://www.project-syndicate.org/commentary/greater-risk-literacy-can-reduce-coronavirus-fear-by-gerd-gigerenzer-2020-03.

Haass, R.N. (2020). Deglobalization and Its Discontents. *Project Syndicate*, May 12, https://www.project-syndicate.org/commentary/deglobalizaton-discontents-by-richard-n-haass-2020-05?utm_source=Project%20Syndicate%20Newsletter&utm_campaign=3ce69c95d3-sunday_newsletter_17_05_2020&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-3ce69c95d3-93567601&mc_cid=3ce69c95d3&mc_eid=e9fb6cbcc0&barrier=accesspaylog.

Hamada, K. (2020). Epidemics, Economics, and Externalities. *Project Syndicate*, August 27, https://www.project-syndicate.org/commentary/covid19-epidemics-economics-externalities-social-justice-by-koichi-hamada-2020-08?utm_source=Project+Syndicate+Newsletter&utm_campaign=219b01f4ff-covid_newsletter_03_09_2020&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-219b01f4ff-93567601&mc_cid=219b01f4ff&mc_eid=e9fb6cbcc0.

Hatheway, L. (2020). A COVID-19 Emergency Response Plan. *Project Syndicate*, February 27, https://www.project-syndicate.org/commentary/covid-19-economy-response-plan-by-larry-hatheway-2020-02.

Heilbroner, R., & Milberg, W. (1996). *The Crisis of Vision in Modern Economic Thought.* Cambridge, Cambridge University Press.

Hey, D., eds. (1992). *The Future of Economics,* D. Hey eds. Oxford, Blackwell.

Hill, R., & Myatt, T. (2010). *The Economics Anti-Textbook: A Critical Thinker's Guide to Microeconomics.* Halifax, Fernwood Publishing.

Kakulia, M. (2020). Lessons from the Coronomic Crisis for Georgia. *Economics and Business*, No. 2. (In Georgian.)

Kanth, R.K. (1997). *Against Economics. Rethinking Political Economy.* Aldershot, Ashgate.

Kharbedia, R. (2018). Economic Problems or the Crisis of Economic Science. *Globalization & Business*, No. 6. (In Georgian.)

Kovzanadze, I. (2020). The Challenges of the Economy and Its Prospects Against the Background of Infection COVID-19. *Economics and Business*, No. 2. (In Georgian.)

Krugman, P., (2020). *Arguing with Zombies: Economics, Politics, and the Fight for a Better Future.* New York, W.W Norton & Company.

Leiashvily, P. (2012). *Economic Activity: Teleological Analysis.* New York, Nova Science Publishers.

Maresso, A., Mladovsky, P., Thomson, S., Sagan, A., Karanikolos, M., Richardson, E., Cylus, J., Evetovits, T., Jowett, M., Figueras, J., & Kluge, H., eds. (2015). *Economic Crisis, Health Systems and Health in Europe. Country experience.* Copenhagen, World Health Organization, http://www.euro.who.int/__data/assets/pdf_file/0010/279820/Web-economic-crisis-health-systems-and-health-web.pdf?ua=1.

Marqués, G. (2016). *A Philosophical Framework for Rethinking Theoretical Economics and Philosophy of Economics.* London, College Publications.

Mazzucato, M., & Torreele, E. (2020). How to Develop a COVID-19 Vaccine for All. *Project Syndicate,* April 27, https://www.project-syndicate.org/commentary/universal-free-covid19-vaccine-by-mariana-mazzucato-and-els-torreele-2020-04?utm_source=Project%20Syndicate%20Newsletter&utm_campaign=64d8372856-sunday_newsletter_03_05_2020&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-64d8372856-93567601&mc_cid=64d8372856&mc_eid=e9fb6cbcc0&barrier=accesspaylog.

McCloskey, D.N. (2010). B*ourgeois Dignity: Why Economics can't Explain the Modern World.* Chicago, The University of Chicago Press.

Mekvabishvili, E. (2018). Theory of Economic Crises or the Crisis of Economic Theory? *Globalization & Business,* No. 6. (In Georgian.)

Mekvabishvili, E. (2020). The Impact of the Global Coronary Crisis on the Georgian Economy. *Economics and Business*, No. 2. (In Georgian.)

Offer, A., & Söderberg, G. (2016). *The Nobel Factor: The Prize in Economics, Social Democracy, and the Market Turn.* Princeton, Princeton University Press.

Paarlberg, D. (1968). *Great Myths of Economics.* New York, The New American Library.

Papava, V. (2018). The Economics in Crisis and the Main Directions for Transformation of Economic Science. *Transformations*, No. 3-4 (98-99).

Papava, V. (2020a). Coronomic Crisis: When The Economy Is A Hostage To Medicine. *Eurasia Review. Journal of Analysis and News*, March 29, https://www.eurasiareview.com/29032020-coronomic-crisis-when-the-economy-is-a-hostage-to-medicine-oped/.

Papava, V. (2020b). Coronomics and a Qualitatively New Economic Crisis. *Economics and Business*, No. 2. (In Georgian.)

Papava, V. (2020c). Georgia's European Way During the Period of Pandemic Deglobalization. *Rondeli Blog*, August 6, https://

www.gfsis.org/blog/view/1091.
Papava, V., & Charaia, V. (2019). On Complex Inflation Targeting and Modified Inflation Indicators (Experience of Georgia). *Finance: Theory and Practice,* Vol 23, No 3, https://financetp.fa.ru/jour/article/view/855/575.
Papava, V., & Charaia, V. (2020). *The Coronomic Crisis and Some Challenges for the Georgian Economy.* Expert Opinion No. 136. Tbislisi, Georgian Foundation for Strategic and International Studies, https://www.gfsis.org/files/library/opinion-papers/136-expert-opinion-eng.pdf.
Pei, M. (2020). Will the Coronavirus Topple China's One-Party Regime? *Project Syndicate*, March 4, https://www.project-syndicate.org/commentary/coronavirus-china-political-consequences-by-minxin-pei-2020-03?utm_source=Project+Syndicate+Newsletter&utm_campaign=5a74e31e27-sunday_newsletter_08_03_2020&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-5a74e31e27-93567601&mc_cid=5a74e31e27&mc_eid=e9fb6cbcc0)%20%E1%83%93%E1%83%90%20%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%20(https://thehill.com/opinion/international/486438-coronavirus-the-true-face-of-iran.
Pilkington, P. (2016). *The Reformation in Economics. A Deconstruction and Reconstruction of Economic Theory.* London, The Palgrave Macmillan.
Roach, S.S. (2020). The False Crisis Comparison. *Project Syndicate*, March 19, https://www.project-syndicate.org/commentary/covid-19-crisis-nothing-like-2008-by-stephen-s-roach-2020-03.
Rogoff, K. (2020). Deglobalization will Hurt Growth Everywhere. *Project Syndicate*, June 3, https://www.project-syndicate.org/commentary/deglobalization-threat-to-world-economy-and-united-states-by-kenneth-rogoff-2020-06?utm_source=Project%20Syndicate%20Newsletter&utm_campaign=56f4462bc8-sunday_newsletter_07_06_2020&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-56f4462bc8-93567601&mc_cid=56f4462bc8&mc_eid=e9fb6cbcc0&barrier=accesspaylog.
Riley, C. (2020). Coronavirus is Fast Becoming an 'Economic Pandemic.' *CNN Business*, February 25, https://edition.cnn.com/2020/02/24/business/coronavirus-global-economy/index.html.
Rodrik, D. (2015a). *Economics Rules: The Rights and Wrongs of the Dismal Science.* New York, W. W. Norton & Company.
Rodrik, D. (2015b). Economists vs. Economics. *Project Syndicate*, September 10, https://www.project-syndicate.org/commentary/economists-versus-economics-by-dani-rodrik-2015-09?utm_source=Project+Syndicate+Newsletter&utm_campaign=be2a176f93-Sept_13_20159_5_2015&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-be2a176f93-93567601&barrier=accessreg.
Rodrik, D. (2020). Making the Best of a Post-Pandemic World. *Project Syndicate*, May 12, https://www.project-syndicate.org/commentary/three-trends-shaping-post-pandemic-global-economy-by-dani-rodrik-2020-05?utm_source=Project%20Syndicate%20Newsletter&utm_campaign=3ce69c95d3-sunday_newsletter_17_05_2020&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-3ce69c95d3-93567601&mc_cid=3ce69c95d3&mc_eid=e9fb6cbcc0&barrier=accesspaylog.
Sachs, J.F. (2017a). *Building the New American Economy. Smart, Fair, and Sustainable.* New York: Columbia University Press.
Sachs, J. (2017b). Global Cooperation is the Only Way Forward for the US. *World Economic Forum*, January 6, https://www.weforum.org/agenda/2017/01/jeffrey-sachs-global-cooperation-is-the-only-way-forward-for-the-us/.
Sachs, J. (2020). The Trump Administration's Ludicrous Approach to Coronavirus Vaccine. *CNN Opinion*, March 5, https://edition.cnn.com/2020/03/05/opinions/ludicrous-plan-coronavirus-vaccine-opinion-sachs/index.html.
Sandmo, A. (2011). *Economics Evolving: A History of Economic Thought.* Princeton, Princeton University Press.
Shapatava, D. (2018). Economic Science Crisis as a Reflection of the World Economic Crisis. Approaches and assumptions. *Globalization and Business*, No. 6. (In Georgian.)
Shengelia, T. (2020). Global Economic Recession and Post-Viral Development of Georgia. *Economics and Business*, No. 2. (In Georgian.)
Shiller, R.J. (2019). Narrative Economics. How Stories Go Viral & Drive Major Economic Events. Princeton, Princeton University Press.
Skidelsky, R. (2016). Economists versus the Economy. *Project Syndicate*, December 23, https://www.project-syndicate.org/commentary/mathematical-economics-training-too-narrow-by-robert-skidelsky-2016-12.
Söderbaum, P. (2017). Do We Need A New Economics for Sustainable Development? *Real-World Economics Review*, Issue No. 80, http://www.paecon.net/PAEReview/issue80/Soderbaum80.pdf.
Staveren, I. van (2015). *Economics After the Crises. An Introduction to Economics from a Pluralist and Global Perspective.* London, Routledge.
Stiglitz, J. (2010a). An Agenda for Reforming Economic Theory. *YouTube*, April 23, https://www.youtube.com/watch?v=L9KAd_nqINY.
Stiglitz, J. (2010b). Needed: A New Economic Paradigm. *Financial Times*, August 20, https://www.ft.com/content/d5108f90-abc2-11df-9f02-00144feabdc0.
Stiglitz, J.E. (2020a). Plagued by Trumpism. *Project Syndicate*, March 9, https://www.project-syndicate.org/commentary/trump-coronavirus-failure-of-small-government-by-joseph-e-stiglitz-2020-03?utm_source=Project+Syndicate+Newsletter&utm_campaign=cba7e1c6a1-sunday_newsletter_15_03_2020&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-cba7e1c6a1-93567601&mc_cid=cba7e1c6a1&mc_eid=e9fb6cbcc0.

Stiglitz, J.E. (2020b). Priorities for the COVID-19 Economy. *Project Syndicate*, July 1, https://www.project-syndicate.org/commentary/covid-2020-recession-how-to-respond-by-joseph-e-stiglitz-2020-06?utm_source=Project+Syndicate+Newsletter&utm_campaign=67133fbc7b-covid_newsletter_02_07_2020&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-67133fbc7b-93567601&mc_cid=67133fbc7b&mc_eid=e9fb6cbcc0.

Stiglitz, J.E., Jayadev, A., Prabhala, A., (2020). Patents vs. the Pandemic. *Project Syndicate*, April 23, https://www.project-syndicate.org/commentary/covid19-drugs-and-vaccine-demand-patent-reform-by-joseph-e-stiglitz-et-al-2020-04.

Suhrcke, M., Stuckler, D., Suk, J.E., Desai, M., Senek, M., McKee, M., Tsolova, S., Basu, S., Abubakar, I., Hunter, P., Rechel, B., & Semenza, J.C. (2011). The Impact of Economic Crises on Communicable Disease Transmission and Control: A Systematic Review of the Evidence." *PLoS ONE*, June 10, https://journals.plos.org/plosone/article?id=10.1371/journal. pone.0020724.

Syll, L.P. (2016). *On the Use and Misuse of Theories and Models in Mainstream Economics. London*, College Publications.

Tokmazishvili, M. (2018). Global Economic Crisis and Economic Science. *Globalization & Business*, No. 5. (In Georgian.)

Turner, A. (2012). *Economics after the Crises. Objectives and Means*. Cambridge, The MIT Press.

Velasco, A. (2020). Are We All Keynesians Again? *Project Syndicate*, August 25, https://www.project-syndicate.org/commentary/states-must-be-insurer-of-last-resort-against-aggregate-risks-by-andres-velasco-2020-08?utm_source=Project+Syndicate+Newsletter&utm_campaign=84fdc5db75-sunday_newsletter_30_08_2020&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-84fdc5db75-93567601&mc_cid=84fdc5db75&mc_eid=e9fb6cbcc0.

WHO, (2011). *Impact of Economic Crises on Mental Health.* Copenhagen, World Health Organization, http://www.euro.who.int/__data/assets/pdf_file/0008/134999/e94837.pdf?ua=1.

JEL Classification: O31, I15, P36 https://doi.org/10.35945/gb.2020.10.002

DIGITALIZATION FOR INCREASED ACCESS TO HEALTHCARE SERVICES: CASE OF LATVIA

VLADIMIR MENSHIKOV
Dr.sc., Professor,
Daugavpils University, Latvia
vladimirs.mensikovs@du.lv

VERA KOMAROVA
Dr.oec,
Daugavpils University, Latvia
veraboronenko@inbox.lv

IRENA KOKINA
Dr.sc., Professor,
Daugavpils University, Latvia
irena.kokina@du.lv

OLGA VOLKOVA
PhD student,
Daugavpils University, Latvia
olga.volkova@du.lv

Harari Yu.N. (2018) *Bolshinstvolyudey ne osoznayut, chtoproishodit.:Rechizrailskogoistorika v Davose.*Available at: https://bykvu.com/bukvy/84181-bolshinstvo-lyudej-ne-osoznayut-chto-proiskhodit-rech-izrailskogo-istorika-v-davose(In Russian)

Holma, B. (galv.red.). (2017). *Latvija. Pārskats par tautas attīstību 2015/2016. Dzīves meistarība un informācijpratība.* Rīga: LU Sociālo un politisko pētījumu institūts. Retrieved from https://www.szf.lu.lv/fileadmin/user_upload/szf_faili/Petnieciba/sppi/tautas/original/TAP_2015-2016.pdf (In Latvian)

Latulippe K., Hamel C., Giroux D. (2017, April) Social Health Inequalities and eHealth: A Literature Review With Qualitative Synthesis of Theoretical and Empirical Studies. *Journal of Medical Internet Research*, 19(4). doi:10.2196/jmir.6731

LatvijasRadio 4. (2019, March 16). *"Ni proglotit›, ni vyplyunut›". Glava Minzdrava ob "E-zdorov›e".* Retrieved from: https://rus.lsm.lv/statja/novosti/obschestvo/ni-proglotit-ni-viplyunut-glava-minzdrava-ob-e-zdorove.a312764/ (In Russian)

Lyadova A. (2018) *Digital health: myth or reality.* Available at: http://hdl.handle.net/10995/58996 (In Russian)

Menshikov V., Volkova O., Stukalo N., Simakhova A. (2017, December) Social Economy as a Tool to Ensure National Security. *Journal of security sustainability issues.* Volume 7, number 2.31-51. Available at: http://jssidoi.org/jssi/uploads/papers/26/Menshikov_Social_economy_as_a_tool_to_ensure_national_security.pdf(In English)

Menshikov, V., & Volkova, O. (2019). Digitalization for increased access security to healthcare services in Latvia. *Journal of Security and Sustainability Issues*, 9(1). doi:https://doi.org/10.9770/jssi.2019.9.1(13)

Nering, K., Gunkel›, E. (2020, April 20). *Messendzhery i zashchita dannyh: chto bol›she podhodit dlya raboty na domu?* Retrieved from dw.com: https://p.dw.com/p/3b4Gf (In Russian)

Novillo-Ortiz, D., Dumit, E. M., D'Agostino, M., Becerra-Posada, F., Kelley, E. T., Torrent-Sellens, J., . . . Saigí-Rubió, F. (2018). Digital health in the Americas: advances and challenges in connected health. *BMJ Innov.*, 4(3). doi:10.1136/bmjinnov-2017-000258

OECD. (2010). *Improving Health Sector Efficiency The Role of Information and Communication Technologies. OECD publisher*. Retrieved from https://ec.europa.eu/health//sites/health/files/eu_world/docs/oecd_ict_en.pdf

OECD/EU. (2016) *Health at a Glance: Europe 2016 – State of Health in the EU Cycle, OECD Publishing,* Paris. http://dx.doi.org/10.1787/9789264265592-en

Putniņa, A., & Brants, M. (2018). Pētījums par pacientu apmierinātību ar veselības aprūpes pakalpojumu kvaitāti. Gala ziņojums. *SIA "Projektu un kvalitātes vadība", SIA "Aptauju Centrs"*, Rīga. Retrieved from http://petijumi.mk.gov.lv/sites/default/files/title_file/Zinojums_Pacientu_apmierinatiba_ar_veselibas_aprupes_pakalp_kvalitati.pdf (In Latvian)

Roth, S., Landry, M., & Parry, J. (2015). Universal health coverage by design: ICT - enabled solutions are the future of equitable, quality health care and resilient health systems. *ADB Briefs*, 36. Retrieved from https://www.adb.org/sites/default/files/publication/160117/universal-health-coverage-design-ict.pdf

Shamshurin D.A. (2018, Juny) Digital media as cultural globalization factor. Mezhdunarodnyj nauchno-issledovatel›skij *zhurnal*, № 6 (72), Chast› 2, DOI: https://doi.org/10.23670/IRJ.2018.72.6.036(In Russian)

StartUp Health Insights (2018) *Global Digital Health Funding Report.* Available at: https://www.startuphealth.com/insights-reports

Townsend P. (2010) *The meaning of poverty. The British Journal of Sociology.* DOI: https://doi.org/10.1111/j.1468-4446.2009.01241.x

Volkova, O. (2020). Informacionnoe neravenstvo v zdravoohranenii: institucional›nyj aspekt. Proceedings of the international scientific conferences of faculty of social sciences of Daugavpils University. *The materials of the International Scientific Conference «Social Sciences for Regional Development 2019». Part 1.* Issues of sociology. Retrieved from http://humanitiessocial.lv/wp-content/uploads/2020/04/SZF-krajums_I_Sociologijas-aktualitates_2020_BEZ-ISBN.pdf (In Russian)

WHO. (2016 a) *From innovation to implementation – eHealth in the WHO European Region.Report.* Available at:http://www.euro.who.int/__data/assets/pdf_file/0012/302331/From-Innovation-to-Implementation-eHealth-Report-EU.pdf WHO.

(2016 b). *Global difusion of eHealth: making universal health coverage achievable. Report of the third global survey on eHealth.* Retrieved from http://africahealthforum.afro.who.int/first-edition/IMG/pdf/global_diffusion_of_ehealth_-_making_universal_health_coverage_achievable.pdf

JEL Classification: B10, F60, F68 https://doi.org/10.35945/gb.2020.10.003

THE ANTI-CRISIS ROLE OF THE STATE (BASED ON THE EXPERIENCE OF THE GLOBAL FINANCIAL AND THE CORONOMIC CRISIS)

ELGUJA MEKVABISHVILI

Doctor of Economic Sciences, Professor,
Academician of Georgia Economic Sciences Academy
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia
elguja.mekvabishvili@tsu.ge

Abstract. A system that is a mixed economy has established in modern post-industrial countries and the participation of the state in it is very important. The active role of the state is especially evident in extreme situations, as evidenced by the experience of the most acute of the 21st century - the global financial crisis and the coronary crisis caused by the Covid-19 pandemic. Against the background of the implemented and ongoing changes in the economies of world and nation states in economic theory today we see the revival of the Keynesian doctrine. This doctrine withdrew the United States of America, as well as other countries, out of the worst crisis of the 20th century, out of the so-called „The Great Depression" and it has been a major factor in the unprecedented economic success of these countries during four decades.

A comparative analysis of the global financial and economic crises shows that the state not only plays a leading role in the process of rescuing economies from the crisis, but also its participation in post-crisis development, which implies the so-called Performing the function of «bridge management».

Based on the experience of the coronary crisis, in order to ensure the stability and development of the Georgian economy, we consider it necessary:

- Based on finding and using local resources, the state should implement economic policies aimed at accelerating the development of the real sector of the economy, diversifying the internal food market, reducing the negative foreign trade balance of agri-food products. This does not mean prioritizing import-substituting production, but focusing on the development of local production of products whose resources currently exist in our country;
- The state must create strategic reserves of food, medical supplies and basic necessities, which are vital in a rapidly changing global environment full of uncertainty and risk;
- Attitudes towards the tourism sector need to be changed substantially. After the end of the pandemic, the world will return to normal life and the number of tourists entering Georgia will increase again. However, given the lessons of the pandemic, we must bear in mind that it is necessary to: a) move to an intensive model of tourism; B) Organic inclusion of tourism in the local value chain; C) Pay more attention to the development of local tourism.

KEYWORDS: ANTI-CRISIS ROLE OF THE STATE, CORONOMIC CRISES, "OMNIPOTENT STATE".

For citation: Mekvabishvili, E., (2020). The Anti-Crisis Role of the State (Based on the Experience of the Global Financial and the Coronomic Crisis. *Globalization and Business, 10*. 35-41. (In Georgian) https://doi.org/10.35945/gb.2020.10.003

JEL Classification: B10, F60, F68 https://doi.org/10.35945/gb.2020.10.003

სახელმწიფოს ანტიკრიზისული როლი (გლობალური ფინანსური კრიზისისა და კორონომიკური კრიზისის გამოცდილების საფუძველზე)

ელგუჯა მექვაბიშვილი
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
elguja.mekvabishvili@tsu.ge

საკვანძო სიტყვები: სახელმწიფოს ანტიკრიზისული როლი, კორონომიული კრიზისი, ”ყოვლისშემძლე სახელმწიფო”.

ციტირებისთვის: მექვაბიშვილი ე. (2020). სახელმწიფოს ანტიკრიზისული როლი (გლობალური ფინანსური კრიზისისა და კორონომიკური კრიზისის გამოცდილების საფუძველზე). *გლობალიზაცია და ბიზნესი, №10*, გვ. 35-41
https://doi.org/10.35945/gb.2020.10.003

ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისიდან დღემდე განვითარებულმა 2007-2009 წლების გლობალურმა ფინანსურ-ეკონომიკურმა კრიზისმა და 2020 წლის კორონომიკურმა კრიზისმა ძლიერი დარტყმა მიაყენა მსოფლიოში გაბატონებულ ნეოლიბერალურ დოქტრინებს და ახალი ჟღერადობა შესძინა დისკუსიას საელმწიფოს ეკონომიკური როლის შესახებ. ვიდრე ვიმსჯელებდეთ სახელმწიფოს ანტიკრიზისულ საქმიანობაზე და პოსტკრიზისულ პერიოდში ეკონომიკური განვითარების პროცესში მის ჩართულობაზე, აუცილებლად მიგვაჩნია აღნიშნული კრიზისების შედარებითი ანალიზი, რომელიც გულისხმობს მათი განმასხვავებელი და მსგავსი ნიშან-თვისებების დახასიათებას.

გლობალური ფინანსური და კორონომიკური კრიზისების შედარებითი ანალიზი

მთავარი განსხვავება ამ ორ კრიზისს შორის მათი წარმოშობის მიზეზებიდან გამომდინარეობს. გლობალური ფინანსური კრიზისი წარმოადგენდა აშშ-ს ეკონომიკის ფინანსურ სექტორში, კერძოდ – იპოთეკურ ბაზარზე დაგროვილი პრობლემების შედეგს. კორონომიკური კრიზისი კი განპირობებულია ეკონომიკურ სისტემაზე ეგზოგენური ფაქტორის COVID-19-ის პანდემიის ზემოქმედებით. როგორც პროფ. ვ. პაპავა მიუთითებს, დღეს „ეკონომიკა მედიცინის მძევალია“ (https://for.ge/view/182671/koronomika-da-ekonomika-krizisis-winase.html). მაშასადამე, კორონომიკური კრიზისის სახით ჩვენ საქმე გვაქვს ორმაგ კრიზისთან – ჯანდაცვასა და ეკონომიკაში.

მეორე განსხვავება კრიზისებს შორის მდგომარეობს მათი განვითარების ლოგიკაში. გლობალური ფინანსური კრიზისი, როგორც აღვნიშნეთ, წარმოიქმნა აშშ-ს იპოთეკურ ბაზარზე. შემდეგ იგი გავრცელდა საბანკო სფეროში, მოიცვა საინვესტიციო და სადაზღვევო კომპანიები, ეკონომიკაში წარმოშვა ლიკვიდობის მწვავე დეფიციტი, ბოლოს კი ეკონომიკის რეალურ სექტორზეც გავრცელდა. კორონომიკურმა კრიზისმა, პირველ რიგში, ეკონომიკის რეალურ სექტორზე იმოქმედა: დაარღვია ათწლეულების მანძილზე ჩამოყალიბებული წარმოებრივი კავშირები, საკონტრაქტო ქსელები, მიწოდების ჯაჭვები და ა.შ. სერიოზულად დაზარლდა ტურისტული სექტორი, სამგზავრო ავიაგადაზიდვები, ზოგადად – სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა და ვაჭრობა. ფინანსური სისტემა თუმცა ინარჩუნებს სტაბილურობას, მაგრამ მსოფლიოს წამყვან საფონდო ბირჟებზე ინდექსების დაცემა მაინც შეინიშნება.

მესამე განსხვავება მდგომარეობს შემდეგში: გლობალური ფინანსური კრიზისი ჭარბწარმოების კრიზისია, თუმცა წინა პერიოდის კლასიკური ჭარბწარმოების კრიზისებისაგან განსხვავებით, იგი მეორადი, ანუ ე.წ. „წარმოებული“ ფინანსური ინსტრუმენტების – დერივატივების ჭარბწარმოების კრიზისად მოგვევლინა.[1]

[1] ვაჭრობა. ფინანსური სისტემა თუმცა ინარჩუნებს გლობალურ ეკონომიკაში დერივატივების გიგანტური მოცულობით გავრცელებაზე ნათელ

კორონომიკური კრიზისი ერთდროულად განაპირობებს გლობალური მოთხოვნისა და მიწოდების შემცირებას: მძიმე დარტყმა მიადგა ბიზნესს, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი გარკვეული დროის მანძილზე საერთოდ შეჩერდა. მილიონობით დასაქმებული უმუშევარი აღმოჩნდა. შემცირდა მათი შემოსავლები და შეიკვეცა მოხმარება.[2] კორონომიკური კრიზისის დაწყებამდე საწინააღმდეგო ტენდენციას ჰქონდა ადგილი. კერძოდ, ამერიკის შეერთებულ შტატებში სამომხმარებლო დანახარჯები სისტემატურად იზრდებოდა (2009 წლიდან 2017 წლამდე ზრდამ 35.,2% შეადგინა. მოგება დაბეგვრის გარეშე 1.52-ჯერ გაიზარდა). განსაკუთრებული როლი ითამაშა ტრამპის მიერ ინიცირებულმა საგადასახადო რეფორმამ, რომელმაც აშშ-ს მოქალაქეების საშუალო შემოსავლები 2.2%-ით გაზარდა, რაც, როგორც კერძო პირთათვის, ისე კომპანიებისათვის, 5 წლის მანძილზე 1.5 ტრლნ აშშ დოლარის ეკონომიას იძლევა. კორონომიკურმა კრიზისმა ასევე შეამცირა ბიზნესის მოთხოვნა ინვესტიციებზე. მიწოდებისა და მოთხოვნის შოკების ერთდროული მოქმედება მნიშვნელოვნად აღრმავებს კრიზისს, ახანგრძლივებს როგორც მის მიმდინარეობას, ისე კრიზისიდან გამოსვლის ვადებს. კორონომიკური კრიზისის ხანგრძლივობა ასევე მნიშვნელოვნდაა დამოკიდებული ჯანდაცვის სისტემის ეფექტიანობაზე. ის ფაქტი, რომ ჯერჯერობით არ არის გამოგონებული ვირუსის საწინააღმდეგო ვაქცინა, ან/და მისი ეფექტიანი სამკურნალო საშუალება, მნიშვნელოვნად ახანგრძლივებს კრიზისს. აღნიშნული ფაქტორი, რა თქმა უნდა, არ არსებობდა გლობალური ფინანსური კრიზისის დროს.

ახლა განვიხილოთ ორ კრიზისს შორის არსებული მსგავსი ნიშნები. პირველი მდგომარეობს მათ გლობალურ ხასიათში, რაც განაპირობა 1990-ანი წლებიდან დაწყებულმა და ამჟამად ინტენსიურად მიმდინარე გლობალიზაციამ. ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სხვა საშუალებების განვითარებამ, საქონლის, მომსახურების, კაპიტალის და სამუშაო ძალის დაუბრკოლებელმა ტრანსსაზღვრითმა გადაადგილებამ შესაძლებელი გახადა როგორც „ფინანსური ვირუსის", ისე კოვიდ-19-ის ადვილი და სწრაფი გავრცელება მთელ მსოფლიოში. მეორე მსგავსებაა მათი თითქმის თანაბარი სიღრმე, სიმწვავე და მსოფლიო ეკონომიკაზე უარყოფითი ზემოქმედების ხარისხი. ასე მაგალითად, გლობალური ფინანსური კრიზისის დროს აშშ-ში მთლიანი სამამულო პროდუქტის მოცულობა 2008 წელს წინა წელთან შედარებით 1.7%-ით შემცირდა, ხოლო 2009 წელს კლებამ 2008 წელთან შედარებით 2.6% შეადგინა. ევროკავშირში, შესაბამისად – 2.1% და 4.2%. მათ შორის: დიდ ბრიტანეთში – 0.5% და 4.9%; გერმანიაში – 1.0% და 4.7%; საფრანგეთში – 0.3% და 2.5% და ა.შ. აშშ-ში უმუშევრობის დონემ 2009 წლის დასაწყისში 7.6% შეადგინა, რაც 1990-ანი წლების დასაწყისის შემდეგ ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. უმუშევრობის ასევე მაღალი დონე დაფიქსირდა ევროპის ქვეყნებში: ესპანეთში – 17.7%, საფრანგეთში – 9.4%, ისლანდიაში – 9.7% და ა.შ. სხვადასხვა გაანგარიშებით, გლობალური ფინანსური კრიზისის მიერ მსოფლიო ეკონომიკისათვის მიყენებულმა ზარალმა 3.8 ტრლნ აშშ დოლარიდან 5.2 ტრლნ აშშ დოლარამდე შეადგინა (Monitoring the World Crisis, 2010: 6-7).

არანაკლებ ზარალის მომტანი იქნება კოვიდ-19-ის პანდემია და კორონომიკური კრიზისი. კერძოდ, გაეროს პროგნოზით, მიმდინარე წელს მსოფლიო ეკონომიკა 3.4 — 4%-ით შემცირდება, აშშ-ში კი ეკონომიკის 5.9%-ან კლებას ვარაუდობენ (https://bit.ly/3676pyd/). კიდევ უფრო მეტი კლებაა მოსალოდნელი ევროკავშირში (7.5%). მათ შორის: იტალიაში – 9.1%, ესპანეთში – 8.0%, საფრანგეთში – 7.2% და ა.შ. გაეროს პროგნოზით, კორონავირუსის პანდემია მიმდინარე და მომავალი წლის განმავლობაში გლობალურ ეკონომიკას 5.8-8.8 ტრლნ აშშ დოლარით დააზარალებს. მხოლოდ აშშ ეკონომიკისათვის კრიზისით მიყენებულ მოსალოდნელ ზარალს 4.0 ტრლნ აშშ დოლარით აფასებენ, რაც ამ ქვეყნის მთლიანი სამამულო პროდუქტის თითქმის 10%-ია (https://bit.ly/2TcSmoqu). მსოფლიო ვაჭრობის მოცულობა, სავარაუდოდ, 1.7-2.6 ტრლნ დოლარით, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობიდან შემოსავალი კი 1.2 -1.8 ტრლნ აშშ დოლარით შემცირდება. მსოფლიო ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების კლება 910 მლრდ – 1.2 ტრლნ დოლარის ფარგლებშია ნავარაუდები და ტურიზმის სექტორი 2009 წლის მაჩვენებელს შესაძლებელია მხოლოდ წელიწადნახევარში დაუბრუნდეს (https://bit.ly/2ABme7A). მოსალოდნელია, რომ საფრთხე შეექმნას 100-120 მლნ სამუშაო ადგილს.

ამრიგად, 2007-2008 წლების გლობალური ფინანსური კრიზისის სახით თუკი ჩვენ საქმე გვქონდა „დიდ რეცესიასთან", თანამედროვე კორონომიკურ კრიზისს შეგვიძლია ვუწოდოთ „გლობალური დიდი დეპრესია", რაც, ერთის მხრივ, მიგვანიშნებს მიმდინარე კრიზისის სიღრმეზე, მეორე მხრივ კი – მისი გავრცელების არეალზე.

გლობალურ ფინანსურ და კორონომიკურ კრიზისებს შორის ყველაზე დიდი მსგავსება სახელმწიფოს აქტიურ ანტიკრიზისულ როლში უნდა დავინახოთ. საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, მას უფრო დაწვრილებით განვიხილავთ.

წარმოდგენას იძლევა შემდეგი მონაცემები: 2008 წლის შუა პერიოდისათვის დერივატივების მსოფლიო ბაზრის მოცულობამ 683 ტრლნ აშშ დოლარი შეადგინა და 10-ჯერ გადააჭარბა იმ პერიოდისათვის გლობალურ მთლიანი სამამულო პროდუქტს. დერივატივების ბრუნვის საერთო მოცულობამ შეადგინა ფანტასტიკური სიდიდე – 1.5 კუადრო (1000 ტრლნ) აშშ დოლარი. ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული დერივატივების სახეობის – საკრედიტო დეფოლტური სვოპების (CDS) მოცულობა მოლოდ რამდენიმე თვის განმავლობაში (2008 წლის აპრილიდან დეკემბრამდე) 45 ტრლნ აშშ დოლარიდან 58 ტრლნ აშშ დოლარამდე გაიზარდა (Mekvabishvili, 2018). „გლობალიზაციის ეპოქის ფინანსური კრიზისები და საქართველოს ეკონომიკა". გვ. 100-101.)

[2] აღნიშნულის ფონზე ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ 2019 წლის მონაცემებით, შინამეურნეობების მოხმარება მთლიან სამამულო პროდუქტში მსოფლიო მასშტაბით 57%-ს, ხოლო საქართველოში – 67%-ს შეადგენდა.

სახელმწიფოს ანტიკრიზისული პოლიტიკა გლობალური ფინანსური კრიზისის პირობებში

ნეობილერალიზმისა და ლიბერტარიანიზმის არტახებში მოქცეულ სახელმწიფოს კრიზისის საწყის ეტაპზე საკმაოდ გაუჭირდა თავისი წამყვანი როლის რეალიზება. აღნიშნულის მაგალითს წარმოადგენს აშშ-ს ცნობილი ბანკის Lehman Brothers-ის გაკოტრების ისტორია. მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში ჩავარდნილმა ბანკმა თხოვნით მიმართა ფედ-ს, რომელიც არ იქნა დაკმაყოფილებული. უარის მიზეზად დასახელდა ის, რომ კერძო დაწესებულება თვითონაა პასუხისმგებელი საკუთარ რისკებზე. ამას შედეგად მოჰყვა ბანკის გაკოტრება, რომელმაც გლობალური ფინანსური კრიზისის „ჩამრთველი" მექანიზმის როლი ითამაშა. იგივე მიდგომებს ჰქონდა ადგილი დიდ ბრიტანეთში. იმჟამინდელმა პრემიერ-მინისტრმა ხმამაღლა განაცხადა, რომ მისთვის კატეგორიულად მიუღებელი იყო პრობლემური ბანკებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან დახმარების გაწევა. გლობალური ფინანსური კრიზისის მომდევნო ეტაპებზე სახელმწიფოს ანტიკრიზისული აქტიურობა რამდენიმე მიმართულებით განხორციელდა:

- ე.წ. „რბილი ნაციონალიზაცია", ანუ კერძო კომპანიების (ბანკების, საინვესტიციო ფონდების, სადაზღვევო კომპანიების და ა.შ.) აქციების შესყიდვის გზით საკონტროლო პაკეტის სახელმწიფოს ხელში გადასვლა;
- რეკაპიტალიზაცია, რომლის სამი მეთოდი იქნა გამოყენებული: ა) სახელმწიფოს ბიუჯეტიდან პირდაპირი სუბსიდირება; ბ) სახელმწიფოს მიერ ე.წ. „ტოქსიკური აქტივების" შესყიდვა; გ) სახელმწიფოს მონაწილეობით მსხვილი და ფინანსურად უფრო ღონიერი ბანკების მიერ პრობლემური ბანკების აქტივების ნომინალური ღირებულებით შესყიდვა.

ზემოაღნიშნულ ღონისძიებებთან ერთად, განხორციელდა საფინანსო სფეროს სახელმწიფო რეგულირების ინსტიტუციური გაძლიერების პროცესი. ეს უკანასკნელი გამოიხატა როგორც რიგი ახალი ფედერალური მარეგულირებელი სუბიექტების შექმნით (მაგალითად, ფინანსური მომსახურების მიწოდების საბჭო (Financial Oversight Council); მომხმარებელთა ფინანსური დაცვის სააგენტო (Consumer Financial Protection Agency, CFPA), ეროვნული საბანკო რეგულატორი (National Bank Supervisor) და სხვ.), ისე არსებული მარეგულირებელი სტრუქტურების უფლებამოსილებათა გაზრდით. მაგალითად, ფედერალურ სარეზერვო სისტემას მიენიჭა ქვეყნის მთელი საფინანსო სფეროს რეგულირებისა და კონტროლის ფუნქცია. კერძო ბანკების მასობრივი გაკოტრებისა და საბანკო პანიკის თავიდან ასაცილებლად აშშ-ს ფინანსთა სამინისტრომ უზარმაზარი თანხა – 700 მლრდ აშშ დოლარი გამოჰყო და ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სუბსიდირება მხოლოდ საბანკო სფეროთი არ შემოფარგლულა. სახელმწიფოს მიერ ასევე სოლიდური თანხები იქნა გამოყოფილი არაფინანსური ორგანიზაციებისა და მოქალაქეების დასახმარებლად. კერძოდ: 2009 წლის 15 სექტემბერს აშშ-ს მთავრობამ 1 მლრდ 250 მლნ აშშ დოლარი გამოჰყო ეკონომიკაში ახალი სამუშაო ადგილების შექმნის ფინანსურ უზრუნველსაყოფად. 2008 წლის თებერვალში კონგრესის მიერ დამტკიცებული ეკონომიკის სანაციის პროგრამის ფარგლებში დაახლოებით 167 მლრდ აშშ დოლარი იქნა გამოყოფილი, რომელიც საგადასახადო შეღავათებს მოხმარდა. ყველაზე შეჭირვებული ოჯახების დასახმარებლად ფედერალური ბიუჯეტიდან გაიცა 5 მლრდ აშშ დოლარი, რომელიც შემდეგი პრინციპით განაწილდა: 600 დოლარი – ოჯახის თითოეულ ზრდასრულ წევრზე, 1200 დოლარი – ოჯახურ წყვილზე და 300 დოლარი – ოჯახში თითოეულ ბავშვზე. მთლიანობაში აშშ-ს მთავრობამ გლობალური ფინანსური კრიზისის პერიოდში განახორციელა ინვესტიციები, რომელიც კრიზისის მხოლოდ საწყის ეტაპზე შეადგენდა ამ ქვეყნის მსპ-ს 5%-ს და 2.5-ჯერ აღემატებოდა „დიდი დეპრესიის" პერიოდში „ახალი კურსის" პოლიტიკის ფარგლებში გამოყოფილ ფინანსურ სახსრებს (Mekvabishvili, 2012,. 169-170). ანტიკრიზისულ ღონისძიებებზე მნიშვნელოვანი თანხები იქნა გამოყოფილი ბიუჯეტიდან მსოფლიოს სხვა წამყვან ქვეყნებშიც. კერძოდ, დიდი ბრიტანეთის მთავრობამ (ფინანსთა სამინისტრომ და ინგლისის ბანკმა) 500 მლრდ გირვანქა სტერლინგი გამოჰყო ბანკების ვალების საგარანტიო უზრუნველყოფაზე და რეკაპიტალიზაციაზე. ამის გამო ქვეყნის სახელმწიფო ვალი მთლიანი სამამულო პროდუქტის 224%-დან (1990წ.) 466%-მდე გაიზარდა (2009წ.) (www.bank-of-england.co.uk/publications/news/2009/019.html).

გერმანიის ფინანსთა სამინისტროს მიერ დაახლოებით 1 ტრლნ ევრო გამოიყო, რომლის დიდი ნაწილი მოხმარდა ბანკებში მოქალაქეთა შენატანების 100%-იან დაზღვევას მცირე და საშუალო ბიზნესის დასახმარებლად ფედერალური ბიუჯეტიდან გამოიყო 82 მლრდ ევრო. 2009 წლის დასაწყისში შეიქმნა ფინანსური სტაბილიზაციის ფონდი 480 მლრდ ევროს მოცულობით, რომელშიც შენატანების 65% განხორციელდა ცენტრალური, ხოლო 35% – ცალკეული მიწების ბიუჯეტებიდან.

იაპონიაში 2010 წლის 31 ოქტომბრის მდგომარეობით მთავრობის (ფინანსთა სამინისტროს და იაპონიის ბანკის სახით) მიერ ანტიკრიზისულ ღონისძიებათა დაფინანსებაზე გამოიყო 9.6 ტრლნ აშშ დოლარი, ანუ ამ ქვეყნის მთლიანი სამამულო პროდუქტის 225%. მხოლოდ მცირე და საშუალო ბიზნესის დასახმარებლად გამოყოფილმა თანხამ 5.5 ტრლნ იენი შეადგინა და ა.შ.

საერთაშორისო დონეზე მსოფლიო წამყვანი ქვეყნების ანტიკრიზისული პოლიტიკის მჭიდრო კოორდინაცია გლობალური ფინანსური კრიზისის გამოცდილებას განასხვავებს კორონომიკური კრიზისის პრაქტიკისაგან. 2008-2009 წლებში შედგა დიდი ოცეულის (G20) ოთხი სამიტი: ვაშინგტონში (2008 წლის ნოემბერი), ბერლინში (2009 წლის

თებერვალი), ლონდონში (2009 წლის აპრილი) და პიტსბურგში (2009 წლის სექტემბერი). გლობალური ფინანსური კრიზისის დაძლევა იყო დაოსის მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის (2010 წლის იანვარი) მთავარი თემა. ფორუმზე განხილულ იქნა ფინანსური კრიზისის დაძლევის არა-მხოლოდ კონკრეტული გზები და მიმართულებები, არამედ ჩამოყალიბდა ეკონომიკური განვითარების ახალი მოდელის კონტურები. მწვავე კრიტიკული შეფასება მიეცა ეკონომიკის გლობალიზაციის გაბატონებულ ნეოლიბერალურ (ანგლო-საქსურ) მოდელს და ხაზი გაესვა მსოფლიოს უმეტესი ნაწილისათვის მისაღები უპირატესად სოციალური ორიენტაციის მოდელის ჩამოყალიბების აუცილებლობას. აღნიშნულის საპირისპიროდ, კოვიდ-19-ის და მისგან გამოწვეულ კორონომიკურ კრიზისთან გამკლავება მსოფლიოს ქვეყნებმა საკუთარი რესურსების გამოყენებით და შინაგან ძალებზე დაყრდნობით სცადეს. ამ მიმართულებით, მათ შორის საერთაშორისო დონეზე, თანამშრომლობის რაიმე სერიოზული ფაქტი განვლილი პერიოდის მანძილზე არ დაფიქსირებულა.

სახელმწიფოს ანტიკორონომიკური ღონისძიებები

კორონომიკურმა კრიზისმა კიდევ ერთხელ სააშკარაოზე გამოიტანა ბაზრის ნაკლოვანება, რომელიც ეკონომიკურ თეორიაში „ბაზრის ჩავარდნის", ანუ „ბაზრის ფიასკოს" სახელწოდებითაა ცნობილი. აღნიშნული, უპირველეს ყოვლისა, გამოვლინდა მოთხოვნა-მიწოდების მექანიზმის არაეფექტიანობით ჯანდაცვისა და კერძო ჰოსპიტალურ ქსელებში. „ჯანდაცვა, როგორც საბაზრო პროდუქტი, ფაქტობრივად ჩავარდა" (Archvadze, 2020). ამჟამადაც მხსნელის როლში გამოვიდა სახელმწიფო, რომელმაც საკუთარ თავზე აიღო პანდემიიდან და ეკონომიკური კრიზისიდან მომდინარე დარტყმები, აქტიურად განახორციელა ანტიკრიზისული ღონისძიებები. მსოფლიოს ქვეყნებში სამთავრობო ანტიკრიზისული პოლიტიკა ეკონომიკაში ძირითადად ორი მიმართულებით წარიმართა: ა) ფისკალური ღონისძიებები, რომელიც ითვალისწინებს მოსახლეობის ფინანსურ მხარდაჭერას და ბიზნესის სტიმულირებას; ბ) მონეტარული ღონისძიებები, რომლებსაც ცენტრალური ბანკები ახორციელებენ და ისინი მიმართულია ეკონომიკისათვის იაფი ფულის მიწოდებაზე. უაღრესად შთამბეჭდავია ფინანსური რესურსების მოცულობა, რომელიც პანდემიისა და მის მიერ გამოწვეული ეკონომიკური კრიზისის დასაძლევად იქნა გამოყოფილი სხვადასხვა ქვეყნის სახელმწიფო ბიუჯეტებიდან. კერძოდ, 2020 წლის მაისის მონაცემებით, მთავრობების მიერ ჯამურად გამოყოფილია 9 ტრლნ აშშ დოლარი, ანუ გლობალური მთლიანი სამამულო პროდუქტის 10%-ზე მეტი. მათ შორის პირდაპირი საბიუჯეტო დახმარებების სახით 4.4 ტრლნ აშშ დოლარი; სესხების, გრანტების და კაპიტალური ინექციების მიზნებისათვის 4.4. ტრლნ აშშ დოლარი (Kovzanadze, 2020:42-43). აშშ-ში ტრამპის ადმინისტრაციამ კორონავირუსის წინააღმდეგ საბრძოლველად გამოჰყო 2.3 ტრლნ აშშ დოლარი, ანუ ამ ქვეყნის მთლიანი სამამულო პროდუქტის თითქმის 11%. აშშ-ს მთავრობის მიერ ასევე იქნა მიღებული გადაწყვეტილება ამერიკელი რეზიდენტების საშემოსავლო გადასახადების 3 თვით გადავადების შესახებ და ა.შ. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამო იყო თანხები ოჯახების დასახმარებლად (ოჯახის თითოეულ წევრზე 600 დოლარი). ანალოგიური ზომები იქნა მიღე ბული სხვა ქვეყნებშიაც. კერძოდ, ავსტრალიაში კორონა ვირუსის პანდემიით გამოწვეული კრიზისის დასაძლე ვად გათვალისწინებული საგადასახადო-საბიუჯეტო ღონის ძიებების პაკეტის ღირებულებამ ამ ქვეყნის მთლიანი სამა მულო პროდუქტის 9.7% შეადგინა, კანადაში – 6.0%, იაპონიაში – 4.9% და ა.შ.

საქართველოს მთავრობამაც, მის განკარგულებაში არსებული შეზღუდული რესურსების მიუხედავად, მოახერხა აქტიური ანტიკრიზისული ღონისძიებების გატარება, რომლებსაც მკვეთრად გამოხატული სოციალური ორიენტაცია ჰქონდა. ანტიკრიზისულ ღონისძიებათა პაკეტში პრიორიტეტი მიენიჭა კრიზისისაგან ყველაზე დაზარალებული ადამიანების დახმარებას, რომელიც განხორციელდა როგორც პირდაპირი სუბსიდირებით, ისე მონეტარული ფორმით. აღსანიშნავია, რომ ბიზნესთან მიმართებაშიაც წინა პლანზე წამოიწია დასაქმებულთა ინტერესების დაცვას (მექვაბიშვილი,. 2018: 12-13).

მიმდინარე წელს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი კრიზისულ მენეჯმენტზე დახარჯავს დაახლოებით 3.9 მლრდ ლარს. მათ შორის:

- სხვადასხვა კატეგორიის მოქალაქეთა სოციალურ დახმარებაზე 1.35 მლრდ ლარს;
- ჯანდაცვის სისტემის გაძლიერებასა და პანდემიასთან ბრძოლაზე – 350 მლნ ლარს;
- ეკონომიკის წახალისებასა და მეწარმეთა მხარდაჭერაზე – 2 მლრდ 110 მლნ ლარს;
- კაპიტალური ხარჯები დამატებით გაიზრდება 300 მლნ ლარით და ა.შ.

აუცილებელია ერთმანეთისაგან გავმიჯნოთ სახელმწიფოს ანტიკრიზისული ღონისძიებები და ეკონომიკის პოსტკრიზისული განვითარების მართვა, რომელსაც სამეცნიერო ლიტერატურაში „ბრიჯ-მენეჯმენტს" უწოდებენ. წინამდებარე სტატიაში ჩვენ ყურადღება გავამახვილეთ პრობლემის პირველ ასპექტზე, მეორე მხარე კი დამოუკიდებელი კვლევის საგანი შეიძლება გახდეს.

დასკვნა

ინდუსტრიულად განვითარებულ და პოსტინდუსტრიულ ქვეყნებში ჩამოყალიბებული ეკონომიკური სისტემა წარმოადგენს შერეული ტიპის ეკონომიკას, სადაც სახელმწიფო

მნიშვნელოვან როლს თამაშობს, რომელიც განსაკუთრებით აქტიურად ვლინდება კრიზისულ სიტუაციებში. აღნიშნული გარემოება კიდევ ერთხელ ნათლად დადასტურდა გლობალური ფინანსური და კორონომიკური კრიზისების გამოცდილებით. თითქმის 100-წლიანი პერიოდის შემდეგ სახეზეა კეინზიანური დოქტრინის აღორძინება. თავის დროზე სწორედ კეინზის მოძღვრება გახდა კაპიტალისტური სისტემის ღრმა კრიზისიდან გამოყვანისა და თითქმის 4 ათეული წლის მანძილზე ეკონომიკის წარმატებული განვითარების თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძველი. პრაქტიკა ადასტურებს, რომ სახელმწიფო კრიზისულ სიტუაციებში არა მხოლოდ „ბოლო ინსტანციის მაშველია", არამედ მას ასევე წარმატებით შეუძლია ე.წ. „ბრიჯ-მენეჯმენტის", ანუ პოსტკრიზისულ ეტაპზე ახალ ტექნოლოგიურ – ორგანიზაციულ საფუძველზე ეკონომიკის აღდგენის ფუნქციის შესრულება.

საბაზრო ეკონომიკაში კერძო საკუთრებისა და კაპიტალის დიალექტიკა შემდეგია: ორდინარულ სიტუაციებში კერძო საკუთრება ნორმალურ ფუნქციონირებას ახერხებს და კატეგორიულად ეწინააღმდეგება სახელმწიფოს მხრიდან მასზე ზემოქმედების ნებისმიერ მცდელობას. ექსტრემალურ სიტუაციებში კი სრულიად საპირისპირო სურათს ვხედავთ: კაპიტალი, ბაზარი, კონკურენცია და ა.შ სრულ უსუსურობას ავლენენ და გაჭირვებაში ჩავარდნილები დახმარების ხელს სახელმწიფოსკენ იშვერენ.

სახელმწიფო, რომელიც ლიბერალური და ლიბერტარიანული დოქტრინების პროკრუსტეს სარეცელზეა მიბმული, რატომ არის ვალდებული დახმარების ხელი გაუწოდოს კრიზისში მყოფ კერძო კაპიტალს? ეს უკანასკნელი ყოველთვის ორინეტირებულია მეტი მოგების მიღებაზე და ხშირად უგულებელყოფს ამასთან დაკავშირებულ რისკებს. საბოლოო ანგარიშით, ასეთი ქცევა დიდ პრობლემებს წარმოქმნის და ხშირ შემთხვევაში გაკოტრების პირადაც კი მიჰყავს კომპანიები, რისი დაშვებაც ზოგჯერ სახელმწიფოს არ შეუძლია, ვინაიდან აქ მოქმედებს შემდეგი პრინციპი: „to big to fail" (მეტისმეტად დიდი საიმისოდ, რომ გაკოტრდეს). სიტყვა „დიდის" ქვეშ აქ იგულისმება არა მოლოდ კომპანიების მასშტაბი, არამედ მათი ეკონომიკური და სოციალური მნიშვნელობა ქვეყნისათვის.

თუკი სახელმწიფოს მხრიდან დახმარება აუცილებელი და გარდაუვალია, ვისზე უნდა გავრცელდეს იგი? რა თქმა უნდა, უპირატესად იმ კომპანიებზე, რომლებიც დროებით აღმოჩნდა რთულ ვითარებაში და სათანადო დახმარების გაწევის შემდეგ შეუძლიათ რენტაბელური გახდეს.

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ სახელმწიფოს დახმარება კომპანიებისათვის დროით უნდა იყოს შემოფარგლული. წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებთ „ზომბირების" ფენომენს, რომლის უარყოფითი შედეგები საფუძვლიანადაა შესწავლილი პროფ. ვ. პაპავას მიერ (Papava, 2010).

გასათვალისწინებელია აგრეთვე ე.წ. „არაკეთილსინდისიერი ქცევის" ("moral hazard") ფაქტორიც, რაც გულისხმობს შემდეგს: თუკი სახელმწიფო საკუთარ თავზე სისტემატურად აიღებს კერძო კომპანიების მიერ გაწეულ გაუმართლებელ რისკებს, ისინი მომავალშიაც არ მოერიდებიან მსგავს ქმედებებს.

სახელმწიფოს იმედად მუდმივად ყოფნა კომპანიებში აფერხებს სერიოზული მოდერნიზაციის სურვილს და ეწინააღმდეგება ტგექნოლოგიურ პროგრესს. ამიტომ სახელმწიფოს მიერ კომპანიების დახმარება ყოველთვის უნდა იყოს ორიენტირებული ტექნოლოგიურ გადაიარაღებაზე, ინოვაციების დანერგვაზე და მათ საფუძველზე წარმოების მოდერნიზაციაზე.

პრინციპულად მნიშვნელოვანია სახელმწიფოდან მიღებული ფინანსური დახმარებების ხარჯვის გამჭვირვალეობა. ნიშანდობლივია, რომ გლობალური ფინანსური კრიზისის შემდეგ მსოფლიოში ფართოდ გაიშალა საზოგადოებრივი მოძრაობა სახელწოდებით "bail-out". რომელიც შემდეგ მოთხოვნას აყენებდა: თუკი სახელმწიფო კერძო კომპანიებს ეხმარება იმ ფულით, რომელიც ჩვენი, ანუ გადასახადების გადამხდელებისაგან აკრეფილი ფულია, ჩვენ უფლება გვაქვს დეტალური ინფორმაცია მივიღოთ ამ ფულის ხარჯვის შესახებ.

კორონავირუსით გამოწვეულმა პრობლემებმა, რომელთა წინაშე მეტნაკლები სიმწვავით ჩვენი ქვეყანაც აღმოჩნდა, აჩვენა:

- სახელმწიფომ უნდა განახორციელოს ადგილობრივი რესურსების უპირატესი გამოყენების საფუძველზე ეკონომიკის რეალური სექტორის დაჩქარებული განვითარებისაკენ, მძიმე სასურსათო ბაზრის დივერსიფიკაციისაკენ, აგროსასურსათო პროდუქციის უარყოფითი საგარეო სავაჭრო ბალანსის შემცირებისაკენ ორიენტირებული ეკონომიკური პოლიტიკა. ჩვენ აქ ვსაუბრობთ არა იმპორტის ხელოვნურ შეზღუდვაზე, არამედ იმ პროდუქტების ადგილობრივი წარმოების ხვედრითი წილის გაზრდაზე, რომლის შესაძლებლობა ჩვენ ქვეყანაში არსებობს და, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ გამოუყენებელია;
- სახელმწიფომ უნდა შექმნას მედიკამენტების, სურსათის, სამედიცინო დანიშნულების და პირადი მოხმარების სტრატეგიული რეზერვები. კრიზისულ სიტუაციებში მათი ოპერატიული და ეფექტიანი გამოყენება სასიცოცხლო მნიშვნელობის ამოცანა შეიძლება გახდეს.
- პანდემიის დასრულების შემდეგ ტურიზმი აღიდგენს საქართველოს ეკონომიკური განვითარებისათვის პრიორიტეტულ მნიშვნელობას, თუმცა, აუცილებელი იქნება ტურიზმის ინტენსიურ მოდელზე გადაყვანა და მისი ორგანული ჩართვა ღირებულების ადგილზე შექმნის ჯაჭვში, ასევე ადგილობრივი ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა.

დაბოლოს, იმ პოზიტიურ ტენდენციებთან ერთად, რომლებიც კორონომიკური კრიზისის პერიოდში სახელმწიფოს როლის გაძლიერების მიმართულებით გამოვლინდა, აუცილებლად უნდა დავინახოთ გარკვეული საფრთხეებიც, რაც სახელმწიფოს სტატუსისა და ფუნქციების გაძლიერებას

შეიძლება მოჰყვეს (Archvadze, 2020:96). აქ, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება როგორც მოძლიერებული სახელმწიფოს მიერ პიროვნების თავისუფლების საკმარისზე მაღალი ხარისხით შეზღუდვა, ასევე სახელმწიფო ბიუროკრატიის მიერ ობიექტურად აუცილებელი შეზღუდვების საკუთარი კორპორატიული და ანგარებითი მიზნებით გამოყენება. სამწუხაროდ, ჯერჯერობით არ არსებობს მექანიზმები, რომლებიც ამ საფრთხეებს თავიდან აგვაცილებს, თუმცა აშკარაა, რომ აპრიორი უნდა გამოირიცხოს ზოგადცივილიზაციური განვითარების პროცესში „ბაზრის ჩავარდნის“ შეცვლა „სახელმწიფოს ჩავარდნით“ და „ყოვლისშემძლე სახელმწიფოს“ იდეის ნებისმიერი ფორმით რეინკარნაცია.

ლიტერატურა/REFERENCES

Archvadze, I., (2020). Transformation of state function in the postpandemic period. *Economy and Business*, N2; (In Georgian)

Kovzanadze, I., (2020). Economic Challenges and Prospects in the Background of COVID-19 Infection. Economycs and Business, N2; (In Georgian)

Mekvabishvili, I., (2018). *Financial Crises of the Globalization Era and the Georgian Economy.* Tbilisi, Intellect; (In Georgian)

Mekvabishvili, E., (2020). The global coronopmic crisis and its impact on the Georgian economy. *Economycs and Business*, N2; (In Georgian)

Papava, V., (2010). *Zombie-ing of the Necroeconomy (The Impact of the Global Financial and Economic Crisis on the Countries of the Black Sea Region).* Tbilisi (In Georgian).

Monitoring the World Crisis (2010). (In Russian)

https://for.ge/view/182671/koronomika-da-ekonomika-krizisis-winase.html (https://bit.ly/3676pyd/

https://bit.ly/2TcSmoqu

https://bit.ly/2ABme7A

www.bank-of-england.co.uk/publications/news/2009/019.html

JEL Classification: D44, Q18 https://doi.org/10.35945/gb.2020.10.004

METHODOLOGICAL FEATURES OF DETERMINING THE LEVEL OF COMPETITIVENESS IN THE AGRI-FOOD SECTOR OF GEORGIA

ETER KHARAISHVILI
Doctor of Economic Sciences, professor,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University,
Academician of the Academy of Economic
Sciences of Georgia, Georgia
eter.kharaishvili@tsu.ge

Abstract. The paper evaluates the importance of scientifically calculated indicators of competition and level of competitiveness for the effective functioning of food markets, especially for Georgia. The role of these indicators for producers and consumers is also substantiated.

The methodological issues of measuring the level of competition in food markets are evaluated in the paper. The opinions of various researchers on this issue are analyzed. It is concluded that in Georgia, where the share of small enterprises is large and the import rate is high, in order to estimate the market share of small firms along with the concentration index, it is advisable to calculate the Herfindahl-Hirschman indices, as well as the entropy index and to determine the dispersion of market shares.

To provide a comprehensive assessment of the level of competition and to provide complete information to stakeholders, it is advisable to use other features as well. It is argued that determining the level of competition requires, in addition to the indices, the analysis of various competitive factors. The article evaluates five key competitive factors based on wine market analysis: local market position; Local market growth potential; Economies of scale (cost / benefit analysis); Adapting to industry change; Potential for attracting foreign investors. The obtained results are compared with the data of the research conducted by foreign scientists according to the groups of traditional and new wine producers. Comparative analysis reveals methodological problems in determining the level of competition for the agro-food sector of Georgia.

In order to successfully enter the food markets, it is advisable to calculate the level of competitiveness of the product. The level of product competitiveness in the current period is assessed by the "ex-post" method using the following indices: Revealed Competitiveness Advantage (RCA); Relative Advantages of Exports (RXA); By Relative Import Penetration (RMP); By Relative Trade Advantage (RTA). It is concluded that for Georgia, as a small country, to determine the level of competitiveness of agri-food products from two indices (RCA and RXA indices) it is recommended to use only the RCA index.

The article identifies modern methodological approaches to determining the level of competition and competitiveness, draws conclusions based on their evaluation and offers recommendations for overcoming different problems.

KEYWORDS: COMPETITION, AGRI-FOOD SECTOR, COMPETITIVENESS, COMPETITIVE FACTORS, COMPETITIVENESS INDICES.

For citation: Kharaishvili, E., (2020). Methodological Features of Determining the Level of Competition and Competitiveness in the Agri-food Sector of Georgia. *Globalization and Business, 10*. 42-48. (In Georgian) https://doi.org/10.35945/gb.2020.10.004

JEL Classification: D44, Q18 https://doi.org/10.35945/gb.2020.10.004

კონკურენციისა და კონკურენტუნარიანობის დონის განსაზღვრის მეთოდოლოგიური თავისებურებები საქართველოს აგროსასურსათო სექტორში

ეთერ ხარაიშვილი
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს
ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველო
eter.kharaishvili@tsu.ge

საკვანძო სიტყვები: კონკურენცია, აგროსასურსათო სექტორი, კონკურენტუნარიანობის დონე, კონკურენტული ფაქტორები, კონკურენტუნარიანობის ინდექსები.

ციტირებისთვის: ხარაიშვილი ე. (2020). კონკურენციისა და კონკურენტუნარიანობის დონის განსაზღვრის მეთოდოლოგიური თავისებურებები საქართველოს აგროსასურსათო სექტორში. *გლობალიზაცია და ბიზნესი, №10*, გვ. 42-48. https://doi.org/10.35945/gb.2020.10.004

COVID-19-ის გავრცელებამ ზემოქმედება მოახდინა ეკონომიკის სხვადასხვა სფეროზე, მათ შორის აგროსასურსათო სექტორზე. კორონავირუსის გამო ახალი გამოწვევები წარმოიშვა როგორც შიგა, ასევე, გლობალურ სასურსათო ბაზრებზე. Deutsche Welle-ს კვლევით კორონავირუსის დასაძლევად მსოფლიო მასშტაბით საჭირო იქნება 4.1 ტრილიონზე მეტი აშშ დოლარი, რომლის მობილიზება თავის მხრივ, მსოფლიოში ეკონომიკურ კრიზისს მნიშვნელოვნად გააღრმავებს (The EU Economy, (2020). ცხადია, კრიზისი შეეხება ზოგადად წარმოებას და კერძოდ სურსათის წარმოებასაც. გაეროს შეფასებით მსოფლიოს „ბიბლიური მასშტაბის“ შიმშილი ელის (UN: Because of Coronavirus, 2020). თუ დღეს მსოფლიოში ახლა 135 მილიონი ადამიანი შიმშილობს, ეს რაოდენობა შესაძლოა, 250 მილიონამდე გაიზარდოს (Donju, 2020). იმისათვის, რომ პანდემია არ გახდეს სურსათის კატასტროფული კრიზისის მიზეზი, აუცილებელია შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება აგროსასურსათო პროდუქტების წარმოებისა და მიწოდების მთლიან ჯაჭვში ახლად ფორმირებული მოთხოვნების შესაბამისად.

ბოლო პერიოდში განსაკუთრებული მოთხოვნა გაჩნდა ციფრულ არხებით აგროსასურსათო პროდუქტების გაყიდვებზე, ასევე, აქტუალური გახდა ქსელურ სავაჭრო ცენტრებთან ელექტრონული კავშირების განვითარება, ახალ რეალობაში სასურსათო ბაზრებზე ინფორმაციული გადაწყვეტილებების უმეტესობა ისედაც გაურკვევლობის პირობებში მიიღებოდა, დღეს გაურკვევლობის ალბათობა კიდევ უფრო გაიზარდა, სასურსათო ბაზრებზე იცვლება კონკურენციის დონე, მწარმოებელთა ძალაუფლებაში უკვე გამოიკვეთა ცვლილებები და სხვ. ასეთ პირობებში განსაკუთრებით გადამწყვეტი ხდება სასურსათო ბაზრებზე საჭირო ინფორმაციებზე წვდომა, რომელთაგანაც განსაკუთრებით ღირებულია კონკურენციისა და კონკურენტუნარიანობის შესახებ მახასიათებლები. ასეთი ინდიკატორების შესახებ ინფორმაციების მიღება მნიშვნელოვან როლს შეასრულებს სასურსათო ბაზრებზე მწარმოებელთა წარმატებით შესვლასა და პროდუქტის ადგილის დამკვიდრებაში. კიდევ უფრო აქტუალური გახდა, დასაბუთებული, მეთოდოლოგიური გათვლებით სასურსათო ბაზრებზე კონკურენციის დონის, კონკურენტული ძალებისა და პროდუქტის კონკურენტუნარიანობის შესახებ ინფორმაციებზე წვდომა. შესაბამისად, კვლევის მიზანია აგროსასურსათო სექტორში კონკურენციისა და კონკურენტუნარიანობის დონის განსაზღვრის თანამედროვე მეთოდოლოგიური მიდგომების გამოყენების თვალსაზრისით არსებული პრობლემების გამოვლენა და მათი დაძლევის ღონისძიებებზე რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევის მეთოდები. ნაშრომში გამოყენებულია კვლევის ზოგადი და კერძო მეთოდები: ანალიზის, სინთეზის, ინდუქციის, შედარების და სხვ. კონკურენციის დონე დათვლილია კონცენტრაციის, ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსებით, ასევე, გამოყენებულია ენტროპიისა და საბაზრო წილების დისპერსიის ინდექსები. მიმდინარე პერიოდში კონკურენტუნარიანობა დადგენილია „ex-post“ მეთოდით, კერძოდ, გათვლილია

გამოვლენილი შედარებითი უპირატესობის, ექსპორტის შედარებითი უპირატესობის, იმპორტის შედარებითი შემოღწევადობის, ვაჭრობის შედარებითი უპირატესობის ინდექსები და სხვ.

საქართველოში სასურსათო ბაზრებზე კონკურენციის დონე სასურსათო ბაზრის სახეობების მიხედვით, მით უმეტეს, დასაბუთებული მეთოდოლოგიით, შეფასებული არ არის. ასევე, არ ხდება აგროსასურსათო პროდუქტების კონკურენტუნარიანობის დონის დადგენა, მით უმეტეს კომპლექსური შეფასების საფუძველზე.

კონკურენციის დონის შეფასება და მის შესახებ ინფორმაციებზე წვდომა მნიშვნელოვანია მიმწოდებლებისათვის ბაზარზე შესვლისათვის, თუმცა, არანაკლებ საჭიროა პროდუქტის კონკურენტუნარიანობის დონის დადგენა. კონკურენტუნარიანობის დონის გაზომვა მთელ რიგ გამოწვევებთან არის დაკავშირებული და მას მეცნიერები სხვადასხვა თვალთახედვით იკვლევენ.

კონკურენციის დონის გასაზომად მიზანშეწონილია ძირითადად ორი ინდექსის გამოყენება: 1. ბაზრის კონცენტრაციის ინდექსი; 2. ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი. კონცენტრაციის ინდექსით უპირატესად შესაძლებელია მსხვილი, ასევე, საშუალო ზომის კომპანიების საბაზრო წილის განსაზღვრა. ზოგადად ინდექსების გამოყენებაში მთავარი გამოწვევა არის ის, თუ რამდენად სრულყოფილად არის მასში ასახული საბაზრო სტრუქტურისა და სექტორის თავისებურებები, ასევე, გასათვალისწინებელია ბაზარზე იმპორტის წილი. კონცენტრაციის ინდექსი დასახელებულ თავისებურებებსა და მაჩვენებლებს არ ითვალისწინებს, ამიტომ კონცენტრაციის ინდექსთან ერთად საჭირო ხდება მეორე ძირითადი – ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსის გამოყენებაც, ზოგჯერ კი სხვა დამატებითი ინდექსებიც ჩართვაც არის აუცილებელი. საქართველოში მაღალია მცირემასშტაბიანი კომპანიების წილი, მაღალია სასურსათო ბაზრებზე იმპორტის წილიც. შესაბამისად, ინდექსების გამოყენებაც სასურსათო ბაზრის სახეობების მიხედვით განსხვავებულ მეთოდოლოგიურ მიდგომებს მოითხოვს. რომელსაც მიგვიანებით კონკრეტული გათვლების წარმოდგენისას განვიხილავთ. მთავარი გამოწვევაა ამ ინდექსების ოპტიმალური შერჩევა.

რაც შეეხება კონკურენტუნარიანობის გზომვის პრობლემებს – ბიბლიოგრაფიული კვლევით დადგინდა, რომ მეცნიერებს შეფასებული აქვთ ევროკავშირის 27 ქვეყნის სოფლის მეურნეობის კონკურენტუნარიანობა (Measuring Competitiveness, 2008:25). ამასთან, კონკურენტუნარიანობის მაჩვენებლები რთულ ფენომენად არის მიჩნეული და მის დასადგენად ცვლადების ფართო სპექტრი გამოიყენება. კონკურენტუნარიანობის შესაფასებლად შერჩეული შეფასების კრიტერიუმების საფუძველზე (წარმოების ფაქტორებს შორის ურთიერთობა, პროდუქტიულობა და სოფლის მეურნეობის მნიშვნელობა საერთაშორისო ვაჭრობაში) და TOPSIS მეთოდის გამოყენებით შექმნილია სინთეზური საზომი, კერძოდ, ქვეყნები დაყოფილია ოთხ ჯგუფად სოფლის მეურნეობის კონკურენტუნარიანობის დონის თვალსაზრისით. სოფლის მეურნეობის კონკურენტუნარიანობის მაღალ დონესა (ნიდერლანდები) და ყველაზე ნაკლებად კონკურენტუნარიან ქვეყანას (სლოვენია) შორის განსხვავება 3.5-ს შეადგენს. თუმცა, აღიარებენ, რომ საჭიროა მეთოდოლოგიური საკითხების სრულყოფა ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის მიხედვით.

კონკურენტუნარიანობის დონის დადგენა აგროსასურსათო სექტორში გართულებულია სხვადასხვა სტრატა-ჯგუფების არსებობით: ამ სექტორში მინიმუმ სამი სტრატა ჯგუფი განიხილება:

ა/ მწარმოებლები, რომლებიც მხოლოდ ნედლი პროდუქტების წარმოებით არიან დაკავებულნი;

ბ/ ნედლი და დამუშავებელი პროდუქტების მწარმოებლები;

გ/ მხოლოდ დამუშავებული პროდუქტების მწარმოებლები.

განსხვავებულია მეცნიერთა მოსაზრება კონკურენტუნარიანობის გაზომვის ინდიკატორების შესახებ (Agricultural Competitiveness, 2008). კონკურენტუნარიანობის განსაზღვრის აუცილებლობა ბაზარზე წარმატებით შესვლისათვის შეფასებულია სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის ძირითადი ტენდენციების ფონზე (Papageorgiou, Petropoulos, 2010). ეკონომიკური მიდგომები კონკურენტუნარიანობის შესაფასებლად მნიშვნელოვნად განსხვავებულია ფირმების, სექტორების და მთლიანი ეკონომიკის მიხედვით (Collins, 2004).

სოფლის მეურნეობაში კონკურენტუნარიანობის გაზომვა ხშირად ხდება საშუალო ზომის მეურნეობების მონაცემებზე დაყრდნობით (Maslova, Zaruk, Fuchs, Avdeev, 2018). ამასთან, ავტორები კონკურენტუნარიანობის ინდიკატორების გაანგარიშებას მიკრო მონაცემების საფუძველზე ახდენენ. ამ მეთოდის გამოყენებით შედარებით რეალურია პროდუქტის კონკურენტუნარიანობის დონის დადგენა. თუმცა, ასევე, მიკრო დონის ანალიზის დროს კონკურენტუნარიანობის გაზომვისა და მაჩვენებელთა შედარების დროს მკვლევარები განვითარების ეფექტიანობის შეფასებას ხშირ შემთხვევაში ფირმის დონეზეც ახდენენ (Litvin, Coser, 2014). გლობალურ დონეზე სოფლის მეურნეობაში პოლიტიკის მიზნებისა და დოკუმენტების შემუშავებისას განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ კონკურენტუნარიანობის შეფასებას.

აშშ-სა და ევროპაში მკვლევარები ხაზს უსვამენ სოფლის მეურნეობისა და სურსათის მარკეტინგის სისტემის სხვადასხვა ეტაპზე კონკურენტუნარიანობის გაზომვის მნიშვნელობას, კონკურენტუნრიანობა და მისი გაზომვის აუცილებლობა ასახულია სოფლის მეურნეობის პოლიტიკის მხარდაჭერის მრავალ დებულებასა და ინსტრუქციაში (Research for Acri Committee, 2018).

სხვადასხვა დონეზე კონკურენტუნარიანობის ანალიზი,

ქვეყნებს შორის ვაჭრობის მაჩვენებლების საფუძველზე ხდება. მაგალითად, საბერძნეთსა და ბულგარეთს შორის ვაჭრობის ტენდენციის შეფასებით გაკეთებულია გარკვეული დასკვნები სოფლის მეურნეობის სექტორის კონკურენტუნარიანობაზე (Nivievski,Cramon,2009; Nowak, Kaminska, 2016).

პროდუქტის კონკურენტუნარიანობის მოდელებს რაოდენობრივი ანალიზის გამოყენებით იკვლევენ ევროკავშირის ქვეყნებში, ანალიზი დაფუძნებულია საერთაშორისო ვაჭრობის ოფიციალური სტატისტიკის მონაცემებზე. ანგარიშობენ როგორც პროდუქტების კონკურენტუნარიანობის დონეს, ასევე, ადგენენ სხვადასხვა ფაქტორის გავლენას კონკურენტუნარიანობაზე (Analysis of the Size, 2015). კვლევის შედეგებს წარმატებით იყენებენ სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის შემუშავებისა და კორექტირების მიზნით.

კონკურენტუნარიანი პროდუქტის წარმოებისათვის მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მხრიდან ბიზნესისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა (Erkomaishvili, 2016:13) კონკურენტუნარიანობა სხვა არაფერია, თუ არა სახელმწიფოს მხრიდან ბიზნესისათვის ისეთი გარემოს შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყანაში ფუნქციონირებადი ფირმების მიერ კონკურენტუნარიანი საქონლის წარმოებას. ამასთან, კონკურენტული უპირატესობის მიღწევისათვის აუცილებელია მიზნობრივი ბაზრების კვლევა (Khaduri, 2010:4).

ცალკეულ შემთხვევაში კონკურენტუნარიანობა განიხილება როგორც მაკროეკონომიკური მოვლენა, რომელზეც გავლენას ახდენს სხვადასხვა ფაქტორი (Gagnidze, 2012:13).

განსხვავებულია მოსაზრებები მცირე და დიდი ქვეყნების მიხედვით კონკურენტუნარიანობის ინდექსების სახეობების გამოყენების შესახებ (საექსპორტო ბაზრის წილის მაჩვენებელი (EMS), გამოვლენილი შედარებითი უპირატესობის ინდექსი (RCA), ექსპორტის შედარებითი უპირატესობის ინდექსი (RXA), იმპორტის შედარებითი შემოღწევადობის ინდექსი (RMA), ვაჭრობის შედარებითი უპირატესობის ინდექსი (RTA), წმინდა ექსპორტის ინდექსი (NEI)). RCA და RXA ინდექსები ერთი და იგივეა, იმ განსხვავებით, რომ ექსპორტის მაჩვენებლების შეჯამების დროს თვითონ გამოსაკვლევი ქვეყნის ექსპორტი არ არის მხედველობაში მიღებული. ექსპორტის შედარებითი უპირატესობის ინდექსს ის ქვეყნები იყენებენ, რომელთა ექსპორტის წილი საერთაშორისო ბაზრებზე მაღალია. მაშასადამე, რეკომენდებულია, საქართველოში RCA ინდექსი გამოვიყენოთ.

მეცნიერები განსხვავებულ მიდგომებს გვთავაზობენ აგროსასურსათო სექტორში ჰეტეროგენული და ჰომოგენური ნიშნების მიხედვით წარმოების სისტემების კონკურენტუნარიანობის გაზომვისა და შედარების დროს (Maslova, Zaruk, Fuchs, Avdeev, 2019). ასევე, მეცნიერები დავობენ იმის შესახებ, რომ კონკურენტუნარიანობის განსაზღვრის პროცესში საჭიროა გავითვალისწინოთ საწარმოთა მასშტაბები. შემოთავაზებებს შორის ჭარბობს მოსაზრება, რომ აგროსასურსათო სექტორში კონკურენტუნარიანობა განვსაზღვროთ საშუალო ტიპის მეურნეობების მონაცემებზე დაყრდნობით. ამასთან, ავტორები გვთავაზობენ ინდიკატორის გაანგარიშებისას დავეყრდნოთ ძირითადად მიკრო მონაცემების ანალიზს (Litvin, Coser, 2014).

საინტერესოა კვლევები, რომლებშიც კონკურენციისა და კონკურენტუნარიანობის შეფასება და ანალიზი განკუთვნილია სოფლის მეურნეობის პოლიტიკის ინსტრუმენტების შესამუშავებლად. ამ მიმართულებით მეცნიერები მრავალფაქტორიან და სიღრმისეულ კვლევებს მიმართავენ. ასეთი ძვირადღირებული კვლევები ჩატარებულია ავსტრალიაში, კანადაში, იაპონიაში, შვეიცარიასა და აშშ-ში (Papageorgiou, Petropoulos, 2010). კვლევებით, ასევე, ყურადღება გამახვილებულია ქვეყნებს შორის ვაჭრობის გაანალიზებით დადგენილ კონკურენტუნარიანობის დონეზე (Ninievsky, Cramon, 2009).

კონკურენციისა და კონკურენტუნარიანობის გაზომვის მეთოდოლოგიის ერთიანი რეცეპტები არ არსებობს. საჭიროა ზოგად მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით მისი სრულყოფა ქვეყნისა და ფირმის მასშტაბების, სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით.

რა გამოწვევების წინაშეა საქართველოს აგროსასურსათო სექტორი კონკურენციისა და კონკურენტუნარიანობის დონის მეთოდოლოგიური კვლევის თვალსაზრისით? საჭიროა თუ არა ცვლილებები COVID-19-ით გამოწვეული ფაქტორების გამო? დღეს რა ძირითადი ტენდენციებია გამოკვეთილი ამ თვალსაზრისით?

COVID-19-მა ფერმერებსა და აგრობიზნესში დასაქმებულებს აგროსასურსათო პროდუქტების წარმოებისა და განსაკუთრებით გაყიდვების მიმართულებით სიახლეებისაკენ უბიძგა. ფერმერთა ასოციაციის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, ფერმერთა 17%-ის აზრით, ისინი თავისი პროდუქტის რეალიზაციას ახდენენ როგორც არსებული, ისე ახალი არხების საშუალებით, ისეთი, როგორებიცაა სოფლიდან.ჯი, ფეისბუქი, ახლომდებარე მაღაზიები, გლოვო და სხვ. (Impact of Covid, 2020). მათ შორის არიან ისეთი ფერმერებიც, რომლებსაც პროდუქტი ექსპორტზე ვეღარ გააქვთ და ასეთი გამოკითხულთა 17%-ია. კვლევაში ჩართული სოფლის მეურნეობის წარმომადგენლების 55% დასახელებულ გამოწვევებთან ერთად სხვა გამოწვევებსაც ასახელებენ, კერძოდ, მათთვის რთულია ბიზნესსაქმიანობის დაგეგმვა და ბაზარზე გასვლის სტრატეგიების შემუშავება იმის გამო, რომ არ აქვთ ინფორმაცია კონკურენტული ძალების შესახებ, გაყიდვების ციფრული არხებისა და პროდუქტის კონკურენტუნარიანობის შესახებ და სხვ.

დღეს ფერმერებს შეზღუდული შესაძლებლობები აქვთ, პირდაპირ მიაწოდონ მომხმარებლებს პროდუქცია. მით უმეტეს გართულებულია საერთაშორისო ბაზრებზე გასვლა. მათ უპირველესად ჭირდებათ ინფორმაცია კონკურენციის დონისა და სასურსათო ბაზრებზე პროდუქტის კონკურენტუნარიანობის ინდიკატორების შესახებ. საქართ-

ველოში 642 ათასი მეურნეობაა, რომლის 98%-ს მცირე საოჯახო მეურნეობა აქვს (Impact of Covid, 2020). თუ გავითვალისწინებთ, რომ წვრილმასშტაბურობა რა გავლენას ახდენს კონკურენციისა და კონკურენტუნარიანობის ინდიკატორებზე თუნდაც გათვლების ჩატარების დონეზე, ნათელია პრობლემის სირთულე ამ მიმართულებით.

კონცენტრაციისა და ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსების გათვლამ მეღვინეობაში გვიჩვენა, რომ პირველი მათგანი შეადგენს 0,42-ს (მსხვილი კომპანიების მიხედვით), ხოლო მეორე მაჩვენებლის მიხედვით ღვინის ბაზარი ზომიერად კონცენტრირებულია. შედარებისათვის აღვნიშნავთ, რომ საშუალო ზომის კომპანიების მაგალითზე აღნიშნული ინდექსი ღვინის ბაზარზე საშუალოდ 0,4-ს შეადგენს (Methods of Market Analysis).

სასურსათო ბაზრებზე აგროსასურსათო პროდუქტების წარმატებით შეღწევისათვის მეცნიერები აანალიზებენ პორტერის კონკურენციის ხუთ ფაქტორსაც: მიმწოდებლების ძალაუფლება, მომხმარებლების ძალაუფლება, ბაზარზე შესვლის ბარიერები, პროდუქტის შემცვლელები, კონკურენციის დონე. აღნიშნული ფაქტორები ჩვენს მიერ შესწავლილია ღვინისა და ნედლი ხილის ბაზრებისთვის. ცხადია, კონკურენციის დონის გაზომვა ინდექსებთან ერთად სხვა ფაქტორული ანალიზის ჩატარებასაც მოითხოვს. მეცნიერები ამ მხრივ, ძირითადად ხუთ კონკურენტულ ფაქტორს განიხილავენ: ა/ ადგილობრივი ბაზრის პოზიცია; ბ/ ადგილობრივი ბაზრის ზრდის პოტენციალი; გ/ მასშტაბის ეკონომია (დანახარჯი/სარგებლის ანალიზი); დ/ ინდუსტრიის ცვლილებისადმი ადაპტაცია; ე/ უცხოური ინვესტორების მოზიდვის პოტენციალი (Analysis of the Size, 2015).

პირველი, მეორე და მეოთხე ფაქტორის მიხედვით საქართველოს სუსტი პოზიციები გააჩნია. აღსანიშნავია, რომ ქვეყნები, რომლებიც ხასიათდებიან მოსახლეობის ერთ სულზე ღვინის მოხმარების შემცირებით, ამ კატეგორიაში ,,სუსტის" პოზიციას ინაწილებენ. საქართველოში 3.8 მლნ კაცი ცხოვრობს (geostat.ge), ხოლო ერთ სულ მოსახლეზე ღვინის მოხმარება წელიწადში 16,5 ლიტრს შეადგენს (Sterly, Jongeneel, Pabst, Silvis, Connor, Freshwater, Shobayashi, Kinoshita, Van Kooten, Zorn, 2018). მაშასადამე, მოსახლეობის რიცხოვნობისა და ერთ სულ მოსახლეზე ღვინის მოხმარების მიხედვით ქვეყანა ადგილობრივი ბაზრის ზრდის პოტენციალის ფაქტორის მიხედვით „სუსტის" კატეგორიაში უნდა განვიხილოთ. მესამე და მეხუთე ფაქტორის მიხედვით ქვეყანა საშუალო პოზიციას იკავებს.

ზოგადად, კონკურენტუნარიანობა კომპლექსური მაჩვენებელია და მის გასაანალიზებლად მიზანშეწონილია სხვადასხვა ინდექსის კომპლექსურად გამოყენება (Kharaishvili, 2017:27). შიდა და საერთაშორისო ბაზრებზე ქართული აგროსასურსათო პროდუქტების პოზიციების მოსაპოვებლად საჭიროა ამ პროდუქტის კონკურენტუნარიანობის დონის განსაზღვრა.

პროდუქტის კონკურენტუნარიანობის დონე მიმდინარე პერიოდში „ex-post" მეთოდის გამოყენებით გამოვთვალება შემდეგი ინდექსებით (Sheldon, 2016):

- გამოვლენილი შედარებითი უპირატესობის ინდექსი (RCA)
- ექსპორტის შედარებითი უპირატესობის ინდექსი (RXA)
- იმპორტის შედარებითი შემოღწევადობის ინდექსი (RMP)
- ვაჭრობის შედარებითი უპირატესობის ინდექსი (RTA)

ზემოთ დასახელებული ინდექსების გამოყენებით ჩვენს მიერ, სხვადასხვა კვლევის დროს, გაანგარიშებულია ზოგიერთი სახეობის აგროსასურსათო პროდუქტების კონკურენტუნარიანობა (Kharaishvili, 2017:27). უმეტესი აგროსასურსათო პროდუქტების კონკურენტუნარიანობის დონე დაბალია. მაგალითად, ჩვენს მიერ სხვადასხვა კვლევის დროს კონკურენტუნარიანობის დონე გაანგარიშებული იქნა შემდეგ პროდუქტებზე: ღვინო, ალკოჰოლური სასმელები, თხილი, რძე, ხორბალი, ვაშლის წვენი. პროდუქტების მიხედვით კონკურენტუნარიანობის მაჩვენებლები მკვეთრად დიფერენცირებულია (Kharaishvili, 2017:93; Kharaishvili, 2011:23). დასახელებული პროდუქტებიდან კონკურენტუნარიანი აღმოჩნდა ღვინო და თხილი, დანარჩენი პროდუქტების კონკურენტუნარიანობის დონე ზემოთ ჩამოთვლილი ინდექსების მიხედვით მკვეთრად დაბალია.

დასკვნები და რეკომენდაციები:

- კონცენტრაციის ინდექსით უპირატესად შესაძლებელია მსხვილი, ასევე, საშუალო ზომის კომპანიების საბაზრო წილის განსაზღვრა. იმ შეთხვევებში, როცა ბაზარზე მცირემასშტაბიანი კომპანიების წილი მაღალია, მიზანშეწონილია ამ ინდექსთან ერთად კონცენტრაციის ინდექსის შებრუნებული სიდიდის – ენტროპიის ინდექსის გამოყენებაც. აღნიშნული მეთოდური მიდგომით სრულყოფილად შეფასდება საბაზრო ფასზე მიმწოდებელთა ზემოქმედება და დამატებით განისაზღვრება ბაზარზე ფუნქციონირებადი სხვა კომპანიების წილიც.
- მწარმოებლებს, განსაკუთრებით წარმოების მცირემასშტაბების პირობებში, სასურსათო ბაზრებზე შეზღუდული წვდომა აქვთ. სასურსათო ბაზრებზე წვდომის გასაუმჯობესებლად მნიშვნელოვანია მათთვის დასაბუთებული ინდიკატორების მიწოდება კონკურენციისა და პროდუქტის კონკურენტუნარრიანობის შესახებ. აღნიშნული აუცილებელი წინაპირობაა წარმოების გაფართოებისა და ბაზარზე წარმატებით გასვლისათვის.
- სასურსათო ბაზრებზე ქართული აგროსასურსათო პროდუქტების შესაღწევად და კონკურენტული გარემოს შესაფასებლად მიზანშეწონილია შეფასდეს ხუთი კონკურენტული

ფაქტორი: ადგილობრივი ბაზრის პოზიცია, ადგილობრივი ღვინის ბაზრის ზრდის პოტენციალი, მასშტაბის ეკონომია, ღვინის ინდუსტრიის ცვლილებისადმი ადაპტაცია, უცხოური ინვესტორების მოზიდვის პოტენციალი.

• კონკურენტუნარიანობის დონის გაანგარიშების პროცესში შემდეგი პრობლემები გამოვლინდა: არ არსებობს კონკურენტუნარიანობის ინდექსების გასაანგარიშებლად საჭირო სრულყოფილი მონაცემთა ბაზები, მათი მოპოვება ძირითადად შესაძლებელია FAO–ს პორტალებიდან; ზოგჯერ შეუსაბამობებია FAO–სა და სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებ–გვერდებზე განთავსებულ მაჩვენებლებს შორის; ქვეყანაში არ ხდება აგროსასურსათო პროდუქტების კონკურენტუნარიანობის დონის შეფასება, ცალკეულ შემთხვევაში, თანაც მხოლოდ ზოგიერთ პროდუქტზე კონკურენტუნარიანობის დონის დათვლა საკმარისი არ არის ზოგადი კანონზომიერებების შესაფასებლად.

• კონკურენციის პროცესის განვითარებისა და კონკურენტუნარიანობის დონის დასადგენად აუცილებელია შესაბამისი სამართლებრივი ბაზის სრულყოფა.

ლიტერატურა/REFERENCES

Methods of market analysis, http://competition.ge/ge/page2.php?p=4&m=138 (In Georgian).

Gagnidze, I., (2012). Country Competitiveness and Clusters: History and Modernity, Tbilisi, 13. (In Georgian)

UN: Because of Coronavirus The World is at risk of starvation on a "biblical scale". (In Georgian) https://1tv.ge/news/gaero-shi-ackhadeben-rom-koronavirusis-gamo-msoflio-bibliuri-masshtabis-shimshilis-riskis-winashea/

Donju, K., *Don't a pandemic become a game of hunger*. (In Georgian) https://bm.ge/ka/article/quotnu-davushvebt-rom-covid19-gaxdes-shimshilis-tamashiquot---fao-s-gia-werili/52932

The EU economy is facing a historic recession. (In Georgian). Deutsche Welle: https://feedc.com/post/54312

Erkomaishvili, G., (2016). *Priority Directions of Economic Development Policy of Georgia*, Tbilisi, 13. (In Georgian)

Impact of Covid 19 on Farmers and Agriculture, Farmers Association Study, 2020, (In Georgian) https://gfa.org.ge/covid-19

Population and Demography, National Statistics Office of Georgia, (In Georgian). http://geostat.ge/

Khaduri, N., *Analysis of Competitiveness and Prospects of the Georgian Economy*, Tbilisi, 2010, 4, (In Georgian). Kharaishvili, E., Problems of Competition and Competitiveness in the Agro-Food Sector of Georgia, Tbilisi, 2011, 27, (In Georgian). Kharaishvili, E., Problems of Competition and Competitiveness in the Agro-Food Sector of Georgia, Tbilisi, 2011, 91-93, (In Georgian).

Kharaishvili, E., *Wine Market and Competitive Models of Viticulture and Enology in Georgia,* Tbilisi, 2017, 23, (In Georgian).

Agricultural competitiveness: The case of the European Union countries https://doi.org/10.17221/133/2015-AGRICECON; Nowak, A., Kaminska, A. (2016): Agricultural competitiveness: The case of the European Union countries. Agric. Econ. – Czech, 62: 507-516.

Litvin, A., Coser, C., Competitiveness and Quality of Agrifood Products - Key Factors for the Success of Export Promotion, *Scientific Papers Series Management, Economic Engineering in Agriculture and Rural Development* 14, 3, 2014 PRINT ISSN 2284-7995, E-ISSN 2285-3952 http://managementjournal.usamv.ro/pdf/vol_14/art23.pdf

Analysis of the size and distribution of the impacts of agricultural trade at the firm and industry levels in developing countries, Food and Agriculture Organization of the United Nations Rome, 2015. http://www.fao.org/3/a-i5130e.pdf

Collins, 2004; *Richard M., Castaldi, Susan Cholette, Mahmood Hussain*, 2006.

Maslova V. , Zaruk N., Fuchs C., Avdeev M., (2019). *Competitiveness of Agricultural Products in the Eurasian Economic Union.* file:///C:/Users/Admin/Downloads/agriculture-09-00061.pdf

Measuring competitiveness in the EU market: a comparison between food industry and agriculture. Carraresi, L., and Banterle. A., 2008.

Nivievskyi, O., & Cramon-Taubadel, S., *Measuring and comparing the competitiveness of heterogeneous production systems in agriculture*, 2009. https://www.researchgate.net/publication/233562299_Measuring_and_comparing_the_competitiveness_of_heterogeneous_production_systems_in_agriculture_

Petropoulos, D., Kyriazopoulos, G., & Papageorgiou, A., *The Competitiveness of Agricultural Products* (trade relations between Greece - Bulgaria), 2012 https://www.researchgate.net/publication/297577164_THE_COMPETITIVENESS_OF_AGRICULTURAL_PRODUCTS_trade_relations_between_Greece_-_Bulgaria [accessed Mar 09 2020].

Papageorgiou, A., & Petropoulos, D. (2010). *The competitiveness of agricultural products in domestic and international market* https://www.researchgate.net/publication/233562299_Measuring_and_comparing_the_competitiveness_of_heterogeneous_production_systems_in_agriculture_

Research for AGRI Committee - A comparative analysis of global agricultural policies: *lessons for the future CAP*, 2018. https://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/STUD/2018/629183/IPOL_STU%282018%29629183_EN.pdf

Sterly, S., Jongeneel, R., Pabst, H., Silvis, H., with contributions from Connor, J., (Australia), Freshwater, D., (US), Shohobayashi, M., (Japan), Kinoshita, Y., (Japan), Van Kooten, C., (Canada), and Zorn, A., (Switzerland). *Research for AGRI Committee - A comparative analysis of global agricultural policies: lessons for the future CAP*, 2018. https://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/STUD/2018/629183/IPOL_STU%282018%29629183_EN.pdf

Sheldon, I. M. (2016). The competitiveness of agricultural product and input markets: A review and synthesis of recent research. *Journal of Agricultural & Applied Economics*, 49(1):1-44 https://www.researchgate.net/publication/311972543_The_competitiveness_of_agricultural_product_and_input_markets_A_review_and_synthesis_of_recent_research

Wine Institute, World Statistics, http://www.wineinstitute.org/resources/statistics

Weindlmaier, H. (1999): The competitiveness of the German food industry: methodological starting points for measurement and empirical results. Presentation. *Fortieth annual meeting of the Society for Economic and Social Sciences in Agriculture* 4.

JEL Classification: E01, C4 https://doi.org/10.35945/gb.2020.10.005

THE SCALE OF THE SPREAD OF COVID-19 IN GEORGIA AND EFFECTIVENESS OF PREVENTIVE MEASURES IMPLIMENTED BY THE GOVERNMENT – WHAT DO MODELS SAY?

IURI ANANIASHVILI

Doctor of Economic Sciences, Professor,
Academician of Georgia Economic Sciences Academy
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia
Iuri.ananiashvili@tsu.ge

LEVAN GAPRINDASHVILI

Master of Economics,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
levani.gafrindashvili@gmail.com

Abstract. In this article we present forecasts of the spread of COVID-19 virus, obtained by econometric and machine learning methods. Furthermore, by employing modelling method, we estimate effectiveness of preventive measures implemented by the government. Each of the models discussed in this article is modelling different characteristics of the COVID-19 epidemic's trajectory: peak and end date, number of daily infections over different forecasting horizons, total number of infection cases. All these provide quite clear picture to the interested reader of the future threats posed by COVID-19.

In terms of existing models and data, our research indicates that phenomenological models do well in forecasting the trend, duration and total infections of the COVID- 19 epidemic, but make serious mistakes in forecasting the number of daily infections. Machine learning models, deliver more accurate short –term forecast of daily infections, but due to data limitations, they struggle to make long-term forecasts. Compartmental models are the best choice for modelling the measures implemented by the government for preventing the spread of COVID-19 and determining optimal level of restrictions. These models show that until achieving herd immunity (i.e. without any epidemiological or government implemented measures), approximate number of people infected with COVID-19 would be 3 million, but due to preventive measures, expected total number of infections has reduced to several thousand (1555-3189) people. This unequivocally indicates the effectiveness of the preventive measures.

KEYWORDS: CORONAVIRUS, FORECASTING, COMPARTMENTAL MODELS, RICHARDS MODEL, POLYNOMIAL MODEL, NEURAL NETWORK MODEL, BASIC REPRODUCTION NUMBER.

For citation: Ananiashvili, I., & Gaprindashvili, L., (2020). The Scale of the Spread of COVID -19 in Georgia and Effectiveness of Preventive Measures Implemented by the Government – What Do Models Say? *Globalization and Business, 10.* 49-57. https://doi.org/10.35945/gb.2020.10.005

JEL Classification: E01, C4 https://doi.org/10.35945/gb.2020.10.005

საქართველოში კორონავირუსის გავრცელების მასშტაბები და მთავრობის პრევენციული ღონისძიებების ეფექტიანობა – რას ამბობენ მოდელები

იური ანანიაშვილი

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
Iuri.ananiashvili@tsu.ge

ლევან გაფრინდაშვილი

ეკონომიკის მაგისტრი
levani.gafrindashvili@gmail.com

საკვანძო სიტყვები: კორონავირუსი, პროგნოზირება, განყოფილებიანი მოდელები, რიჩარდის მოდელი, პოლინომიალური მოდელი, ნეირონული ქსელების მოდელი, რეპროდუქციის რიცხვი.

ციტირებისთვის: ანანიაშვილი ი. გაფრინდაშვილი ლ. (2020). საქართველოში კორონავირუსის გავრცელების მასშტაბები და მთავრობის პრევენციული ღონისძიებების ეფექტიანობა – რას ამბობენ მოდელები. *გლობალიზაცია და ბიზნესი, №10*, გვ. 49-57. https://doi.org/10.35945/gb.2020.10.005

შესავალი

მსოფლიოს ისტორიაში იშვიათად მოიპოვება პანდემიის პრეცედენტები. სამწუხაროდ, ოცდამეერთე საუკუნის საზოგადოებას წილად ხვდა ამ მძიმე ტვირთის ზიდვა. ვირუსი, რომელიც თავდაპირველად 2019 წლის დეკემბერში ჩინეთში წარმოიშვა, მალევე გასცდა „მშობლიური" ქვეყნის საზღვრებს და მთელ მსოფლიოში შეუქცევადი სიჩქარით გავრცელდა. მდგომარეობას ართულებდა ვირუსის საწინააღმდეგო პრეპარატის არარსებობა და მისი გადაცემის სიმარტივე. დაავადებიდან გამოწვეული ზიანი თანაბარი სიმკაცრით აისახა ადამიანთა ჯანმრთელობასა და ეკონომიკაზე. პანდემიამ გლობალიზაციის სრულიად ახალი და კონტრასტული მოდელი შემოგვთავაზა ერთი მიზნის ირგვლივ იდეურად გაერთიანებული და ფიზიკურად მკაცრად იზოლირებული სახელმწიფოებისა და საზოგადოების სახით. შეჩერდა საერთაშორისო მიმოსვლა, შეიზღუდა ვაჭრობა, საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობა, საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობა და სხვ., რამაც მკვეთრად გაზარდა უმუშევრობა და მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა ეკონომიკას. მეცნიერების სხვადასხვა დარგი აქტიურად ჩაერთო „უჩინარი მტრის" წინააღმდეგ ბრძოლაში. მათ შორის აღმოჩნდნენ ეკონომისტები, ეკონომეტრიკოსები, სტატისტიკოსები და მონაცემთა მეცნიერები.

ცალკეული სამთავრობო თუ კომერციული ორგანიზაციებისათვის დიდი მნიშვნელობა შეიძინა პანდემიის გავრცელების პროგნოზირებამ, რომელიც შეიძლება საფუძველი გახდეს ე.წ. დაბრუნების გეგმის (roll back plan) შედგენისა და სახელმწიფოს მიერ განსახორციელებული ცალკეული ღონისძიებების ეფექტების შეფასებისა, ასევე შეზღუდვების სარგებლისა და დანაკარგების ოპტიმიზაციისათვის. დაავადების მოსალოდნელი მასშტაბის ცოდნა მნიშვნელოვანია სამედიცინო ეკიპირებისა და მედიკამენტების მარაგის ზომის განსაზღვრისათვის, საჭიროების შემთხვევაში კი ახალი სამედიცინო დაწესებულებების მშენებლობისათვის (როგორც ეს ჩინეთში განხორციელდა). შეკავების პოლიტიკის ალტერნატიული სცენარების მოდელირება საშუალებას იძლევა ერთმანეთს შეუდარდეს დანაკარგები და მოხდეს შეკავების ზომის სწორად განსაზღვრა. საკითხის აქტუალურობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით, მონაცემთა ანალიზისა და პროგნოზირებისათვის განკუთვნილ ვებ–გვერდზე, „kaggle.com"–ზე, შეიქმნა არაერთი კონკურსი. სტატისტიკური პროგრამის, R–ის, გუნდმა სპეციალურად კორონავირუსისათვის განავი–

თარა რამდენიმე პაკეტი (Vaidyanathan, 2020) კორონავირუსის პროგნოზირებას მრავალი ნაშრომი მიეძღვნა www.medrxiv.org-ზე, რომელთა ნაწილის დასახელებები წარმოდგენილი სტატიის გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალშია მოყვანილი. მსოფლიოსა და, განსაკუთრებით, საქართველოს ეკონომიკაზე პანდემიის გავლენის ანალიზს საინტერესო მრგვალი მაგიდა მიუძღვნა ჟურნალ „ეკონომიკა და ბიზნესის" რედაქციამ (http://eb.tsu.ge/?leng=ge). შესაბამისი მოხსენებებით პრობლემის განხილვაში მონაწილეობდნენ ქართველი მეცნიერ-ეკონომისტები: მექვაბიშვილი ე., პაპავა ვ., ღაღანიძე გ., კოვზანაძე ი., აბესაძე რ., ჯიბუტი მ., კაკულია მ., შენგელია თ., არჩვაძე ი., ჭარაია ვ., ბენაშვილი გ. (მასალები სრულად იხილეთ: მრგვალი მაგიდა „კორონომიკა" , ჟურნალი ეკონომიკა და ბიზნესი, 2020, №2).

მოცემულ სტატიაში მოკლედ არის აღწერილი ჩვენი კვლევის შედეგები, რომლებიც მათემატიკური, ეკონომეტრიკული და მანქანური სწავლების მოდელების საშუალებით მივიღეთ საქართველოში კორონავირუსის გავრცელების ტრაექტორიისა და მასშტაბების პროგნოზირებისას, ასევე სახელმწიფოს (მთავრობა და სამედიცინო სფეროს ექსპერტები) მიერ განხორციელებული შეკავების ღონისძიებების ეფექტიანობის შეფასებისას. კვლევის პროცესში გამოვიყენეთ განყოფილებიანი მოდელები, S ფორმის მოდელები, პოლინომიალური მოდელი მოდიფიცირებული არქიტექტურით და მოკლე მახსოვრობის გრძელი მოდელი. მრავალფეროვანი მოდელების განხილვამ საშუალება მოგვცა, საკმაოდ სრული სურათი შეგვექმნა პანდემიის საფრთხესთან დაკავშირებით.

განყოფილებიანი მოდელები – პრევენციული ღონისძიებების ანალიზი

ინფექციური დაავადებების მოდელირებისათვის ხშირად გამოიყენება ე.წ. განყოფილებიანი მოდელები, რომელთა ყველაზე მარტივი წარმომადგენელია SIR მოდელი (მაგალითად, Smith, & Moore, 2004; Harko, T., & al., e. 2014; Wilding, 2020; Tiwari, Kumar, & al., e. 2020; Rahman, Ahmed, & al., e. 2020; Chen, Lu, & al., e. 2020; Osthus, Hickmann, K., & al., e. 2017; Roda W., et al., 2020; Wang, Zhou, & al., e. 2020 და სხვ.). მასში მოსახლეობა დაყოფილია სამ ჯგუფად: S-ინფიცირების რისკის ქვეშ მყოფნი, I-ინფიცირებულნი და R-ამოღებული ($\boldsymbol{Removed}$), რაც არის გამოჯანმრთელებულთა და გარდაცვლილთა ჯამი. თითოეულ ჯგუფში შემავალ ყოველ ინდივიდს აქვს ერთი და იგივე მახასიათებელი. ჯგუფებს შორის მოძრაობა აღიწერება შემდეგი სახის დიფერენციალური განტოლებებით:

$$\frac{dS}{dt} = -\frac{\beta SI}{N}; \qquad (1)$$

$$\frac{dI}{dt} = \frac{\beta SI}{N} - \gamma I; \qquad (2)$$

$$\frac{dR}{dt} = \gamma I. \qquad (1)$$

დაშვების მიხედვით, მოსახლეობის რაოდენობა N უცვლელია, რაც გულისხმობს:

$$\frac{dS}{dt} + \frac{dI}{dt} + \frac{dR}{dt} = 0. \qquad (2)$$

პირველი დიფერენციალური განტოლება, სადაც S-ისა და I-ის ნამრავლი გამოსახავს რისკის ქვეშ მყოფთა და ინფიცირებულთა ყველა შესაძლო კონტაქტების რიცხვს, აღწერს ინფიცირების რისკის ქვეშ მყოფი პოპულაციის ცვლილებას დროში. ცვლილება არადადებითია და ნიშნავს, რომ S კატეგორიაში მყოფი მოსახლეობის რიცხოვნობა მონოტონურად მცირდება. მეორე დიფერენციალური განტოლება შეესაბამება ინფიცირებულთა რაოდენობის დროში ცვლილებას. ინფიცირებულთა რიცხოვნობის ზრდის წყაროს წარმოადგენს S კატეგორიაში მყოფი მოსახლეობა, ხოლო შემცირება ხდება გამოჯანმრთელებულთა ან გარდაცვლილთა საშუალებით. მესამე დიფერენციალური განტოლება აღწერს გარდაცვლილთა და გამოჯანმრთელებულთა რიცხვის დროში ცვლილებას, რომელიც დამოკიდებულია ინფიცირებულთა რაოდენობასა და გამოჯანმრთელებისათვის საჭირო საშუალო დროზე. *(1)-(3)*-ში შემავალი β და γ კონკრეტული შინაარსის პარამეტრებია. კერძოდ, β აღნიშნავს დროის ერთეულში ინდივიდის კონტაქტების საშუალო რაოდენობისა და ინფიცირებულთან კონტაქტის შემთხვევაში დაავადების გადაცემის ალბათობის ნამრავლს; γ არის I-დან და R-ში გადასვლის კოეფიციენტი.

განყოფილებიანი მოდელები გამოიყენება დაავადების გავრცელების სხვადასხვა მახასიათებლის პროგნოზირებისთვის, როგორიცაა, მაგალითად, ინფიცირებულთა მთლიანი რაოდენობა დაავადების დასრულებისას, ეპიდემიის ხანგრძლივობა, პიკის მომენტი და სხვ. მოდელს საყურადღებო შეზღუდვა გააჩნია: იგი არ ითვალისწინებს შეკავების ღონისძიებების ეფექტს და ეპიდემიის შეჩერების ერთადერთ მიზეზად მიიჩნევს ჯოგური იმუნიტეტის (herd immunity) გამომუშავებას. აღნიშნულის გამო, მისი საშუალებით განხორციელებული პროგნოზი ხშირად რეალობისგან მნიშვნელოვნად არის დაშორებული. ამ შეზღუდვის დაძლევა ხდება გაფართოებული SIR (ანუ ESIR) მოდელით (მაგალითად, Wang, Zhou, & al., e. 2020; Hamzah, Lau, & al., e. 2020). მისი საშუალებით შეგვიძლია ex-ante-ედ განვახორციელოთ შეკავების ღონისძიებების სიმულაცია, განვსაზღვროთ, რა გავლენას მოახდენს პრევენციული ღონისძიებების სხვადასხვა სცენარი ეპიდემიის მასშტაბზე, რამდენად ეფექტური იქნება გატარებული ღონისძიება, როდისაა ოპტიმალური ამა თუ იმ ღონისძიების (მაგალითად, კარანტინის) დაწყება,

ცხრილი 1: განყოფილებიანი მოდელების პროგნოზი ორი თვის მონაცემებით

	SIR	ESIR №1	ESIR №2
ჯამური ინფიცირება	2 854 339	1 555	3 189
ეპიდემიის დასრულების დრო	01/2021	22/06/2020	15/07/2020
პიკის წერტილი	27/07/2020	15/04/2020	16/04/2020
RMSE	5 976	N/A	N/A

წყარო: ავტორების გაანგარიშება

რა არის ოპტიმალური ხანგრძლივობა და ა.შ. მოდელის გაფართოება შესაძლებელია როგორც კარანტინის რეჟიმის დამატებით, ასევე ვირუსის გადაცე–მის კოეფიციენტის ცვლი–ლებით (რაც გამოწვეულია პირბადეების ხმარების შემო–ღებით, ჰიგიენის წესების დაცვით, სადეზინფექციო საშუალე–ბების გამოყენებით და ა.შ.).

პრევენციული ღონისძიებების შეფასებისათვის ავაგეთ SIR და ESIR მოდელები და ერთმანეთს შევადარეთ მიღე–ბული პროგნოზები. მოდელები აიგო სხვადასხვა ჰორიზონ–ტის მონაცემებზე დაყრდნობით. ვინაიდან პროგნოზირებას განსაკუთრებული ღირებულება ეპიდემიის საწყის ეტაპზე აქვს, ორივე მოდელი ავაგეთ საწყისი ორი თვის მონაცემზე დაყრდნობით და ძირითადი დასკვნები მათი საშუალებით გავაკეთეთ. გარდა ამისა, მოდელების რობასტულობის შესა–მოწმებლად შედეგების რეკალკულაცია მოვახდინეთ ოთხი თვის მონაცემების გამოყენებით. მოდელის სიზუსტის გასა–ზომად გამოყენებულია საშუალო კვადრატული შეცდომიდან ფესვის მნიშვნელობა (RMSE), რაც გვიჩვენებს საშუალო ყოველდღიურ განსხვავებას პროგნოზირებულ და რეალურ ინფიცირებას შორის. ორ თვის მონაცემებით გაკეთებული პროგნოზის შედეგები წარმოდგენილია ცხრილი1–ში.


მიღებული შედეგები საკმაოდ საინტერესო დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა. კერძოდ, SIR მოდელი გვი–ჩვენებს, რომ ყოველგვარი პრევენციული ღონისძიებების გარეშე მოსახლეობის თითქმის 83% დაინფიცირდებოდა. პროგნოზი რეალობისგან შორსაა, რაზეც მეტყველებს შეცდო–მის (RMSE–ს) მნიშვნელობაც. ცხრილ 1–ის ბოლო ორ სვეტში ნაჩვენებია პრევენციული ღონისძიებებით გაფართოებული SIR მოდელების შედეგები. მოდელში მათი ასახვა ხდება ვირუსის გადაცემის β კოეფიციენტის ცვლილებით. ESIR№1–ის შემთხვევაში სახელმწიფოში აკრძალვები უწყვეტად მკაცრდება, მცირე ინტენსივობით. უწყვეტი გამკაცრების მოდელირებისათვის შეირჩა ექსპონენციალური ფუნქცია, 0,025–ის ტოლი ლამბდა კოეფიციენტით, რაც ფაქტობრივად ნიშნავს იმას, რომ β კოეფიციენტის მნიშვნელობა ეპიდემიის დაწყებიდან ერთ თვეში საწყის დონესთან შედარებით 50%–ით შემცირდება. გაფართოებული ESIR№2 მოდელის მიხედვით კი ღონისძიებებს პერიოდული ხასიათი აქვს, თუმცა უფრო მკაცრია. ამ შემთხვევაში ღონისძიებების გატარების მომენტებად შეირჩა პრეზიდენტის დეკრეტის გამოცემისა და ქალაქების ჩაკეტვის თარიღები. ხოლო გადაცემის β კოეფიციენტი, საბოლოო ჯამში, 80%–ით შემ–ცირდა. ESIR მოდელების პროგნოზები საკმაოდ ახლოს დგას რეალობასთან. პროგნოზირებულ პერიოდში ეპიდემია დასრულდებოდა რომ არა იმპორტირებული შემთხვევები. ეს უკანასკნელი კი მოდელში გათვალისწინებული არ არის. ESIR მოდელების მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გატარებული ღონისძიებები საკმაოდ ეფექტური აღმოჩნდა ვირუსთან საბრძოლველად.

განხილულ ESIR მოდელებს, უპირატესობებთან ერთად, გარკვეული შეზღუდვები გააჩნია, რაც დაკავშირებულია გატარებული ღონისძიებების ზუსტი ეფექტის შეფასებასთან. მოდელირებისას გადაცემის კოეფიციენტის შემცირების ზომა შეფასდა ჩვენს მიერ, ექსპერტულად და არა მონაცემების საშუალებით. შესაბამისად, ასეთი შეფასება უმრავლეს შემთხვევაში სუბიექტური და გადაადგილებულია. თუმცა ეს არც თუ ისე დიდი პრობლემაა, როდესაც პოლიტიკის დაგეგმვაში ჩართულნი არიან ეპიდემიოლოგები, რომელთაც საკმარისი სიზუსტით შეუძლიათ ამ ეფექტის განსაზღვრა და შეფასების გადაადგილების მინიმიზაცია.


მდგრადობის ანალიზისთვის მოდელები გადავითვა–ლეთ ოთხი თვის მონაცემებზეც. მიუხედავად იმისა, რომ SIR მოდელი არ ითვალისწინებს პრევენციულ ღონისძიებებს, მათი ეფექტი ირიბად, მონაცემების გავლით, აისახა შედე–გებზე. კერძოდ, ახალი პროგნოზის მიხედვით ჯამური ინფი–ცირება 707 555–მდე შემცირდება, პიკი 7 სექტემბერს და–ფიქსირდება, ხოლო ეპიდემია დასრულდება 2021 წლის 17 მარტს. 4 თვის მონაცემებზე გაფართოებული მოდელით გადათვლა ღირებულ ინფორმაციას აღარ მოგვცემს, რადგან შეზღუდვების მნიშვნელოვანი ნაწილი მოიხსნა, რაც ESIR მოდელს SIR მოდელთან ძლიერ აახლოვებს (იხილეთ დიაგრამა 1).

დიაგრამა 1ა–ზე მოცემულია 2 თვის მონაცემებზე აგე–ბული ESIR მოდელი, მარცხენა მწვანე ვერტიკალური ხაზით აღნიშნულია პიკის წერტილი (Apr 15), მარჯვენა იასამნის–ფერით მაქსიმალური წმინდა ინფიცირების (ინფიცირებულებს მინუს გამოჯანმრთელებული) თარიღი (Apr 28), ხოლო ლურჯი ვერტიკალური ხაზით უკანასკნელი დაკვირვების თარიღი (Apr 27). დიაგრამა 1ბ–ზე გამოსახულია ოთხი თვის მონაცემებზე აგებული ESIR მოდელი, სადაც გათვა–

დიაგრამა 1ა: ESIR ორი თვის მონაცემებით



დიაგრამა 1ბ: ESIR ოთხი თვის მონაცემებით



წყარო: ავტორების გაანგარიშება

ლისწინებულია შეზღუდვების მოხსნა (იმაზე უფრო მეტად, ვიდრე რეალობაში მოხდა). დიაგრამიდან ჩანს, რომ შეზღუდვების მოხსნის შემთხვევაში ეპიდემიის მასშტაბი კვლავ საგანგაშო ნიშნულს მიუახლოვდება. ეს ყოველივე შემდეგი დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა: შეზღუდვების სრული მოხსნა (მათ შორის დისტანცირებისა და პირბადის გამოყენების) დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც ინფიცირება განულდება ან სრულ კონტროლს დაექვემდებარება (რაც ნიშნავს, რომ აღარ იარსებებს ან მინიმუმამდე შემცირდება არაიდენტიფიცირებულ ინფიცირებულთა რიცხვი). მოცემულ ეტაპზე არსებული შეზღუდვები ეფექტიანია და მისი კიდევ უფრო გამარტივება შესაძლოა აღმოჩნდეს სახიფათო, ვიდრე ვაქცინა არ შეიქმნება. თუმცა არის კიდევ ერთი გარემოება, რაც დიაგრამა 1ბ-ზე მოცემული ნაკლებად მოსალოდნელი შედეგების ახსნის საშუალებას იძლევა: მოდელში მოსახლეობის დამოკიდებულებისა და შინაგანი განწყობის ცვლილების გათვალისწინება არ ხდება, რეალურად კი საზოგადოება შეზღუდვების მოხსნის შემდეგაც კი ინარჩუნებს გონივრულ სიფრთხილეს, რაც მკვეთრად ამცირებს ინფექციის გადაცემის ალბათობას. ამ გარემოების გაუთვალისწინებლობამ განაპირობა სწორედ დიაგრამა 1ბ-ზე ზედმეტად პესიმისტური პროგნოზის არსებობა.

ბოლოს, ავღნიშნავთ, რომ არსებობს განყოფილებიანი მოდელების უფრო რთული ვარიანტები, როგორიცაა, მაგალითად, SEIR და SEIRS მოდელები, რომლებიც ითვალისწინებენ იდენტიფიცირებულ კონტაქტებს და პოტენციურ ინფიცირებულებს. როდამ და სხვ. (Roda, & al., e. 2020) აჩვენეს, რომ მონაცემების შეზღუდულობის გამო, მარტივი მოდელები უფრო კარგად პროგნოზირებენ კორონავირუსის გავრცელებას, ვიდრე რთული მოდელები. ეს აქტუალური შეზღუდვაა საქართველოსთვისაც, ამიტომ ჩვენ არამიზანშეწონილად მივიჩნიეთ SEIR და SEIRS მოდელების გამოყენება.

რიჩარდის მრუდი (S ფორმის მოდელები)

გადამდები ეპიდემიის მოდელირებისას ასევე ხშირად იყენებენ S ფორმის მრუდებს. აღნიშნული ტიპის მრუდები აღწერენ პროცესებს, რომელიც საწყის ეტაპზე ექსპონენციალურად იზრდება, ხოლო გარკვეული დროის შემდეგ, როდესაც პროცესი მიაღწევს პიკს, ზრდის ტემპი მცირდება. პიკის წერტილში მრუდი გადაიღუნება და პროცესი კლებას იწყებს. S ფორმის მრუდების სახეებია: ლოგისტიკური მრუდი, ვერჰულსტ-პირლის განტოლება, პირლის მრუდი, ზრდის მრუდი, რიჩარდის ზრდის მოდელი, გომპერცის მრუდი, სიგმოიდური მრუდი და ა.შ. (Goshu, Koya, (2013; Tsoularis & Wallace, 2002; Hsieh, 2009; Mazurek, & Nenickova, 2020; Tjorve & Tjorve, 2017). მოდელის (მრუდის) შერჩევა რამდენიმე ფაქტორზეა დამოკიდებული, მათ შორის მონაცემთა რაოდენობაზე. პროგნოზირებისათვის ჩვენ გამოვიყენეთ სამი მრუდი – განზოგადებული ლოგისტიკური მოდელი, გომპერცის მრუდი, რიჩარდის მრუდი. განზოგადოებულმა ლოგისტიკურმა მოდელმა ყველაზე ოპტიმისტური პროგნოზი მოგვცა. ეს მოსალოდნელიც იყო იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული მოდელით მიღებული პროგნოზები მიიჩნევა პროცესის ქვედა ზღვრად. შედეგებიდან გამომდინარე, გომპერცისა და რიჩარდის მრუდებს შორის არჩევანი შევაჩერეთ უკანასკნელზე. მისი ერთ-ერთი უპირატესობა არის ის, რომ არ აქვს პიკის წერტილის მიმართ სიმეტრიულობის დაშვება. აღნიშნული მოდელი არაერთმა მკვლევარმა გამოიყენა COVID 19-ის პროგნოზირებისათვის (მაგალითად, Wu, Darcet, & al., e. 2020; Masjedi, Rabajante, & al., e. 2020).

განზოგადოებული რიჩარდის მოდელი განისაზღვრება შემდეგი დიფერენციალური განტოლებით (Wu, Darcet, & al., e. 2020):

$$\frac{dC(t)}{dt} = r[C(t)]^p(1 - \left(\frac{C(t)}{K}\right)^a), \qquad (1)$$

სადაც $C(t)$ აღნიშნავს ინფიცირებულთა კუმულატიურ რიცხვს t დროისთვის, r არის ზრდის ტემპი ადრეულ ეტაპზე და K არის ინფიცირებულთა ჯამური რაოდენობა ეპიდემიის დასრულებისას, ხოლო $p\in[0,1]$ პარამეტრია, რომელიც ზრდის სხვადასხვა ფორმის მოდელირების შესაძლებლო-

ცხრილი 2: პროგნოზი რიჩარდის მოდელით

	რიჩარდის მოდელი №1	რიჩარდის მოდელი №2
ჯამური ინფიცირება	1317	1975
ეპიდემიის დასრულების დრო	27 სექტემბერი	9 სექტემბერი
RMSE	8.41	6.25

წყარო: ავტორების გაანგარიშება

ბას იძლევა. უმცირესი კვადრატების არაწრფივი ამოცანის ოპტიმიზაციისათვის გამოყენებულია სტანდარტული ლევენ-ბერგ-მარკარდის ალგორითმი. მოდელის მდგრადობის ანალიზისთვის ავაგეთ ორი ვარიანტი: ორთვიან (№1) და ოთხთვიან (№2) მონაცემებზე დაყრდნობით. შედეგები მოცემულია ცხრილი. 2-ში.

ეს შედეგები ცხადყოფენ, რომ მოდელით პროგნოზირებული მაჩვენებლები საკმაოდ ახლოს არის რეალობასთან. ამავდროულად, მოდელი მდგრადია როგორც დასრულების დროის, ასევე ეპიდემიის მასშტაბის პროგნოზირებაში. ნიშანდობლივია კიდევ ერთი გარემოება: რიჩარდის და, ზოგადად, S ფორმის მრუდები ორიენტირებულები არ არიან დღიური ინფიცირების სწორად პროგნოზირებაზე. ისინი ცდილობენ განსაზღვრონ პროცესის ზრდის ტრაექტორია საშუალო ტრენდის მიხედვით. საქართველოში დღიური ინფიცირების ფაქტობრივი მაჩვენებლები დიდი ამპლიტუდით ირხეოდნენ საშუალოს ირგვლივ, რამაც გამოიწვია შეცდომის (RMSE) შედარებით მაღალი მნიშვნელობა, თუმცა მნიშვნელოვანი თარიღების პროგნოზირება დამაკმაყოფილებელი სიზუსტით გაკეთდა.

პოლინომიალური მოდელი ეპიდემიის ზოგადი ტრენდის გათვალისწინებით

კორონავირუსის გავრცელების პატერნი, რიგი გარემოებების გამო (პრეპარატის არარსებობა, ტემპერატურის მიმართ ვირუსის მედეგობა და სხვ.), განსხვავებული ქვეყნებისთვის ძირითადად მსგავსია. კერძოდ, პიკი მიიღწევა დაახლოებით 7-9 კვირაში და შემდეგ იწყება ინფიცირების ზრდის ტემპის შენელება. რადგან საქართველოში ვირუსი შედარებით გვიან გავრცელდა, ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, შესაძლებლად მივიჩნიეთ, სხვა ქვეყნებში ეპიდემიის გავცელების ტრენდი გამოგვეყენებინა პროგნოზირებისათვის. გარდა ამისა, უპრიანი იყო, რომ ქვეყნების კლასტერიზაცია მოგვეხდინა გარკვეული მახასიათებლის მიხედვით და საპროგნოზოდ გამოგვეყენებინა იმ ქვეყნების მონაცემები, რომლებიც საქართველოსთან ერთად მოხვდებოდნენ კლასტერში. დაჯგუფება განხორციელდა მედიოდების ირგვლივ დაყოფის (Filaire, 2018) ალგორითმის საშუალებით, შემდეგი მახასიათებლების მიხედვით: ორი თვის განმავლობაში ეპიდემიის ზრდის ტემპის საშუალო და მედიანა, მოსახლეობის რაოდენობა, ქვეყნის ფართობი, მოსახლეობის სიმჭიდროვე, მოსახლეობის რაოდენობა უდიდეს ქალაქში, სამამულო პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე, მოსალოდნელი სიცოცხლის ხანგრძლივობა, რეგიონი, ქვეყნის სტატუსი შემოსავლების მიხედვით.

საპროგნოზო მოდელის აგების პრინციპი შემდეგია: კლასტერინგით შერჩეული ქვეყნები დალაგდა ეპიდემიის „ასაკის" (პირველი ინფიცირებიდან გასული დღეები) მიხედვით. შემდეგ, თითოეული „ასაკისათვის" გამოითვალა ქვეყნების მიხედვით ეპიდემიის ზრდის ტემპის საშუალო და მედიანა. ყოველდღიური ინფიცირების რაოდენობა დარეგრესდა „ასაკის" მეორე რიგის პოლინომზე, მიღებულ საშუალოსა და მედიანაზე. მოდელი კარგად მოერგო მონაცემებს (*R2 = 0.98*) და მომავალი 47 დღის საპროგნოზო ჰორიზონტზე მოგვცა დამაკმაყოფილებელი სიზუსტის პროგნოზი (საშუალო აბსოლიტური შეცდომა, *MAE=7.9*). თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ მიერ შემოთავაზებული ცვლადები სტატისტიკურად არამნიშვნელოვანია და ნიშნებიც არალოგიკურია, რაც იმის დადასტურებაა, რომ საქართველოში ეპიდემიის გავრცელების ტრაექტორია სხვა ქვეყნებისგან ძლიერ განსხვავდება (მაგალითად, Ahmadi, Fadaei, & al., e. 2020). აღნიშნული მოდელი აიგო ორი თვის მონაცემებზე დაყრდნობით და, მიღებული შედეგების გამო, მისი გადათვლა ოთხი თვის მონაცემებზე აღარ განხორციელდა.

ნეირონული ქსელების მოდელი

უკანასკნელ პერიოდში ფართო სპექტრის ამოცანების გადაწყვეტაში აქტიურად გამოიყენება ხელოვნური ნეირონული ქსელების ალგორთმი (Alto, (2019). ხელოვნურ ნეირონულ ქსელებს გააჩნიათ თავის ტვინის ანალოგიური თვისებები, როგორიცაა დასწავლა გამოცდილების გათვალისწინებით, რომელიც დაფუძ-ნებულია ადრე მიღებულ ცოდნაზე, აბსტრაქტული დასკვნების გაკეთების უნარი, შეცდომებისა და საკუთარ შეცდომებზე დასწავლის უნარი (კახიანი, 2004). აპროქ-სიმირების უნივერსალური თეორიის მიხედვით კომპლექსური ნეირონული ქსელების მოდელებს შეუძლიათ საკმარისი სიზუსტით მიუახლოვდნენ ნებისმიერი სახის ფუნქციას (Lu & Lu, 2020). თუმცა ამისთვის საჭიროა დიდი რაოდენობის მონაცემები, რაც ჩვენს შემთხვევაში შეზღუდვას წარმოადგენს. მიუხედავად ამ შეზღუდვისა, რამდენიმე მკვლევარის (Tamang, & al., e. 2020) ანალოგიურად, ნეირონული ქსელების გამოყენებით ჩვენც განვა-

ხორციელეთ პროგნოზირება. ზემოთ განხილული სხვა მოდელებისგან განსხვავებით, ამ შემთხვევაში ფოკუსირება გავაკეთეთ დღიური ინფიცირების სწორ პროგნოზზე, მოკლე ჰორიზონტზე (10 დღის ხანგრძლივობით). მოდელირებისათვის შეირჩა მოკლევადიანი მახსოვრობის გრძელი მოდელი (LSTM) (Srivastava,2017). აღნიშნული მოდელი კარგად უმკლავდება დროითი მწკრივის მონაცემების პროგნოზირებას და ფართოდ გამოიყენება აქციების ფასების თუ სხვა მსგავსი ამოცანების პროგნოზირებისთვის (Zou & Qu, 2020; Moghar, & Hamighe, 2020; 48-53). მოდელს შემდეგი არქიტექტურა ჰქონდა: საწვრთნელად გამოყენებულ იქნა 130 დღის მონაცემები, მოდელში შედიოდა 30 დღის მონაცემები და გამოდიოდა მომავალი 10 დღის პროგნოზი. სატესტოდ გამოვიყენეთ 27 ივნისიდან 27 ივლისამდე მონაცემები, რომლის საშუალებითაც განხორციელდა მომავალი 10 დღის პროგნოზი. აღნიშნულმა მოდელმა ყველაზე ზუსტი პროგნოზი მოგვცა (RMSE=5.66), თუმცა ეს სიზუსტე ნაწილობრივ განაპირობა მოკლე საპროგნოზო ჰორიზონტმა.


რეპროდუქციის რიცხვი

ეპიდემიის გავრცელების პროგნოზირებისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პარამეტრია რეპროდუქციის რიცხვი, რომლის საშუალებითაც შეგვიძლია განვსაზღვროთ ეპიდემიის ტრაექტორია (ზრდა/კლება) და მისი სიმწვავე. რეპროდუქციის რიცხვი გვიჩვენებს საშუალოდ რამდენ ადამიანს აინფიცირებს ერთი ინფიცირებული და აღინიშნება R_0-ით. თუ $R_0>1$ ეპიდემია ექსპონენციალურად იზრდება, $R_0<1$ – ეპიდემია კლებულობს, $R_0=1$ – ეპიდემიის ზრდა მუდმივია. განასხვავებენ ორი ტიპის რეპროდუქციის რიცხვს: 1) საბაზისო რეპოდუქციის რიცხვი, R_0, არ ითვალისწინებს გადადების ალბათობის ცვლილებას და მუდმივია ეპიდემიის მთლიანი სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში; 2) ეფექტური რეპროდუქციის რიცხვი, R_e, კი დროში ცვალებადია და უფრო კარგად ახასიათებს ეპიდემიის დინამიკას. რეპროდუქციის რიცხვის გამოსათვლელად საჭიროა ვირუსის სერიული ინტერვალის განაწილების ცოდნა (Baum, 2020; Du, Xu, & al., e. 2020). ვინაიდან არსებული მონაცემების პირობებში მისი შეფასების საშუალება არ გვქონდა, ვიხელმძღვანელეთ ჩინეთში ჰაროში ნიშიურასა და სხვ. (Nashiura & al., e. 2020) მიერ მიღებული პარამეტრებით: საშუალო – 4.7, სტანდარტული გადახრა – 2.22, რომელიც ახლოს არის ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის შეფასებასთან (Hamidouche, 2020).

კორონავირუსის R_0-ის შესაფასებლად მრავალი კვლევა ჩატარდა სხვადასხვა ქვეყანაში (Vaidyanathan, 2020; Soetewey, 2020; Ellis, 2020; Caicedo-Ochao & al., e. 2020; Zhuang, Zhao, & al., e. 2020 და სხვ.). შედეგების სპექტრი საკმაოდ ფართო და არაერთგვაროვანი იყო, რაც განაპირობა, ერთი მხრივ, კვლევის მეთოდების არაერთგვაროვნებამ, მეორე მხრივ, მონაცემების სტრუქტურაში არსებულმა განსხვავებამ. ჩვენ ოთხი თვის მონაცემების გამოყენებით, მაქსიმალური დასაჯერებლობის მეთოდით, შევაფასეთ საბაზისო რეპროდუქციის რიცხვის მნიშვნელობა. გამოვიყენეთ 1000 შერჩევის მქონე ბუთსთრეფ (bootstrap) სიმულაცია და მივიღეთ, რომ R_0-ის მნიშვნელობა საშუალოდ შეადგენდა 0.9874-ს. საბაზისო რეპროდუქციის რიცხვის ნაკლის გამო, იგივე მონაცემებით შევაფასეთ ეფექტური რეპროდუქციის რიცხვი ორკვირიანი ფანჯრით, რაც ნიშნავს, რომ R_e-ის ყოველი ახალი მნიშვნელობა გამოითვლება წინა 14 დღის მონაცემებზე დაყრდნობით. მიღებული შედეგი წარმოდგენილია დიაგრამა 2-ზე, საიდანაც ჩანს რომ ორი თვის შემდეგ R_e-ის მნიშვნელობა 1-ს ჩამოცდა, ანუ ეპიდემიამ კლება იწყო.

დიაგრამიდან ასევე ჩანს, რომ საბაზისო რეპროდუქციის რიცხვი დიდ ვარიაციას განიცდის. ეს განპირობებულია ყოველდღიური ინფიცირების რაოდენობის სიმცირით, რაც მცირე აბსოლუტური ცვლილების დროსაც იწვევს დიდ პროცენტულ ცვლილებებს და, შესაბამისად, იწვევს

დიაგრამა 2: ეფექტური რეპროდუქციის რიცხვი



წყარო: ავტორების გაანგარიშება

R_e-ის მნიშვნელოვან ვარიაციას. აღნიშნულის გამო, იგი საქართველოს შემთხვევაში ვერ გამოდგება ეპიდემიის ტრაექტორიის კარგ ინდიკატორად, განსხვავებით სხვა ქვეყნებისაგან, სადაც ინფიცირების აბსოლიტური მაჩვენებელი დიდია.

დასკვნა

კორონავირუსის გავრცელების პროგნოზირება საკმაოდ რთული ამოცანაა მონაცემთა შეზღუდულობისა თუ ვირუსის ბუნებიდან გამომდინარე, რაც არაერთი მკვლევარის მიერ აღინიშნა (Roda, & al., 2020). მიუხედავად ამისა, ჩვენ საკმაოდ წარმატებით შევძელით, გარკვეული სურათი შეგვექმნა ეპიდემიის გავრცელების მოსალოდნელ ტრენდზე, ტრაექტორიასა და მასშტაბებზე. მიღებული შედეგების მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ფენომენოლოგიურმა მოდელებმა (S ფორმის მრუდებმა), საკმაოდ კარგად გაართვეს თავი ზემოაღნიშნული მნიშვნელოვანი თარიღებისა და მასშტაბის პროგნოზირებას. მიღებული ციფრები საკმაოდ ახლოს იყო რეალურ შედეგებთან, თუ არ გავითვალისწინებთ იმპორტირებულ შემთხვევებს. გარდა ამისა, ეს მოდელები ხასიათდებოდნენ დროში მდგრადობით. დღიური ინფიცირების პროგნოზირებაში საუკეთესო შედეგი აჩვენა მანქანური სწავლების ალგორითმმა, LSTM-მა, თუმცა მოდელის სპეციფიკიდან გამომდინარე, პროგნოზი მხოლოდ ათდღიან მონაკვეთზე იქნა განხორციელებული და შესაბამისად, მისი შედეგის შედარება სხვა მოდელებთან რელევანტური არ იქნება. უფრო ხანგრძლივ პერიოდზე დამაკმაყოფილებელი შედეგი იქნა მიღებული ჩვენს მიერ შემოთავაზებული პოლინომიალური მოდელის საშუალებით.

სახელმწიფოს მიერ გატარებული პრევენციული ღონისძიებების შესაფასებლად გამოყენებულ იქნა SIR მოდელი და გაფართოებული SIR მოდელი. პირველ მოდელში პროგნოზი განხორციელდა სახელმწიფოს მიერ ჩარევების გაუთვალისწინებლად, ხოლო გაფართოებულ SIR მოდელში ჩართული იყო შეკავების ღონისძიებების ეფექტი. ოთხი თვის მონაცემებზე აგებულმა მოდელმა აჩვენა, რომ შეკავების ღონისძიებების გარეშე ინფიცირებულთა რაოდენობა მილიონს მიაღწევდა, ხოლო გატარებული ღონისძიებების შედეგად ინფიცირებულთა რაოდენობა რამდენიმე ათასამდე შემცირდა. შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მთავრობის რეაქცია შედეგიანი აღმოჩნდა. გარდა ამისა, ESIR მოდელით ერთმანეთს შევადარეთ გატარებული ღონისძიებების ეფექტიანობა. როგორც აღმოჩნდა, ეპიდემიასთან ბრძოლის საუკეთესო გზა არის შეკავების ღონისძიებების ნელი და უწყვეტი გამკაცრება. მყისიერი და მკაცრი ქმედებები იწვევენ საზოგადოების გაღიზიანებასა და შესაძლოა მიგვიყვანოს საპირისპირო შედეგამდე.

ლიტერატურა/REFERENCES

Ahmadi, A., Fadaei, Y., & al., e. (2020). Modeling and Forecasting Trend of COVID-19 Epidemic in Iran until May 13, 2020. *Medical Journal of the Islamic Republic of Iran*. 2020, 34:27. Available at: https://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC7320984/

Alto, V. (2019). *Neural Networks: parameters, hyperparameters and optimization strategies.* Available at: https://towardsdatascience.com/neural-networks-parameters-hyperparameters-and-optimization-strategies-3f0842fac0a5

Baum, S. (2020). *Serial Interval of COVID-19.* Available at: https://www.jwatch.org/na51171/2020/03/27/serial-interval-covid-19

Caicedo-Ochao, Y., & al., e. (2020). Effective Reproductive Number estimation for initial stage of COVID-19 pandemic in Latin American Count. *International Journal of Infectious Diseases 95* (2020). 316-318.

Chen, Y.-C., Lu, P.-E., & al., e. (2020). *A Time-dependent SIR model for COVID-19 with Undetectable Infected Persons.* Available at: https://www.researchgate.net/publication/339642417_

Du, Z., Xu, X., & al., e. (2020). serial Interval of COVID-19 among Publicly Reported Confirmed Cases. *Emerg Infect Dis.* 2020;26(6):1341-1343. doi:10.3201/eid2606.200357

Ellis, P. (2020). *Test positivity rates and actual incidence and growth of diseases.* Available at: http://freerangestats.info/blog/2020/05/09/covid-population-incidence.

Filaire, T. (2018). *Clustering on mixed type data.* Available at: https://towardsdatascience.com/clustering-on-mixed-type-data-8bbd0a2569c3

Goshu, A.T. and Koya, P.R. (2013) Derivation of Inflection Points of Nonlinear Regression Curves—Implications to Statistics. *American Journal of Theoretical and Applied Statistics,* 2, 268-272. Available at: http://dx.doi.org/10.11648/j.ajtas.20130206.25

Hamidouche, M. (2020). *COVID-19 outbreak in Algeria: A mathematical Model to predict cumulative cases.* Available at: https://www.medrxiv.org/content/10.1101/2020.03.20.20039891v2

Hamzah, F. A., Lau, C. H., & al., e. (2020). *CoronaTracker: World-wide COVID-19 Outbreak Data Analysis and Prediction.* Available at: https://www.who.int/bulletin/online_first/20-255695.pdf

Harko, T., & al., e. (2014). Exact analytical solutions of the Susceptible-Infected-Recovered (SIR) epidemic model and of the SIR

model with equal death and birth rates. *Applied Mathematics and Computation* 236(2014):184-194.

Hsieh, Y.-H. (2009). Richards Model: A Simple Procedure for Real-time Prediction of Outbreak Severity. I*n Modeling and dynamics of infectious diseases,* pages 216–236. World Scientific.

Kakhiani, G. (2004). *Creating adaptive forecasting algorithms using artificial neural networks. (Prognozirebis adapturi algoritmebis sheqmna khelovnuri qselebis gamoyenebit).* (In Georgian). Available at: https://www.google.com/search?source=univ&tbm=isch&q=

Lu, J., & Lu, Y. (2020). *A Universal Approximation Theorem of Deep Neural Networks for Expressing Distributions.* Available at: https://arxiv.org/pdf/2004.08867.pdf

Masjedi, H., Rabajante, J., & al., e. (2020). *Nowcasting and Forecasting the Spread of COVID-19 in Iran.* Available at: file:///C:/Users/PC-USER/Downloads/Nowcasting_and_Forecasting_the_Spread_of_COVID-19_.pdf

Mazurek, J., & Nenickova, Z. (2020). *Predicting the number of total COVID-19 cases and deaths in the USA by the Gompertz curve.* Available at: https://www.researchgate.net/publication/341132093

Moghar, A., & Hamiche, M. (2020). *Stock Market Prediction Using LSTM Recurrent Neural Network.* Available at: https://www.researchgate.net/publication/340636297_

Nashiura, H., & al., e. (2020). Serial interval of novel coronavirus (COVID-19) infections. *International Journal of Infectious Diseases* 93(2020) 284-286.

Osthus, D., Hickmann, K., & al., e. (2017). *Forecasting seasonal influenza with a state-space SIR model.* Available at: https://projecteuclid.org/download/pdfview_1/euclid.aoas/1491616878

Rahman, M., Ahmed, A., & al., e. (2020). *Impact of control strategies on COVID-19 pandemic and the SIR model based forecasting in Bangladesh.* Available at: https://www.researchgate.net/publication/340879877_

Roda W., et al., (2020). Why is it difficult to accurately predict the COVID-19 epidemic? *Infectious Disease Modelling* 5 (2020), 271-281

Round Table “Coronomics”, (2020). (In Georgian). *Economics and Business*, (2020), 2. Available at: http://eb.tsu.ge/?leng=ge&cat=nom

Smith, D., & Moore, L. (2004). *The SIR Model for Spread of Disease - The Differential Equation Model.* Available at: https://www.maa.org/press/periodicals/loci/joma/the-sir-model-for-spread-of-disease-the-differential-equation-model

Soetewey, A. (2020, March). *COVID-19 in Belgium.* Available at: https://www.statsandr.com/blog/covid-19-in-belgium/

Srivastava, P. (2017). *Essentials of Deep Learning : Introduction to Long Short Term Memory.* Available at: https://www.analyticsvidhya.com/blog/2017/12/fundamentals-of-deep-learning-introduction-to-lstm/

Tamang, M., & al., e. (2020). A Machine-Learning-Based Approach to Predict the Health Impacts of Commuting in Large Cities: Case Study of London, *Symmetry 2020*, 12, 866; doi:10.3390/sym12050866

Tiwari, S., Kumar, S., & al., e. (2020). *Outbreak Trends of Coronavirus Disease–2019 in India: A predicion. Disaster Med Public Health Prep.* 2020 Apr 22: 1–6. Published online 2020 Apr 22. doi: 10.1017/dmp.2020.115. Available at: https://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC7211803/

Tjorve K., Tjorve E. (2017) The use of Gompertz models in growth analyses, and new Gompertz-model approach: An addition to the Unified-Richards family. *PLoS ONE* 12(6): e0178691. Available at: https://doi.org/10.1371/journal.pone.

Tsoularis, A., & Wallace, J. (2002). Analysis of Logistic Growth Models. *Matematical Biosciences*, 179, 1. July-August, 21-55

Vaidyanathan, R. (2020). *Estimating COVID-19's Rt in Real-Time (Replicating in R)*.Available at: https://www.datacamp.com/community/tutorials/replicating-in-r-covid19

Wang, L., Zhou, Y., & al., e. (2020). *An epidemiological forecast model and software assessing interventions on COVID-19 epidemic in China.* Available at: https://www.medrxiv.org/content/10.1101/2020.02.29.20029421v1.full.pdf+html Wilding, T. (2020). Epidemic modelling of COVID-19 in the UK using a SIR model. Available at: https://tjwilding.wordpress.com/2020/03/20/

Wu, K., Darcet, D., & al., e. (2020). *Generalized logistic growth modeling of the COVID-19 outbreak in 29 provinces in China and in the rest of the world.* Available at:
https://www.medrxiv.org/content/10.1101/2020.03.11.20034363v1

Zhuang, Z., Zhao, S., & al., e. (2020). Preliminary estimates of the reproduction number of the coronavirus disease (COVID-19) outbreak in Republic of Korea and Italy by 5 March 2020. *International Journal of Infectious Diseases*. 95, (2020), 308–310.

Zou, Z., & Qu, Z. (2020, January). *Using LSTM in Stock prediction and Quantitative Trading.* Available at: http://cs230.stanford.edu/projects_winter_2020/reports/32066186.pdf

https://www.kaggle.com/pablocastilla/predict-stock-prices-with-lstm

https://analyticsindiamag.com/hands-on-guide-to-lstm-recurrent-neural-network-for-stock-market-prediction/

https://medium.com/towards-artificial-intelligence/google-stock-predictions-using-an-lstm-neural-network-dbe785949a96

https://github.com/CSSEGISandData/COVID-19/tree/master/csse_covid_19_data/csse_covid_19_time_series

JEL Classification: M11, Q4 https://doi.org/10.35945/gb.2020.10.006

CORONOMICS AND SOCIOECONOMIC ASPECTS OF THE ENERGY SECTOR

DAVIT NARMANIA
Doctor of Economics, Professor,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia
davit.narmania@tsu.ge

Abstract. The worldwide pandemics of COVID-19 has influenced all sectors of the economy. Energy sector as one of the branches of the economy has been affected as well. Suspension of a number of enterprises and institutions, switching staff to the remote working mode and other restrictions for the purpose of preventing risks stemming from the pandemics reduces overall **energy consumption**. On the other hand, staying at home significantly increases household energy consumption. However, the reduction of the energy consumption due to the stop/less active operation of the enterprises and institutions usually exceeds the amount of increased household consumption. Subsequently, amount of the energy to be distributed is reduced.

Another important factor is the **price of energy**. Energy price in Georgia is mainly determined according to the exchange rate of the national currency in relation to US Dollar. Pandemics and decrease of economic activities have caused dramatic drop of Georgian Lari rate. This has increased price of both – imported energy (electricity and natural gas) and electricity to be purchased from the local hydro power plants on the basis of the power purchase agreements so called PPAs (where the purchase price of the electricity is indicated in US Cents).

During the pandemics the **solvency** of enterprises/organizations and the population is also quite important. Restrictions related to pandemics have reduced revenues of business sector as well as of the population. Many enterprises and institutions (e.g. hotels, restaurants, cafes, beauty parlors etc.) have completely stopped. Hereby, a lot of employees have lost their jobs and the income or the remuneration for some people has decreased due to pandemics. Therefore, many subscribers have faced problem of paying bills and applied companies as well as the regulatory commission and the State with request to defer their debts. Envisaging social background, the decision of the Government of Georgia to subsidize utility services of the natural persons definitely bears quite progressive character. The Government of Georgia has spent more than 170 million GEL within 3 months for those subscribers whose monthly electricity consumption doesn't exceed 200 kW and natural gas consumption doesn't exceed 200 cubic meters. For such consumers the Government has also subsidized water and cleaning service fees.

This article analysis abovementioned and other socioeconomic aspects of the energy sector that have become relevant due to COVID-19.

KEYWORDS: CORONOMICS; ENERGY; CONSUMPTION; UTILITY SUBSIDIES.

For citation: Narmania, D., (2020). Coronomics and Socioeconomic Aspects of the Energy Sector. *Globalization and Business, 10.* 58-62. https://doi.org/10.35945/gb.2020.10.006

JEL Classification: M11, Q4 https://doi.org/10.35945/gb.2020.10.006

კორონომიკა და ენერგეტიკის სექტორის სოციალ-ეკონომიკური ასპექტები

დავით ნარმანია
ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
davit.narmania@tsu.ge

საკვანძო სიტყვები: კორონომიკა; ენერგეტიკა; მოხმარება; კომუნალური სუბსიდია.

ციტირებისთვის: ნარმანია დ. (2020). კორონომიკა და ენერგეტიკის სექტორის სოციალ-ეკონომიკური ასპექტები. *გლობალიზაცია და ბიზნესი, №10,* გვ. 58-62. https://doi.org/10.35945/gb.2020.10.006

კორონომიკა და ენერგიის მოხმარება

მსოფლიოში გასული წლის ბოლოდან სწრაფად გავრცელებადმა პანდემიამ Covid-19 მოსახლეობის ჯანმრთელობასთან ერთად მნიშვნელოვანი საფრთხე შეუქმნა მსოფლიო ეკონომიკას. პანდემიურ ფონზე, ვარდნის პარალელურად, მსოფლიო ეკონომიკამ მნიშვნელოვანი სტრუქტურული ტრანსფორმაციაც განიცადა: მთელი რიგი სექტორების პროდუქციაზე და მომსახურებაზე შემცირდა მოთხოვნა (მაგ. ტურიზმი, სასტუმროები, ავიაცია, ნავთობმოპოვება და სხვა), ხოლო რიგ სექტორებში – გაიზარდა კიდეც (მაგ. მედიკამენტები, ჰიგიენური საშუალებები და სხვა). ეკონომიკაში პრაქტიკულად ახალი მიმართულება გაჩნდა, რომელსაც ზოგიერთი ეკონომისტი **კორონომიკის** სახელითაც მოიხსენიებს (Papava, Charaia, 2020:4), რაც ორი ტერმინის – „კორონა" და „ეკონომიკა" შერწყმის შედეგად იქნა მიღებული. სხვანაირად ეს არის კორონავირუსის ეკონომიკაზე გავლენის შესწავლა (Ikechukwu, Tochukwu, 2020:2). ერთ-ერთმა ცნობილმა გერმანელმა ეკონომისტმა დანიელ შტელტერმა შპიგელის ბესტსელერში გერმანულ ენაზე საკმაოდ მოცულობითი წიგნიც კი გამოსცა სახელწოდებით: Coronomics/Nach dem Corona-Schock: Neustart aus der Krise (კორონომიქსი/კორონა-შოკის შემდგომ: კრიზისის ხელახალი დასაწყისი) (Coronomics, 2020). პანდემიის გაკვეთილებიდან გამომდინარე, პოსტპანდემიურ პერიოდში მოსალოდნელია „ციფრული ეკონომიკისა" და „ციფრული სერვისის ეკონომიკის" ზრდა, მთელი რიგი სამომხმარებლო საქონლის ელექტრონული ვაჭრობის ჩათვლით (Aptsiauri, 2020:12).

მსოფლიოში გავრცელებული პანდემია Covid-19 ეკონომიკის ყველა სექტორზე ახდენს გავლენას: უმეტესობაზე ნეგატიურს, თუმცა არის ცალკეული პოზიტიური გავლენაც. ამ თვალსაზრისით გამონაკლისი არც ენერგეტიკის სექტორია. ენერგეტიკის სექტორში Covid-ანალიზი ამ კუთხით სამ ნაწილად შეიძლება დაიყოს:

- ენერგეტიკული ობიექტების მშენებლობა (სხვანაირად ინვესტიცია ენერგეტიკაში);
- ენერგიის მოხმარება (სხვანაირად ენერგიაზე მოთხოვნა);
- ენერგეტიკული უსაფრთხოება (სხვანაირად ხარისხიანი და სტაბილური მიწოდება).

ეკონომიკაში არსებული ნებისმიერი გაურკვევლობა (განუსაზღვრელობა) ინვესტორთა აქტიური რეჟიმიდან პასიურ (მოლოდინის) რეჟიმში გადასვლას იწვევს. არც ერთ ინვესტორს არ სურს ფულის ჩადება გაურკვევლობის პირობებში, როცა არ იცის მოსალოდნელი ვითარება და შესაბამისად ჩადებული ინვესტიციის უკუგება (IRR). ჯერ კიდევ კორონავირუსის გავრცელების საწყის სტადიაზევე ნავარაუდევი იყო, რომ საინვესტიციო პროექტების წარმოება (როგორც დიდ ენერგეტიკულ ინფრასტრუქტურაში, ასევე ენერგოეფექტურობასა და განახლებადი ენერგიის პროექტებში) შეიძლება შეფერხდეს მიწოდების ჯაჭვის შეფერხებების გამო, ვინაიდან კლიენტებს შემოსავლების დაკარგვის გამო არ შეეძლებათ სესხის დაფარვა. ამ თვალსაზრისით ყველაზე დაუცველია მცირე და საშუალო ბიზნესი, ასევე საოჯახო მეურნეობების მიერ განხორციელებული პროექტები, ძირითადად ენერგოეფექტურობასა და მცირე განახლებადი ენერგიის ნაწილში (Energy Community, 2020:1).

ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს (IEA) მონაცემებით, 2020 წლის პირველ კვარტალში გლობალურად ელექტროენერიაზე მოთხოვნა 2,5%-ით შემცირდა, ხოლო მათი პროგნოზით, წლის ბოლოსთვის ეს მაჩვენებელი 5%-ს მიაღწევს. ამავე ორგანიზაციის მიერ, გაზის სექტორშიც ასევე მოხმარების 4%-იანი შემცირებაა ნავარაუდევი. მიმდინარე

წლის მარტსა და აპრილში, IFC-მ დაფიქსირდა მოთხოვნის 15%-ით შემცირებაც კი ბევრ ქვეყანაში, სადაც ის საქმიანობს (The Impact of Covid-19, 2020:2).

ამ თვალსაზრისით გამონაკლისი არც საქართველოა. კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით, საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების საფუძველზე, ენერგეტიკულმა კომპანიებმა გარკვეული პერიოდით შეაჩერეს ან შეზღუდეს დაგეგმილი სამუშაოების განხორციელება თითქმის ყველა მიმართულებით, რაც აისახა კიდეც მათ საინვესტიციო აქტიობაზე (Narmania, 2020:44). თუმცა, შემცირებული მოთხოვნის პირობებში, სემეკის შესაბამისი მითითებების საფუძველზე მაინც შეუფერხებლად ახდენენ ენერგიის ხარისხიან და სტაბილურ მიწოდებას.

პანდემიით გამოწვეული რისკების პრევენციის მიზნით, მთელი რიგი საწარმოების და ორგანიზაციების გაჩერებამ, პერსონალის დისტანციური მუშაობის რეჟიმზე გადაყვანამ და სხვა შეზღუდვებმა შეამცირა ენერგიის მოხმარება. მეორე მხრივ, მთავრობის მოწოდების საფუძველზე მოქალაქეთა სახლში დარჩენამ მნიშვნელოვნად გაზარდა საოჯახო მეურნეობათა მიერ ენერგიის მოხმარება. თუმცა, საწარმოების და ორგანიზაციების გაჩერებით/დაბალი აქტივობებით გამოწვეული შემცირება მეტია, ვიდრე საოჯახო მეურნეობათა მიერ გაზრდილი მოხმარების მოცულობა. შესაბამისად, მცირდება გასანაწილებელი ენერგიის მოცულობა. 2020 წლის აპრილი-ივლისის თვეებში საყოფაცხოვრებო და არასაყოფაცხოვრებო სექტორში მოხმარებული ელექტროენერგიის მოცულობა 5-7%-ით ჩამორჩება წინა წლების ანალოგიური თვეების მოცულობას (იხ. ცხრილი 1). გასანაწილებელი ელექტროენერგიის მოცულობის შემცირება სამომხმარებლო ტარიფზე ზეწოლის ერთ-ერთი საფუძველია.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ ელექტროენერგიასთან ერთად შემცირდა ბუნებრივ აირზე მოთხოვნაც. აქაც მოთხოვნის შემცირების ძირითადი ფაქტორი არასაყოფაცხოვრებო სექტორში მოხმარების მნიშვნელოვანი შემცირება იყო. საოჯახო მეურნეობების მიერ (საყოფაცხოვრებო სექტორი) მოხმარება გაიზარდა კიდეც 1.5%-ით, ვინაიდან მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა მთავრობის რეკომენდაციების საფუძველზე სახლში რჩებოდა.

ენერგიის ფასები კორონომიკის ჭრილში

ვირუსით გამოწვეულმა ენერგიაზე მოთხოვნის შემცირებამ, გარკვეული გავლენა მოახდინა ენერგიის ფასებზე. მაგალითად, მნიშვნელოვნად შემცირდა საერთაშორისო ბაზრებზე ბუნებრივი აირის (CNG) და გათხევადებული გაზის (LPG) ფასი. გაზის შედარებით დაბალი ფასები ამ ეტაპზე ხელს უწყობს გაზზე მომუშავე ელექტროენერგიის წარმოებას (თბოსადგურები), იყოს სხვა წყაროებზე შედარებით მიმზიდველი (მაგ. ქვანახშირი) და მიაწოდოს ელექტროენერგია გამანაწილებელ კომპანიებს უფრო შეღავათიან ფასად (The impact of Covid-19,2020).

საქართველოში ენერგიის ფასებს, სხვა ფაქტორებთან ერთად, მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ეროვნული ვალუტის კურსი აშშ დოლართან მიმართებაში. პანდემიამ და შესაბამისად ეკონომიკური აქტივობის შემცირებამ ლარის კურსის მკვეთრი ვარდნა გამოიწვია, რამაც გააძვირა როგორც იმპორტირებული ენერგია (ელექტროენერგია და ბუნებრივი აირი), ასევე PPA (Power Purchase Agreement – სახელმწიფოს მიერ ენერგიის გარანტირებული შესყიდვის შეთანხმება) კონტრაქტების საფუძველზე ადგილობრივი ჰიდროსადგურებიდან შესასყიდი ელექტროენერგია (სადაც შესასყიდი ენერგიის ფასი ცენტებშია დაფიქსირებული). მაგალითად, თუ კორონავირუსის პირველი შემთხვევის აღმოჩენის დროს 1 აშშ დოლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი 2.79 ლარის ფარგლებში იყო (მაგ. 2020 წლის 1 მარტს), აგვისტოს ბოლოს ის 3.07 ლარი გახდა (National Bank of Georgia). შესაბამისად, 5 ცენტის ღირებულების იმპორტირებული ან ადგილობრივი სადგურებიდან PPA-ს საფუძველზე შეძენილი ენერგია (1 დოლარად 20 კილოვარის შეძენა) 2.79 ლარად იყო შესაძლებელი, დღეს კი 3.07 ლარი ღირს. შესაბამისად, 6 თვეში ასეთი წყაროებიდან მიღებული ენერგია 10%-ით გაძვირდა.

მდგომარეობას ოდნავ უშველა იმან, რომ ზაფხულის თვეებში ენგურჰესი და ვარდნილჰესების კასკადი, ასევე რამდენიმე მსხვილი ჰიდროელექტროსადგური შედარებით იაფ ელექტროენერგიას გამოიმუშავებს. ამდენად, მარტის თვესთან შედარებით, აპრილი-ივლისის თვეში საბალანსო

ცხრილი 1. ენერგიის მოხმარება საქართველოში (მლნ კვტ.სთ.)

2020	1 217.878	1 149.234	1 050.333	947.106	957.299	995.956	993.746
2019	1 148.418	1 148.418	1 142.304	1 018.839	1 117.984	1 117.984	1 164.845
2018	1 169.701	1 072.399	1 114.259	1 040.991	1 161.168	1 175.209	1 224.575
2017	1 097.590	1 029.722	1 024.652	938.983	1 061.721	1 101.854	1 208.246

წყარო: ესკო, https://esco.ge/ka/energobalansi/by-year-

ცხრილი 2. ესკო-ს მიერ გასაყიდი საბალანსო ელექტროენერგიის საშუალო შეწონილი ფასი (თეთრი, კვტ.სთ-ზე)

პერიოდი	2016	2017	2018	2019	2020
იანვარი	13.4270458	13.6486315	12.802977	13.5254479	14.5868671
თებერვალი	13.6103928	13.5322024	13.102101	13.6543756	13.8837893
მარტი	8.2133089	12.6371223	12.2154634	13.4438273	18.4660737
აპრილი	10.5698605	11.3560223	12.1184845	12.9927551	16.0888149
მაისი	10.2519912	9.4280967	13.2595499	7.3628251	13.2076731
ივნისი	10.6248766	12.1870003	12.6449173	7.2278252	13.1741005
ივლისი	9.3008829	11.9140872	8.8884730	13.6034633	15.0346724
აგვისტო	10.0003359	11.1646907	11.9046817	14.2842237	
სექტემბერი	10.1199242	11.7757291	11.6111821	14.8374457	
ოქტომბერი	11.0193625	13.7681373	14.0393031	14.6874306	
ნოემბერი	10.6789665	14.1366798	13.8013228	15.4506703	
დეკემბერი	11.2303984	12.6636783	14.0379822	14.729727	

წყარო: ესკო, https://esco.ge/electricity/balancing-electricity-price

ელექტროენერგიის საშუალო შეწონილი ფასი ნაკლები იყო. თუმცა, მიმდინარე წლის ფასები მნიშვნელოვნად აღემატება გასული წლის ანალოგიური თვეების ფასებს (იხ. ცხრილი 2) (ESKO).

მომხმარებელთა გადახდისუნარიანობა პანდემიის პირობებში

Covid-19-მა მთელი რიგი საწარმოების და ორგანიზაციების გაჩერება გამოიწვია, რაც სამუშაო ადგილების დაკარგვის საფუძველი გახდა. ამან კი მომხმარებელთა გადახდისუნარიანობაზე იმოქმედა და ბევრ მათგანს კომუნალური გადასახადების გადახდის პრობლემა შეექმნა. მომხმარებელთა გადახდისუნარიანობის პრობლემა შესაძლოა ჯაჭვური რეაქციით გადაედოს სექტორში მოთამაშე სხვა სუბიექტებს, თუ სათანადო ზომები არ იქნა მიღებული.

როგორც წესი, გამანაწილებელი კომპანიები, მარეგულირებელი კომისიის მიერ დადგენილი ტარიფებით ახდენენ ელექტროენერგიის და გაზის მომხმარებლებისთვის მიწოდებას. მარეგულირებლის მიერვე განსაზღვრული კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულება (WACC - Weighted Average Cost of Capital). ის იგივეა, რაც რეგულირებადი აქტივების ბაზაზე ამონაგების ნორმა, რომელიც იანგარიშება გადასახადებამდე, კომისიის მიერ დადგენილი კაპიტალის (საკუთარი და მოზიდული) სტრუქტურის მიხედვით (Semek):

კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულება (WACC) გადასახადებამდე, ყოველი რეგულირების პერიოდისათვის იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$WACC_{გადასახადებამდე} = g \times r_d + \frac{(1-g) \times r_e}{(1-T)}$$

სადაც:

WACC *გადასახადებამდე* — კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულება გადასახადებამდე (%);

G — სესხის წილი (%);


r_d — სესხის ღირებულება (%);

r_e — საკუთარი კაპიტალის ღირებულება (%);

T — მოგების გადასახადი (%).

სწორედ აღნიშნული ფორმულა უზრუნველყოფს იმას, რომ არ გაკოტრდეს გამანაწილებელი კომპანია და მიიღოს კიდეც გონივრული მოგება. მაგრამ თუ მომხმარებელთა ნაწილი ვერ ახერხებს მოხმარებული ენერგიის თანხის გადახდას, მაშინ შესაძლოა დაიწყოს სერიოზული ჯაჭვური პრობლემები ენერგეტიკის სექტორში. აქ კი უმნიშვნელოვანესია მთავრობის როლი, რომ დაეხმაროს მოწყვლად მომხმარებლებს და შეეხიდოს მათ კომუნალური გადასახდელების გადახდაში.

სქემა 1. გადახდისუნარიანობის პრობლემის ჯაჭვი



პანდემიით გამოწვეულმა შეზღუდვებმა შეამცირა როგორც ბიზნესის, ასევე მოსახლეობის შემოსავლები. ბევრი საწარმო და ორგანიზაცია მთლიანად გაჩერდა (სასტუმროები, რესტორნები, კაფეები, სალონები და ა.შ.), ასევე ბევრმა დასაქმებულმა დაკარგა სამუშაო და შესაბამისად შემოსავალი ან მუშაობდა შეზღუდული რეჟიმის პირობებში ნაკლები ანაზღაურებით. შესაბამისად, ბევრ აბონენტს შეექმნა გადახდის პრობლემა. მთავრობის მიერ სოციალური ფონის გათვალისწინებით მიღებული გადაწყვეტილება, ფიზიკური პირებისთვის კომუნალური გადასახადების დაფარვის შესახებ უდავოდ პროგრესული ხასიათისაა (Resolution of the Government of Georgia 220, 2020). ჯამში 3 თვის განმავლობაში (2020 წლის მარტი–მაისი) ხელისუფლებამ სახელმწიფო ბიუჯეტიდან 170 მილიონ ლარზე მეტი თანხა დახარჯა იმ აბონენტებისთვის, რომელთა თვიური მოხმარება ელექტროენერგიის ნაწილში არ აღემატება 200 კილოვატს და ბუნებრივი აირის ნაწილში 200 კუბურ მეტრს. ასეთი აბონენტებისთვის მთავრობის მიერ დაფარული იქნა ასევე მოხმარებული წყლის და დასუფთავების გადასახდელები. ამით მთავრობამ ერთი მხრივ, დაიცვა მოწყვლადი მომხმარებლები და მეორე მხრივ, გარანტირებული შემოსავლებით უზრუნველყო ელექტროენერგიის, გაზის და წყლის გამანაწილებელი კომპანიები, რათა მათ არ შექმნოდათ ფინანსური პრობლემები და არ გავრცელებულიყო ეს ჯაჭვური რეაქციით სექტორის სხვა მოთამაშეებზე.

მოსახლეობის კომუნალური გადასახადების გადახდის ამგვარი სტიმულირება დაგეგმილია მიმდინარე წლის ნოემბრიდან, მთელი ზამთრის განმავლობაში.

შეჯამება და პერსპექტივები

ვირუსის შემცირება პირდაპირაა დამოკიდებული ვაქცინის გამოგონებაზე. ამ უკანასკნელზე კი დამოკიდებულია შენელებული ეკონომიკური აქტივობების გამოცოცხლება და ეკონომიკის აღდგენის ღონისძიებების ინტენსიფიკაცია. ენერგეტიკის სექტორის აღდგენა–განვითარება თავის მხრივ პირდაპირ არის დაკავშირებული ეკონომიკის აღდგენაზე. ეკონომიკური ზრდის კვალობაზე გაიზრდება ენერგიაზე მოთხოვნაც, რისთვისაც ენერგეტიკულ სექტორს შესაბამისი მზაობა უნდა ჰქონდეს.

თავის მხრივ, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოების მხარდაჭერა სახელმწიფოს მიერ (სუბსიდირება, გადასახადების გადავადება და სხვა) ამ სექტორის კომპანიებს ფინანსურად მალევე გააჯანსაღებს.

მთავრობის მიერ მოწყვლადი მომხრებლების დაცვა და მათთვის კომუნალური გადასახდელების გადახდა მნიშვნელოვანია როგორც სოციალური პოლიტიკის თვალსაზრისით, ასევე გამანაწილებელი კომპანიების ფინანსური სტაბილურობისთვის.

ლიტერატურა/REFERENCES

Aptsiauri, D., (2020). Current Trends in the Development of Modern International Economic Relations and the Post-Crisis Challenges of the Pandemic (COVID-19), *Georgian Strategy and International Relations Research Foundation*, # 139. (In Georgian)

Narmania, D., (2020). COVID-19, Energy and Investment, Journal. *Forbes*, April 2020. (In Georgian)

Papava, V., & Charaia, V., (2020). *The Economic Crisis and Some Challenges of the Georgian Economy, Georgian Strategy and International Relations Research Foundation*, # 136. (In Georgian)

Resolution # 220 of the Government of Georgia of April 3, 2020 «On Approval of the Rules and Conditions for Subsidizing Utility Taxes», (In Georgian).

General Recommendations for New Coronavirus (SARS-CoV-2) Infection (COVID-19) for Electricity Supply, Water Collection / Treatment / Distribution and Waste Management, Annex # 10, IDPs from the Occupied Territories, Labor, Health and Social Welfare of Georgia Ministry, 2020. (In Georgian)

2019 Report of the Georgian National Energy and Water Regulatory Commission. (In Georgian) www.gnerc.org

Commercial energy system operator, (In Georgian) www.esco.ge

De, A., (2020). The energy sector post COVID-19: refueling the recovery, *KPMG*, June 2020.

Ikechukwu, E., & Tochukwu, V. (2020). *Coronomics and global economy: A purview of the impact of Coronavirus on the global economy*, (2020).

Ghiani, E., Galici, M., Mureddu, M., & Pilo, F., (2020). Impact on Electricity Consumption and Market Pricing of Energy and Ancillary Services during Pandemic of COVID-19 in Italy, *Energies 2020,* 13, 3357.

Energy investments and financing during and post COVID-19 crisis, *Energy Community*, April 2020.

IAEE Energy Forum, Special COVID-19 Edition, Third Quarter 2020, ISSN 1944-3188.

The impact of COVID-19 on Energy Market Stability, IEF Insight Brief, April 2020.

The impact of COVID-19 on the Power Sector, IFC, June 2020.

JEL Classification: A10; C19 https://doi.org/10.35945/gb.2020.10.007

FORMATION OF THE SYSTEM OF CORONASTATISTICS INDICATORS

SIMON GELASHVILI

Doctor of Economic Sciences, Professor,

Academician of Georgia Economic Sciences Academy

Ivane Javakhishvili Tbilisi State

University, Georgia

simon.gelashvili@tsu.ge

Abstract. The paper discusses Coronastatistics as a content of complex cognition, which is characterized by many aspects; it reflects not only the health care issues of the population, but also the issues of the economy: A system of their characteristic statistical indicators and its constituent blocks is proposed. Each of them gives a fairly wide range of both general and specific indicators. It is clear that health statistics indicators are particularly widespread, quantitatively characterizing the total number of Coronavirus-infected populations as well as their distribution by area, source of disease, sex, age, and other signs.

The economic bloc presents statistical indicators, that characterize the impact of COVID-19 on the economic and business sectors and the consequences of its impact in the short, as well as medium and long term. Both, macro and microeconomic statistical measures are provided, as well as indicators for determining the size and range of reactions of small, medium and large businesses.

The COVID-19 pandemic has more or less spread to almost every country, and it has had a significant unintended negative impact on all areas of public life, especially the economy and human social life. This impact is multifaceted and requires complex quantitative and qualitative research. Appropriate methodoland methodology, including statistics, are necessary for such research.

Coronastatistics has a broad, complex content and includes not only quantitative indicators of the spread of the Coronavirus, but also the consequences of its impact on human health and social life, as well as economic, environmental, demographic, business and other areas. The system of Coronastatistics consists of many subsystems, or blocks. First of all, the groups of general and special indicators should be distinguished, which are created according to each field. The grouping is based on various essential traits such as field, area, demographic (biological) characteristics and many more. The calculated indicators will be represented as absolute and relative, as well as average, in the form of variation and indices. In addition, appropriate time series and correlation analysis indices should be used to quantify the impact of the COVID-19 pandemic.

For the first time in world history, the main cause of the current local, regional or global economic crisis is not directly in the economy or its management, but due to the impact of another, very strong exogenous factor - the COVID-19 pandemic. In such conditions, the need to expand the functions of the government is on the agenda. The state also takes the risk in managing the national economy, but it is somewhat different (Papava V., 2020: 138).

It should also be noted that it is very difficult to accurately quantify the impact of the COVID-19 pandemic on the economy and business, both globally and locally (depending on the country), in the short or medium term. This begs the question: should economic and business change forecasts be calculated? The correct answer is: Of course, such predictions are needed. But they must be reliable enough. "In economics and business, forecasting serves as a compass that shows you where to go." (Gelashvili, S., 2019: 13). Therefore, in this case, it is more appropriate to calculate the interval statistical forecasts on the principle of collaborative forecasting, especially in the field of business, through which it is possible to carry out an operational response to specific market processes (Gelashvili, S., 2017: 259).

The article presents the systems of coronastatics indicators developed by the author in the fields of economics and healthcare, which allows for a complex quantitative analysis and the development of appropriate recommendations.

During the COVID-19 pandemic, the managerial and preventive functions of the statistics were particularly evident. Without complete and reliable information and proper indicators, it is impossible to make sound and optimal decisions at all hierarchical levels and under any conditions, including pandemics or normal living conditions.

The complex system of Coronastatistics indicators, proposed by the author, allows typological, structural and analytical grouping of data on COVID-19, which is an important condition for conducting relevant qualitative and quantitative analysis.

KEYWORDS: CORONASTATISTICS, COMPLEX SYSTEM OF INDICATORS, GENERAL INDICATORS, SPECIFIC INDICATORS, GROUPING.

For citation: Gelashvili, S., (2020). Formation of the System of Coronastatistics Indicators. *Globalization and Business, 10.* 63-69. (In Georgian) https://doi.org/10.35945/gb.2020.10.007

JEL Classification: M11, Q4 https://doi.org/10.35945/gb.2020.10.007

კორონასტატისტიკის მაჩვენებელთა სისტემის ფორმირების შესახებ

სიმონ გელაშვილი

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი, საქართველო
simon.gelashvili@tsu.ge

საკვანძო სიტყვები: კორონასტატისტიკა, მაჩვენებელთა კომპლექსური სისტემა, ზოგადი მაჩვენებლები, სპეციფიკური მაჩვენებლები, დაჯგუფება

ციტირებისთვის: ნარმანია დ. (2020). კორონომიკა და ენერგეტიკის სექტორის სოციალ-ეკონომიკური ასპექტები. *გლობალიზაცია და ბიზნესი, №10,* გვ. 63-69. https://doi.org/10.35945/gb.2020.10.007

შესავალი

2020 წლის დასაწყისიდან, COVID-19 პანდემიის გამო, ძირეულად შეიცვალა მსოფლიოს დღის წესრიგი და იგი შეეხო პრაქტიკულად ყველა ქვეყანას. გლობალური დღის წესრიგის ცვლილება მოხდა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში: პოლიტიკაში, ეკონომიკაში, ეკოლოგიაში, ჯანდაცვაში, სოციალურ ურთიერთობებში და ა. შ. კორონავირუსის პანდემიამ განსაკუთრებით ძლიერად „შეაზანზარა" ეკონომიკა ყველა შემადგენელი დარგითა და სექტორით. ქვეყნების აბსოლუტური უმეტესობა მოუმზადებელი შეხვდა პანდემიას და შედეგად, უკვე 2020 წლის პირველ ნახევარში მათ დიდი ეკონომიკური და სოციალური ზიანი მიიღეს. თუმცა, აქ ერთ პარადოქსზე უნდა აღვნიშნოთ: პანდემიის შედეგად ყველაზე უფრო ნაკლები ეკონომიკური და სოციალური ზარალი მიიღო იმ ქვეყანამ, საიდანაც კორონავირუსი მთელ მსოფლიოში გავრცელდა. გასაგებია, რომ აქ საუბარია ჩინეთზე, სადაც უკვე მიმდინარე წლის მე-2 კვარტალში ეკონომიკურმა ზრდამ 3,2 % შეადგინა. ასევე მცირეა ჩინეთის სოციალური და დემოგრაფიული ზარალი სტატისტიკურად, სადაც საშუალოდ ყოველ 10 000 მოსახლეზე ყველაზე ნაკლები გარდაცვალების ფაქტი დაფიქსირდა (თუმცა, ცალკე აღებული ყოველი კონკრეტული ადამიანის სიკვდილი ტრაგედიაა; სტატისტიკის შესწავლის საგანი კი არ არის კონკრეტული ფაქტი და მოვლენა, არამედ მათი დიდი ერთობლიობაა). ჩვენი ქვეყნის მოსახლეობისთვის სასიხარულოა და საამაყოა ასევე ის სიტუაცია, რომ მიმდინარე წლის 1 აგვისტოს მდგომარეობით, ევროპის ქვეყნებს შორის საქართველოს, კორონავირუსის შედეგად სიკვდილიანობის ყველაზე დაბალი დონე აქვს.

ჯერ კიდევ მწირია სხვადასხვა მიმართულების მეცნიერული კვლევები და პოსტპანდემიური პერიოდისათვის პროგნოზები. დღემდე COVID-19 პანდემიის ზემოქმედების მხოლოდ სამედიცინო და ჯანდაცვის ასპექტებია მეტ-ნაკლებად ცნობილი, მაგრამ გადაუდებელ კვლევას მოითხოვს მისი ხარისხობრივი და რაოდენობრივი გავლენა ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაზე, ეკოლოგიაზე, საერთაშორისო ურთიერთობებზე და ა. შ.

ჩვენი სტატიის მიზანია სტატისტიკურ მაჩვენებელთა ისეთი სისტემის ფორმირება, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნება კორონავირუსის პანდემიის კომპლექსური ანალიზი, შეფასება და ადეკვატური დასკვნებისა და რეკომენდაციების ჩამოყალიბება. აღნიშნული მიზნის მისაღწევად აუცილებელია შემდეგი ძირითადი ამოცანების გადაწყვეტა:

1. კორონავირუსის პანდემიის შესახებ საკმარისად სრული და სანდო სტატისტიკური მონაცემების შეგროვებისა და არქივირების უზრუნველყოფა;
2. კორონავირუსის პანდემიის შესახებ მონაცემების ანალიზური დაჯგუფება და ცხრილების შედგენა (დროის, ტერიტორიის, სქესის, ასაკის და სხვა ნიშნების მიხედვით);
3. დაჯგუფებული მონაცემების საფუძველზე შეფარდებითი, საშუალო, ვარიაციის და სხვა სტატისტიკური მაჩვენებლების გაანგარიშება;
4. გაანგარიშებული მაჩვენებლების მიხედვით სხვადასხვა ვადიანი პროგნოზების შემუშავება;
5. ჩატარებული ანალიზის შედეგად დასაბუთებული დასკვნებისა და რეკომენდაციების ფორმირება, რაც საფუძვლად დაედება ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღებას.

სტატისტიკური მაჩვენებელი არ არის აბსტრაქტული სიდიდე, არამედ მას კონკრეტული მატერიალური, ანუ რეალურად არსებული შინაარსი გააჩნია. სტატისტიკური მაჩვენებელი არის სოციალურ-ეკონომიკური, ანუ საზოგადოებრივი

მოვლენის რაოდენობრივი ზომა, რომელსაც გააჩნია თვისებრივი განსაზღვრულობა (Gabidzashvili, 2011: 82).

ძირითადი შინაარსი

ნათელია, რომ COVID-19 პანდემია გლობალური პროცესია და, ამასთან, ისტორიის არმქონე მოვლენაა, რომელიც მრავალასპექტიანია და კომპლექსურ ანალიზს მოითხოვს. ჯერ კიდევ მაღალია გაურკვევლობის (განუსაზღვრელობის) ხარისხი როგორც კონკრეტულ ქვეყნებში, ისე მთლიანად მსოფლიოში. განუსაზღვრელობის დონე განსაკუთრებით მაღალია ეკონომიკისა და ბიზნესის სფეროებში და ამ მიმართულებით რეალური პროგნოზების შემუშავება რთულია, მათ შორის ეკონომეტრიკული მოდელების გამოყენებითაც. კორონავირუსის პანდემიის ანალიზისა და ეკონომიკაზე ზემოქმედების საკითხებზე მსოფლიოში რამდენიმე მოდელი უკვე შემუშავდა (Eichenbaum, Rebelo and Trabandt, 2020), მათ შორის ერთ-ერთი საქართველოშიც, კორონავირუსის გავრცელების სიმულაციური მოდელი (Gelashvili, 2017). თუმცა, მათი ადეკვატურობის ხარისხი მაღალი არ არის, რადგან მრავალ თეორიულ დაშვებას ემყარება. ასე, მაგალითად, „ინფექციის გავრცელება მიმდინარეობს თანდათანობით და არ ხდება ერთბაშად დაავადებულთა რიცხვის ზრდა და ჰოსპიტალურ სექტორზე ზეწოლა“ და სხვ. (Gelashvili, 2020). მაგრამ თუ ეს დაშვებები დაირღვა, მაშინ შემოთავაზებული მოდელი არაადეკვატური და მიუღებელი იქნება.

ფაქტია, რომ ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის საქმიანობა კორონავირუსის პანდემიის საკითხში არაეფექტიანი აღმოჩნდა, რაზედაც არაერთხელ აღნიშნეს მრავალი ქვეყნის ხელმძღვანელმა პირებმა. ამასთან დაკავშირებით ცნობილია აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტის დონალდ ტრამპის პოზიცია, რომლის განკარგულებითაც აშშ დროებით აღარ უხდის საწევრო შენატანს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციას. თეთრ სახლში გამართულ პრესკონფერენციაზე ტრამპმა განაცხადა: „რეალობა ისაა, რომ ჯანმო სათანადოდ ვერ ღებულობდა, ვერ ამოწმებდა და ვერ ავრცელებდა ინფორმაციას დროულად და გამჭვირვალედ. ჯანმო ქვეყნებთან თანამშრომლობს იმისთვის, რომ ჯანმრთელობისთვის საერთაშორისო საფრთხეების შესახებ ინფორმაცია დროულად გავრცელდეს, ხოლო თუ თანამშრომლობა არ არის, დამოუკიდებლად ამცნოს მსოფლიოს მომხდარის შესახებ. ჯანმომ ვერ შეასრულა მისი ეს მთავარი ვალდებულება და პასუხი უნდა აგოს“ (7, 2020).

მსოფლიოში კორონავირუსის გავრცელების მასშტაბების შესახებ ინფორმაცია ყოველდღიურად მიეწოდება მოსახლეობას. მაგრამ ეს ინფორმაცია მეტად ზოგადი და ზედაპირულია და არ იძლევა მისი გავლენის კომპლექსური შეფასების საშუალებას. ამიტომ დღის წესრიგში დგას პანდემიის ზემოქმედების რაოდენობრივი მახასიათებლების შემუშავება, რაშიც მნიშვნელოვანი ადგილი სტატისტიკურ მეცნიერებას უკავია. პირველ რიგში, აუცილებელია, განისაზღვროს ტერმინის „კორონასტატისტიკა“ შინაარსი, რომლის გარეშეც შეუძლებელი იქნება შესაბამისი მაჩვენებელთა სისტემის შექმნა. რა თქმა უნდა, ეს ტერმინი, ისევე როგორც ბევრი სხვა ტერმინიც (მაგალითად, კორონომიკა), რაც დაკავშირებულია COVID-19 პანდემიასთან, ახალია. ამიტომ მათი რეალური შინაარსის ზუსტი განსაზღვრით იწყება შესაბამისი პროცესების როგორც ხარისხობრივი, ისე რაოდენობრივი ანალიზი.

ტერმინის „კორონასტატისტიკა“ წარმოშობა დაკავშირებულია კორონავირუსის პანდემიასთან და მას სულ რაღაც ნახევარი წლის ისტორია აქვს. პირველად ის გამოიყენეს ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენლებმა მასმედიის საშუალებებში ბრიფინგებისა და ინტერვიუების დროს. თუმცა, სამეცნიერო ბრუნვაში ეს ტერმინი ჯერ კიდევ იშვიათად გვხვდება. ეს გასაგებიცაა, რადგან კორონასტატისტიკის შესახებ მსოფლიოში ჯერ კიდევ მცირე რაოდენობითაა მეცნიერული პუბლიკაციები. უკვე არსებობს ასეთი სინონიმიც – „კორონავირუსის სტატისტიკა“ და სხვა მსგავსი. ჩვენი აზრით, „კორონასტატისტიკა“ და „კორონავირუსის სტატისტიკა“ არ არის იდენტური შინაარსის მქონე და აი რატომ: „კორონასტატისტიკა“ უფრო ფართო, კომპლექსური შინაარსისაა და გულისხმობს არა მხოლოდ კორონავირუსის გავრცელების რაოდენობრივ მაჩვენებლებს, არამედ მისი ზემოქმედების შედეგებს როგორც ადამიანთა ჯანმრთელობის მდგომარეობასა და სოციალურ ყოფაზე, ასევე ეკონომიკურ, ეკოლოგიურ, დემოგრაფიულ, ბიზნესის და სხვა სფეროების განვითარებაზე. „კორონავირუსის სტატისტიკა“ კი შედარებით უფრო ვიწრო შინაარსის მატარებელია და ძირითადად აღნიშნავს კორონავირუსის გავრცელების ინტენსივობისა და მოსახლეობის ავადობის რაოდენობრივ (სტატისტიკურ) მაჩვენებლებს. მასში უმეტესად გულისხმობენ მედიცინის სფეროს. მაგრამ COVID-19 პანდემიამ ძლიერი უარყოფითი გავლენა მოახდინა არა მხოლოდ ადამიანთა ჯანმრთელობაზე, არამედ ეკონომიკაზე, ბიზნესზე, დემოგრაფიულ პროცესებზე და სხვ. მაშასადამე, კორონავირუსის სტატისტიკა შედის კორონასტატისტიკაში, როგორც ინფორმაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბლოკი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კორონასტატისტიკის მაჩვენებელთა სისტემის ფორმირება არ არის მარტივი და იგი უნდა შედგებოდეს მრავალი ბლოკისგან. პირველ რიგში, უნდა გამოიყოს ზოგადი და სპეციალური მაჩვენებლების ჯგუფები, რომლებიც შეიქმნება ყოველი სფეროს მიხედვით. დაჯგუფებას საფუძვლად უდევს სხვადასხვა არსებითი ნიშანი, როგორიცაა დარგი, ტერიტორია, დემოგრაფიული (ბიოლოგიური) მახასიათებლები და სხვ. ქვემოთ წარმოდგენილია მაჩვენებელთა დაჯგუფება ცალკეული სფეროებისა და დარგების მიხედვით. რაც შეეხება სპეციფიკურ მაჩვენებლებს, მათი გამოსახვა მოხდება როგორც

აბსოლუტური და შეფარდებითი, ასევე საშუალო, ვარიაციის, ინდექსების ფორმით. ამასთან ერთად, COVID-19 პანდემიის გავლენის რაოდენობრივი გაზომვის მიზნით გამოყენებული უნდა იქნას დროითი მწკრივებისა და კორელაციური ანალიზის სათანადო მაჩვენებლები. რა თქმა უნდა, კორონასტატისტიკის ნებისმიერი მაჩვენებელი უნდა შეუდარდეს პანდემიის გავრცელებამდე პერიოდის ანალოგიურ მაჩვენებლებს, ანუ 2019 წელს, რათა დადგინდეს პანდემიის გავლენის რაოდენობრივი ზომა სხვადასხვა მოვლენისა თუ პროცესის ცვლილებაზე.

მსოფლიო ისტორიაში პირველად, მიმდინარე ლოკალური, რეგიონული თუ გლობალური ეკონომიკური კრიზისის მთავარი გამომწვევი ფაქტორი არა უშუალოდ ეკონომიკაში ან მის მართვაშია, არამედ განპირობებულია სხვა, მეტად ძლიერი ეგზოგენური ფაქტორის ზემოქმედებით, ანუ COVID-19 პანდემიით. ასეთ პირობებში დღის წესრიგში დგება მთავრობის ფუნქციების გაფართოების აუცილებლობა. ეროვნული ეკონომიკის ხელმძღვანელობისას რისკს თავის თავზე სახელმწიფოც იღებს, მაგრამ იგი რამდენადმე განსხვავებული ხასიათისაა (Papava, 2020: 138).

რადგან აქ ვახსენეთ ეკონომიკა, ამიტომ კორონასტატისტიკის მაჩვენებელთა სისტემის ილუსტრაცია დავიწყოთ ეკონომიკის სფეროთი. ქვემოთ მოტანილ ცხრილში №1 წარმოდგენილია კორონასტატისტიკის მაჩვენებელთა სისტემა ეკონომიკაში.

სხვადასხვა წყაროს ოფიციალური მონაცემები მოწმობს, რომ COVID-19 პანდემიის მოკლევადიანი (იგულისხმება მიმდინარე წლის პირველი ნახევარი) უარყოფითი გავლენა მრავალი ქვეყნის და, მათ შორის, საქართველოს ეკონომიკაზე, უკვე დადასტურებულია. მაკროეკონომიკურ დონეზე ეს გავლენა აისახა მთლიანი სამამულო პროდუქტის მოცულობის ზრდის მაჩვენებლებში, ასევე საქონლით საგარეო ვაჭრობის ორივე ნაკადის – ექსპორტისა და იმპორტის – მოცულობაზე, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობაზე და სხვ. საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგნოზით, 2020 წელს გლობალური ეკონომიკური ზრდა 5 პროცენტით შემცირდება (National Statistics, 2020). ჩვენი აზრით, ეს პროგნოზი მეტად ოპტიმისტურია და მოსალოდნელია გლობალური მთლიანი სამამულო პროდუქტის დაახლოებით 10 პროცენტით შემცირება. ეკონომიკური და ბიზნეს აქტივობა მეტ-ნაკლებად შესუსტდება ყველა ქვეყანაში და, მათ შორის, საქართველოშიც. აღნიშნულის დასადასტურებლად მოვიტანოთ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ წარმოებული შემდეგი ოფიციალური მაჩვენებლები: 2020 წლის იანვარ-ივნისში საქონლით საგარეო ვაჭრობის მთლიანი ბრუნვა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 18.2 პროცენტით შემცირდა, მათ შორის ექსპორტი 16.0 და იმპორტი 19.1 პროცენტით ნაკლებია. უფრო ძლიერი უარყოფითი ზეგავლენა დადგინდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელებაზე. პანდემიის წინა პერიოდში, ანუ 2019 წლის მე-4 კვარტალში, მისმა მოცულობამ 347.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, 2020 წლის პირველ კვარტალში კი თითქმის 2-ჯერ ნაკლები, ანუ 165.4 მლნ აშშ დოლარი (Simulation Model, 2020).

კორონავირუსის პანდემიამ ასევე ძლიერი უარყოფითი გავლენა მოახდინა ბიზნეს სექტორზეც, განსაკუთრებით ისეთ დარგებზე, როგორიცაა: მრეწველობა, ვაჭრობა (საბითუმო და საცალო ერთად), მშენებლობა და ტურიზმი. პანდემიის წინა პერიოდში, ანუ 2019 წლის მე-4 კვარტალში, პროდუქციის გამოშვების მთლიანმა მოცულობამ შეადგინა: მრეწველობაში 3.528 მლნ, მშენებლობაში – 2.796 მლნ, ვაჭრობაში – 2.265 მლნ ლარი. ანალოგიური მაჩვენებლები 2020 წლის პირველ კვარტალში, შესაბამისად, 2.930, 1.616 და 1.738 მლნ. ლარი იყო. ნათლად ჩანს, რომ აღნიშნული მაჩვენებლები შესაბამისად, 17.0, 42.2 და 23.3 პროცენტით შემცირდა (Trump, 2020). აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ როგორც გლობალურად, ასევე ლოკალურად (კონკრეტული ქვეყნების მიხედვით), მოკლევადიან თუ საშუალოვადიან პერიოდში ეკონომიკასა და ბიზნესზე COVID-19 პანდემიის გავლენის ზუსტი რაოდენობრივი პროგნოზირება შეუძლებელია. „მიუხედავად გამოყენებული მეთოდებისა, მენეჯერებმა უნდა გააცნობიერონ, რომ მათ არ შეუძლიათ სრულყოფილი პროგნოზების გაკეთება" (Anderson, Sweeney, Williams, 2014: 878). აქ დაისმის ასეთი კითხვა: უნდა მოხდეს თუ არა ეკონომიკური და ბიზნესის სფეროს ცვლილების პროგნოზების გაანგარიშება? სწორი პასუხი ასეთია: რა თქმა უნდა, საჭიროა ასეთი პროგნოზები. მაგრამ ისინი საკმარისად სანდო უნდა იყოს. „ეკონომიკასა და ბიზნესში პროგნოზი ასრულებს კომპასის ფუნქციას, რომელიც გვიჩვენებს, თუ რა მიმართულებით უნდა წავიდე" (Gelashvili, 2019:13). ამიტომ ამ შემთხვევაში მიზანშეწონილია ინტერვალური სტატისტიკური პროგნოზების გაანგარიშება, რაც თანამედროვე ეტაპზე დიდ სირთულეს არ წარმოადგენს. ამასთან ერთად, ამჟამად აშშ-ში ფართოდ გამოიყენება ე. წ. კოლაბორაციული პროგნოზირება, განსაკუთრებით ბიზნესის სფეროში, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია განხორციელდეს საბაზრო პროცესებზე ოპერატიული რეაქცია (Gelashvili, 2017:259).

გასაგებია, რომ COVID-19 პანდემიის ნეგატიური გავლენა განსაკუთრებით მოულოდნელი და ძლიერი იყო ჯანმრთელობის დაცვის სფეროსთვის, როგორც ადამიანური (პროფესიული), ისე კლინიკური და ინფრასტრუქტურული მიმართულებებით. სიტუაციას უკიდურესად ართულებდა ამ ვირუსთან ბრძოლის ნულოვანი გამოცდილება და სათანადო მედიკამენტებისა და ვაქცინის არარსებობა. მაგრამ ჩვენი სახელოვანი მედიკოსების მაღალი კვალიფიკაციის, ასევე მთავრობის ადეკვატური გადაწყვეტილებებისა და მოსახლეობის სოციალური პასუხისმგებლობის შედეგად, საქართველო მსოფლიოს ყურადღების ცენტრში მოექცა, როგორც კორონავირუსთან ბრძოლის წარმატებული ქვეყანა.

ცხრილი 1. კორონასტატისტიკის მაჩვენებელთა სისტემა ეკონომიკაში

წლები	2019	2020	2019	2020
სფერო	ზოგადი მაჩვენებლები		სპეციალური მაჩვენებლები	
ეკონომიკა	1. მთლიანი სამამულო პროდუქტის მოცულობა 2. მთლიანი სამამულო პროდუქტის მოცულობის პროგნოზები 3. ინფლაციის დონე 4. საგარეო ვალის მოცულობა 5. დასაქმების დონე 6. უმუშევრობის დონე 7. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა 8. საგარეო ვაჭრობის მთლიანი ბრუნვა 9. საქონლის ექსპორტის სიდიდე 10. საქონლის იმპორტის სიდიდე 11. საგარეო ვაჭრობის ბალანსი (სალდო)		1.1. მთლიანი სამამულო პროდუქტის სიდიდე ერთ სულ მოსახლეზე 1.2. მთლიანი სამამულო პროდუქტის მოცულობის მოკლევადიანი (1-წლიანი) და საშუალოვადიანი (2-5 წლიანი) პროგნოზები 3.1. ინფლაციის დონის სტრუქტურირებული მაჩვენებლები 3.2. ინფლაციის დონის მოკლევადიანი პროგნოზი 4.1. საგარეო ვალის მოცულობა (ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით) 5.1. დასაქმების დონე ტერიტორიულ ჭრილში 5.2. დასაქმების დონე ეკონომიკის სექტორების მიხედვით 6.1. უმუშევრობის დონე ტერიტორიულ ჭრილში 6.2. უმუშევრობის დონე ეკონომიკის სექტორების მიხედვით 7.1. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა ქვეყნების მიხედვით 7.2. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა სექტორების მიხედვით 7.3. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობის მოკლევადიანი (1-წლიანი) და საშუალო ვადიანი (2-5 წლიანი) პროგნოზები 8.1. საგარეო ვაჭრობის მოცულობა ცალკეული ქვეყნებისა და მათი ჯგუფების მიხედვით 8.2. საგარეო ვაჭრობის მთლიანი ბრუნვის მოკლევადიანი (1-წლიანი) და საშუალო ვადიანი (2-5 წლიანი) პროგნოზები 9.1. საქონლის ექსპორტი ცალკეული ქვეყნებისა და მათი ჯგუფების მიხედვით 9.2. საქონლის ექსპორტი სასაქონლო ჯგუფების მიხედვით 9.3. საქონლის ექსპორტის მოკლევადიანი (1-წლიანი) და საშუალო ვადიანი (2-5 წლიანი) პროგნოზები 10.1. საქონლის იმპორტი ცალკეული ქვეყნებისა და მათი ჯგუფების მიხედვით 10.2. საქონლის იმპორტი სასაქონლო ჯგუფების მიხედვით 10.3.იმპორტის ექსპორტით გადაფარვის კოეფიციენტი 10.4. საქონლის იმპორტის მოკლევადიანი (1-წლიანი) და საშუალო ვადიანი (2-5 წლიანი) პროგნოზები 11.1. საქართველოს სავაჭრო ბალანსი ცალკეული ქვეყნების მიხედვით	

თუმცა, მსოფლიო ჯერ კიდევ ებრძვის COVID-19 პანდემიას და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროზე მისი უარყოფითი გავლენის შესწავლა და ანალიზი უახლოესი მომავლის საქმეა. მაგრამ ემპირიული ანალიზის განხორციელებამდე უნდა გადაწყდეს როგორც თეორიული, ისე მეთოდოლოგიური და მეთოდიკური საკითხები. მათგან ერთ-ერთია სწორედ კორონასტატისტიკის მაჩვენებელთა სისტემა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში, რომელიც მე-2 ცხრილშია წარმოდგენილი.

სტატისტიკურ მაჩვენებლებს რამდენიმე მნიშვნელოვანი ფუნქცია გააჩნია, რომელთა შორის ერთ-ერთი მთავარია მმართველობითი და პრევენციული. ეს ფუნქციები განსაკუთრებით ნათლად გამოჩნდა მიმდინარე წელს, COVID-19 პანდემიის დროს. თუმცა, ეს არ იქნა გათვალისწინებული ყველა ქვეყნის მთავრობის მიერ, მათ შორის ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში. საბედნიეროდ, საქართველოს მთავრობის ხელმძღვანელმა (პრემიერ-მინისტრმა) კორონავირუსის პანდემიის მართვის პროცესში სრულად

ცხრილი 2. კორონასტატისტიკის მაჩვენებელთა სისტემა ჯანმრთელობის დაცვაში

წლები	2019	2020	2019	2020
სფერო	ზოგადი მაჩვენებლები		სპეციალური მაჩვენებლები	
ჯანმრთელობის დაცვა	1. მოსახლეობის ავადობის მაჩვენებლები ცალკეული დაავადებების მიხედვით 2. კორონავირუსით დაინფიცირებულთა მთლიანი რიცხვი 3. კორონავირუსით დაინფიცირებულთა იმპორტირებული რიცხვი 4. კორონავირუსით გარდაცვლილთა რიცხვი 5. გამოჯანმრთელებულთა რიცხვი 6. მოსახლეობის სწრაფი და ჩაღრმავებული გამოკვლევები კორონავირუსის გამოსავლენად 7. სპეციალიზებული კლინიკების ან/და განყოფილებების რიცხვი 8. სპეციალური სამედიცინო პერსონალის რიცხოვნობა 9. სახელმწიფო ხარჯები კორონავირუსის პანდემიის მიმართულებით		1.1. მოსახლეობის ავადობის მაჩვენებლები ტერიტორიულ ჭრილში 2.1. კორონავირუსით დაინფიცირებულთა რიცხვი სქესობრივ ჭრილში 2.2. კორონავირუსით დაინფიცირებულთა რიცხვი საქართველოს ადმინისტრაციული რეგიონებისა და მუნიციპალიტეტების მიხედვით 2.3. კორონავირუსით დაინფიცირებულთა ასაკობრივი სტრუქტურა (5 წლიანი ინტერვალური დაჯგუფებით) 3.1. კორონავირუსით დაინფიცირებულთა იმპორტირებული რიცხვი ქვეყნების მიხედვით 4.1. კორონავირუსით გარდაცვლილთა რიცხვი სქესობრივ ჭრილში 4.2. კორონავირუსით გარდაცვლილთა ასაკობრივი სტრუქტურა (5-წლიანი ინტერვალური დაჯგუფებით) 1.1. გამოჯანმრთელებულთა წილი ინფიცირებულთა მთლიან რაოდენობაში (%) 6.1. კორონავირუსის გამოვლენის მიზნით ჩატარებული სწრაფი ტესტირებების რაოდენობა 6.2. კორონავირუსის დადგენის მიზნით ჩატარებული ჩაღრმავებული (PCR) ტესტირებების რაოდენობა 7.1. სპეციალიზებულ კლინიკებში ან/და განყოფილებებში ბოქსირებული პალატების რიცხვი 7.2. კლინიკებისა ან/და განყოფილებების უზრუნველყოფა სპეციალური აპარატურით (სასუნთქი და სხვ.) 8.1. სპეციალური სამედიცინო პერსონალის რიცხოვნობის შეფარდებითი მაჩვენებლები (ყოველ 1000 მოსახლეზე და ყოველ 100 ინფიცირებულზე)	

გაითვალისწინა ჯანმრთელობის სფეროს ხელმძღვანელებისა და ცნობილი მეცნიერების რეკომენდაციები და სტატისტიკური მაჩვენებლები. შედეგად, საქართველო დამსახურებულად აღმოჩნდა მსოფლიოში კორონავირუსის ეპიდემიის მართვის წარმატებული ქვეყნების მოწინავე პოზიციაზე. ყოველ 100 000 მოსახლეზე კორონავირუსით დაინფიცირებულთა რაოდენობით, ასევე კორონავირუსით დაინფიცირებულ ყოველ 10 000 ადამიანზე გარდაცვლილთა რიცხვით, ჩვენ ქვეყანას ევროპაში ყველაზე დაბალი მაჩვენებლები აქვს.

მაგრამ სტატისტიკური მაჩვენებლების მმართველობითი ფუნქცია არ უნდა შესრულდეს მხოლოდ პანდემიებისა და სხვა მსგავს სიტუაციებში. ისინი ჩვეულებრივი საზოგადოებრივი ცხოვრების პირობებშიც მუდმივად უნდა იყოს მთავრობისა თუ სხვა მმართველობითი ინსტიტუციების მართვის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი. სადავო არ არის, რომ სრული და სანდო ინფორმაციისა და სათანადო მაჩვენებლების არსებობის გარეშე შეუძლებელია დასაბუთებული და ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღება. რა თქმა უნდა, ეს შეეხება არა მხოლოდ უმაღლესი, არამედ ყველა იერარქიული დონის მენეჯერულ გადაწყვეტილებებს.

დასკვნა

COVID-19 პანდემია მეტ-ნაკლები მასშტაბით გავრცელდა პრაქტიკულად ყველა ქვეყანაში და მან მნიშვნელოვანი ზომით გაუთვალისწინებელი ნეგატიური გავლენა მოახდინა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე, განსაკუთრებით ეკონომიკაზე და ადამიანთა სოციალურ ყოფაზე. ეს გავლენა მრავალასპექტიანია და კომპლექსურ რაოდენობრივ და ხარისხობრივ კვლევას საჭიროებს. ასეთი კვლევისთვის კი აუცილებელია შესაბამისი მეთოდოლოგია და მეთოდიკა.

კორონასტატისტიკა ფართო, კომპლექსური შინაარსის შემცველია და გულისხმობს არა მხოლოდ კორონავირუსის გავრცელების რაოდენობრივ მაჩვენებლებს, არამედ მისი ზემოქმედების შედეგებს როგორც ადამიანთა ჯანმრთელობის მდგომარეობასა და სოციალურ ყოფაზე, ასევე ეკონომიკურ, ეკოლოგიურ, დემოგრაფიულ, ბიზნესის და სხვა სფეროების განვითარებაზე.

კორონასტატისტიკის მაჩვენებელთა სისტემის ფორმირება არ არის მარტივი და იგი მრავალი ქვესისტემისგან,

ანუ ბლოკისგან შედგება. პირველ რიგში, უნდა გამოიყოს ზოგადი და სპეციალური მაჩვენებლების ჯგუფები, რომლებიც იქმნება ყოველი სფეროს მიხედვით. დაჯგუფებას საფუძვლად უდევს სხვადასხვა არსებითი ნიშანი, როგორიცაა დარგი, ტერიტორია, დემოგრაფიული (ბიოლოგიური) მახასიათებლები და მრავალი სხვ. გაანგარიშებული მაჩვენებლების გამოსახვა მოხდება როგორც აბსოლუტური და შეფარდებითი, ასევე საშუალო, ვარიაციის და ინდექსების ფორმით.

სტატიაში წარმოდგენილია ავტორის მიერ შემუშავებული კორონასტატისტიკის მაჩვენებელთა სისტემები ეკონომიკისა და ჯანმრთელობის დაცვის სფეროებში, რაც საშუალებას იძლევა, განხორციელდეს კომპლექსური რაოდენობრივი ანალიზი და სათანადო რეკომენდაციების შემუშავება.

COVID–19 პანდემიის დროს განსაკუთრებით ნათლად წარმოჩინდა სტატისტიკური მაჩვენებლების მმართველობითი და პრევენციული ფუნქციები. სრული და სანდო ინფორმაციისა და სათანადო მაჩვენებლების არსებობის გარეშე შეუძლებელია დასაბუთებული და ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღება ყველა იერარქიულ დონეზე და ნებისმიერი, მათ შორის პანდემიებისა თუ ცხოვრების ნორმალური რეჟიმის პირობებში.

ლიტერატურა/REFERENCES

Anderson, D., Sweeney, D., Williams, Th. (2014). *Statistics for Business and Economics. TSU Publishing*, (in Georgian).

Eichenbaum, M., Rebelo S. and Trabandt M. (2020). The macroeconomics of epidemics. w26882. *National Bureau of Economic Research*.

Gabidzashvili, B. (2011). *Statistics for Economics, Business and Management. Publishing - Universali.*(in Georgian) Gelashvili, S. (2019). Introduction to Statistical Forecasting. Publishing - Universali. (in Georgian)

Gelashvili, S. (2017). *Statistical Forecasting in Economics and Business. I Book. Publishing - Meridiani.* (in Georgian).

International Monetary Fund. (2020). *World Economic Outlook Update: A Crisis Like No Other, An Uncertain Recovery.* Washington, DC.

National Statistics Office of Georgia (2020). *Statistical research - On Foreign Economic Activity*. (in Georgian)

National Statistics Office of Georgia (2020). https://www.geostat.ge/ka/modules/ categories (in Georgian)

National Statistics Office of Georgia (2020). https://www.geostat.ge/ka/modules/categories/191/pirdapiri-utskhouri-investitsiebi (in Georgian)

Simulation model of Coronavirus spread - COVID-19 GE (2020). http://weg.ge/sites/ default/files/covid19_ge_anotacia.pdf (in Georgian)

Trump has cut funding for WHO (2020). https://pia.ge/ka/news/covid-19/trampma-janmos-daphinanseba-sheutskvita (in Georgian)

Papava, V. (2020). *Unconventional economics: methodology and methodics.* 2nd Completed and updated edition. TSU Publishing. (in Georgian)

JEL Classification: G01, H12, I15 https://doi.org/10.35945/gb.2020.10.008

COVID 19 - CHALLENGES, ECONOMIC PROBLEMS

MIKHEIL CHIKVILADZE
Doctor of Economics, Associate Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State
University, Georgia
m_chikviladze@mail.ru

Abstract. The article is focused on problems in the Georgian economy caused by the new coronavirus epidemic. The current implementation of the state budget of Georgia for 2020 has been analyzed, attention has been drawn to the difficulties of both tax and total revenue performance. The main focus is on the effectiveness of business support measures and the transparency and legality of spending money. Measures have been taken on the operative elaboration and implementation of the relevant micro-fiscal policy, in response to the shocks in demand-supply.

Coronavirus has caused many problems in the world economy. The world economy fell by 7.5% in the United States on March 9, which has not happened on Wall Street since 2008 global economic crisis. Of course, the influence of Coronavirus on the Georgia's economy is severe, and the country is trying to deal with it in every possible way. If we analyze the current state budget execution this year, it can be seen that the current state budget for 2020 has been implemented in the first quarter. However, we should not expect the second quarter of the state budget for the same year, as this trend is already visible in April and May. The problems will be reflected in May, both in terms of tax revenues and total revenues as well, which is expected to double the state budget deficit of 2.5%, which means a complete failure of the two quarters.

It can be said that the shock of the economy that accompanies coronavirus is quite strange and it affects to the supply and demand at the same time.

We see negative risks on the supply side, which is reflected in the high cost of doing business, the demand will decrease as for increased uncertainty, tighter security measures and restrictions on free movement, as a result, the ability of consumers to spend their own money will be reduced.

Experience has shown that 1/3 of the economic losses will be caused by direct losses: job cuts, quarantine and etc. 2/3 of economic losses will be indirect - which will be related to the decrease in consumer confidence, changes in the behavior of business entities, as well as the tightening of access to credit resources. It can be said that the global financial market is now more stable than it was before the 2008 crisis, but the main challenge in the current situation is still to manage uncertainty. In such a situation, it is inevitable that the funds from the budget will be prioritized for health care, so that the health care of the citizens not to be hindered. It seems inevitable for us to resolve the demand – to develop appropriate microfiscal policies in response to the shocks in supply.

It is welcome that the European Investment Bank supports Georgia in the fight against the new coronavirus, which is to support Georgian business, support the health care system and accelerate the implementation of existing projects.

The World Bank provided $ 15 billion quick and instant assistance to address the first challenges of COVID-19, this was mainly in the field of health and social care. The World Bank is currently working on three financial assistance packages: 1. To assist the government in responding to health and social protection challenges, 2. Substantiation will be provided to the state budget to reduce the expected deficit, 3. The World Bank intends to help small and medium-sized businesses to restore jobs and develop the economy, with a particular focus on affected sectors such as tourism, the first phase shall be completed by the end of April, which will be followed consistently. The World Bank has highlighted such an important circumstance as the inevitability of a zoological recession, which will be followed by a slowdown in economic growth, which in the case of Georgia will be 4% (which is significant to consider). According to the government›s decision, 2 billion GEL has been allocated for direct assistance to the economy, in order to provide emergency financial and material assistance to a number of different categories of affected citizens.

Particular attention is paid to operative execution and control of measures envisaged in the concrete plan of economic stimulus and the anti-crisis plan of the government.

KEYWORDS: BUDGET, COVID 19, ACCOUNTS RECEIVABLE, PENSION PROVISION.

For citation: Chikviladze, M., (2020). Covid-19 – Challenges, Economic Problems. *Globalization and Business, 10.* 70-74. (In Georgian) https://doi.org/10.35945/gb.2020.10.008

JEL Classification: G01, H12, I15 https://doi.org/10.35945/gb.2020.10.008

ახალი კორონავირუსის (COVID 19) – გამოწვევები, ეკონომიკის პრობლემები

მიხეილ ჩიკვილაძე
ეკონომიკს დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი, საქართველო
m_chikviladze@mail.ru

საკვანძო სიტყვები: ბიუჯეტი, COVID 19, დებიტორული დავალიანება, საპენსიო უზრუნველყოფა.

ციტირებისთვის: ჩიკვილაძე მ. (2020). ახალი კორონავირუსის (COVID 19) – გამოწვევები, ეკონომიკის პრობლემები. *გლობალიზაცია და ბიზნესი, №10*, გვ. 70-74. https://doi.org/10.35945/gb.2020.10.008

ახალმა კორონავირუსმა მსოფლიო ეკონომიკას უამრავი პრობლემა შეუქმნა, მარტის მონაცემებით, აშშ-ში აქციების ფასი 7,5 % – ით დაეცა, რაც 2008 წლის მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის შემდეგ არ ყოფილა, რათქმაუნდა საქართველოს ეკონომიკაზეც ახალი კორონავირუსის გავლენა უმძიმესია და ქვეყანა ცდილობს, ყოველმხრივ გაუმკლავდეს მას. თუ გავაანალიზებთ საქართველოს მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებას ჩანს, რომ მიმდინარე 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი პირველ კვარტალში შესრულებულია, თუმცა, ამავე წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მეორე კვარტალის შესრულებას არ უნა ველოდოთ, ვინაიდან, აპრილისა და მაისის თვეში ამის წინაპირობები გამოიკვეთა, პრობლემები ისახება მაისის თვეში, როგორც საგადასახადო შემოსავლების ასევე საერთო შემოსავლების ნაწილში, რასაც მოსალოდნელია, მოჰყვეს სახელმწიფო ბიუჯეტის 2,5 %-ის დეფიციტის გაორმაგება, რაც ფაქტიურად ორი კვარტლის მთლიანად ჩავარდნას ნიშნავს.

მთავრობის გადაწყვეტილებიდან ირკვევა, რომ ქვეყნის ეკონომიკური ზრდა 4 % იქნება, ხოლო შექმნილი სიძნელეებიდან გამომდინარე, სახელმწიფო ბიუჯეტი 1, 8 მლრდ ლარის შემოსავლებს დაკარგავს, მიმდინარე ხარჯები კი, 300 მლნ ლარით შემცირდება.

ახალმა კორონავირუსმა ბევრი პრობლემის წინაშე დააყენა საქართველოს ეკონომიკა, კერძოდ, უძრავი ქონების სექტორი, ადგილობრივი და საერთაშორისო საბროკერო, სამშენებლო და დეველოპერული, არქიტექტორული მასალის მწარმოებელი კომპანიები, ძირითადად საგადასახადო შეღავათებს, საბანკო რეგულაციების შემსუბუქებას, ბიზნესის მხარდაჭერას, ინვესტიციების სტაბილურობას და ბიუროკრატიის შემცირებას ითხოვს, ასეთ ვითარებაში სასურველია, სახელმწიფომ ბიზნესის ჩართულობით შეიმუშაოს როგორც მოკლე ვადიანი, ასევე გრძელვადიანი სტრატეგია, რომელშიც დაბალანსებული იქნება კერძო სექტორისა და სახელმწიფოს ინტერესები, უნდა მოხდეს პოსტ-კრიზისულ პერიოდში ნეგატიური ეფექტის მაქსიმალურად შემსუბუქება, უძრავი ქონების ბაზრის მოთხოვნების შეძლებისდაგვარად დაკმაყოფილება უძრავი ქონების ინდუსტრიას გაუჩენს შესაძლებლობას, მეტი გადაიხადოს ბიუჯეტში, მეტი დაასაქმოს და შეიტანოს საგრძნობი წილი ქვეყნის მთლიანი სამამულო პროდუქტის შექმნაში.

საგადასახადო შეღავათების მიღების მოლოდინში არიან თბილისში, ქუთაისში და საქართველოს სხვა ტერიტორიულ ერთეულებში მდებარე პურის საცხობების მფლობელები, რომლებიც თვლიან, რომ შეღავათი მეპურეებისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელია არსებული პრობლემების დაძლევისათვის, ვინაიდან, ახალმა კორონავირუსმა პურის საცხობი ბიზნესი გადააწყო, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ მხრივ, სასურველი ნაბიჯი გადადგა „სოკარ ჯორჯია გაზმა", ქსელში ჩართულ პურის ქარხნებსა და საცხობებს გაზის სამომხმარებლო ტარიფი 10 თეთრით შეუმცირა, მიმდინარე წლის აპრილსა და მაისში აღნიშნული ობიექტები 1 კუბურ მეტრ გაზში 86 თეთრის ნაცვლად 76 თეთრს გადაიხდიან.

COVID 19-ის ეპიდემიისას გართულდა და გაძვირდა გადაზიდვები, ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციისათვის სახელმწიფოებმა შეზღუდვები დააწესეს ტვირთის გადაზიდვებზეც, შესაბამისად გამკაცრდა საბაჟოზე უსაფრთხოების ზომები, რომლის შედეგად, ტვირთმფლობელებს გაეზარდათ ხარჯი და დროში გაუხანგრძლივდათ ტვირთის დანიშნულების ადგილამდე მიტანის პერიოდიც, როგორც ირკვევა შემცირებულია მოთხოვნები გადაზიდვებზეც, ხოლო ახალი შეკვეთები ძირითადად მხოლოდ სურსათსა და სამედიცინო პროდუქციაზე მოდის, თუმცა ეს შეკვეთებიც ძნე-

ლად და შეფერხებით სრულდება. გადამზიდავ კომპანიებს მძღოლებთან დაკავშირებითაც შეექმნათ პრობლემები, გადაზიდვების სერვისი 20-25 % – თაა გაძვირებული, გადაზიდვის გაზრდილი ხარჯის დაბალანსებას კი, იმპორტიორი პროდუქტის ფასის ზრდით შეეცდება, რაც საბოლოოდ მომხმარებლებს დააზარალებს.

ეკონომიკის შოკი, რომელიც COVID 19-ს სდევს თან, საკმაოდუმართავიადაისერთდროულადროგორცმიწოდების, ასევე მოთხოვნის მხარეზე ახდენს გავლენას. მიწოდების მხარეს ვხედავთ ნეგატიურის მოქმედ რისკებს, რაც ბიზნესის კეთების გაძვირებულ ღირებულებაში მიმდინარეობს, ხოლო მოთხოვნა ისევ მცირდება, რაც გაზრდილ გაურკვევლობას, ასევე გამკაცრებულ უსაფრთხოების ზომებსა და თავისუფალი გადაადგილების შეზღუდვას უკავშირდება, შედეგად, მომხმარებელთა შესაძლებლობა, რომ საკუთარი თანხა დახარჯონ, მცირდება. არსებული მდგომარეობა გვიჩვენებს, რომ ეკონომიკური დანაკარგის 1/3 პირდაპირი დანაკარგების მიერ იქნება გამოწვეული (სამუშაო ადგილების შემცირება, კარანტინი და სხვა). ეკონომიკური დანაკარგების 2/3 კი, არაპირდაპირი იქნება, რაც მომხმარებელთა ნდობის შემცირებას, ბიზნეს სუბიექტების ქცევის ცვლილებას, ასევე სასესხო რესურსთან წვდომის გამკაცრებასთან იქნება დაკავშირებული. შეიძლება ითქვას, რომ გლობალური საფინანსო ბაზარი ახლა უფრო მდგრადია, ვიდრე 2008 წლის კრიზისამდე იყო, თუმცა არსებულ ვითარებაში მთავარი გამოწვევა კვლავ გაურკვევლობის მართვაა, ასეთ პირობებში გარდაუვალი ხდება ბიუჯეტიდან თანხების ჯანდაცვაზე პრიორიტეტული მიმართვა, რათა მოქალაქეთა ჯანდაცვას ხელი არ შეეშალოს.

გარდაუვალად გვესახება, უსწრაფესად გადაწყდეს, მოთხოვნა-მიწოდებაში არსებული შოკების საპასუხოდ, შესაბამისი მიკროფისკალური პოლიტიკის შემუშავება.

დღეს, მთავარია ყველა დასაქმებულმა შეინარჩუნოს სამუშაო ადგილი, ხელფასი და გატარდეს საჭირო საშეღავათო ღონისძიებები, ამ მხრივ, ძალზე დროული და ეფექტიანია მთავრობის მიერ მიღებული ოპერატიული ზომები, კერძოდ;

– მთავრობის გადაწყვეტილებით ეკონომიკის პირდაპირი დახმარებისათვის 2 მლრდ ლარი გამოიყო;

– შემუშავდა ეკონომიკის სტიმულირების კონკრეტული გეგმა, რომელიც გულისხმობს ქვეყნის ეკონომიკაში დამატებით ჯამურად 1 მლრდ ლარის ფინანსური რესურსების გაჩენას;

– ბიზნესს, რომელსაც შეექმნება სესხის გადახდის პრობლემა, ბანკები ინდივიდუალურად უზრუნველყოფს სესხის რესტრუქტურიზაციას, აღნიშნული პროცესის შედეგად, მხოლოდ სასტუმრო ინდუსტრიაში გამოთავისუფლდება დაახლოებით, 100,0 მლნ ლარის ფინანსური რესურსი;

– მოქალაქეებს, რომლებსაც აქვთ სურვილი, გადაავადონ სესხის გადახდა, მომდევნო სამი თვის განმავლობაში ბანკების მიერ შენატანის გადავადების საშუალება მიეცემათ;

– იმ კომპანიებს, რომლებიც ახორციელებენ ტურიზმთან დაკავშირებულ საქმიანობებს (სასტუმროები, რესტორნები, ტურისტული სააგენტოები, სატრანსპორტო კომპანიები, საექსკურსიო საქმიანობა, კულტურული და სპორტული ღონისძიებები და სხვა), საქართველოს მთავრობა გადაუვადებს მომდევნო 4 თვის განმავლობაში (მიმდინარე წლის 1 ნოემბრამდე) გადასახდელ ქონებისა და საშემოსავლო გადასახადების ვალდებულებებს, შედეგად, შეღავათები შეეხება გადასახადის 18 000 გადამხდელს და 50 000-ზე მეტ დასაქმებულ პირს, რაც ნიშნავს, რომ 100.0 მლნ ლარზე მეტი დარჩება ეკონომიკის ამ სექტორში;

– კომპანიებისათვის ფინანსური რესურსების მიწოდების მიზნით, მთავრობა გააორმაგებს დღგ-ს დაბრუნებებს და წლის ბოლომდე დაგეგმილი 600 მლნ ლარის ნაცვლად ფინანსთა სამინისტრო კომპანიებს დაუბრუნებს 1, 2 მლნ ლარს (600 მლნ ლარით მეტი);

– შემუშავდება სპეციალური სახელმწიფო პროგრამა, რომლის საშუალებითაც 4-დან 50 ნომრამდე სიდიდის სასტუმროები მთელი საქართველოს მასშტაბით მიიღებენ საპენსიო სესხის 6 თვის პროცენტის თანადაფინანსებას (პროექტი შეეხება ქვეყნის მასშტაბით დაახლოებით 2000 სასტუმროს), აგრეთვე, სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკის დამატებით სტიმულირებისათვის გაიზრდება ქვეყანაში კაპიტალური პროექტების მხარდაჭერა, შესაბამისად, 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული კაპიტალური ხარჯები დამატებით გაიზრდება 300 მლნ ლარით. უდიდესი მნიშვნელობა ექნება დათმობილი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან დაწესებულ მოლაპარაკებებს, მათ მიერ სპეციალურად გამოყოფილი ფონდებიდან რესურსების ეფექტიან გამოყენებასთან დაკავშირებით.

მთავრობის ანტიკრიზისული გეგმის მიხედვით, ბიუჯეტისათვის 3.9 მლრდ ლარია გათვალისწინებული, მიზნობრივი დახმარების პაკეტით საქართველოს 350 000 მოქალაქე ისარგებლებს.

ძალზე ოპერატიულ და გადაუდებლად შესასრულებლად გვესახება მთავრობის მიერ მიღებული ანტიკრიზისული გეგმის პაკეტით გათვალისწინებული ღონისძიებები, კერძოდ:

– დაქირავებით დასაქმებული პირები, რომლებმაც სამსახური კრიზისის პერიოდში საგანგებო მდგომარეობის გამო დაკარგეს სახელმწიფოსგან 6 თვის განმავლობაში, ჯამში 1200 ლარს მიიღებენ;

– ყველა ფიზიკური პირი, რომელიც სამუშაო ადგილს შეინარჩუნებს და ყველა კომპანია, რომელიც ასევე შეინარჩუნებს დასაქმებულებს 6 თვის განმავლობაში 750 ლარამდე ხელფასის შემთხვევაში საშემოსავლო გადასახადისაგან გათავისუფლდება, ამასთან, 1500 ლარამდე ხელფასის შემთხვევაში საშემოსავლო გადასახადის სახით, 750 ლარამდე ოდენობის თანხა არ დაიბეგრება;

– მოქალაქეები, რომლებიც არაოფიციალურ სექტორში იყვნენ დასაქმებულები ერთჯერადად 300 ლარის დახმარებას მიიღებენ;

– ანტიკრიზისული გეგმის ფარგლებში სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის დამატებით დანახარჯების სახით 6 თვის განმავლობაში 600 ლარიან დახმარებას მიიღებენ. მნიშვნელოვანია ისიც, რომ 70 და მეტი წლის პენსიონერებს კრიზისის პერიოდში გაეზრდებათ პენსია 25 %-ით, ხოლო პირველი ივლისიდან კი, 30 ლარით, რომლითაც ისარგებლებს 410, 000 პენსიონერი.

– ამოქმედდება დღგ-ს ავტომატური დაბრუნების გეგმა და გაგრძელდება დღგ-ს ზედმეტობის დაბრუნება. მთავრობის გადაწყვეტილებით წელს ბიუჯეტიდან დღგ-ს სახით დამატებით 600 მლნ ლარი დაბრუნდება, ამასთან, კომერციული ბანკები 600 მლნ ლარის ოდენობის გრძელვადიან რესურსს მიიღებენ. მთავრობის გადაწყვეტილებით, ეკონომიკის პირდაპირი დახმარებისათვის 2,0 მლნ ლარი გამოიყო, ბიზნესის მხარდაჭერისათვის დამატებით გამოიყოფა 500 მლნ ლარი, 300 მლნ ლარი დაიხარჯება მცირე და საშუალო ბიზნესზე, ამასთან, ახალი სესხის 90 %-ზე გარანტიას სახელმწიფო გასცემს. იმ კომპანიებს, რომლებსაც ძველი სესხები ერიცხებათ, რესტრუქტურიზაციის სახით სახელმწიფო 30 %-ს გარანტიების ნაწილში შეეხიდება, ხოლო, სესხის ლიზინგის პირობები, 24-დან 36 თვემდე გაიზრდება, სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის მიმართულებით, მიკროსაგრანტო პროგრამის ზღვარი აიწევს 30,000 ლარამდე, პორტფელის ჯამური რაოდენობა კი, 40 მლნ ლარამდე გაიზრდება და სხვა.

უნდა აღინიშნოს, რომ ახალი კორონავირუსით წარმოქმნილი მძიმე ეკონომიკური ვითარების დაძლევა საქართველოს ხელისუფლებას ძალიან გაუჭირდება, რომ არა უცხოელი პარტნიორი ქვეყნების თანადგომა და დახმარება, კერძოდ, ევროპის საინვესტიციო ბანკი მხარს უჭერს საქართველოს ახალი კორონავირუსის წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლაში და ესაა ქართული ბიზნესის ხელშეწყობა, ჯანდაცვის სისტმის მხარდაჭერა და არსებული პროექტების დაჩქარებული განხორციელება.

მსოფლიო ბანკმა 15 მლრდ აშშ დოლარის მოცულობის სწრაფი და მყისიერი დახმარება გასცა COVID 19-ის პირველ გამოწვევებთან გასამკლავებლად, ეს იყო ძირითადად ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მიმართულებით. მომდევნო 15 თვის განმავლობაში ეს დახმარება მიაღწევს 16. 0 მლრდ აშშ დოლარს, რომ მთელი მასშტაბით გაეწიოს დახმარება ბიზნესსა და ეკონომიკას, მსოფლიო ბანკი დღეისათვის მუშაობს ფინანსური დახმარების სამ პაკეტზე: 1. მთავრობის დასახმარებლად, რომ პასუხი გასცეს ჯანმრთელობასთან და სოციალურ დაცვასთან დაკავშირებულ გამოწვევებს, 2. დასაბუთება გაეწევა სახელმწიფო ბიუჯეტს, რომ მოსალოდნელი დეფიციტი შემცირდეს, 3. მსოფლიო ბანკი აპირებს მცირე და საშუალო ბიზნესის დახმარებას, იმისათვის, რომ მათ აღადგინონ სამუშაო ადგილები და აამუშავონ ეკონომიკა, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია დაზარალებულ სექტორებზე, როგორიცაა ტურიზმი, პირველი ფაზა უნდა განხორციელდეს აპრილის ბოლოსათვის, რაც შემდგომში ეტაპობრივად განხორციელდება. მსოფლიო ბანკის მიერ ხაზი გაესვა ისეთ მნიშვნელოვან გარემოებას, როგორიც არის ზოოლოგიური რეცესიის გარდაუვალობა, რასაც თან მოჰყვება ეკონომიკური ზრდის შენელებაც.

იმის გათვალისწინებით, რომ ლარის ინფლაციის დონე კვლავ მაღალ ნიშნულზე რჩება და ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელიც ერთნიშნა ციფრია, ეკონომიკური კრიზისი ქვეყანას მნიშვნელოვნად დააზარალებს. ეკონომიკური კრიზისის პირობებში განსაკუთრებული საფრთხის ქვეშ დგება ეკონომიკის წამყვანი დარგების გამართული მუშაობის საკითხი, რაც კიდე უფრო გაზრდის უმუშევრობას და გაართულებს სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას, აქედან გამომდინარე, რესურსების ეფექტიანად გამოყენება და რეფორმები აუცილებელია განვითარებისათვის, საქართველოს სწრაფი ეკონომიკური ზრდის შესაძლებლობა მიღწევადია სახელმწიფოსა და კერძო სექტორის ერთად მუშაობის შემთხვევაში. კრიზისმა წარმოშვა, როგორც საფრთხეები, ასევე შესაძლებლობები, არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, საჭიროა ეკონომიკური პოლიტიკის გადახალისება, ქვეყნის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია ადგილობრივ მომხმარებელთა ფოკუსირება ქართულ პროდუქტებზე, რის დეფიციტსაც მოსახლეობა განიცდის, საჭიროა ადგილობრივ პროდუქციაზე მოთხოვნის გაზრდისადმი ნდობის აღდგენა, ამისათვის კი, მიზანშეწონილია, სათანადო ღონისძიებების გატარება. სახელმწიფომ უნდა შეამციროს სამთავრობო ხარჯები, რადგან „მცირე მთავრობის“ კონცეფციის პირობებში, შესაძლებელი იქნება ფინანსების კონსოლიდაცია და მოსახლეობის არსებობისათვის საჭირო მინიმალური პირობების შექმნა.

ლიტერატურა/REFERENCES

Ananiashvili, I., & Papava, V., (2009). *Taxes, demand and supply.* Tbilisi: Publishing House -Siakhle. (In Georgian) Bakhtadze, L., Kakulia, R., & Chikviladze, M., (2007). *Tax case.* Tbilisi. (In Georgian)

Kopaleishvili, T., & Chikviladze, M. (2011). *Taxes and taxation.* Tbilisi. (In Georgian)

Jibuti, A., Kakulia, R., & Bakhtadze, R. (2007). *Public Finances.* Tbilisi. (In Georgian)

Materials of the Ministry of Finance of Georgia, State Budget of Georgia for 2020. (In Georgian)

Tax Code of Georgia (2010). Tbilisi. (In Georgian)

Chikviladze, M. (2018). The Share in Percentage of Taxes in GDP. *Ecoforum Journal*, 7, 1 (14).

Atanelishvili, T., Chikviladze, M., & Silagadze, N. (2017). About State Financial Control. *Ecoforum Journal*. 6, 1 (10).

Bedianashvili, G., Ivanov, Yu.B., Paientko, T. V. (2019). Tax Reforms in Ukraine and Georgia: Changing Priorities. *Journal of Tax Reform*. 5(2): 107-128.

Silagadze, A., Atanelishvili, T., & Silagadze, N. (2019). *Economic Doctrines: The Origins.* Published by Nova Science Publishers, Inc. New York.

Silagadze, A., & Zuniashvili, T. (2016). Georgia`s Economy against the Background of the Associate Agreement with the European Union. *International Journal of Business and Management Studies*, 59, 2: 533-540. (USA).

Zubiashvili, T., Chikviladze, M., & Silagadze, N. (2018). Some Aspects of state External Debt. *Ecoforum Journal* 7 (2).

JEL Classification: A12, G01 https://doi.org/10.35945/gb.2020.10.009

THREATS OF ECONOMIC CRISES

MURMAN KVARATSKHELIA
Doctor of Economic sciences, Professor,
Academician of Academy Georgian
Economic Sciences,
Sokhumi State University, Georgia
murmankvara77@gmail.com

Abstract. The present article examines the historical aspects of the origin and development of various economic crises existing in the world, which constantly raises an issue of finding ways out of the problem, before scientists-researchers. In this regard, the author reviews the views of the representatives of the classical school of different epochs on the elimination of crises. In addition, the author also analyzes the directions proposed by modern scientists, the most notable of which is the theory of the real economic cycle as an independent direction, which laid the foundation for the systematic study of the economic crisis. Moreover, a conclusion that the slowdown in output growth in market conditions is not due to market inefficiency, but is due to low rates of technological development, and economic cycles are caused by technological shocks is notable. Based on the above assumption, scientists presented an argument, that the market can restore equilibrium without an outside intervention. The cyclical nature of crises followed by economic stimulus is also analyzed.

KEYWORDS: ECONOMIC THEORIES; GLOBAL FINANCIAL CRISES; PERFECT COMPETITION; STOCK EXCHANGES; RATIONAL EXPECTATIONS; OVERPRODUCTION; DEFICIENCY.

For citation: Kvaratskhelia, M., (2020). Threts of Economic Crises. *Globalization and Business, 10.* 75-78. (In Georgian) https://doi.org/10.35945/gb.2020.10.009

INTRODUCTION

The development of the world economy is largely linked to the history of crises. Their not-so-rare periodicity has always led to the variability of economic cycles, thus giving some impetus to the emergence of new economic theories. The object of their research was cyclical fluctuations, which required the study of the underlying causes. This issue has become especially relevant in connection with the severe economic and financial crises in the world in the XX-XXI centuries. Crises of lesser severity and depth have been periodically observed over the centuries. Recently, this problem has become one of the most actual one for the global world. This was naturally followed by active reasoning and theorizing by economists. Their opinions often change and radically differ from each other.

Genesis of economic crises

If we rely on the traditional classical school crisis theory, the crises are temporary. This is due to the fact that the principle of market self-regulation operates in the conditions of perfect competition. At the same time, production generates its own demand and any sudden disproportion is automatically regulated thanks to flexible pricing. However, the perfection of the market is not permanent, which has been repeatedly convinced by economists. Therefore, most economists no longer rely on this theory. Modern American economist Anwar Sheikh even calls this economic orthodoxy the existence of a perfect market, perfect knowledge and expectations a perfect nonsense trio (Shaikh, 2007).

The followers of Marx had a radically different opinion from the classics. According to this theory, the main cause of the crisis is the existence of private property and the domination of the market system in competition, so the contradictory nature of the capitalist system. This is manifested in the misappropriation of publicly produced goods. According to the Marxist approach, capitalist economics is contradictory. It creates anarchy in the economy. Entrepreneurs have a vague real level of demand and have to operate under high risk conditions. The unpredictability of public demand, price volatility and the imperfection of the bar are the reasons for the crisis of overproduction (Arthur…et al 1969). These views are characterized by rather weak arguments in the theory of modern crises and it is impossible to rely on it.

Milton Friedman developed a monetary theory about crises and, in particular, the crisis of overproduction, thus naming the fluctuation of the bank interest rate as the main cause of the crisis. According to Friedman, when there is a crisis in the economy, it leads to a decrease in bank loans and, consequently, an increase in interest rates. As a result of the decline in cash flow, the crisis of overproduction begins.

Unlike Friedman, opinion of J. Keynes, even if the interest rate is reduced to zero, it is impossible to pull the economy out of the crisis, because the fate of the national economy is determined by the profit of entrepreneurs, not

the interest rate ("liquidity trap"). According to Keynes, the economic cycle was driven by changes in aggregate demand and output. According to him, the change in aggregate demand / supply causes investment instability. The Keynesian model was widely used, and he based his reasoning on the need for protectionism in economics. However, events in the United States later cast doubt on Keynesian analysis. His theory could not answer the state that had developed in the 1980s Keynesian theory could not cope with high inflation. The stagnation outgrown into stagflation, and the correlation between the Phillips curve and the dependence on inflation and unemployment was also questioned. Friedman (1968) and Phillips (1967, 1968) later substantiated the link between unpredictable inflation and unemployment (Blanchard, 2011).

In addition to Keynes's work, the theory of insufficient consumption was reflected in the works of Hobson and Foster. In their opinion, a cycle is a breach of the balance between supply and demand. This theory is explained by the psychological characteristics of people, their propensity to save. Demand for the means of production is declining, followed by a drop in investment. Profit rate analysis is crucial in crisis research. Optimistic sentiments among the population and entrepreneurs during the economic boom increase optimistic expectations of capital gain. As a result, excessive optimism gives us economic development, reduction of loan interest, salary increase, etc. But this period is followed by a decline, during which optimism is replaced by pessimism and has the opposite effect. The interest rate rises and the profit rate tends to zero. Keynesians believe that at such times the state needs to pursue effective policies. Keynesian theory that cyclical fluctuations are caused by changes in consumption has been replaced by neoclassical "supply economics" due to its current inability.

In 1976, a new macroeconomic theory emerged that considered the behavior of firms and households in terms of rational expectations. The author of this theory is Robert Lucas, and he, unlike Keynes, who analyzes aggregate, macroeconomic indicators, focuses on microeconomic factors and studies them in detail. Lucas tried to prove that we can reach macroeconomic indicators through microeconomic analysis, but in fact it was very difficult to show and his theory came to a standstill.

In subsequent periods, developed theories related to human physiology. One of the first to develop this theory was Arthur Cecil Pigou. According to him, crises depend on the psychological state of the population: changes in pessimism and optimism cause waves of crises and booms in the economy.

The theory of innovation developed by Joseph Schumpeter and Hansen is based on the fact that significant scientific and technical changes are periodically introduced in the economy and as a result there is an overproduction of goods. Schumpeter's merit in the study of business cycles is quite large. He concluded from his research that the long-term cycle it includes short-term and medium-term cycles that affect each other, making it more difficult to predict the expected consequences of the crisis.

There are also many investment theories related to crises developed by Friedrich Hayek, Ludwig Mises and Dennis Robertson. According to this theory, the causes of the crisis in periods of economic growth can be excessive investment. Therefore, they consider the inadmissibility of economic booms as a way to fight crises, which requires an increase in interest rates during the period of economic prosperity. Later Nobel laureates **Edward Prescott** and **Finn Cowland,** with the development of real business cycle theory, aimed to overcome the complexity posed by the analysis of Lucas's theory. Their theory is based on assumptions of perfect competition and rational expectations, which were considered a few years earlier with the same assumptions. This was the first paper to build a model of real business cycles.

The theory of real business cycles was a completely new approach. Based on it, it has been argued that cycles can be studied by dynamic models of general equilibrium, and the business cycle model adequately characterizes the patterns of long-term economic growth. It became possible to formulate dynamic-stochastic models of total equilibrium.

Prescott and Culend can be considered "new classics" because they formulated the idea that all fluctuations have a balanced character. They, like the classics and unlike Keynes, consider state stabilization unnecessary in developed countries, since a large part of GDP is included in the equilibrium model and there is no need to include additional market equilibrium deviation parameters in the models.

The great merit of the creators of RBC models is that they were able to relate microeconomic and macroeconomic indicators, including establishing an organic link between them, based on assumptions of behavior rationality, optimal decision making, and the pursuit of profit maximization. An analysis of the causes of economic fluctuations in the RBC model shows that the largest share comes from technological shocks (75%).

In conclusion, Prescott and Kydland developed the theory of the real economic cycle as an independent direction and laid the foundation for a systematic study of the economic crisis. Under market conditions, output growth slows down not because of market inefficiency but because of low rates of technological development, and economic cycles are caused by technological shocks. Based on this, they argued that the market can restore equilibrium without outside intervention.

Eventually, in their opinion, in most cases, technological change was considered to be the cause of the economic crisis in the context of a developed market economy.

Subsequent practice has proven that the RBC methodology has played an important role in the study of economic crises. However, the researchers adapted the model and renamed it (“Stochastic Dynamic General Equilibrium Macroeconomics”). The new model took into account the imperfections of the market and presented a more realistic analysis. With this move came the convergence of the views of the classics and the Keynesians.

In view the famous economist of modernity Olivier Blanchard, the financial sector plays an insufficient role in

economic cycles. In his view, it is impossible to understand the causes of the crisis and its development trends without a financial mechanism. Blanchard's opinion has been confirmed by recent events. It is true that the financial sector depends on the real business, but the financial sector itself can deal a decisive blow to business processes through savings and risk redistribution.

It is well known that the financial sector occupies a large scale in today's market sector. It is quite a vulnerable field and can have a significant impact on the change of cyclical processes and the development of crises. However, this does not mean that the financial sector should be considered as the only cause of the crisis.

Practice has proven that the economic crisis, regardless of its originating causes, affects the entire economy. It is characterized by sharp and devastating manifestations and dramatically worsens the economic situation of the country and society. If we look at the history of crises in the world, we can say that the most severe and deepest crises took place in the recent period, XX-XXI century (Samuelson&Nordhaus, 20007: 886-887).

It is also known in the history of economic thought that the first crisis arose where capitalist relations first developed: in England in 1825. Once in 8-10 years from this time the crises were characterized by recurrence. They did not have a particularly sharp face and did not last for a long period of time, which eliminated the fluctuations in a short time.

It should be noted that the crises of the 19th century lasted for an average of two years and the decline in GDP was about 3%. The next century saw an increase in the depth of the crisis and a sharp decline in GDP. Over time, the characteristics of the economic cycle began to change. The period between the crises has decreased considerably, if before the crises were accompanied by a drop in prices, now, on the contrary, prices and wages have started to rise in parallel with the crisis. The use of regulatory levers by state institutions has made it possible to stimulate the economy during a crisis and reduce the overheating of the economy during the boom.

It should be noted that crisis situations have less impact on innovative and high-tech industries. In addition, as the role of the service sector grows day by day, the role of capital is relatively diminishing, which has also reduced the duration of the crisis. A nature of the crises has shown that small and medium-sized businesses respond much more flexibly to fluctuations, while giants suffer more and more easily.

In the history of the world economy, the "Great Depression" of 1929-33 was particularly severe for mankind. His likeness has not been repeated before or since.

After World War II (1948-49), the United States experienced a crisis of overproduction, which was repeated in other countries in the following periods. In particular, in 1957–58, 1974–75, 1980-81, albeit with less severity. Considering the Keynesian theory and the Keynesian anti-cyclical policy of the government, the economies of the capitalist countries were stabilized.

At the same time, how paradoxical it is that the socialist countries were characterized by a crisis of shortage, which was due to bureaucracy and state ownership of the means of production. It was a system that was considered to hinder the development of the economy, although in the reports of the high echelons of the state government the rate of economic growth was far ahead of the developed countries. The natural processes of transformational development of the economy have slowly shifted most of the countries to a new set and the crisis of scarcity has been eliminated. This process began in the 90s of the 20th century.

The recent severe financial crisis, which is even compared to the "Great Depression", occurred in 2008. Unemployment has risen sharply and states have had to spend trillions of dollars to avoid a major financial crash. The process turned out to be so large that the capitalist system and the truth of liberal approaches were called into question.

Since then, despite some stability, the financial crisis has re-emerged in a number of countries since 2011. Due to rising public debt and budget deficits in some European countries, some countries faced default, although in 2012 the situation improved in part thanks to EU financial assistance.

If we look at the history of crises, it appears that most of them started with a severe situation in the financial sector and then spread to the entire economy. The reason for them was considered by some economists to be the weakness of the state as a regulator. The first crisis in many countries has played a major role in accelerating the privatization process and private sector development.

The Great Depression of 1929-1933 was the longest, deepest, and most comprehensive crisis in the history of the world. It started in America and shook the whole world economic system. The severe recession was followed by the collapse of stock exchanges. The events that unfolded on the stock exchanges under the name of "Black Tuesday" have gone down in history. Unemployment in the US rose from 3.2% to 24.9% and it was only nine years later that it became possible to return to baseline.

There is still a debate among scholars-economists as to what caused such a large-scale depression. Of the many considerations, one is significant in the form of stock market crashes. However, according to O. Blanchard, the crisis started before the stock market crash and was caused by other factors [8].

After the crisis of 2008, the correctness of the opinion of many scientists (Ch. Kindelberg, etc.) who studied the causes of the financial crisis became clear. Their analysis follows the following logic: based on positive expectations, investors start investing their free financial resources and this often turns into excess investment. Once economic agents find that the future is overly optimistic, the financial system shakes and may start to panic. Suddenly emerging financial "bubbles" burst. Kindelberg theory was not popular in the 1980s, although its validity has recently been proven. His theory is based on the Minsky model.

In the study of the instability characteristic of capitalism, it is important to note the contribution of Hyman Minsky (1919-1996), who considered the fragility of the global financial crisis and capitalism. He named the credit sector as the initial reason for the financial crisis. Minsky is considered

post-Keynesian and it considered the control of all channels of credit expansion as the main task of economic policy. The reason for this was his view that the existence of private lending outside the bank further increases tax liabilities. In examining the shortcomings of capitalism as a system, Minsky concludes that as soon as measures are taken to avoid a crisis, it further increases the risks of a new crisis that may turn out to be more acute.

Hyman Minsky studied the psychology of economic agents, after which Charles Kindelberg developed a theory of the financial crisis based on his reasoning. Minsky says the precondition for the crisis will arise during the investment boom. The financial system is fundamentally fragile under capitalism. This is especially due to the complexity and diversity of financial instruments.

A financial crisis arises when companies need more cash than they can get. They are now looking for alternative ways of financing and liquidating market positions. This process is provocative of falling output and rising unemployment. Another factor causing the crisis is the high level of debt in the economy. Due to this, the instability in the financial sector is transferred to other areas and affects the whole economy.

Traditional monetary policy is impossible to get out of the financial crisis; it requires a strict system that accurately defines financial institutions. The function of the central bank should be in the role of writing off bad debts and preventing financial crisis. Hyman Minsky views have had many critics, especially because he did not explain the crisis accurately and did not formulate his concept specifically.

Based on the above, it is possible to male several conclusions, namely:

Crisis is a complex phenomenon and a significant shortcoming of the market economy. The causes of the crisis are multifaceted, though developed economic theories and accumulated practical experience make it possible to anticipate and avoid the expected crisis in the future.

Proper operation of the financial system and maximum risk insurance are essential for conducting the anti-crisis measures. At the same time, it is important for each country to take care of the strength of its real and financial sector, so as not to be vulnerable and painlessly endure and overcome the periods of crisis.

The recurring nature if the crisis cycles being reflected in the sudden global pandemic of the year of 2020 has virtually halted the functioning of the entire world economy and the problem of properly managing the economic and financial crisis was placed on the agenda.

The final outcome and consequences of the world's greatest crisis are still unknown. It goes without saying, that there is a need for maximum mobilization of Governments and central banks, coordination of fiscal and monetary policies and regulation if the banking system in order to prevent and eliminate the escalation of the crisis.

REFERENCES

Shaikh, A. (2007). *Globalization and the myth of free trade*. http://european.ge/.

Burns, Q. A. F. (1969. *The Business Cycle in a Changing World, National Bureau of Economic Research.*

Blanchard, O. (2011). *Macroeconomics*. Publishing TSU.

Finn, F. & Edward, P. (2004). *Contribution to Dynamic Macroeconomics: The Time Consistency of Economic Policy and the Driving Forces Behind Business Cycles, Advanced information on the Bank of Sweden Prize in Economic Sciences in Memory of Alfred Nobel,* 11 October.

Mekvabishvili, E.,(2012) *Modern Macroeconomic Theories.* Tbilisi.

Papava, V. (2020). Coronomics and fundamentally new economic crisis. *Economy and Crisis*, 2.

Samuelson, P., & Nordhaus W., (2000). *Economics*. Tbilisi.

Silagadze, A., (2010) *Economic Doctrines*. Tbilisi.

Bohoslavsky, J. P. & Raffer, K. (2018): *Sovereign Debt Crises*

Cassis, Y., (2013): *Crises and Opportunities: The Shaping of Modern Finance*

Purica, I. (2015): *Nonlinear Dynamics of Financial Crises*

Gorton, G. B. & Tallman, E. W. (2018): *Fighting Financial Crises*

Roy E. Allen (2016): *Financial Crises and Recession in the Global Economy,* Fourth Edition

https://www.youtube.com/watch?v=fGoB3T1kTW0.

JEL Classification: N10 https://doi.org/10.35945/gb.2020.10.010

COVID-19 AS A FORM OF HYBRID WAR

MALKHAZ CHIKOBAVA

PhD in Economics, Associate professor,

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

malkhaz.chikobava@tsu.ge

Abstract. The article presents a comparative analysis of the Great Depression of the 1930s and the current global financial and economic crisis. It is emphasized that overcoming the first great depression and eliminating imbalances in the economy was achieved only during the Second World War, and the modern crisis, which has been raging for 11 years, has not yet ended. This crisis was not followed by the elimination of all imbalances accumulated in the economy. After the acute phase (recession) ended in 2009, stagnation (depression) occurred, which needed to be restored. We have been waiting for a revival for many years, now 2020, but it is not visible.

Comparing the crisis of the 30s of the last century and the current global financial and economic crisis, the following differences are obvious: stagnation in the 1930s lasted from 1933 to 1939, or six years that ultimately ended in World War II. After the crisis of 2007-2009, stagnation continued for 11 years, with depression almost two times longer and more delayed. Despite the fact that in a sense, the situation in Western countries is better in the 21st century than in the 1930s, since there is no longer the Soviet Union with its dynamically developing economy, but China has unprecedentedly high rates of economic growth. The thirty-year economic dynamics of China can definitely be called a boom phase. Not a single country in the West has experienced such a long boom in the history of capitalism. It is clear that in such a situation the West must do something.

Of course, the West, through war, has repeatedly overcome the accursed resistance of the capitalist rule of production. But with the help of war, overcoming the contradiction of capitalism today is deadly dangerous. The first two world war occurred without the use of nuclear weapons or any other weapons of mass destruction. The third world war, of course, will be accompanied by the inevitable use of weapons of mass destruction. And therefore, it is necessary to change something in the world war, which will magically help correct the imbalance of the capitalist economy, revive it, and maintain the status quo of the ruling elite.

An alternative to a hot war can be the Cold War, which today they prefer to call hybrid. It involves the use of financial, commercial, economic, psychological and information resources. However, all this is not enough to provide the authorities with powers that would allow them to move from market methods to administrative-command methods of managing the economy. It is with the help of the latter that the imbalance that has accumulated in the economy can be overcome.

It is in this context that Coronavirus "appears" as an alternative to the global war to eliminate the imbalances accumulated in the leading economies of the world.

KEYWORDS: GLOBAL ECONOMIC CRISIS, RECESSION, DEPRESSION, CORONAVIRUS.

For citation: Chikobava, M., (2020). Covid – 19 as a Form of Hybrid War. *Globalization and Business, 10*. 79-85. (In Georgian) https://doi.org/10.35945/gb.2020.10.010

JEL Classification: N10 https://doi.org/10.35945/gb.2020.10.010

COVID-19, როგორც ჰიბრიდული ომის ერთ-ერთი ფორმა

მალხაზ ჩიქობავა
ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
malkhaz.chikobava@tsu.ge

საკვანძო სიტყვები: გლობალური ეკონომიკური კრიზისი, რეცესია, დეპრესია, კორონავირუსი.

ციტირებისთვის: ჩიქოვანი ე. (2020). სოციალური უსაფრთხოების ინდიკატორების დამუშავების შესახებ საქართველოში. *გლობალიზაცია და ბიზნესი, №10*, გვ. 79-85. https://doi.org/10.35945/gb.2020.10.010

1929 წლის ნოემბერში, ნიუ-იორკის საფონდო ბირჟაზე პანიკიდან დაიწყო მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი. წლის ბოლოსათვის პანიკა ნიუ-იორკის საბირჟო მოედნის საზღვრებს შორს გაცდა. გაჩერდა საწარმოები, გათავისუფლდა ასობით ათასი მუშაკი, ადგილი ჰქონდა არა მხოლოდ წვრილი, არამედ გიგანტური ამერიკული კომპანიების გაკოტრებას.

1930 წელს ეკონომიკურმა კრიზისმა მოიცვა ევროპა, ლათინური ამერიკა, აზია და ის მსოფლიო მასშტაბის კრიზისად ჩამოყალიბდა. წარმოების საყოველთაო ვარდნა (რეცესია) 1933 წლამდე გაგრძელდა. ამერიკის ეროვნული შემოსავალი 1929 წელს არსებული 87,8 მილიარდი დოლარიდან 40,2 მილიარდ დოლარამდე დაეცა 1933 წლისათვის. კრახი განიცადა 135 ათასზე მეტმა სავაჭრო, სამრეწველო და ფინანსურმა კომპანიამ. კრიზისის სამი წლის განმავლობაში გაკოტრდა ამერიკული ბანკების თითქმის ნახევარი (https://www.fondsk.ru/news/2019/10/24/chernyj-chetverg-24-oktjabrja-1929-goda-bankrotstvo-nauchno-obosnovannogo-optimizma-49304.html).

შემდეგ ვარდნა შეჩერდა, დაიწყო სტაგნაციის (უძრაობის) ფაზა. სხვადასხვა ქვეყანაში ხელისუფალთა მხრიდან ადგილი ჰქონდა ტიტანურ ძალისხმევას საკუთარი ეკონომიკების უძრაობის ჭაობიდან ამოსაყვანად. პოპულარული გახდა ინგლისელი ეკონომისტის ჯონ მეინარდ კეინზის იდეა, რომელიც მხარს უჭერდა სახელმწიფოს აქტიურ ჩარევას ეკონომიკურ ცხოვრებაში. კეინზი წარმოშობილი კრიზისის ძირითად მიზეზად მიიჩნევდა, ერთი მხრივ, საქონლისა და მომსახურების წარმოებასა და, მეორე მხრივ, მოსახლეობის შეზღუდულ გადახდისუნარიან მოთხოვნას შორის დისპროპორციას. კეინზამდე XIX საუკუნის 60-იან წლებში იმავეს ამბობდა კარლ მარქსი „კაპიტალში", რომელიც ვარაუდობდა, რომ წარმოების კაპიტალისტური წესის ფარგლებში მოცემული წინააღმდეგობა დაუძლეველია. კეინზი ასე არ თვლიდა, ის გვთავაზობდა მოსახლეობის არასაკმარისი გადახდისუნარიანი მოთხოვნის კომპენსირებას სახელმწიფოს მხრიდან, სახელმწიფო ბიუჯეტის მეშვეობით საქონლის შესასყიდად და შეკვეთების განსახორციელებლად. სახელმწიფოს მიერ სამხედრო შეკვეთები და სამხედრო დანახარჯები, კეინზის აზრით, სავსებით გამოსადეგი იყო არასაკმარისი გადახდისუნარიანი მოთხოვნის საკომპენსაციოდ. სახელმწიფო დანახარჯების გაფართოების მიზნით ინგლისელი ეკონომისტის აზრით შესაძლებელი იყო სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტამდე დაყვანა, ამ დეფიციტის სახელმწიფო სესხებისა და სუვერენული ვალის გაფართოების გზით. ყოველივე ამის შესახებ დაწვრილებით ინფორმაცია შეიძლება მივიღოთ 1936 წელს გამოცემული კეინზის მთავარი წიგნის „დასაქმების, პროცენტისა და ფულის ზოგადი თეორიის" გაცნობის შემდეგ.

დასავლეთში ცდილობდნენ კეინზის რეცეპტების გამოყენებას რთული ეკონომიკური სიტუაციიდან გამოსასვლელად. ყველაზე თანმიმდევრულად ინგლისელი ეკონომისტის იდეებს ცხოვრებაში ატარებდა აშშ-ის ხელისუფლება. ამის პრაქტიკული რეალიზაცია დაიწყო თეთრ სახლში 1933 წელს ფრანკლინ დელანო რუზველტის მოსვლით თავისი „ახალი კურსით" (New Deal), რამაც შეამსუბუქა ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკური სიტუაცია. სახაზინო ფულის ხარჯზე ხორციელდებოდა საზოგადოებრივი სამუშაოების დაფინანსება, კერძოდ, გზების მშენებლობა, მელიორაცია, არხების გაყვანა, ტყის განაშენიანება და შრომითი საქმიანობის სხვა სახეები, რომლებიც არ მოითხოვდა მუშაკთა განსაკუთრებულ კვალიფიკაციას. ამ პროგრამამ მილიონობით უბრალო ამერიკელს დასაქმების შესაძლებლობა და მინიმალური საარსებო საშუალება მისცა, მაგრამ ამერიკის გამოყვანა უძრაობის მდგომარეობიდან მან მაინც ვერ შეძლო. ხელისუფლებამ სიღატაკის დაძლევაც კი ვერ

მოახერხა. ამერიკელები აღიარებენ, რომ აშშ-ში კრიზისისა და დეპრესიის წლებში შიმშილისაგან, სხვადასხვა შეფასებით, 5-6 მილიონი ადამიანი დაიღუპა. აშშ-ის მსგავსად ევროპაშიც შენარჩუნდა უძრაობა და მოსახლეობის სიღარიბე (Tuguell, 1957).

გამონაკლისი იყო მხოლოდ ორი ქვეყანა – საბჭოთა კავშირი და გერმანია. 1930-იან წლებში საბჭოთა კავშირი დინამიურად ვითარდებოდა, ხორციელდებოდა ინდუსტრიალიზაცია, რაც მთელ მსოფლიოს უჩვენებდა ეკონომიკის სოციალისტური მოდელის უპირატესობას. გერმანიამ, რომელიც თავდაპირველად სტაგნაციას განიცდიდა დასავლეთის სხვა ქვეყნებთან ერთად, ხელისუფლებაში 1933 წელს ჰიტლერის მოსვლის შემდეგ ასევე დაიწყო დინამიური განვითარება; ქვეყანაში მოხდა „ეკონომიკური სასწაული“, რომელიც, ძირითადად, ამერიკული და ნაწილობრივ ინგლისური ბანკების ფულით იკვებებოდა, რითიც ამზადებდნენ ჰიტლერს, იერიში მიეტანა აღმოსავლეთზე საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ (https://www.fondsk.ru/news/2019/10/09/anglo-amerikanskij-biznes-s-nacistami-49197.html)

კეინზიანურ მეთოდებს სასწაული არ მოუხდენია. იმ დროისათვის მეურნეობის გამოცოცხლების ყველა არსებული ეკონომიკური მეთოდი ამოწურულ იქნა. დასავლეთისათვის ეს განსაკუთრებით საშიში გახდა საბჭოთა კავშირის მაღალი ეკონომიკური დინამიკის ფონზე – საბჭოთა კავშირისა და კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკურ დინამიკაში ამგვარ კონტრასტებს შეეძლო გამოეწვია სოციალიზმის საბოლოო გამარჯვება მსოფლიოში. ამან დასავლეთის მმართველი წრეები ურყევად მიიყვანა იმ აზრამდე, რომ ქრონიკულად ქცეული ეკონომიკური სტაგნაციიდან ერთადერთი გამოსავალი შეიძლება ყოფილიყო ომი, თანაც, მსოფლიო, დიდი ომი.

პირველი მსოფლიო ომის მაგალითზე აშკარა გახდა, რომ გლობალურ შეიარაღებულ კონფლიქტებს შეეძლო რადიკალურად შეეცვალა ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობა. მართლაც, პირველ მსოფლიო ომამდე აშშ მსოფლიოში ყველაზე მსხვილი საერთაშორისო მოვალე ქვეყანა იყო ეკონომიკის კერძო სექტორის ვალის მიხედვით (სახელმწიფო ვალის მიხედვით კი პირველ ადგილზე იმყოფებოდა ცარისტული რუსეთი). პირველი მსოფლიო ომის დასრულებისთანავე ამერიკა უმსხვილესი ნეტო-კრედიტორი გახდა, აშშ დოლარი კი მსოფლიო ვალუტად გადაიქცა ბრიტანულ ფუნტ სტერლინგთან ერთად.

აშშ, ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია, იტალია, იაპონია, ასევე სხვა წამყვანი კაპიტალისტური ქვეყნები შეუდგნენ მეორე მსოფლიო ომისათვის მზადებას. ითვლებოდა, რომ ომის შედეგად ჩამოიწერებოდა ყველა ვალი, ეკონომიკაში დისბალანსი გაქრებოდა, დაიწყებოდა ნულოვანი სალდოს ბალანსების მქონე ეროვნული ეკონომიკების თავბრუდამხვევი განვითარება. მოვალე ქვეყნები ოცნებობდნენ, რომ გაიმარჯვებდნენ ან თუნდაც გაანადგურებდნენ თავიანთ კრედიტორებს. კრედიტორი ქვეყნები კი ოცნებობდნენ, რომ მიიღებდნენ ბაზრებს, მოვალეთა ბუნებრივ რესურსებსა და მილიარდობით რეპარაციებს დამარცხებულებისგან. მეომარი ქვეყნების შიგნით საბაზრო ეკონომიკის ბუნებრივ წესებზე დადებულ იქნა მორატორიუმი, სახელმწიფო ეყრდნობოდა რა საომარ ვითარებას, თავისი რკინის ხელებით ახდენდა დაგროვებული დისბალანსების (მოთხოვნებისა და ვალდებულებების) გაწონასწორებას. ომი სახელმწიფოს ხელში უძლიერეს არგუმენტად იქცა, შემოეღო კაპიტალისტურ ეკონომიკაში რკინის წესრიგი ადმინისტრაციულ-მბრძანებლური მეთოდებით. არავითარ კეინზიანელობას ეს არ ძალუძს. მეორე მსოფლიო ომიც, რომელიც 1939 წლის 1 სექტემბერს დაიწყო, სახიფათოდ გაჭიანურებული სტაგნაციიდან მსოფლიო კაპიტალიზმის გამოყვანის საშუალებად იქცა.

რა ხდება ჩვენს ეპოქაში – XXI საუკუნეში. 2007-2009 წლებში მსოფლიომ გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისი განიცადა. ამ კრიზისს არ მოჰყოლია ეკონომიკაში დაგროვებული ყველა დისპროპორციის ლიკვიდაცია. 2009 წელს მწვავე ფაზის (რეცესიის) დასრულების შემდეგ დადგა სტაგნაცია (დეპრესია), რომელსაც უნდა მოჰყოლოდა გამოცოცხლება. გამოცოცხლებას მერამდენე წელია ველოდებით, ამჟამად 2020 წელია, მაგრამ ის არა და არ ჩანს.

გასული საუკუნის 30-იანი წლებისა და თანამედროვე გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისების შედარებისას აშკარად იკვეთება შემდეგი განსხვავებები: 1930-იან წლებში სტაგნაცია 1933 წლიდან 1939 წლამდე, ანუ ექვსი წელი გაგრძელდა, რომელიც საბოლოოდ დასრულდა II მსოფლიო ომით. 2007-2009 წლების კრიზისის შემდეგ სტაგნაცია უკვე 11 წელია გრძელდება, ანუ დეპრესია თითქმის ორჯერ და უფრო მეტადაა გაჭიანურებული. გარკვეული აზრით, დასავლეთის ქვეყნების მდგომარეობა XXI საუკუნეში უკეთესია, ვიდრე 1930-იან წლებში, რამდენადაც უკვე არ არსებობს საბჭოთა კავშირი თავისი დინამიკურად განვითარებადი ეკონომიკით. დასავლეთის საბჭოთა კონკურენტი გაქრა, მაგრამ არსებობს ჩინეთი თავისი უპრეცედენტოდ მაღალი ეკონომიკური ზრდის ტემპებით. ჩინეთის ბოლო ოცდაათწლიან ეკონომიკურ დინამიკას შეიძლება ცალსახად აღმავლობის ფაზა ვუწოდოთ. ასეთი ხანგრძლივი აღმავლობა დასავლეთის არცერთ ქვეყანას არ განუცდია კაპიტალიზმის მთელი ისტორიის მანძილზე. ცხადია, ასეთ ვითარებაში დასავლეთმაც რაღაც უნდა მოიმოქმედოს.

რა თქმა უნდა, დასავლეთის მმართველი წრეების წარმომადგენლებს არაერთხელ მოსვლიათ აზრად დიდი ომის გაჩაღებისა და მისი დახმარებით წარმოების კაპიტალისტური წესის წყეული წინააღმდეგობის კიდევ ერთხელ დაძლევის იდეა. აზრი ძალიან მაცდურია, მაგრამ ერთდროულად მომაკვდინებელიც. აკი პირველი – ორი ომი ბირთვული იარაღისა და მასობრივი განადგურების რაიმე სხვა სახის იარაღის გამოყენების გარეშე მოხდა. მესამე მსოფლიო ომს კი, ცხადია, მასობრივი განადგურების იარაღის გარდაუვალი

გამოყენება მოჰყვება. საჭირო და აუცილებელია მსოფლიო ომში რაღაცის შეცვლა, რომელიც ჯადოსნურ დახმარებას გაუწევს კაპიტალისტური ეკონომიკის დისბალანსის გამოსწორებას, მის გამოცოცხლებას, მმართველი ელიტის სტატუსკვოს შენარჩუნებას.

ცხელი ომის ალტერნატივად შეიძლება იქცეს ცივი ომი, რომელსაც დღეს ამჯობინებენ უწოდონ ჰიბრიდული. ის გულისხმობს მოწინააღმდეგის მიმართ ფინანსური, სავაჭრო-ეკონომიკური, ფსიქოლოგიური, ინფორმაციული საშუალებების, ასევე კიბერიარაღისა და სპეცსამსახურების განსაკუთრებული მეთოდების გამოყენებას. თუმცა, ყოველივე ეს არასაკმარისია ხელისუფლებებისათვის უფლებამოსილებების მისანიჭებლად, რაც მათ საბაზრო მეთოდებიდან ეკონომიკის ადმინისტრაციულ-მბრძანებლური მართვის მეთოდებზე გადასვლის საშუალებას მისცემდა. სწორედ ამ უკანასკნელის დახმარებითაა შესაძლებელი ეკონომიკაში დაგროვებული დისბალანსის დაძლევა.

სწორედ ამ ვითარებაში „ჩნდება" კორონავირუსი. ხელისუფლებებმა დაიწყეს საშიშროების გაბუქება საზოგადოებაში შიშისა და პანიკის ატმოსფეროს შექმნით. სარგებლობენ რა დათესილი შიშით, ხელისუფლებები ღებულობენ შეუზღუდავ უფლებამოსილებებს, იწყებენ ეკონომიკაში აქტიურ ჩარევას. ასეთი მეთოდები ეწინააღმდეგება „ცივილიზებული" კაპიტალიზმის პრინციპებს, მაგრამ ადმინისტრაციულ-მბრძანებლური მართვა მუდმივი არ იქნება. როგორც კი დისპროპორციები ეკონომიკაში გამოსწორდება, ყველაფერი კვლავ იმავე წრეზე დატრიალდება: ისევ დაბრუნდება მართვის საბაზრო მეთოდები, კვლავ აღდგება „ცივილიზებული" კაპიტალიზმი, დაიწყება გამოცოცხლება, რომელიც შემდეგ გადაიზრდება ხანგრძლივ ეკონომიკურ ზრდაში.

ექსპერტები ამბობენ, რომ „საგანგებო ეკონომიკური მდგომარეობის" რეჟიმი წლის ბოლომდე გაგრძელდება – მაქსიმუმ, მომდევნო წლის შუა პერიოდამდე. „ვირუსული ომი" იქნება ელვისებური და გამარჯვებით დასრულებული. ამ პერიოდში ადგილი ექნება მასობრივ ბანკროტობას, მოხდება ვალებისა და თანხებზე მოთხოვნის ლიკვიდაცია, რომელიც ტრილიონობით დოლარია. მოხდება საფონდო და სხვა ფინანსურ, ასევე სასაქონლო და უძრავი ქონების ბაზრებზე ფინანსური ბუშტების გაბერვა. კომპანიების კაპიტალიზაცია ჩამოიშლება, რომლის მასშტაბი ათობით ტრილიონს მიაღწევს. ეკონომიკა კვლავ დაიწყებს „ამოსუნთქვას" და დაიწყება გამოცოცხლება და ეკონომიკური ზრდა.

ამ მიმართულებით მსოფლიოს წამყვან ეკონომიკებში მნიშვნელოვანი ფინანსური ინექციების პაკეტები იქნა შემოთავაზებული. აღსანიშნავია აშშ-ის მონეტარულ ხელისუფალთა გადაწყვეტილება მსოფლიო პანდემიის წინააღმდეგ საბრძოლველად. მსოფლიო მასმედიამ მიმდინარე წლის მარტის ბოლოს სენსაციური ახალი ამბავი გაავრცელა. ამერიკის პრეზიდენტის მრჩეველმა ეკონომიკურ საკითხებში ლარი კუდლოუმ (Larry Kudlow) 24 მარტს პრეს-კონფერენციაზე დაასახელა დახმარების მთლიანი თანხა, რომელსაც აშშ-ის ხელისუფლება გამოყოფს კორონავირუსთან საბრძოლველად – 6 ტრლნ დოლარი. ორი ტრილიონი სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი პირდაპირი დახმარებაა, კიდევ 4 ტრილიონი – ფედ-ის კრედიტების ხარჯზე მიღებული დამხარება (https://www.nationalreview.com/news/coronavirus-relief-white-house-adviser-larry-kudlow-projects-aid-package-to-reach-roughly-6-trillion/).

ექვსი ტრილიონი – ესაა აშშ-ის წლიური მთლიანი სამამულო პროდუქტის დაახლოებით 30%. ამერიკაში არასოდეს ჰქონია ადგილი ასეთ მასშტაბურ ფულად ინექციას. გასული საუკუნის 70-იან წლებამდე აშშ-ში ადგილი არც შეიძლება ჰქონოდა „რაოდენობრივი შერბილების" რაიმე პროგრამას იმ მიზეზის გამო, რომ ეს იყო ოქროს სტანდარტის ეპოქა, რომლის დროსაც ამერიკის ცენტრალური ბანკის ფულადი ემისია იზღუდებოდა ოფიციალური ოქროს რეზერვებით. საბიუჯეტო ფულის შეუკავებელი გაცემაც ვერ მოხდებოდა – ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული სისტემა, რომლის დროსაც აშშ-ის ფინანსთა სამინისტრო განსაკუთრებული პრობლემების გარეშე შეძლებდა ბიუჯეტის დეფიციტის დაფარვას სახაზინო ობლიგაციების ემისიით.

პანდემიასთან ბრძოლის საბიუჯეტო ფული 2 ტრილიონი დოლარის ოდენობით – ეს არ არის კონგრესის მიერ მიმდინარე ფინანსური წლისათვის (რომელიც დაიწყო 2019 წლის 1 ოქტომბერს) ფედერალური ბიუჯეტის შესახებ მიღებული კანონის ფარგლებში ფულადი საშუალებების გადანაწილების შედეგი. ეს დამატებითი ხარჯებია, რომელიც გამოიწვევს ამერიკის ბიუჯეტის დეფიციტის ზრდას. 2020 წლის ბიუჯეტის შესახებ კანონით დეფიციტი თითქმის 1 ტრილიონ დოლარს აღწევდა. 2020 წლის იანვარში ფინანსთა სამინისტრომ განაცხადა, რომ დეფიციტი, როგორც მოსალოდნელია, გადააჭარბებს 1 ტრილიონ დოლარს. ბოლოს ასეთი დეფიციტი დაფიქსირდა 2012 წელს. რეკორდული კი ამერიკის ისტორიაში იყო ბიუჯეტის დეფიციტი 2009 წლის ბოლო კრიზისის შუაგულში – 1,4 ტრილიონი დოლარი. 2020 წლის ივნისი ბოლოს აშშ-ის ფედერალური ბიუჯეტის დეფიციტი უკვე 3 ტრილიონ დოლარს აჭარბებს!!!

ამერიკის 2 ტრილიონი დოლარის პირდაპირი (საბიუჯეტო) დახმარებიდან ნახევარი (1 ტრილიონი დოლარი) იქნება მოსახლეობისადმი ფულის პირდაპირი დარიგება, საიდანაც ათასი დოლარი მიეცემა ყოველ სრულწლოვანს, ხოლო 500 დოლარი – ყოველ არასრულწლოვანს. ასეთი გასაცემლები, მოწოდებულია, შეასრულოს სოციალური ამოცანებიც (ამერიკელებისადმი, განსაკუთრებით ღარიბებისადმი დახმარება) და ეკონომიკურიც (მოსახლეობის გადახდისუნარიანი მოთხოვნის ამაღლება). საბიუჯეტო ფულის მეორე ნახევარი მოხმარდება მცირე ბიზნესის მხარდაჭერას, მათ შორის, საგადასახადო არდადეგების შეთავაზებით (350 მლრდ დოლარის ოდენობით), უმუშევრობაზე შემწეობების პროგრამის გაფართოებას (250 მლრდ დოლარის ოდენო-

ბით), აგრეთვე ფიზიკური პირებისადმი საგადასახადო არდადეგების შეთავაზებით.

ფინანსთა მინისტრის სტივენ მნუჩინის სიტყვებით, ბიზნესისადმი დახმარების პაკეტი მოიცავს ათასობით კომპანიას 500 კაცამდე მუშაკის რაოდენობით. კომპანიები მას მიიღებენ იმის სანაცვლოდ, რომ ივალდებულებენ მუშაკების შენარჩუნებას ორი კვირის განმავლობაში. მინისტრმა განაცხადა, რომ ბიზნესისადმი დახმარება შეეხება ამერიკის ეკონომიკის დაახლოებით 50%-ს და მუშაკთა დაახლოებით 80 მილიონს (ყველა დასაქმებულთა დაახლოებით ნახევარს).

აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემა მარტში არანაკლები ოპერატიულობით მოქმედებდა, ვიდრე ფინანსთა სამინისტრო. ღია ბაზრის ოპერაციების კომიტეტის ორ საგანგებო სხდომაზე მან მიიღო გადაწყვეტილება ისედაც დაბალი საკვანძო განაკვეთის მკვეთრად შემცირებაზე. შედეგად, განაკვეთი ჯერ 0,5, შემდეგ 1 პროცენტული პუნქტით შემცირდა და დღეისათვის 0–0,25%-ს შეადგენს. ფაქტობრივად ფული, რომელიც გაიცემა კრედიტების სახით, უფასო სესხებად გვევლინება.

გასული წლის ოქტომბერში ფედ-მა დაიწყო რაოდენობრივი შერბილების ახალი რაუნდი. ამერიკის ცენტრალურმა ბანკმა მარტის დასაწყისში განაცხადა, რომ ახალი რაუნდის ფარგლებში შეისყიდის სახაზინო ფასიან ქაღალდებს, სულ მცირე, 500 მლრდ დოლარის ოდენობით, აგრეთვე იპოთეკურ ქაღალდებს მინიმუმ 200 მლრდ დოლარის ოდენობით. 2020 წლისათვის ფედ-ის აქტივები უნდა გაიზარდოს 4,3 ტრლნ დოლარიდან 5 ტრლნ დოლარამდე.

ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ (ფედ-ი) ფასიანი ქაღალდების შესყიდვისა და აქტივების გაფართოების წლიური გეგმა უკვე აპრილის დასაწყისისთვის შეასრულა. ფედმა 23 მარტიდან დაიწყო სახაზინო ფასიანი ქაღალდების შესყიდვა დღიურად 75 მლრდ დოლარის ოდენობით, ხოლო იპოთეკური ქაღალდებისა – 50 მლრდ დოლარის ოდენობით დღიურად. კვირის (ხუთი სამუშაო დღის) განმავლობაში ჯამურმა შესყიდვებმა 625 მლრდ დოლარი შეადგინა. ეს თანხა შესადარებელია ფედ-ის ყველა აქტივის სიდიდესთან, რომელიც 2000-იანი წლების დასაწყისში არსებობდა. ფედ-ის მიერ ფასიანი ქაღალდების ყოველდღიური შესყიდვები უფრო ინტენსიური იყო, ვიდრე რაოდენობრივი შერბილების მეორე პროგრამის მოქმედების პერიოდში. მისმა სიდიდემ ამ უკანასკნელს 30-ჯერ გადააჭარბა, ხოლო უკანასკნელ პროგრამას, რომელიც 2019 წლის ოქტომბერში ამოქმედდა, 42-ჯერ გადააჭარბა! საინტერესოა, რა მოხდება რაოდენობრივი შერბილების ბლიცოპერაციის გატარების შემდეგ? ფედ-ი დაუბრუნდება ფასიანი ქაღალდების შესყიდვების უწინდელ ნორმას? თუ კვირის განმავლობაში წლიური ნორმის შესრულებით შეაჩერებს რაოდენობრივი შერბილების პროგრამას? ან, თუკი ბლიცოპერაცია არ გამოიღებს მოსალოდნელ ეკონომიკურ ეფექტს, გაგრძელდება შესყიდვები იგივე ინტენსივობით? ფედ-ის თავმჯდომარეს ჯერომი პაუელს ამის თაობაზე არავითარი ახსნა-განმარტება არ გაუკეთებია.

სინამდვილეში რაოდენობრივი შერბილების მასშტაბები ბევრად მეტია, ვიდრე ის, რასაც ფედ-ი აცხადებს. აკი, სახაზინო და იპოთეკური ქაღალდების შესყიდვის გარდა, ფედრეზერვი ემზადება შეისყიდოს კომერციული ფასიანი ქაღალდები – კორპორაციული ობლიგაციები და ვექსელები. გათვალისწინებულია სამი ახალი მექანიზმის შექმნა, რომლებიც იქნებიან შუამავლები ამერიკულ ცენტრალურ ბანკსა და კომერციული ფასიანი ქაღალდების გამომშვებ საბოლოო მსესხებლებს შორის.

პირველი მათ შორის – Primary Market Corporate Credit Facility (PMCCF), პირველადი ბაზრის კორპორაციული საკრედიტო ხაზია. ეს მექანიზმი, როგორც მისი სახელწოდებიდან გამომდინარეობს, მოწოდებულია, შეისყიდოს ახალი კორპორაციული ქაღალდები ბაზარზე მათი პირველადი განთავსების დროს.

მეორე – Secondary Market Corporate Credit Facility (SMCCF) — მექანიზმი მოწოდებულია ქაღალდების მხარდასაჭერად, რომელიც უკვე მიმოიქცევა ბაზარზე. რაც მთავარია, ამერიკული ცენტრალური ბანკი კომერციული ფასიანი ქაღალდების შესყიდვით არა მხოლოდ მხარს უჭერს ბიზნესს მძიმე მომენტში, არამედ მზადაა, ხელი გაუმართოს თავის მოვალეებს. მსესხებლები უფლებას ღებულობენ, გადაავადონ პროცენტებისა და ძირითადი თანხის გადახდა პირველი – ექვსი თვის განმავლობაში ამერიკული ცენტრალური ბანკის შუამავლობით კომერციული ფასიანი ქაღალდების შესყიდვის შემდეგ.

მოქმედებაში შემოდის კიდევ ერთი მექანიზმი – Term Asset-Backed Securities Loan Facility (TALF), უზრუნველყოფილი ფასიანი ქაღალდების ვადიანი საკრედიტო ფონდი. აშშ-ის კომერციული ბანკები გასცემენ კრედიტებს მომხმარებლებზე და მცირე და საშუალო ბიზნესის კომპანიებზე, რომლებიც უზრუნველყოფილია მცირე ბიზნესის ადმინისტრაციის (SMB) გარანტიებით და ზოგიერთ სხვა უზრუნველყოფილ კრედიტებს ბიზნესზე. კომერციული ბანკები მათ საფუძველზე უშვებენ სავალო ფასიან ქაღალდებს. ამგვარ ოპერაციას ეწოდება საბანკო კრედიტების სეკურიტიზაცია. აშშ-ის ცენტრალური ბანკი TALF-ის მექანიზმის მეშვეობით ყიდულობს ამ ფასიან ქაღალდებს.

ფედ-ი არაპირდაპირ მხარს უჭერს მუნიციპალურ ხელისუფლებას, რომლებიც ფართოდ მიმართავენ კრედიტებსა და სესხებს. ასეთი მხარდაჭერა გაფართოვებული იქნება Money Market Mutual Fund Liquidity Facility (MMLF)-ის არსებული მექანიზმის მეშვეობით – ფულადი ბაზრის ურთიერთფონდის ლიკვიდურობის ფონდით. აშშ-ის ცენტრალურმა ბანკმა განაცხადა, რომ უახლოეს პერიოდში დამატებით დახმარებას გაუწევს ადგილობრივ მთავრობებს მუნიციპალური ფასიანი ქაღალდების სიის გაფართოებით, რომლის შესყიდვის უფლებაც მიეცემა ამ ფონდს.

არსებობს სხვა ინიციატივებიც, რომლებიც ბოლო კვირების განმავლობაში ბარაქიანად გადმოედინებოდა ფედერალური რეზერვიდან. მათ შორის ჯერ კიდევ ყველაფერი გასაგები არაა, ცენტრალურს ბანკს ჯერ დეტალები არ გაუმჟღავნებია. მაგალითად, არ არსებობს დეტალები მცირე და საშუალო ბიზნესის დაკრედიტების გამოცხადებულ პროგრამებზე.

ასევე უნდა გავიხსენოთ, რომ მარტში ფედ-მა, როგორც საბანკო რეგულატორმა, მიიღო უპრეცედენტო გადაწყვეტილება კომერციული ბანკების დარეზერვების ნორმის შემცირებაზე 10 პროცენტიდან ნულამდე. მაგრამ, შეამცირა რა ნულამდე დარეზერვების ნორმა, ფედ-ის ხელმძღვანელებს უნდა ამოეღოთ სახელწოდებიდან „ფედერალური სარეზერვო სისტემა" მეორე სიტყვა. დარეზერვების განაკვეთის განულება მკვეთრად ამაღლებს მასშტაბური საბანკო კრიზისის ალბათობას. ეს უფრო მასშტაბურიც კი შეიძლება იყოს, ვიდრე 1929-1933 წლების რეცესიის წლებში, როცა მთელი ამერიკული ბანკების თითქმის ნახევარი გაკოტრდა.

თუ დავაჯამებთ „რაოდენობრივი შერბილების" (გაფართოებული განმარტებით) ზემოჩამოთვლილ პოზიციებს, მაშინ დაახლოებით ვღებულობთ ფედ-ის მიერ 4 ტრილიონი დოლარის სენსაციურ საკრედიტო მხარდაჭერის თანხას. როგორც ჩანს, ამ მხარდაჭერის დიდი ნაწილი კვალიფიცირდება, როგორც „საგანგებო დახმარება", ის არ გაიწელება წლის დასრულებამდე. მაგრამ, სად არის გარანტია იმისა, რომ ამერიკის ცენტრალური ბანკის მიერ მიღებული ზომები საკმარისი იქნება? აკი არც ჯერომ პაუელმა, არც ფედ-ის მმართველთა საბჭოს წევრებმა არ იციან, თუ როდემდე გასტანს პანდემია. ფედ-ის ხელმძღვანელობასაც არ გააჩნია ნათელი წარმოდგენა იმაზე, თუ როგორ უნდა გამოვიდნენ პანდემიით პროვოცირებული ფინანსური და ეკონომიკური კრიზისიდან. საკრედიტო მხარდაჭერაზე გამოყოფილი ტრილიონი დოლარი ვერაფრით შეძლებს გავლენა მოახდინოს ვირუსული პანდემიის მიზეზებზე და იმ აჟიოტაჟზე, რომელიც მის ირგვლივ წარმოიშვა.

ტრილიონობით მხარდაჭერა ძალიან ძვირი დაჯდება. პაციენტი (ამერიკული ეკონომიკა) შეიძლება უკიდურესად სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდეს, მაგრამ არა ავადმყოფობის (კორონავირუსის), არამედ მკურნალობის – ინექციების უზარმაზარი დოზის (ტრილიონობით დოლარის საკრედიტო მხარდაჭერის) გამო.

როგორც ჩანს, დონალდ ტრამპს ეს ესმის. მან 24 მარტს ტელეარხ Fox News-ის ეთერში განაცხადა: „ჩვენ ვრისკავთ ქვეყნის განადგურებით". ტრამპმა მოუწოდა კარანტინის გაუქმება სამი კვირის შემდეგ, მან ზღვრად დაასახელა 12 აპრილი – დღე, როცა ამერიკაში აღინიშნება აღდგომა. აი ასეთ სააღდგომო საჩუქარს პირდებოდა პრეზიდენტი ამერიკელებს: „ჩვენ გვჭირდება, დავუბრუნდეთ სამუშაოს", – განაცხადა პრეზიდენტმა, თან დასძინა, რომ „მასშტაბურ რეცესიასა თუ დეპრესიაში" შეიძლება მეტი ადამიანის დაკარგვა, ვიდრე ვირუსის შედეგად (https://edition.cnn.com/2020/03/24/politics/trump-easter-economy-coronavirus/index.html).

ტრამპის ამ განცხადებამ ყველა როდი გაახარა. განსაკუთრებით ისინი, რომლებიც აზვიადებდნენ და დღემდე აგრძელებენ კორონავირუსის გარშემო ისტერიის გაზვიადებას და ურყევად მიჰყვებიან თავიანთ შორსმიმავალი მიზნების აღსრულებას. უკმაყოფილება უკვე გამოხატეს უოლ-სტრიტის წარმომადგენლებმა. ისინი იმედოვნებდნენ, რომ „ფინანსური დახმარება პანდემიის პირობებში" გაგრძელდებოდა. ქვეყნის მონეტარული ხელისუფლება (ხაზინა და ფედერალური სარეზერვო სისტემა) ვირუსული ფსიქოზის პირობებში აგრძელებს ტრილიონობით დოლარების გამოყოფას (რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი, ასე თუ ისე, მაინც საფინანსო-საბანკო სექტორში აღმოჩნდება). ჩვენ ვხედავთ ამერიკაში სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფს შორის ბრძოლის გამწვავებას, რომელსაც თითქმის არაფერი აკავშირებს ვირუსთან და მედიცინასთან.

სხვათა შორის, აღსანიშნავია აშშ-ში ვირუსის წინააღმდეგ უშუალოდ საბრძოლველად გამოყოფილი საბიუჯეტო თანხა – 46 მლრდ დოლარი. რა თქმა უნდა, თანხა ძალიან შთამბეჭდავია. თუმცა, 6 ტრილიონი დოლარის ოდენობის ზოგადი ფულადი ინექციების ფონზე ეს თანხა ძალზე მოკრძალებულია – 0,77%. ასე რომ, მართლა ებრძვის ამერიკა კორონავირუსს თუ მას სულ სხვა მიზნები ამოძრავებს?

„ვირუსული ომი" დასრულდება არა მაშინ, როდესაც სამედიცინო სტატისტიკა გვიჩვენებს კორონავირუსისგან ინფიცირებულ და გარდაცვლილ პირთა რიცხვის მნიშვნელოვან შემცირებას, არამედ მაშინ, როდესაც საფონდო და სხვა ბაზრები მიაღწევს ფსკერს. ამ დროს მსოფლიო ფინანსური ელიტა – ფულის ნამდვილი ბატონ-პატრონები ძირფესვიანად შეისყიდიან გაუფასურებულ აქტივებს და ავლენ მსოფლიო ეკონომიკაზე კონტროლის უმაღლეს საფეხურზე. „ვირუსული ომის" დასრულებაზე გადაწყვეტილებას მიიღებენ არა ეპიდემიოლოგები, არამედ ფულის გამგებლები.

ამის შემდეგ დაიწყება ეკონომიკური ზრდა. როდესაც ის დასრულდება, ეკონომიკა შევა მორიგ რეცესიაში და მაშინ დასავლეთის მმართველი წრეები კვლავ მოიგონებენ რაიმე ახალ „ვირუსს". კვლავაც განმეორდება სპექტაკლი სახელწოდებით „ბრძოლა პანდემიასთან". მოკლედ, ეკონომიკური ციკლის პრინციპულად ახალი სქემა სწორედ ასე შეიძლება დავახასიათოთ. მას სწორედ ვურუსულ-ეკონომიკური ციკლი შეიძლება ვუწოდოთ.

ფულის გამგებლებს, რომლებმაც მოახდინეს მიმდინარე პანდემიის ორგანიზება, უსასრულო ციკლური ეკონომიკური განვითარება არ ჭირდებათ ისევე, როგორც მათ არ ჭირდებათ კაპიტალიზმიც. მათ აინტერესებთ საბოლოო მიზანი – მთელ მსოფლიოზე ძალაუფლება. ისინი ოცნებობენ ახალი მსოფლიო წესრიგის შექმნაზე, სადაც არ იქნება ეროვნული სახელმწიფოები, სადაც დამყარდება მსოფლიო

მთავრობა. ამ წესრიგს უკვე საერთო არაფერი ექნება კლასიკურ კაპიტალიზმთან. მას შეიძლება ეწოდოს ახალი მონათმფლობელური წყობილება ან ახალი ფეოდალიზმი. დაწყებულმა ვირუსულმა ომმა გააშიშვლა მსოფლიო ელიტების გეგმები, გამოააშკარავა მისი აგენტურა, გამოავლინა მათი ძირგამომთხრელი საქმიანობის მრავალი საიდუმლო. პანდემია მსოფლიოს აიძულებს, დაფიქრდეს იმაზე, რაზედაც ის აქამდე არ დაფიქრებულა იმ ვარაუდით, რომ ახალი მსოფლიო წესრიგის პროექტი – ეს მხოლოდ ერთი მუჭა კონსპიროლოგების ფანტაზიაა. შედეგად მივიღებთ მთელ მსოფლიოში მილიონობით ადამიანის ბრძოლისათვის მზადყოფნას, ოღონდ არა კორონავირუსის წინააღმდეგ. დაე, ამით დაკავდნენ მედიკოსები და ვირუსოლოგები. ეს ბრძოლა იქნება უფრო მასშტაბური და ორგანიზებული ფულის გამგებლების წინააღმდეგ.

ლიტერატურა/REFERENCES

https://www.fondsk.ru/news/2019/10/24/chernyj-chetverg-24-oktjabrja-1929-goda-bankrotstvo-nauchno-obosnovannogo-optimizma-49304.html

https://www.nationalreview.com/news/coronavirus-relief-white-house-adviser-larry-kudlow-projects-aid-package-to-reach-roughly-6-trillion/

https://edition.cnn.com/2020/03/24/politics/trump-easter-economy-coronavirus/index.html

Tuguell, P. (1957). The Democratic Roosvelt, A Biography of Franklin D. Roosvelt, New York.

History of the Second World War (1978). in 12 volumes, vol. 2:341. (In Russian)

https://www.fondsk.ru/news/2019/10/09/anglo-amerikanskij-biznes-s-nacistami-49197.html

JEL Classification: A1, A13 https://doi.org/10.35945/gb.2020.10.011

ABOUT WORKING OUT OF THE SOCIAL SECURITY INDICATORS IN GEORGIA

ELENE CHIKOVANI
Academic Doctor of Economics, Professor
Tbilisi Open Teaching University, Georgia
elene_customs@yahoo.com

Abstract. Article is devoted to the problems of the working out of the social security indicators in Georgia. It considers the essence of the social security and its importance for crisis and post crisis economies. It evaluates existing deficiencies in working out of the social security indicators in Georgia. It singles out the issues of the necessity and importance of consideration of the security as a compound part of the welfare in the crisis economy. Marking out, the circle of the security indicators related to the development of the basic needs, welfare foundations and capacities.

The necessity of the dissociate of the indicators on the national, family and individual (personal) levels is substantiated. Inevitability of the setting out of the new circle of the social equality indicators in Georgia is grounded. The existing situation in the informational provision of the main directions of the social security recommended by the conventions and guidelines of the international labor organization is characterized.

Special attention is paid to the existing backdowns in development of the food security information system in Georgia. The interrelation of the food security to the problems of the health, food insufficiency of the complex and sustainable development, as well as environmental issues is pointed out. The problems of the evaluation of the food security situation and elaboration of the relevant policy in Georgia are accentuated. The necessity of the further measures towards the improvement of the informational provision of the food security system is substantiated.

KEYWORDS: SOCIAL SECURITY, INDICATOR, INFORMATION PROVISION.

For citation: Chikovani, E., (2020). About Working out of the Social Security Indicators in Georgia. *Globalization and Business, 10.* 86-93. (In Georgian) https://doi.org/10.35945/gb.2020.10.011

JEL Classification: A1, A13 https://doi.org/10.35945/gb.2020.10.011

სოციალური უსაფრთხოების ინდიკატორების დამუშავების შესახებ საქართველოში

ელენე ჩიქოვანი
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, პროფესორი
თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი, საქართველო
elene_customs@yahoo.com

საკვანძო სიტყვები: სოციალური დაცვა, სოციალური ინდიკატორი, ინფორმაციის მიწოდება.

ციტირებისთვის: ჩიქოვანი ე. (2020). სოციალური უსაფრთხოების ინდიკატორების დამუშავების შესახებ საქართველოში. *გლობალიზაცია და ბიზნესი, №10*, გვ. 86-93. https://doi.org/10.35945/gb.2020.10.011

რეალობამ, რომელშიც მსოფლიო კორონა ვირუსის პანდემიის გავრცელების შედეგად აღმოჩნდა, განსაკუთრებით გაამძაფრა ის ეკონომიკური და სოციალური გამოწვევები, რაც, ნებისმიერი მიზეზით გამოწვეული კრიზისული ეკონომიკის პირობებში, პრიორიტეტულს ხდის მოსახლეობის სოციალური დაცვის მექანიზმების ამოქმედებას. რეცესიაში მყოფი ეკონომიკის პირობებში განსაკუთრებით პრიორიტეტული ხდება, ერთის მხრივ, სახელმწიფო დანახარჯების სოციალური ორიენტაციის, ხოლო მეორეს მხრივ, კი ამ მიმართებით გამოყოფილი სახსრების მიზნობრივი გამოყენების აუცილებლობა, რათა იგი ხელშემშლელ ბარიერად არ იქცეს კრიზისში მყოფი ეკონომიკის სწრაფი რეაბილიტაციისა და, შესაბამისად, მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესების გზაზე როგორც კრიზისულ, ისე პოსტკრიზისულ პერიოდში. ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, თუ როგორ გაართმევს თავს სახელმწიფო და მთლიანად საზოგადოება კრიზისული ეკონომიკის პირობებში მოსახლეობის სოციალური გარანტიების უზრუნველყოფას, არა მარტო უშუალოდ კრიზისის დაწყების შემდეგ მის ეფექტურ რეაგირებაზე არის დამოკიდებული, არამედ იმაზეც თუ რამდენად არის ქვეყანა მზად, დაძლიოს კრიზისი და თავი გაართვას იმ გაზრდილი სოციალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, რაც კრიზისული ეკონომიკის თანამდევი პროცესებისათვის არის დამახასიათებელი.

აღნიშნული გარემოება ავალდებულებს სახელმწიფოს, შექმნას პირობები სოციალური სფეროს თანმიმდევრული და სამართლიანი რეგულირებისათვის და თავიდან აიცილოს ის შეცდომები, რაც შემდგომში არსებითი პრობლემების წინაშე დააყენებს არა მარტო განვითარებადი, არამედ, როგორც ბოლო დროს გახდა ცხადი, განვითარებული ქვეყნების ეკონომიკასაც იმ გაუთვალისწინებელი თუ გასათვალისწინებელი საფრთხეების თავიდან ასაცილებლად, რაც თანამედროვე, გლობალიზაციის, პირობებში ეკონომიკური, ეკოლოგიური თუ სხვა სახის კატაკლიზმების არსებობის პირობებში თავიდანააცილებს ქვეყანას აღნიშნულ გამოწვევებს ან დაეხმარება, თავიდან აიცილოს მისი უკიდურესი გამწვავების პირობებში წარმოშობილი პრობლემები.

ამ გზაზე სერიოზულ შეცდომას წარმოადგენს ეკონომიკური პოლიტიკის გრძელვადიანი, პერსპექტიული, პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრის ქმედითი მექანიზმების არარსებობა და ქვეყნის სოციალურ/ეკონომიკური განვითარების უსისტემობა, რაც ნებისმიერი კრიზისული სიტუაციის დროს განვითარების პროცესებში არსებით უკუსვლებსა და არათანმიმდევრულ ნაბიჯებს განაპირობებს და არსებითად აფერხებს ქვეყნის სამომავლო განვითარების პერსპექტივებს.

თანმიმდევრული ეკონომიკური და მისი ადექვატური სოციალური პოლიტიკის შემუშავება ეხმარება ქვეყანას, თავიდან აიცილოს ის დარღვევები და უყაირათობა, რაც ყოველთვის ახლავს თავს გაუაზრებელ ეკონომიკურ და სოციალურ პოლიტიკასა და უსისტემობას. ამ მიმართებით არაერთი მაგალითის მოყვანა შეიძლება საქართველოს აწ უკვე წარმატებულად აღიარებული ეკონომიკიდანაც, სადაც, შექმნილი კრიზისული სიტუაციიდან გამომდინარე, მაგალითად, საპენსიო უზრუნველყოფა სოციალური დახმარებით არის ჩანაცვლებული, ხოლო უსახსრობის პირობებში ხელს უწყობს უყაირათობასაც, რადგან ერთი და იგივე ოდენობის ასაკით პენსიას იღებს ისიც, ვისაც არასდროს უმუშავია, და ისიც, ვინც მუშაობდა და სოციალურ შენატანებსაც აკეთებდა, ხოლო პენსია, რომელიც სოციალური დახმარების სახით გაიცემა, ეძლევა მასაც ვისაც ეს სოციალური დახმარება სჭირდება, იმას ვისაც ეკუთვნის და, ვისაც ასეთი დახმარება არ სჭირდება, რადგან ის ბევრად მეტ ქონებასა და შემოსავლებს ფლობს. ასეთი აღრევა შესაძლებელია მხოლოდ ისეთი

ეკონომიკისათვის იყოს დამახასიათებელი, რომლის მიერ გადადგმული ნაბიჯები არათანმიმდევრულია, რომელსაც არა აქვს გააზრებული მექანიზმები და პრიორიტეტები, რიგ შემთხვევებში კი ის, რაც უკვე გაკეთებულია, გვერდზე აქვს გადადებული ან დავიწყებული და ხელახლა იწყებს იმის კეთებას, რაც უკვე ჰქონდა გაკეთებული.

ასეთი მრავალი მაგალითის მოყვანაც არის შესაძლებელი სხვადასხვა სფეროებიდან, რამეთუ ის რაც კრიზისული სიტუაციის წარმოშობისთანავე მყისიერად და გარდაუვალი უცილებლობის გამო კეთდება, უფრო ძვირი უჯდება საზოგადოებასაც, ბიზნესსაც და მთავრობასაც, რომ აღარაფერი ვთქვათ იმ სოციალურად დაუცველ ფენებზე, რომლებიც ვერ იღებენ იმ გარანტიებს, რაც მათ ქვეყნის კონსტიტუციითა და მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით ეკუთვნით. ამის მაგალითს უმუშევრად დარჩენილი მოსახლეობის სოციალური დაცვის გარანტიების უქონლობა, თავშესაფრის გარეთ დარჩენილთა უსაფრთხო ცხოვრების პირობების არარსებობა, დასაქმებულთა ჯანსაღი შრომის პირობების შექმნა, მარტოხელა და მიუსაფარი ოჯახების სოციალური უზრუნველყოფა, სურსათით უზრუნველყოფა და სასურსათო უსაფრთხოება, ადრეული გაფრთხილების ინფორმაციული სისტემების არ არსებობა, დედათა და ბავშვთა დაცვის სოციალური გარანტიების უზრუნველყოფა, ძალადობის მსხვერპლთა დაცვა, არალეგალური მიგრაციის აღკვეთა, ტრეფიკინგისა და სხვა სახის ძალადობის მსხვერპლთა დაცვის ღონისძიებების გატარება წარმოადგენს, საკითხთა უფრო ფართო სპექტრს მოიცავს და საკმაოდ გრძელ სიას ქმნის.

ამ და სხვა მომიჯნავე საკითხების გადაწყვეტა ნორმალური, არაკრიზისული ეკონომიკის პირობებში გააზრებული ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის გატარებას მოითხოვს, რათა კრიზისის პირობებში კომპლექსურად არ იჩინოს თავი ყველა იმ ნაკლოვანებებმა, რაც კრიზისამდელ ეკონომიკას ახასიათებდა და ქვეყანა არ მივიდეს ისეთ გარდაუვალ სიტუაციამდე, რაც საზოგადოებას უფრო ძვირი დაუჯდება, ვიდრე ეს შეიძლებოდა ყოფილიყო.

ჩვენი აზრით, ზემოაღნიშნული ნაწილობრივ იმ გარემოებითაც არის განპირობებული, რომ ქვეყანაში იგნორირებულ იქნა რიგი ისეთი საკითხები, რაც ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემატიკის ირგვლივ იყრის თავს და რომლის წინაშეც მსოფლიო კორონა ვირუსის პანდემიის პრობლემამ დააყენა.

დღემდე ეკონომიკურ ლიტერატურაში აქტიურად დომინირებს საკითხი კეთილდღეობის ეკონომიკის შესახებ და ნაკლები ყურადღება ეთმობა ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემატიკის განხილვას, რომ აღარაფერი ვთქვათ სოციალურ უსაფრთხოებაზე, რომელიც შედარებით უკანა პლანზე არის გადასული. ამის გამოვლენის ერთ-ერთ მაგალითად შეიძლება დასახელდეს ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების დოკუმენტები, რომლებშიც ძირითადად აქცენტი პოლიტიკურ უსაფრთხოებაზე კეთდება და ყურადღების მიღმა არის დარჩენილი ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური უსაფრთხოების არანაკლებ მნიშვნელოვანი ასპექტები, რომლებიც განსაკუთრებული სიმძაფრით იჩენს თავს კრიზისული ეკონომიკის პირობებში (McFarlane, 2012).

კლასიკური ეკონომიკური სკოლები ამა თუ იმ ქვეყნის კეთილდღეობას მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელს უკავშირებს. ამ თეორიების მიხედვით სოციალურ პროგრესს ეკონომიკური ზრდა განაპირობებს. ტრადიციულად კი სოციალური აქტივობები მხოლოდ დანახარჯებთან ასოცირდება. ამასთან, როგორც წესი, ეკონომისტები კრიტიკულად აფასებენ ან საერთოდ მიჯნავენ ერთმანეთისაგან ეკონომიკურ და სოციალურ კეთილდღეობას. თუმცა, არსებობს სხვა მოსაზრებებიც. პრობლემური ხდება სოციალური უსაფრთხოების შეფასების საკითხიც, რომელიც ძირითადად, სოციალური პროგრესის ინდექსის საფუძველზე ფასდება. სოციალური პროგრესის ინდექსის გაანგარიშებისას კი აქცენტი კეთდება ისეთ საკითხებზე, რომლებიც მნიშვნელოვნად განაპირობებენ ადამიანის კეთილდღეობას. ასეთებად მიიჩნევა: ბაზისური საჭიროებები, უსაფრთხოება, წვდომა ჯანმრთელობის დაცვაზე, განათლებაზე და ეკოლოგიურად სუფთა გარემოზე და სხვა. სოციალური პროგრესის ინდექსის გაანგარიშებისას სამი ძირითადი კომპონენტი მიიღება მხედველობაში. ესენია (Pataraia, 2014):

1. **ადამიანის ბაზისური საჭიროებები**, რაშიც გაერთიანებულია შემდეგი კომპონენტები: კვება და პირველადი სამედიცინო დახმარება; ჰაერი, წყალი და სანიტარული ნორმები; საცხოვრისზე ხელმისაწვდომობა; პერსონალური უსაფრთხოება;
2. **კეთილდღეობის საფუძვლები**, რაც გაზომილია ბაზისურ განათლებაზე, ინფორმაციასა და საკომუნიკაციო არხებზე ხელმისაწვდომობით, მდგრადი ეკოსისტემის, ჯანმრთელობისა და ჯანსაღი ცხოვრების დონით;
3. **შესაძლებლობები**, რაც გულისხმობს ადამიანის უფლებებს უმაღლეს განათლებაზე ხელმისაწვდომობას, არჩევანისა და თავისუფლების ხარისხს, თანასწორობასა და ჩართულობას.

კვლევის შედეგების მიხედვით, სოციალური პროგრესის ინდექსით განვითარების ერთ დონეზე მყოფ ქვეყნებს შორისაც ძალიან დიდი სხვაობაა ეკონომიკური მაჩვენებლებით. ამასთან, ეკონომიკური განვითარება არის აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობა სოციალური კეთილდღეობის მოსაპოვებლად და ხშირ შემთხვევაში პირიქით, ეკონომიკის ზრდას სოციალური პროგრესი განაპირობებს. ქვეყნების პოზიციონირებას საგრძნობლად აუარესებს ადამიანის უფლებების, არჩევანის თავისუფლების, თანასწორობისა და ჩართულობის დონე (Pataraia, 2014).

ამჟამად მეცნიერულ ლიტერატურაში ძირითადად მსჯელობა მიმდინარეობს ადამიანის კეთილდღეობის ცნების შესახებ. „არსებობს მოთხოვნები, რომელთა დაკმაყოფილების გარეშე შეუძლებელია არსებობა, მაგრამ ამავე დროს

არსებობს მოთხოვნები, რომელთა დაკმაყოფილების გარეშეც შეუძლებელია კეთილდღეობა. ამ მოთხოვნების ჩამონათვალი სხვადასხვაა, რადგან კეთილდღეობის სხვადასხვა თეორეტიკოსი განსხვავებულ შეხედულებას ავითარებს. ამასთან, მკვლევართა აზრით კეთილდღეობა შედგება ექვსი აუცილებელი კომპონენტისაგან. ესენია: ბედნიერება, უსაფრთხოება, უპირატესობები, საჭიროება, დამსახურება, და შედარებითობა." (Shatberashvili, 2017:1).

ჩვენი აზრით, კრიზისული ან განვითარებადი ეკონომიკის პირობებში პრიორიტეტულად შეიძლება ჩაითვალოს უსაფრთხოების რაოდენობრივი შეფასება, უსაფრთხოების პოლიტიკის ჩამოყალიბება და შესაბამისი თანმიმდევრული პოლიტიკის გატარება. თუმცა, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ყველა საჭიროების გაზომვა თანაბრად ადვილი არ არის. როგორც მეცნიერული კვლევის შედეგები გვიჩვენებს – „ადამიანის საბაზისო საჭიროებების თემა არსებითია სოციალური პოლიტიკისათვის, რადგან მათი დაუკმაყოფილებლობა ნიშნავს, რომ ადამიანის სიცოცხლის ხარისხი მცირდება ან მას გადარჩენის საფრთხე ემუქრება. საბაზისო საჭიროებებზე საუბრისას სიღარიბის პრობლემამდე მივდივართ, რადგან მათი დაკმაყოფილება არსებობის საკითხს უკავშირდება. მაგრამ სოციალური პოლიტიკა უნდა ინტერესდებოდეს იმ საშუალებებითაც, რომლითაც ინდივიდები შეძლებენ მათი არასაბაზისო საჭიროებების დაკმაყოფილებასაც. სოციალური პოლიტიკა ასევე უნდა ინტერესდებოდეს სოციალური საჭიროებებით. პრობლემა არის იმაზე შეთანხმება, თუ სად გადის გამყოფი ხაზი საბაზისოსა და არასაბაზისო საჭიროებებსა და სოციალურსა და არასოციალურ საჭიროებებს შორის." (Shatberashvili, 2017: 5).

განმარტებას მოითხოვს უსაფრთხოება, როგორც კეთილდღეობის შემადგენელი კომპონენტი. ადამიანი, რომელსაც აქვს სტაბილური შემოსავალი, სამუშაო, საცხოვრებელი, უფრო მეტად განიცდის კეთილდღეობას, ვიდრე ის ვინც მუდმივად არასტაბილურობასა და დაურწმუნებლობაშია. უსაფრთხოება ადამიანს ანიჭებს განცდას, რომ მისი მდგომარეობა არ გაუარესდება მოსალოდნელი ცვლილებების შედეგად. ეს განცდა კი ისეთი ადამიანისათვისაც ფასეული და სიმშვიდის მომგვრელია, რომელიც არცთუ ისე სახარბიელო მდგომარეობაშია თუ უსაფრთხოება ვინმეზე ან რამეზე დამოკიდებულებას გულისმობს, მაშინ კეთილდღეობის განცდაც ვერ იქნება იმგვარი, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს. (Rules of the game, 2009).

როგორც შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (შსო) კონვენციებსა და სახელმძღვანელო დოკუმენტებში არის აღნიშნული: „სოციალური უსაფრთხოება შრომის კანონმდებლობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია. ქვეყანა, რომელიც უზრუნველყოფს საკუთარი მოქალაქეების უსაფრთხოებას, იცავს მათ არა მხოლოდ ომებისა და დაავადებებისაგან, არამედ შრომითი საქმიანობის გზით საარსებო შემოსავლების მიღების მხრივ არაკეთილსაიმედო მდგომარეობებისგან. სოციალური უსაფრთხოების სისტემებით ხდება საბაზისო შემოსავლის მიღების გარანტირება ისეთ შემთხვევებში, როგორიცაა უმუშევრობა, ავადმყოფობა და დაზიანებების მიღება, ასაკში შესვლა და პენსიაზე გასვლა, დაინვალიდება, საოჯახო მოვალეობების წარმოშობა (მაგ. ორსულობასა და ბავშვზე ზრუნვასთან დაკავშირებით) და ოჯახის მარჩენალის დაკარგვა. ამგვარი შემწეობების არსებობა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ცალკეული დასაქმებულებისა და მისი ოჯახის წევრებისათვის, არამედ მთლიანად იმ საზოგადოებისა და ქვეყნისათვის, რომელთაც ისინი განეკუთვნებიან." (Rules of the game, 2009).

სოციალურ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სტანდარტები ითვალისწინებს სოციალური უსაფრთხოებით მოცვის განსხვავებულ ვარიანტებს სხვადასხვა ეკონომიკური სისტემებისა და განვითარების სხვადასხვა ეტაპისათვის. სოციალური უსაფრთხოების შესახებ კონვენციები იძლევა ფართო არჩევანს, ამა თუ იმ ვარიანტის მოქნილი გამოყენებისათვის, ქმნის შესაძლებლობას, რომ სოციალური უსაფრთხოებით უნივერსალური მოცვის მიზნის მიღწევა მოხდეს თანდათანობით. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის შესაბამისი აქტები აწესებს მინიმალურ სტანდარტს სოციალური უსაფრთხოების ფარგლებში გასაწევ დახმარებებსა და იმ პირობებთან დაკავშირებით, რომელთა საფუძველზეც ხდება ამ დახმარებათა დანიშვნა. იგი ეხება სოციალური უსაფრთხოების ცხრა ძირითად მიმართულებას, სახელდობრ: სამედიცინო დახმარებას, ავადმყოფობის გამო დახმარებას, უმუშევრობის გამო დახმარებას, ხანდაზმული ასაკის მიღწევის გამო დახმარებას, საწარმოო ტრავმის გამო დახმარებას, საოჯახო დახმარებას, ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო დახმარებას, შესაძლებლობის შეზღუდვის გამო დახმარებას და მარჩენალის დაკარგვის გამო დახმარებას. კონვენცია უშვებს შესაძლებლობას, რომ ქვეყანამ მოახდინოს მისი რატიფიკაცია სოციალური უსაფრთხოების ცხრა ძირითადი მიმართულებიდან მინიმუმ სამზე მიერთების გზით და მისცეს შესაბამის ქვეყანას ამ კონვენციით განსაზღვრული ყველა მიზნის თანდათანობით მიღწევის საშუალება. დახმარების მინიმალური ფარგლების განსაზღვრისას ხდება შესაბამის ქვეყანაში არსებული ხელფასების დონის გათვალისწინება. შესაძლებელია აგრეთვე დროებითი გამონაკლისების დაშვებაც იმ ქვეყნებისათვის, რომელთა ეკონომიკა და სამედიცინო დაწესებულებები არასაკმარისად არის განვითარებული. ამ გამონაკლისების მეშვეობით ქვეყანას ეძლევა საშუალება, შეზღუდოს კონვენციის გამოყენება და დახმარების რომელიმე ფორმით მოცვის ფარგლები. (Rules of the game, 2009).

ამჟამად ქვეყანაში მუშავდება სოციალური ინდიკატორების წრე, რომელიც საშუალებას იძლევა, შეფასდეს ქვეყანაში არსებული დემოგრაფიული ვითარება, დასაქმებისა და უმუშევრობის სფეროში არსებული მდგომარეობა, შინამეურნეობების შემოსავლებისა და ხარჯების სტრუქტურა,

განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვისადმი მოსახლეობის ხელმისაწვდომობა. თუმცა შეიძლება ითქვას, რომ ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული ინდიკატორების სისტემა, რომელიც სრულად ასახავს სოციალური უსაფრთხოების სხვადასხვა ასპექტებს, როგორიცაა: პიროვნული და ოჯახის უსაფრთხოება, ეკონომიკური უსაფრთხოება, სასურსათო უსაფრთხოება, ოჯახის მდგომარეობა, დროის გამოყენება, მწარმოებლურობა, მობილურობა, შემოსავლების პოლარიზაცია, ადექვატური და მისაღები საბინაო პირობები, ცხოვრების ხარისხი, სოციალური ინფრასტრუქტურისადმი ხელმისაწვდომობა, სოციალური სოლიდარობა და სოციალური თანასწორობა, სოციალური ჩართულობა, სოციალური მხარდაჭერის ქსელის განვითარება, სოციალური დაცვა, სადაზღვევო სქემებში მონაწილეობა და მრავალი სხვა. აღნიშნული ინდიკატორები მთლიანობაში სოციალური ინდიკატორების ახალი წრის – სოციალური თანასწორობის ინდიკატორების სისტემაში პოულობს ასახვას და პასუხობს საზოგადოების განვითარების იმ ახალ მოთხოვნილებებს, რომელიც მსოფლიოში უკანასკნელ პერიოდში იმკვიდრებს ადგილს (Jackson and others, 2000).

სოციალური თანასწორობის ხელსაყრელი პირობებად მიჩნეულია: ეკონომიკური პირობები, რომელიც მოქმედებს სოციალურ თანასწორობაზე:

- სიცოცხლის შესაძლებლობა;
- სიცოცხლის ხარისხი;
- მოსახლეობის ჯანმრთელობა;
- ბუნებრივი გარემოს ხარისხი.

სოციალური თანასწორობის საქმიანობის ელემენტებად მიჩნეულია:

- მონაწილეობა;
- ჩართულობა;
- განათლება.

ზემოაღნიშნულ პირობებსა და ელემენტებს აქვს თავისი განზომილება. ზოგიერთი მათგანის გამოყენებას ადგილი აქვს საქართველოს სინამდვილეშიც, ამასთან, მიზანშეწონილია, განხილულ იქნეს თითოეული ინდიკატორის გაზომვადობა და მოხდეს რეკომენდაციის შემუშავება მის დასანერგად, რაც დღის წესრიგში აყენებს ქვეყანაში ადექვატური სოციალური ინდიკატორების სისტემის ჩამოყალიბებისა და მათი გაზომვის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის აუცილებლობას (Chikovani, 2012).

განსაკუთრებით ყურადსაღებია სოციალურ თანასწორობაზე მოქმედი ეკონომიკური პირობები. აღნიშნულ ინდიკატორებს შორის მიზანშეწონილად მიგვაჩნია, საქართველოს შემთხვევაში დანერგილ იქნეს საზღვარგარეთის ქვეყნებში დანერგილი და საერთაშორისო შედარებების მიზნით გამოყენებული ისეთი ინდიკატორები, რომლებიც საშუალებას იძლევა, სრულფასოვნად იქნეს დახასიათებული ეკონომიკური პირობები და განისაზღვროს სოციალური ხარჯვითი მიმართულებები. ინდიკატორების წრე, რომელთა დანერგვა მიზანშეწონილია, საქართველოში შეიძლება დაჯგუფდეს შემდეგნაირად: მოსახლეობის ჯანმრთელობა, პიროვნებისა და ოჯახის უსაფრთხოება, ეკონომიკური უსაფრთხოება, ოჯახური მდგომარეობა, ბუნებრივი გარემოს ხარისხი, თანამშრომლობის სურვილი, ინსტიტუტებისადმი ნდობა, პარიტეტობის გაგება, ქვეყნის მოქალაქეობისადმი მიკუთვნება, მონაწილეობა და ჩართულობა, სოციალური მოხმარება/სოციალური მხარდაჭერის ქსელი, მონაწილეობა სოციალურ ჯგუფებში და სოციალურ ქსელში ჩართულობა, პოლიტიკური მონაწილეობა, განათლების ცენზი. ჯანმრთელობის დაცვის და სურსათის მოხმარების ინდიკატორები, კანონის აღსრულება, სასამართლოები და ციხეები, სოციალური დაცვა, მწარმოებლურობა, გაერთიანების წევრობა, ცხოვრების შანსი (ცხოვრების ღირებულების ინდექსი, სიღარიბისა და უბედური შენთხვევებისაგან დაზღვევა), საბინაო პირობები;

ჩამოთვლილთაგან პრიორიტეტულ საკითხს წარმოადგენს სოციალური უსაფრთხოების ისეთი მაჩვენებლების გაანგარიშება, როგორიცაა სიღარიბე, სასურსათო უსაფრთხოება, ოჯახის უსაფრთხოება, თავშესაფრით უზრუნველყოფა, კლიმატური ცვლილებები, ჯანმრთელობის დაცვა, მიგრანტების რაოდენობა და მდგომარეობა, ტრეფიკინგისა და ძალადობის შემთხვევები, უმუშევრობა, ავადობის გავრცელება, ეკოლოგიური უსაფრთხოება, სასურსათო მარაგების არსებობა და რესურსებით უზრუნველყოფა, სასიცოცხლოდ აუცილებელი კვების რესურსებით თვითუზრუნველყოფის მდგომარეობის შეფასება, უსაფრთხო სასმელი წყლით უზრუნველყოფა, ნარჩენების მართვა, ავადობის ტიპების მიხედვით დაავადებულთა რაოდენობა, თვითმკვლელობების რაოდენობა, ნარკომანია, დანაშაულებათა სტატისტიკა. ამასთან, აღნიშნული ინდიკატორები უნდა გაიმიჯნოს: ეროვნულ, ოჯახის და პიროვნულ (ინდივიდუალურ) დონეებზე. სოციალური ინდიკატორების ანალიზისას შემოთავაზებულია, განხილულ იქნეს შემდეგი დონეები: ინდივიდუალური, ჯგუფური, ინსტიტუციონალური და სივრცითი (ადგილობრივი, რეგიონული და ეროვნული), ხოლო განზოგადება შესაძლებელია მოხდეს ასაკობრივი ნიშნის, სქესის და შინამეურნეობების მიხედვით. (Headline Social Indicators, 2009).

სოციალური თანასწორობისა და სოლიდარობის მაბალანსირებელი ფაქტორების მნიშვნელობა განსაკუთრებით არსებითია საქართველოსათვის, სადაც მოსახლეობის სიღარიბის მაღალი მასშტაბები, შემოსავლების განაწილების უთანაბრობა და ეკონომიკური რესურსებისადმი არათანაბარი ხელმისაწვდომობა, აგრეთვე ეთნოლინგვისტური ფრაქციონალიზაცია განსაკუთრებული სიმძაფრით გამოირჩევა. გასათვალისწინებელია რეგიონული განვითარების უთანაბრობის პრობლემები და სოფლად არსებული სიღარიბის მაღალი მასშტაბები, რაც გადაუდებელ რეაგირებას მოითხოვს, განსაკუთრებით დეპრესიული რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრობლემების გადაწყვეტისა

და სიღარიბის დაძლევის კონტექსტში. სოციალური უსაფრთხოების ინდიკატორების ზემოაღნიშნული სისტემის დანერგვა და გაანგარიშების საერთაშორისოდ აღიარებული მეთოდოლოგიური სტანდარტების გამოყენება განმსაზღვრელ პირობას წარმოადგენს ამ მიმართულებით რელევანტური პოლიტიკის შემუშავებისა და დანერგვისათვის, რაც საქართველოსათვის გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს. ამასთან, კრიზისული ეკონომიკის პირობებში პრიორიტეტული ხდება ბაზისური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საკითხები, რომელთაგანაც პირველ რიგში სასურსათო უსაფრთხოების პრობლემა გამოირჩევა.

სასურსათო უსაფრთხოება თავისთავად მრავალწახნაგოვან პრობლემას წარმოადგენ, რაც მისი არსიდან გამომდინარეობს. მსოფლიოს სურსათის სამიტზე, რომში 1996 წელს სასურსათო უსაფრთხოება განმარტებულ იქნა, როგორც მდგომარეობა, როცა „ყველა ადამიანს, ყველა დროს, აქვს მისაწვდომლობა საკმარის, უსაფრთხო, და ნოყიერ, ყუათიან, სურსათზე რათა შეინარჩუნოს ჯანმრთელი და აქტიური ცხოვრების პირობები". (Declaration FAO, 1996). საზოგადოდ, სასურსათო უსაფრთხოების კონცეფცია გულისხმობს სურსათზე, როგორც ეკონომიკურ ასევე ფიზიკურ, ხელმისაწვდომობას, რომელიც პასუხობს, როგორც ადამიანთა კვების საჭიროებებს ისე მათი არჩევანის უპირატესობებს. (Chikovani, 2016).

სასურსათო უსაფრთხოება სამ პილარზე არის აგებული:

- ეს არის სურსათის არსებობა, როცა სურსათის საკმარისი რაოდენობა არსებობს კონსისტენციის ბაზაზე (ანუ შემადგენლობის მიხედვით);
- სურსათისადმი ხელმისაწვდომობა, როცა ადამიანს აქვს საკმარისი რესურსები, მიიღოს შესაფერისი სურსათი ნოყიერი დიეტისათვის;
- სურსათის მოხმარება (გამოყენება), შესაფერისი გამოყენება, რომელიც დამყარებულია საბაზისო კვებისა და მოვლის, ასევე ადექვატური სასმელი წყლით მომარაგებისა და სანიტარული უზრუნველყოფის პირობებზე;

სასურსათო უსაფრთხოება კომპლექსური მდგრადი განვითარების საკითხებს მოიცავს, რომელიც უკავშირდება ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობას, სურსათის უკმარისობის, ასევე მდგრადი ეკონომიკურ განვითარების, გარემოს დაცვისა და ვაჭრობის საკითხებს.

სასურსათო უსაფრთხოება მოიცავს სურსათის უზრუნველყოფას, სურსათის ხელმისაწვდომობასა და სურსათის მოხმარებას. სურსათის უზრუნველყოფა სურსათის საკმარისობის იდენტურია, რაც მოსახლეობის მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს. იგი მოიცავს ეროვნულ წარმოებას, იმპორტსა და მარაგებს.

სურსათის ხელმისაწვდომობა გულისხმობს, რომ ინდივიდს აქვს საკმარისი რესურსი საკვების მისაღებად. შემოსავალი, ტრანსფერები და სურსათის ფასები სურსათის ხელმისაწვდომობის მთავარი დეტერმინანტებია. რაც შეეხება სურსათის მოხმარებას, იგი გულისხმობს მოსახლეობის უნარს, მოიხმაროს ბიოლოგიურად ადექვატური და ჯანმრთელობისათვის სასარგებლო კვებითი ღირებულებების შემცველი პროდუქცია.

არანაკლებ მნიშვნელოვანია სურსათის მოხმარება. სასურსათო უსაფრთხოების პრობლემა ძირითადად მიღებული რაციონის ხარისხობრივ დისბალანსსა და სურსათის ხელმისაწვდომობის არასაკმარისობაში გამოიხატება, ვიდრე ქვეყანაში სურსათის არარსებობაში.

სასურსათო უსაფრთხოების ინფორმაციული უზრუნველყოფის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს სასურსათო უსაფრთხოების მდგომარეობის შეფასება და შესაბამისი პოლიტიკის განმახორციელებელ პირთა ინფორმაციით მომარაგება. ამ მიზნით საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტში 2000 წლის დეკემბერში დაარსებულ იქნა სასურსათო უსაფრთხოების ობსერვატორია. სასურსათო უსაფრთხოების ობსერვატორიის დაარსება ევროკომისიის სასურსათო დახმარების პროგრამის ფინანსური და ტექნიკური ხელშეწყობით იქნა განხორციელებული.

ობსერვატორიის მიზანს წარმოადგენდა გადაწყვეტილების მიმღები პირებისა და დონორი ორგანიზაციების რეგულარული მომარაგება აუცილებელი ინფორმაციით, რაც საჭიროა ქვეყნის სასუსათო უზრუნველყოფისა და მოსახლეობის სასურსათო უსაფრთხოების მდგომარეობის შეფასებისა და მონიტორინგისათვის. სასურსათო უსაფრთხოების ობსერვატორიას შეუძლია, მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების, აგრეთვე, იმ უწყებებისა და დონორი ორგანიზაციების ინფორმაციული უზრუნველყოფის საქმეში, რომლებიც ჩართულნი არიან სასურსათო უსაფრთხოების მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებებში. ამდენად, ობსერვატორიის დაარსებისთანავე მომხმარებელთა ინფორმაციული უზრუნველყოფის მიზნით განსაზღვრულ იქნა ყოველკვარტალური ბიულეტენის გამოცემა სათაურით „საქართველო: სასურსათო უზრუნველყოფის მდგომარეობა. ტენდენციები ციფრებში." იმთავითვე იქნა განსაზღვრული ბიულეტენის გამოშვების ფორმატიც. კერძოდ მისი გამოცემა დაგეგმილ იქნა ქართულ და ინგლისურ ენებზე. (Food security situation, 2000-2004). აგრეთვე განისაზღვრა ბიულეტენის თემატიკა, რომლის მიხედვითაც ბიულეტენში უნდა ასახულიყო და აისახა კიდევაც ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, დასაქმებისა და უმუშევრობის შესახებ მონაცემები, ეროვნულ ეკონომიკაში დასაქმებულთა საშუალო ხელფასი, მინიმალური ხელფასისა და მინიმალური პენსიის შესახებ მონაცემები. სურსათის ფასები, სურსათის წარმოება, საგარეო ვაჭრობა და სურსათის ექსპორტ/იმპორტის მდგომარეობა. სურსათზე ხელმისაწვდომობა დახასიათებულ იქნა ისეთი მაჩვენებლების მიხედვით, როგორიცაა საშუალო თვიური მედიანური სამომხმარებლო

ხარჯები გეოგრაფიული მდებარეობისა და კვინტილური ჯგუფების მიხედვით, სასურსათო ხარჯების ხვედრითი წილი მთლიან სამომხმარებლო ხარჯებში, სიღარიბის ოფიციალურ ზღვარზე დაბალი სამომხმარებლო ხარჯების მქონე შინამეურნეობათა ხვედრითი წილი და განაწილება, კალორიების მედიანური მოხმარება, შერჩეულ ზღვრებზე დაბალი კალორიების მოხმარების მქონე მოსახლეობის ხვედრითი წილი და განაწილება ქალაქ/სოფლისა და რეგიონალურ ჭრილში, დიეტის შემადგენლობა (კალორიების მოხმარების მაჩვენებლები პროცენტულ გამოსახულებაში), მოსახლეობის საშუალო დიეტის შემადგენლობა (კალორიების მოხმარების %), განისაზღვრა, როგორც სასურსათო დანახარჯების პროცენტი.

ბიულეტენის მნიშვნელოვანი ნაწილი დაეთმო სოფლის მეურნეობიდან მიღებული შემოსავლების, სასოფლო სამეურნეო პროდუქციის წარმოებისა და ქვეყნის მოსახლეობის ძირითადი სასოფლო სამეურნეო პროდუქციით თვითუზრუნველყოფის მდგომარეობის ანალიზს. მნიშვნელოვანი სამუშაოები განხორციელდა მოსავლის პროგნოზირების მეთოდოლოგიისა და ადრეული გაფრთხილების ინფორმაციული სისტემების დანერგვის მიმართულებით. ბიულეტენში გარკვეული ადგილი დაეთმო სურსათით დაუცველობის აღმოფხვრასთან დაკავშირებით გატარებული სოციალური პოლიტიკის ანალიზს, გაწეული ჰუმანიტარული სასურსათო დახმარების განაწილებას რეგიონების, ასევე დონორების მიხედვით, ჰუმანიტარული დახმარების განაწილებას დახმარების მიმღები ჯგუფების მიხედვით და სხვა. ყურადღება დაეთმო ისეთი სპეციალური საკითხების კვლევას, როგორიცაა გვალვა და მისი გავლენა სურსათით უზრუნველყოფაზე, ადრეული გაფრთხილების ინფორმაციული სისტემის დანერგვა და მისი დაკავშირება კლიმატის ცვლილებებთან და შესაბამის აგრარულ პოლიტიკასთან, რაც კვლევის ერთ-ერთ სამომავლო პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს.

უკანასკნელ წლებში საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ მომზადებული და გამოქვეყნებული ინფორმაცია მხოლოდ სურსათის ექსპორტ-იმპორტისა და სურსათის ფასების, ასევე სურსათის ბალანსების, შესახებ მონაცემებით შემოიფარგლება, რაც წინა პერიოდთან შედარებით სერიოზულ უკანდახევად შეიძლება ჩაითვალოს. ამჟამად საქართველოში მოქმედი სტატისტიკის კანონმდებლობიდან მთლიანად იქნა ამოღებული სასოფლო სამეურნეო აღწერების ჩატარების შესაძლებლობა. 2010 წლის პირველი კვარტალიდან არ გამოდის სასურსათო უსაფრთხოების ბიულეტენი, არ ფუნქციონირებს სასურსათო უსაფრთხოების ობსერვატორია. შესაბამისად დაკარგულია ის ძალისხმევაც, რომელიც 2000 წლიდან მოყოლებული საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ ევროკავშირის სასურსათო დახმარების პროგრამასთან და გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის ექსპერტებთან ერთად იქნა გაწეული სტატისტიკის სრულიად ახალი მიმართულების სასურსათო უსაფრთხოების ინფორმაციული სისტემების შემუშავებისა და დანერგვის მიმართულებით საქართველოში. დარგის პრიორიტეტულობიდან გამომდინარე მეტ ყურადღებას მოითხოვს ეკოლოგიური სტატისტიკის განვითარება, ზემოაღნიშნული გარემოება მოითხოვს მთავრობის მხრიდან გადაუდებელ რეაგირებას, რათა საქართველოში აღდგენილ იქნეს და შემდგომი განვითარება მიეცეს სასურსათო უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავებისათვის აუცილებელი ინფორმაციული სისტემების განვითარების საკითხებს. აღდგენას მოითხოვს ადრეული გაფრთხილებისინფორმაციულისისტემებისფუნქციონირებაც, რომლის აუცილებლობაც 2015 წლს 13 ივნისს თბილისში განვითარებულმა სტიქიურმა მოვლენებმა განსაკუთრებული სიმწვავით დაააყენა. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტში 2000 წლის დეკემბრიდან ასეთი სისტემა შექმნილ იქნა. თუმცა, სამწუხაროდ, მოგვიანებით სასურსათო უსაფრთხოების ობსერვატორიის ფარგლებში მოქმედი ეს სისტემა ობსერვატორიის გაუქმებასთან ერთად იქნა ამოღებული სტატისტიკურ სამუშაოთა სახელმწიფო პროგრამიდან.

ლიტერატურა/REFERENCES

Vision for the development of labor and social protection in Georgia by 2030. *European Union for Georgia.* The parliament of Georgia. Tbilisi 2017; (In Georgian)

The Socio-*Economic Development Strategy of Georgia*; Georgia. 2020; (In Georgian)

McFarlane, N. S., Russia and Eurasia Program, Program Article 2012/01 Georgia: *National Security Concept and National Security Centre for Social Sciences*, Tbilisi and Oxford University August, 2012; (In Georgian)

Rules of the game. *A brief introduction to international labor norms*. Revised edition 2009; (In Georgian)

A new strategy for social integration. A revised strategy for social integration. Approved by the Committee of Ministers of the Council of Europe on 31 March 2004. *European Committee for Social Integration (CDCS).* Translation, Tb. 2007; (In Georgian)

Pataraia, L., Economic Growth and Social Prosperity. March, 2014. *Forbes Opinion*; (In Georgian);

Shatberashvili N., *International Social Welfare*. 2016 - 2017 academic year; (In Georgian)

Social Protection And Social Inclusion in Georgia. Concluding Remarks. *European Commission.* General Directorate of Employment, Social Affairs and Inclusion. The document was completed in 2011; (In Georgian)

Georgia: The State of Food Security. Trends in Numbers. Statistical Bulletin, N1-19, Publishing House of the State Department of Statistics of Georgia. (In Georgian and English) Tbilisi, 2000-2005. Editor E. Chikovani; (In Georgian)

Chikovani, E., For Some Issues of Improving the System of Social Indicators in Georgia. *Collection of scientific works of Tbilis*i *Open Teaching University.* Tbilisi, 2012. 119-131; (In Georgian)

Chikovani, E., On the Functioning of Food Safety Information Systems in Georgia. Abstracts of reports. Business Development in The Global Economy. Georgian Business Academy. *Proceedings of the International Scientific-Practical Conference.* Tbilisi 19-20 May 2016. 118-124; (In Georgian)

Declaration FAO (1996). *Rome declaration on world food security. World Food Summit,* Rome, 13-17 November 1996. FAO, Rome.

Headline Social Indicators. ISBN 978-92-64-04938-3 OECD Social Indicators. Society at a Glance 2009 © *OECD* 2009 http://www.oecd.org/dataoecd/29/5/42670071.pdf

Social Cohesion in Canada: Possible Indicators. Highlights by Canadian Council on Social Development Andrew Jackson, Gail Fawcet, Anne Milan, Paul Roberts, Sylvain Schetagne, Katherine Scott, Spy Tsoukalas, For Social Cohesion Network. Department of Canadian Heritage, Department of Justice. November 2000, 25 Eddy street, Quebec, Canada

Social Cohesion: The Canadian Urban Context. Prepared by: Michael Toye, 25 October 2007; PDF (106 Kb, 16)

JEL Classification: B22, H55, P21 https://doi.org/10.35945/gb.2020.10.012

GEORGIA IN THE WORLD OF CORONOMICS: THREATS AND CHALLENGES

NANA ASLAMAZISHVILI
PhD in Economics,
Invited Professor at the
Tbilisi State University, Georgia
aslamazishvilinana@gmail.com

Abstract. So far, much has been written and discussed about the rapid variability and complex predictability of the global economy, and different countries have more or less successfully dealt with the challenges they face. However, the global threat posed by the world in the form of COVID-19 puts the methods and approaches to combating economic crises completely upside down. What should be the strategy and tactics of the countries to start recovering the economies as quickly as possible under such kind of circumstances? In such a situation, it should be the best way to "hurry up slowly," that is, to be thoroughly consistent so that short-term emergency measures do not harm long-term goals.

Given the conditions of coronomics and the lessons the world has learned from it at this stage, recovery of the economics, in the earlier sense of the term, should be completely ineffective. We are accustomed to the fact that in the post-crisis period, economic recovery in a sense implies a more or less back-off to what was before the crisis. Given that this time a completely different "crisis" is occurring, essential structural changes and important transformations in many areas of the economy are needed to overcome its consequences. One of the clear lessons that must to be learned from Coronomics is that returning to what was already before would not be the right course of action for the economies focused on the sustainable development.

Georgia is a small open economy, and the fate of such economies has already been decided in advance: they will not be able to influence the global economy, and their efforts must be directed to protect themselves from the negative effects of the ongoing processes in the world. What are the priorities for such countries on this path if traditional sectors are vulnerable to certain types of crises and fail to cope with the task of generating revenue in extreme situations that are necessary, on the one hand, to balance their demands and, on the other hand, to meet external obligations? This is the reality that Georgia has faced in the face of coronomics.

How did the Georgian economy meet the shock of COVID-19? 2019 will be a turning point in many years for assessing economic outcomes, not just in Georgia. What are the dynamics of macroeconomic indicators and do they give a positive signal according to the data of this period? This article deals with the external economic aspects of these indicators.

The current account deficit as of 2019 was $ 900.5 million, or 5.1 percent of gross domestic product. Historically, this is the best indicator in the history of independent Georgia. On the other hand, historically, the country›s external liabilities, which amount to $ 34.5 billion, are 1.9 times higher than Gross Domestic Product and 3.2 times higher than the country›s foreign financial assets; The country›s external debt was 1.1 times higher than GDP at the end of 2019, while imports accounted for 40.8 percent of total consumption (intermediate and final).

Thus, Georgia›s positioning on the challenges of COVID-19 is completely unfavorable and critical.

This article aims to discuss the main aspects of the country›s foreign sector accounts, the profitable and deficient articles of the balance of payments that traditionally determine the state of the current account, and how vulnerable these items are to external factors and shocks. The focus on this issue is to explore the ways in which it is possible to reduce the degree of dependence of the country›s economy on foreign shocks and achieve external economic stability.

However, it should be noted that the format of the article is not sufficient for in-depth discussion of a number of cause-and-effect issues, for the evaluation of perspectives, and for deeper and more substantiated reasoning. Therefore, it can be said that the paper forms the main postulates on the issues under consideration, which together and each of them deserves in-depth research, but not in terms of fragmentary time and content, but in a complex and permanent mode.

KEYWORDS: BALANCE OF PAYMENTS, CURRENT ACCOUNT, FOREIGN TRADE, INVESTMENTS, TRAVEL, COVID-19.

For citation: Aslamazishvili, N., (2020). Georgia in the World of Coronomics: Threats and Challenges. *Globalization and Business, 10.* 94-102. (In Georgian) https://doi.org/10.35945/gb.2020.10.012

JEL Classification: B22, H55, P21 https://doi.org/10.35945/gb.2020.10.012

საქართველო კორონომიკის სამყაროში: საფრთხეები და გამოწვევები

ნანა ასლამაზიშვილი
ეკონომიკის დოქტორი, მიწვეული პროფესორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
aslamazishvilinana@gmail.com

საკვანძო სიტყვები: საგადასახდელო ბალანსი, მიმდინარე ანგარიში, საგარეო ვაჭრობა, ინვესტიციები, ტურიზმი, COVID-19.

ციტირებისთვის: ასლამაზიშვილი ნ. (2020). საქართველო კორონომიკის სამყაროში: საფრთხეები და გამოწვევები. *გლობალიზაცია და ბიზნესი, №10*, გვ. 94-102 https://doi.org/10.35945/gb.2020.10.012

შესავალი

„ხასიათის ჭეშმარიტი ტესტი ის კი არ არის, თუ რამდენად ბევრი ვიცით როგორ მოვიქცეთ, არამედ ის, თუ როგორ ვმოქმედებთ, როცა არ ვიცით როგორ მოვიქცეთ". ამერიკელი მწერლისა და პედაგოგის ჯონ ჰოლტის ეს გამონათქვამი, ისე როგორც არცერთი სხვა, იმდენად ზუსტად მიესადაგება და გამოდგება კორონომიკის პირობებში საზოგადოებების, მთავრობების, ცალკეული ინდივიდების ქმედებების შეფასებისთვის.

ეკონომიკურ თეორიასა თუ პრაქტიკაში დაგროვდა კრიზისებთან გამკლავების არაერთი გამოცდილება, წარმატებულიც და წარუმატებელიც, თუმცა, Covid–19 ალბათ დიდხანს იქნება ეკონომისტების „შთაგონების წყარო" ახალი თეორიების შესაქმნელად, იმისათვის, თუ როგორ ვემზადოთ მსგავსი არასასურველი გამოწვევებისათვის. თუმცა დღეისათვის, როცა უცნობია, რა ეტაპზეა თვითონ COVID–19–ის სახელით ცნობილი კრიზისი, მნიშვნელოვანია, კრიტიკულად შეფასდეს მოცემული ეკონომიკის პლუსებიც და მინუსებიც და სწორედ ამის საფუძველზე მნიშვნელოვანია „ვიჩქაროთ ნელა" როგორც ტაქტიკური, ისე სტრატეგიული ამოცანების დასახვისას. სწორედ ამ მიდგომით განიხილავს წინამდებარე სტატია ქვეყნის საგარეო ეკონომიკურ პოზიციონირებას მიმდინარე ეტაპისათვის და მიზნად ისახავს ამ სფეროში მოცემული პერიოდისათვის ჩამოყალიბებული სასტარტო მდგომარეობის შეფასებას.


ქვეყნის საგარეო ეკონომიკური მდგომარეობის ძირითადი ტენდენციები Covid–19–ის წინ

სადასახდელო ბალანსის კვლევა მაკროეკონომიკური ანალიზის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია, ხოლო მიმდინარე ანგარიშის წონასწორობისაკენ სწრაფვა დანარჩენ სამყაროსთან – ქვეყნის მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური ამოცანა. მიმდინარე ანგარიში პასუხს სცემს კითხვებს არა მარტო ქვეყნის საგარეო ეკონომიკური პოზიციონირების თაობაზე, არამედ იმაზეც, თუ რამდენად გამართლებულია ქვეყნის შიგნით დაზოგვა–ინვესტიციებს შორის არსებული თანაფარდობა, მოხმარების არსებული დონე, საგადასახდელო ბალანსის დეფიციტის დაფინანსების გზები და საშუალებები; რამდენად არის შესაბამისობაში იმპორტზე მაღალი მოთხოვნილებები შრომისა და წარმოების კულტურისა და ეკონომიკის ინოვაციური განვითარების მიზნებთან; როდის არის „საშიში" მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი და ყოველთვის იძლევა თუ არა მისი გაუმჯობესება ეიფორიის საფუძველს. ეს ის საკითხებია, რომლებიც ყოველთვის ფართო ხედით უნდა იყოს ეკონომისტებისა და პოლიტიკის გამტარებლების თვალთახედვის არეში.

სპეციალისტებმა ვერც კი მოასწრეს 2019 წლის შედეგების შეჯამება, ისე დაატყდა მთელ მსოფლიოს გლობალური საფრთხე. Covid–19–მა სრულიად შეცვალა ადამიანების საქმიანობის დღის წესრიგი. ამ ფონზე ***მთავარი ამოცანაა, ახალი დღის წესრიგი იყოს მაქსიმალურად რაციონალური, სწრაფი რეაგირების, შედეგებზე ორიენტირებული და გრძელვადიან პერსპექტივაზე გათვლილი.***

ბოლო ორი ათეული წლის მსოფლიო ეკონომიკის ტენდენციებზე დაკვირვება თითქოს ერთმნიშვნელოვნად მიუთითებდა, რომ გლობალიზაცია შეუქცევადი პროცესია. სამწუხაროდ, ეს მითი რამდენიმე კვირაში დაიმსხვრა კორონავირუსის ელვისებური გავრცელების ფონზე. განვითარებულმა მოვლენებმა ცხადყო, რომ გლობალურ ეკონომიკაში ინტეგრაცია სრულიადაც არ ყოფილა პანაცეა ეროვნული ეკონომიკების სტაბილური განვითარებისათვის. ამ უკანასკნელის მისაღწევად პირველ რიგში საჭიროა,

დიაგრამა 1. საქართველოს საგადასახდელო ბალანსის ძირითადი პროფიციტური (მარჯვნივ) და დეფიციტური (მარცხნივ) მუხლები, მლნ აშშ დოლარი



რეალურად შეფასდეს ის პოტენციალი, რაც ქვეყანას გააჩნია და აქცენტები გადატანილ იქნეს სწორედ მის განვითარებაზე, გამდიდრებასა და გამოყენებაზე.

არის თუ არა სწორად გამოყენებული ქვეყნის შესაძლებლობები და შეფარდებითი უპირატესობები საგარეო ურთიერთობების თვალსაზრისით?

თუ საგადასახდელო ბალანსს დავაკვირდებით, ამ კითხვაზე პასუხი ცალსახად უარყოფითია და ამაზე ბევრი ფაქტი მეტყველებს.

ავიღოთ, თუნდაც, ქვეყნის სატრანზიტო პოტენციალი. თუ საგადასახდელო ბალანსის მონაცემებს გადავხედავთ და მომსახურებით საგარეო ვაჭრობის ბალანსს განვიხილავთ:

- ტურისტული მომსახურების გარეშე 2012 წლიდან იგი უარყოფითია; შესაბამისი სალდო, 2012-2019 წლებში 9.6-ჯერ გაიზარდა და 2019 წლის მონაცემებით 442.7 მლნ აშშ დოლარი, ანუ მიმდინარე ანგარიშის 49.2 პროცენტი შეადგინა;
- საერთაშორისო სატრანსპორტო მომსახურების ბალანსი, რომელიც ასევე დიდწილად სატრანზიტო პოტენციალთან ასოცირდება, ასევე დეფიციტურია, თუ არ ჩავთვლით მილსადენებისა და ელექტროსადენების საერთაშორისო მომსახურებიდან მიღებულ შემოსავლებს. 2005 წელთან შედარებით, საიდანაც ფიქსირდება საერთაშორისო სატრანსპორტო მომსახურების დეფიციტი, ეს უკანასკნელი 2019 წლის მონაცემებით 55.7-ჯერ გაიზარდა და 587.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც მიმდინარე ანგარიშის ბალანსის 65.2 პროცენტია.
- თითქმის არ იცვლება იმპორტისა და ექსპორტის თანაფარდობა და მთელი ბოლო 20 წლის განმავლობაში დაახლოებით 2.1-1.8 კოეფიციენტის დიაპაზონში რჩება (გარდა 2007-2008 წლებისა, როცა ეს კოეფიციენტები 2.4 და 2.6 იყო, შესაბამისად).
- ერთი მხრივ, საექსპორტო შემოსავლების სიმცირე და, მეორე მხრივ, საგარეო ვალდებულებების ზრდა უარყოფით გავლენას ახდენს პირველადი შემოსავლების ბალანსზე, რომლის უარყოფითი სალდო წლიდან წლამდე იზრდება.

ამ ემპირიულ მიმოხილვას თუ დავუმატებთ კიდევ ერთ შტრიხს – ქვეყნის საგადასახდელო ბალანსის ძირითადი პროფიციტური და დეფიციტური მუხლების შედარებას, დავინახავთ, რომ ოთხი ძირითადი პროფიციტური მუხლიდან, როგორიცაა ტურიზმი, პირადი გზავნილები, შრომის ანაზღაურება არარეზიდენტებისაგან და მილ- და ელექტროსადენები, ამ უკანასკნელის გარდა პირველი სამი უაღრესად მოწყვლადია საგარეო ფაქტორებისადმი, რაც დადასტურდა კიდეც Covid-19-ის განვითარების ფონზე.

მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი: რაზე მიუთითებს არსებული დინამიკა?

მიმდინარე ანგარიშის დეფიციტს არაერთი ქვეყანა განიცდის. თუმცა, ***მნიშვნელოვანია დეფიციტის სისტემური მართვის სწორი სტრატეგიისა და ტაქტიკის შემუშავება*** და განხორციელება. ამისათვის კი აუცილებელია შესაბამის მონაცემთა სწორი ანალიზი.


რაზე მიგვანიშნებს საქართველოს საგადასახდელო ბალანსის სტატისტიკა?[1]

ძირითადი ტენდენციები:


- *საქართველოს საგადასახდელო ბალანსმა მკვეთრი გაუარესება 2005 წლიდან დაიწყო, 2008 წელს ყველაზე დაბალ ნიშნულზე დაეცა (2.8 მლრდ აშშ დოლარი) და მთლიანი სამამულო პროდუქტის 22.0 პროცენტი შეადგინა. მიმდინარე ანგარიშის აღნიშნული გაუარესება თითქმის მთლიანად საქონლით საგარეო ვაჭრობის მკვეთრმა გაუარესებამ განაპირობა;*
- *მიუხედავად იმისა, რომ 2009 წელს საქონლით საგარეო ვაჭრობის ბალანსი გაუმჯობესდა, 2010 წლიდან მან მკვეთრი ვარდნა განაგრძო და 2010-2019 წლების განმავლობაში მისი დეფიციტი დარჩა საშუალოდ 2008 წლის დონეზე (საშუალოდ -3.9 მლრდ აშშ დოლარი);*

[1] აქ და შემდგომ დიაგრამები აგებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემების საფუძველზე (თუ სხვა წყარო არ არის მითითებული): www.nbg.gov.ge.

დიაგრამა 2. მიმდინარე ანგარიშისა და მისი მთავარი კომპონენტების დინამიკა, მლნ აშშ დოლარი



დიაგრამა 3. საქართველო: მოგზაურობისა და ტურიზმის მთლიან სამამულო პროდუქტში წილის დინამიკა, %



- *2009 წელს საქონლით საგარეო ვაჭრობის ბალანსის ერთწლიანი გაუმჯობესების შედეგად გაუმჯობესებული მიმდინარე ანგარიშის ბალანსი 2009-2019 წლებში მეტ-ნაკლებად ინარჩუნებდა სტაბილურობას მომსახურების, უმეტესწილად, ტურისტული მომსახურების ბალანსის აგრეთვე პირადი ტრანსფერების დადებითი დინამიკის ხარჯზე მთლიანი სამამულო პროდუქტის 9-10 პროცენტის დონეზე (ზოგიერთ წლებში უფრო დაბალ ნიშნულზეც);*


ამდენად, საქართველოს საგადასახდელო ბალანსის „აქილევსის ქუსლი“ – საქონლით საგარეო ვაჭრობის უარყოფითი დინამიკა კვლავ სერიოზულ საფრთხედ რჩება ქვეყნის ეკონომიკისათვის.

თუმცა, არანაკლებ ყურადღებას იმსახურებს მომსახურებით საგარეო ვაჭრობის ბალანსის დინამიკა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მისი დადებითი ტრენდი ტურისტული მომსახურების დადებითი ბალანსის ზრდით მიიღწევა. თუმცა, განვითარებული პანდემიის ფონზე ნათელი გახდა, რომ საგადასახდელო ბალანსის მდგრადობის უზრუნველყოფა მსგავსი კომპონენტების ხარჯზე ვერ მიიღწევა. აქამდე განვითარებული სხვადასხვა კრიზისების ფონზე, ამა თუ იმ ტურისტული ქვეყნების მონაცემთა ანალიზი ცხადყოფს, რომ ყველგან და ყოველთვის ტურისტული სექტორი ძალიან მტკივნეულად რეაგირებს მსგავს შოკებზე, რასაც ადასტურებს ქვემოთ მოტანილი დიაგრამები[2].


იზრდება საქართველოს საგადასახდელო ბალანსის დამოკიდებულების ხარისხი ქვეყნის საერთაშორისო ფინანსურ ვალდებულებებზე, რაც აისახება პირველადი შემოსავლების ბალანსის განვითარების ტენდენციებზე და მიმდინარე ანგარიშზე მის უარყოფით გავლენაზე.

[2] https://knoema.com/atlas/topics/Tourism/Travel-and-Tourism-Total-Contribution-to-GDP/Contribution-of-travel-and-tourism-to-GDP-growth?type=maps


დიაგრამა



დიაგრამა 5. საბერძნეთი: მოგზაურობისა და ტურიზმის მთლიან სამამულო პროდუქტში წილის დინამიკა, %



დიაგრამა 6. იტალია: მოგზაურობისა და ტურიზმის მთლიან სამამულო პროდუქტში წილის დინამიკა, %



სპეციალისტების დიდი ნაწილი, როდესაც საუბარია საქართველოს საგადასახდელო ბალანსის დეფიციტზე, უმეტესად ყურადღებას ამახვილებს საგარეო სავაჭრო ბალანსზე. მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი წლების განმავლობაში მართლაც განსაზღვრავდა საგადასახდელო ბალანსის მდგომარეობას და დინამიკას, დაახლოებით ბოლო 10 წლის განმავლობაში მოხდა ქვეყნის საგარეო ეკონომიკური მდგომარეობის განმსაზღვრელი სხვა ფაქტორების გააქტიურებაც. ერთ-ერთი ასეთი ფაქტორია საგადასახდელო ბალანსის პირველადი შემოსავლების ბალანსი.

ძირითადი ტენდენციები:

- *პირველადი შემოსავლების ბალანსის დეფიციტი 2008-2019 წლებში 11.9 ჯერ გაიზარდა, მაშინ, როცა მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი იმავე პერიოდში 3-ჯერ შემცირდა;*
- *იმავე პერიოდში პირველადი შემოსავლების ბალანსის დეფიციტის თანაფარდობა მიმდინარე ანგარიშთან 2.1-დან 78.2 პროცენტამდე გაიზარდა;*
- *პირველადი შემოსავლების ანგარიშის უარყოფითი ტენდენცია გამოწვეულია საინვესტიციო შემოსავლების ბალანსის დეფიციტის მკვეთრი გაუარესებით, განსაკუთრებით 2016 წლიდან. 2019 წელს ამ მაჩვენებელმა 1.5 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, ნაცვლად 0.8 მლრდ აშშ დოლარისა 2015 წელს.*
- *საინვესტიციო შემოსავლების ბალანსის გაუარესებას მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს პირდაპირ ინვესტიციებთან დაკავშირებული გადასახდელების ზრდის ტენდენცია: 2019 წელს საინვესტიციო ხარჯების (გასავლების) 68.3 პროცენტი სწორედ პირდაპირ ინვესტიციებთან იყო დაკავშირებული (დივიდენდებისა და სხვა გადასახდელების სახით), რამაც 1.3 მლრდ აშშ დოლარს მიაღწია.*

2008 წლამდე პირველადი შემოსავლების ბალანსი მცირე მოცულობით, თუმცა დადებით დინამიკას უჩვენებდა. 2008 წლიდან იგი უარყოფითი გახდა და დეფიციტმა 59.4 მლნ აშშ დოლარიდან 2019 წელს 704.0 მლნ აშშ დოლარს მიაღწია, ანუ 11.9-ჯერ გაიზარდა. შესაბამისად, 2019 წლის მონაცემებით პირველადი შემოსავლების ბალანსის დეფიციტმა მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის 78.2 პროცენტი შეადგინა, ნაცვლად 2.1 პროცენტისა 2008 წელს.

პირველადი შემოსავლების ბალანსის მდგომარეობას მისი ორი ძირითადი კომპონენტი განსაზღვრავს: შრომის ანაზღაურება და საინვესტიციო შემოსავალი (იხ.დიაგრამა 8).

როგორც დიაგრამიდან ჩანს, შრომის ანაზღაურების სახით წმინდა შემოსავლები შედარებით სტაბილურია და დადებითი ტენდენციით ხასიათდება. განსხვავებული მდგომარეობაა საინვესტიციო შემოსავლების მიხედვით: ბალანსი უარყოფითია, ტენდენცია 2016 წლიდან მკვეთრად უარესდება. ამ უკანასკნელზე სერიოზული გავლენა აქვს პირდაპირი ინვესტიციებიდან შემოსავლების ბალანსის გაუარესებას, ანუ საინვესტიციო გადასახდელების ზრდას პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე (იხ. დიაგრამა 9).


კერძოდ, პირდაპირი უცხოური ინვესტიციებიდან საინვესტიციო შემოსავლების დეფიციტის წილი მთელ წმინდა საინვესტიციო შემოსავლებში, რომელიც ასევე დეფიციტურია, 2008-1019 წლებში საშუალოდ 60.0 პროცენტის ფარგლებში იყო, 2018 წელს კი 69.8 პროცენტი შეადგინა.

ამდენად, როგორც სტატისტიკიდან ჩანს, წმინდა საინვესტიციო შემოსავლების უარყოფითი მნიშვნელობა უმეტესწილად განპირობებულია პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებთან დაკავშირებული გადასახდელების მნიშვნელოვანი ზრდით.

რა განაპირობებს ამ მაჩვენებლის ზრდას?

დიაგრამა 10 თვალნათლივ უჩვენებს, რომ 2015 წლიდან შეინიშნება ქვეყანაში შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაშთების მნიშვნელოვანი მატება. იმისათვის, რომ უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ, თუ რა მასშტაბებთან

დიაგრამა 7: საქართველოს საგადასახდელო ბალანსის პირველადი შემოსავლების ანგარიშის დინამიკა




გვაქვს საქმე ამ ფენომენთან მიმართებაში, მივმართოთ გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კომისიის მიერ გამოქვეყნებულ სტატისტიკას[3] (ცხრილი 1):


ამდენად:

- *2017-2019 წლებში საქართველოში მთლიანი ძირითადი კაპიტალის ფორმირების 29.6 პროცენტი შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით იყო უზრუნველყოფილი, როცა ანალოგიური მაჩვენებელი სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპისა და მსოფლიო მასშტაბით საშუალოდ, შესაბამისად, დაახლოებით 9.0 და 7.4 პროცენტს შეადგენდა; ასევე დაბალია ეს მაჩვენებლები რეგიონის და ბალტიის ქვეყნებთან შედარებით; აღნიშნულის შედეგად ქრონიკულად დეფიციტურია ქვეყნის დაზოგვა-ინვესტიციების ბალანსი და შესაბამისად – მიმდინარე ანგარიში.*
- *საქართველოში შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაშთების შეფარდება მთლიან სამამულო პროდუქტთან 2018-2019 წლებში საშუალოდ 105.8 პროცენტი იყო (წინა წლებში – უფრო მეტი) და თითქმის 3-ჯერ აჭარბებდა მთელი მსოფლიოს მასშტაბით ანალოგიურ მაჩვენებელს, რაც საბოლოო ჯამში განაპირობებდა კიდეც შესაბამისი გადასახდელების მკვეთრ ზრდას და პირველადი შემოსავლების ბალანსის დეფიციტს.*

დიაგრამა 8. პირველადი შემოსავლების ბალანსი კომპონენტების მიხედვით, მლნ აშშ დოლარი



დიაგრამა 9. წმინდა საინვესტიციო შემოსავლების დინამიკა, მლნ აშშ დოლარი



საინვესტიციო გადასახდელების მეორე მნიშვნელოვანი კომპონენტია გადასახდელები სხვა ინვესტიციებზე (იხ.დიაგრამა 10), ანუ სესხებზე, სავაჭრო კრედიტებსა და ავანსებზე, დეპოზიტებზე და სხვა ანგარიშებზე. ასეთი გადასახდელების წილი საინვესტიციო გადასახდელების მთელ მოცულობაში, 2008-2019 წლების განმავლობაში საშუალოდ 25-30 პროცენტის ფარგლებშია (2019 წელს 24.6%) და შედარებით სტაბილურ დინამიკას უჩვენებს. თუმცა, ამ მაჩვენებლის სტაბილურობა დამოკიდებულია ქვეყნის უზარმაზარი საგარეო ვალდებულებების დაფარვის გრაფიკზე.

ამდენად, საგადასახდელო ბალანსის პირველადი შემოსავლებისბალანსისსაინვესტიციოგადასახდელების დეფიციტის მკვეთრ ზრდას უმეტესწილად განაპირობებს პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებთან დაკავშირებული გადასახდელები.


3 World Investment Report 2019. Country fact sheet: Georgia. https://unctad.org/sections/dite_dir/docs/wir2020/wir20_fs_ge_en.pdf

საქართველოს საგადასახდელო ბალანსის მეორადი შემოსავლების ანგარიში ტრადიციულად დადებითია, რაც განპირობებულია მისი უმთავრესი კომპონენტის – შემოსული პერსონალური ტრანსფერების (ფულადი გზავნილების) მოცულობის ზრდის ტენდენციით. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს კომპონენტიც საკმაოდ მოწყვლადია საგარეო ფაქტორების მიმართ.

რაზე მიგვანიშნებს საგადასახდელო ბალანსის ქრონიკული დეფიციტი? იმაზე, რომ:

- *საგადასახდელო ბალანსის გაუმჯობესების სისტემური და ეფექტური გზები არ არის მოძებნილი, რაც ძირეულად შეცვლის საქონლითა და მომსახურებით საგარეო ვაჭრობის ბალანსის ტრაექტორიას, რომელიც ათეული წლების მანძილზე არ იცვლება;*
- *საგადასახდელო ბალანსის განვითარების ამოცანა არ არის დაფუძნებული სტაბილურ ფაქტორებსა და შემო-*

დიაგრამა 10. უცხოური ინვესტიციების ნაშთებისა და შესაბამისი გადასახდელების დინამიკა, მლნ აშშ დოლარი




ცხრილი 1. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები: განმაზოგადებელი მაჩვენებლები შერჩეული ქვეყნების მიხედვით

	2017	2018	2019
შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მთლიანი ძირითადი კაპიტალის ფორმირების მიმართ, %			
საქართველო	40.7	24.4	23.6
სომხეთი	12.0	12.2	11.8
აზერბაიჯანი	29.1	14.5	15.3
ესტონეთი	28.8	20.2	37.2
ლატვია	10.6	12.8	10.1
ლიტვა	10.8	10.0	8.5
სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპა და დსთ	10.1	6.7	10.2
მსოფლიო	8.4	6.9	7.0
პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაშთები მშპ-ს მიმართ, %			
საქართველო	x	103.7	107.9
სომხეთი	x	44.3	41.5
აზერბაიჯანი	x	65.4	68.3
ესტონეთი	x	80.7	87.5
ლატვია	x	50.7	52.6
ლიტვა	x	36.5	37.7
სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპა და დსთ	x	34.1	36,2
მსოფლიო	x	38.5	42.0

სავლებზე, არამედ გათვლილია მოწყვლადი ფაქტორებიდან შემოსავლებზე, რაც უაღრესად ზრდის მიმდინარე ანგარიშის ნებისმიერ დროს გაუარესების რისკებს;

- *საინვესტიციო მიმართულებით არ არის შემუშავებული სტარტეგია, რომელიც უზრუნველყოფს ისეთი ინვესტიციების შემოსვლას, რომელიც შექმნის სამუშაო ადგილებს, ასოცირებული იქნება ახალი ტექნოლოგიების, ინოვაციების, შრომისა და წარმოების კულტურის განვითარებასა და ამაღლებასთან და საექსპორტო პოტენციალისა და შემოსავლების ზრდასთან;*
- *სავალასახდელო ბალანსის განვითარების პრობლემატიკა არ არის განხილული ქვეყნის დაზოგვა-ინვესტიციების ბალანსთან მიმართებაში და, მაშასადამე, მასზე მსჯელობა მოკლებულია კომპლექსურ და მიზეზ-შედეგობრივ ხედვას; ძირითადი კაპიტალის ფორმირების უდიდესი ნაწილი უზრუნველყოფილია უცხოური ინვესტიციების ხარჯზე, რაც*

დიაგრამა 11. მეორადი შემოსავლების ბალანსი და პირადი ტრანსფერები, მლნ აშშ დოლარი



მნიშვნელოვნად განაპირობებს სავალო ვალდებულებების დაგროვებას და წლიდან წლამდე წმინდა საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობის გაუარესების დინამიკას. თუმცა, რამდენად გამართლებულია ამ გზით ძირითადი კაპიტალის ფორმირება, აქვს თუ არა ქვეყანას დაზოგვის მოცულობის ზრდისა და დაზოგვა-ინვესტიციების ბალანსის გაუმჯობესების რესურსები, როგორ ნაწილდება როლები ამ სფეროში სახელმწიფოსა და კერძო სექტორებს შორის – ეს დიდი მნიშვნელობის სტრატეგიული საკითხებია, რომლებიც სერიოზულ კვლევებს საჭიროებს.

სწორედ აღნიშნული პრობლემატიკის ფუნდამენტური კვლევისა და შექმნილი ვითარების რადიკალურად შემობრუნების სტრატეგიის შემუშავების საკითხზე ყურადღების გამახვილება არის ამ სტატიის მიზანიც და რეკომენდაციაც. რადგანაც მიმდინარე მოვლენებმა დაგვანახა ყველა ნიშანი იმისა, რომ ახალი რეალობა იქნება ძალიან მკაცრი, დაუნდობელი და სრულიად განსხვავებული, როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო მასშტაბით.

დასკვნის მაგიერ

ჩვენ სტატიის სათაური შემთხვევით არ შევგირჩევია. 2020 წლამდე საზოგადოებისთვის ცნობილი იყო არაერთი კრიზისი. თუმცა, COVID-19 პანდემიით გამოწვეულმა კრიზისმა, თავისი მანამდე არნახული მასშტაბებით, გადაფარა ყველა მათგანი, გააცამტვერა ყველა კრიზისული და ანტიკრიზისული თეორიები და გააჩინა მისი დაძლევის წარმოუდგენელი სირთულის თავსატეხი. შრილანკელმა პროფესორმა აჯიტ დე ალვისმა (Prof. Ajith De Alwis), რომელმაც პირველად გამოიყენა ტერმინი „კორონომიკა", სწორედ ამ ვითარების აღსანიშნავად შექმნა ეს ტერმინი (კორონა პლუს ეკონომიკა). ჩვენ გადავწყვიტეთ განგვეზოგადებინა ეს ტერმინი, ზოგადად იმ საფრთხეების, გარემოსა და ვითარების აღსანიშნავად, რომელ სამყაროშიც დიდი ალბათობით მოგვიწევს ცხოვრება ჩვენ და ჩვენ შემდგომ საზოგადოებებს.

ლიტერატურა/REFERENCES

Aslamazishvili, N. (2018). Balance of Payments of Georgia: Key Aspects of its Analysis. *Globalization & Business* N6. 136-143. (In Georgian)

Balance of Payments of Georgia (2018). *National Bank of Georgia.* https://www.nbg.gov.ge/uploads/bop/bop_2018_eng_publish.pdf

World Investment Report (2019). Country fact sheet: Georgia. https://unctad.org/sections/dite_dir/docs/wir2020/wir20_fs_ge_en.pdf

https://knoema.com/atlas/topics/Tourism/Travel-and-Tourism-Total-Contribution-to-GDP/Contribution-of-travel-and-tourism-to-GDP-growth?type=maps

www.nbg.gov.ge

JEL Classification: E01; C4 https://doi.org/10.35945/gb.2020.10.013

MACROECONOMICS DURING PANDEMIC: CONSUMER BEHAVIOUR AND OPTIMAL CONTAINMENT POLICY

TSOTNE MARGHIA
PhD Student,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia
t.marghia@mof.ge

Abstract. The COVID-19 pandemic has led us to the need of choosing between short-term and long-term priorities. In order to conduct and evaluate effective policies, new types of models are required, that are able to incorporate both epidemiological and economic variables. The aim of this paper is to make practical use of theoretical framework in case of Georgia and lay the foundation for future research. The theoretical framework of the paper is based on the macroeconomically extended version of epidemiological SIR type model developed by Eichenbaum et al. (Eichenbaum, Rebelo, Trabandt, 2020). In the homogenous economic agent model human behavior determines the epidemiological situation in the country. Individuals are reducing the probability of infecting themselves by reducing consumption and labor supply. However, consumers do not take into account the possibility of them infecting others, thus creating the negative external effect. Therefore, these effects can be internalized using the containment policy, which is represented as tax on consumption in the model. By raising taxes, the government increases the relative price of consumption to leisure (the economic agent chooses what part of one's time to devote to the labor market and what part of time to devote to leisure). Consequently, on other equal terms, households will change their behavior and prefer to stay at home, which is their response to the increased tax. However, these actions have a big impact on output. An epidemic ends when a large part of the population acquires collective immunity. In the absence of a vaccine and effective treatment, immunity can be generated by transmission of the virus and subsequent recovery. At this time, the number of deaths due to the virus is increasing. In this model, it is optimal to gradually increase the containment measures in parallel with the increase in virus cases, and to gradually mitigate the measures as the community approaches the critical level of immunity. This will help increase the share of people with immunity and, in the event of a high level of infection, deter infected people.

The paper uses the mentioned theoretical framework in practice, taking into account the epidemiological and economic state in Georgia and investigates the short and long run effects of the pandemic on population health, as well as their economic behavior. In the short run the containment policy leads to deep recession, although it reduces the number of infected and deceased. Therefore, in this case there is a choice to be made between epidemiological and economic situations in the short run. However, in the long run, the negative impact of the pandemic on the economy is weaker when using the containment policy, than in case of not using it at all.

KEYWORDS: COVID-19, CONTAINMENT POLICY, SIR MACRO MODEL, EPIDEMIC, RECESSION.

For citation: Marghia, T., (2020). Macroeconomics During Pandemic: Consumer Behavior and Optimal Containment Policy. *Globalization and Business, 10.* 103-114. https://doi.org/10.35945/gb.2020.10.013

JEL Classification: E01; C4 https://doi.org/10.35945/gb.2020.10.013

მაკროეკონომიკა პანდემიის დროს: მომხმარებელთა ქცევა და შეკავების ოპტიმალური პოლიტიკა*

ცოტნე მარღია
დოქტორანტი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
t.marghia@mof.ge

საკვანძო სიტყვები: COVID-19, შეკავების პოლიტიკა, SIR მაკრო მოდელი, ეპიდემია, რეცესია.

ციტირებისთვის: მარღია ც. (2020). მაკროეკონომიკა პანდემიის დროს: მომხმარებელთა ქცევა და შეკავების ოპტიმალური პოლიტიკა. *გლობალიზაცია და ბიზნესი, №10*, გვ. 103-114. https://doi.org/10.35945/gb.2020.10.013

1. შესავალი

2020 წლის დასაწყისში მსოფლიო აღმოჩნდა გლობალური კრიზისის პირას. COVID-19 პანდემიის გამო შეფერხებულია გლობალური ეკონომიკური აქტივობა. ჩაიკეტა საერთაშორისო საზღვრები, დაიხურა სავაჭრო ობიექტები, სამსახურების ნაწილი გადავიდა დისტანციურ რეჟიმზე (Jibuti, 2020). განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს პანდემიის გარშემო არსებული გაურკვევლობა. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ აპრილში გამოქვეყნებული პროგნოზის თანახმად, გლობალური ზრდის პროგნოზი 2020 წელს შეადგენდა -3 პროცენტს (IMF, April 2020), რაც ამავე წლის იანვარში გამოქვეყნებულ პროგნოზზე 6.3 პროცენტული პუნქტით ნაკლებია (IMF, January 2020); ივნისში განახლებული პროგნოზის მიხედვით, მოსალოდნელია უფრო დიდი შემცირება და გლობალური ეკონომიკური ზრდის პროგნოზმა შეადგინა -4.9 პროცენტი (IMF, June 2020). აღნიშნული გაურკვევლობის გამო და ეპიდემიის წინააღმდეგ ღონისძიებების უკეთესად გაანალიზებისთვის, მნიშვნელოვანია ეპიდემიის ადამიანთა ქცევაზე გავლენის შეფასება, რაც, თავის მხრივ, გავლენას ახდენს ეკონომიკაზე როგორც მოთხოვნის, ასევე მიწოდების მხრიდან (Papava, 2020). პარალელურად მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს შეკავების პოლიტიკის სიმკაცრე და მის მიერ გამოწვეული ეკონომიკური და ეპიდემიოლოგიური შედეგი მოკლევადიან და გრძელვადიან პერიოდებში.


2020 წლის 29 ივნისის მდგომარეობით, საქართველოში COVID-19 ვირუსით დაინფიცირებულთა საერთო შემთხვევების რაოდენობამ შეადგინა 926 (იხილეთ დიაგრამა 1), საიდანაც 15 გარდაცვალების და 721 გამოჯანმრთელების შემთხვევაა. ამ ეტაპზე ყოველდღიური შემთხვევების მაქსიმუმის მიღწევის მიუხედავად, კორონავირუსის საფრთხე ჯერ კიდევ არსებობს, რაც ვლინდება სტაბილური რაოდენობის ყოველდღიური შემთხვევების რიცხვსა და შეკავების პოლიტიკის გარკვეული ზომების არსებობაში (პირბადის სავალდებულო ტარება გარკვეულ ადგილებში, ხალხმრავალი შეკრებების აკრძალვა და ა.შ.) (საქართველოს მთავრობა, 2020). საერთო სურათის გაუმჯობესების მიუხედავად, ჩვენი რეგიონის ქვეყნებში ეპიდემიოლოგიური ვითარება კვლავაც მძიმეა, რაც ანელებს საქართველოს ეკონომიკის სწრაფ გაჯანსაღებას.


იმის მიუხედავად, რომ პანდემიის ხანგრძლივობის და მომავალი განვითარების ირგვლივ არსებობს უპრეცედენტო გაურკვევლობა (ანანიაშვილი, გაფრინდაშვილი, 2020), მოკლევადიანი უარყოფითი გავლენა ეკონომიკაზე უკვე ასახულია როგორც მთლიანი სამამულო პროდუქტის წინასწარი ზრდის მაჩვენებლებში, ასევე საგარეო სექტორისა და ფულადი შემოსულობების სტატისტიკაში (Kovzanadze, 2020; Mekvabishvili, 2020). 2020 წლის პირველ კვარტალში რეალური მთლიანი სამამულო პროდუქტის ზრდის ტემპმა შეადგინა 2.2 პროცენტი (იხილეთ დიაგრამა 2). აღნიშული მაჩვენებელი არ

* იბეჭდება როგორც III ეროვნულ სამეცნიერო კონფერენციაზე დოქტორანტთა ნაშრომების კონკურსზე გამარჯვებული

ასახავს კორონავირუსით გამოწვეულ სრულ უარყოფით შედეგებს, რადგან საერთაშორისო საზღვრების ჩაკეტვა, საგანგებო მდგომარეობის და სხვა სოციალური დისტანცირების სავალდებულო ნორმების დაწესება მოხდა მარტის თვის ბოლოს (საქართველოს მთავრობა, 2020). შესაბამისად, მარტსა და აპრილში წლიურმა ეკონომიკურმა ზრდამ შეადგინა -2.7 პროცენტი და -16.6 პროცენტი. 2020 წლის აპრილში ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები 96.8 პროცენტით შემცირდა, ხოლო მაისში წლიურმა შემცირებამ შეადგინა 96.6 პროცენტი. 2020 წლის აპრილში წმინდა ფულადი გზავნილები წლიურად შემცირდა 41.5 პროცენტით და შეადგინა 69.1 მილიონი აშშ დოლარი. აღნიშნული მაჩვენებელი მაისში შემცირდა 5.6 პროცენტით და შეადგინა 118.3 მილიონი აშშ დოლარი. 2020 წლის მაისში ექსპორტი წლიურად შემცირდა 29.9 პროცენტით და გაუტოლდა 234.4 მლნ აშშ დოლარს, ხოლო იმპორტი შემცირდა 34.3 პროცენტით და გაუტოლდა 497 მლნ აშშ დოლარს, რამაც სავაჭრო დეფიციტი 37.8%-ით შეამცირა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით და გაუტოლდა 262.9 მლნ აშშ დოლარს[1]. აღნიშნული მნიშვნელოვანი შემცირება გამოწვეულია საშინაო და საგარეო მოთხოვნის შემცირებით და რეგიონში ეკონომიკური აქტივობის შეჩერებით COVID-19 ეპიდემიის გავრცელების შედეგად. ეკონომიკური მაჩვენებლების აღნიშნული გაუარესების ფონზე, მნიშვნელოვანია ეპიდემიისა და დამატებით შეკავების პოლიტიკის გავლენის შეფასება ეკონომიკაზე.

დიაგრამა 1: COVID-19 ეპიდემიის გავრცელება საქართველოში






წყარო: Johns Hopkins University

წარმოდგენილი სტატია მიზნად ისახავს საქართველოს მაგალითისთვის ლიტერატურის გამდიდრებას ეკონომიკური ქცევისა და ეპიდემიოლოგიური მახასიათებლის მქონე თეორიული ჩარჩოს პრაქტიკული გამოყენებით და მომავალი კვლევებისთვის საფუძველის ჩამოყალიბებას. ნაშრომი შესაძლოა საინტერესო და გამოყენებადი აღმოჩნდეს როგორც პოლიტიკის გამტარებლებისთვის, ასევე საკითხით დაინტერესებული პირებისთვის.

თეორიული ჩარჩოს სახით ნაშრომი იყენებს აიქენბაუმის, რებელოს და ტრაბანდტის მიერ ჩამოყალიბებულ მოდელს, რითაც შესაძლებელი ხდება ეპიდემიის შეკავების პოლიტიკის და ადამიანთა საპასუხო ქცევის მოდელირება (Eichenbaum, Rebelo, Trabandt, 2020). აღნიშნული მიდგომა გულისხმობს ეპიდემიოლოგიური SIR მოდელის (Kermack, McKendrick, 1927) და ჰომოგენური ეკონომიკური აგენტის მოდელების გაერთიანებას. ეკონომიკური აგენტები ამცირებენ მოხმარებას და შრომას ინფიცირების ალბათობის შესამცირებლად (Kakulia, 2020). აღნიშნულ ჩარჩოში ინფიცირებული ადამიანები იღებენ

[1] მონაცემთა წყარო: საქსტატი, საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა 2: საქართველოს რეალური მთლიანი სამამულო პროდუქტის ზრდა



წყარო: საქსტატი, ავტორის გაანგარიშება

ერთობლივ ეპიდემიოლოგიურ სურათს, როგორც მოცემულობას, და არ ითვალისწინებენ თავიანთი ქცევით სხვა ადამიანის დაინფიცირების ალბათობას, რითიც ქმნიან უარყოფით გარეგან ეფექტს. შესაბამისად, ადგილი არ აქვს პარეტო ოპტიმალურობას. ამის საპასუხოდ, პოლიტიკის გამტარებელი იყენებს ოპტიმალურ შეკავების პოლიტიკას აღნიშნული გარეგანი ეფექტის ინტერნალიზაციისთვის.

ოპტიმალური შეკავების პოლიტიკის გასაცნობიერებლად მნიშვნელოვანია გავიგოთ თუ როგორ სრულდება ეპიდემია. ეპიდემია სრულდება, როდესაც მოსახლეობის დიდი ნაწილი შეიძენს კოლექტიურ იმუნიტეტს. ვაქცინის და ეფექტიანი მკურნალობის საშუალების არარასებობის დროს იმუნიტეტის გამომუშავება შესაძლებელია ვირუსის გადატანით და შემდგომ გამოჯანმრთელებით. ამ დროს იმატებს ვირუსის გამო გარდაცვლილთა რაოდენობა. შესაბამისად, ჩნდება კითხვა, თუ რა არის კოლექტიური იმუნიტეტის მიღწევის ოპტიმალური გზა. ეპიდემიის გავრცელების შეჩერება შესაძლებელია მკაცრი შეკავების პოლიტიკის ზომების დაწესებით. თუმცა აღნიშნული ზომების მუდმივად გამოყენება გამოიწვევს ღრმა ეკონომიკურ კრიზისს და მოსახლეობა ვერ მიაღწევს კოლექტიურ იმუნიტეტს. შესაბამისად, აღნიშნულ მოდელში ოპტიმალურია შეკავების ზომების თანდათანობით გაძლიერება ვირუსის შემთხვევების ზრდის პარალელურად, და ზომების ეტაპობრივი შერბილება როდესაც საზოგადოება უახლოვდება იმუნიტეტის კრიტიკულ დონეს. ეს ხელს შეუწყობს იმუნიტეტის მქონე ადამიანების წილის ზრდას, ხოლო ინფიცირების მაღალი დონის პირობებში, ინფიცირებულ ადამიანთა შეკავებას (Eichenbaum, Rebelo, Trabandt, 2020).

ეპიდემიასა და მაკროეკონომიკას შორის კავშირის გასაგებად გამოყენებულია აღნიშნული შედარებით მარტივი მოდელი, რის გამოც არ არის გათვალისწინებული რამდენიმე ასპექტი. კერძოდ, მოცემულ ნაშრომში არ არის გათვალისწინებული ნომინალური სიხისტე, რაც წარმოადგენს მომავალი კვლევის საკითხს. მოსალოდნელია, რომ ნომინალური სიხისტის პირობებში, ვირუსის გამო ერთობლივი მოთხოვნის შემცირება გამოიწვევს უფრო ღრმა რეცესიას. ასევე მოდელის გაფართოება შესაძლებელია ჰეტეროგენური აგენტების და სექტორების გათვალისწინებით, როგორც ეს განახორციელეს კრუგერმა და სხვებმა თავიანთ კვლევებში (Krueger, Uhlig, Xie, 2020; Guerrieri, Lorenzoni, Straub, Werning, 2020). თუმცა მოსალოდნელია, რომ ნაშრომის მთავარი იდეა რეცესიასა და ეპიდემიის შედეგებს შორის არჩევანის გაკეთების გარდაუვალობის შესახებ იქნება უცვლელი.

2. ლიტერატურის მიმოხილვა

საკვლევი საკითხის სიახლის მიუხედავად, ეპიდემიის გავრცელებიდან რამდენიმე თვის განმავლობაში გამოქვეყნდა მრავალი ნაშრომი, რომელიც ახასიათებს ვირუსის გავრცელების ეფექტის სხვადასხვა ასპექტს. მონაცემების სიმცირის და ეპიდემიის ირგვლივ არსებული გაურკვევლობის გამო, ადგილი აქვს ლიტერატურის და თეორიული შედეგების მრავალფეროვნებას როგორც ეპიდემიოლოგიური, ასევე ეკონომიკური კუთხით. ერთ-ერთ მიდგომას წარმოადგენს წარსული პანდემიების სწავლის პრაქტიკა, რითიც მკვლევარები ცდილობენ მოსალოდნელი შედეგების შეფასებას. ამის მაგალითს წარმოადგენს ჯორდას, სინგჰის და ტეილორის ნაშრომი (Jorda, Singh,Taylor, 2020), რომელშიც ავტორები აკვირდებიან აქტივებზე რეალური უკუგების ნორმის ისტორიულ მონაცემებს მსოფლიოში გავრცელებული პანდემიების

პარალელურად გრძელვადიანი ეკონომიკური ეფექტის შეფასებისთვის. მკვლევარების აზრით, პანდემიის შემდგომ მაკროეკონომიკური ეფექტები გრძელდება 40 წლის განმავლობაში, რის შედეგადაც მცირდება რეალური უკუგების ნორმის მაჩვენებლები. მათ მსგავსად, ბარომ და სხვებმა გამოიკვლიეს ესპანური გრიპის გავლენა 43 ქვეყნის მაგალითზე და დაასკვნეს რომ უფრო მაღალი გარდაცვალების რაოდენობა ამცირებდა აქციებზე რეალური უკუგების ნორმას. ამავე დროს, გრიპის გავლენამ მთლიან სამამულო პროდუქტსა და მოხმარებაზე საშუალოდ შეადგინა –6 და –8 პროცენტი შესაბამისად (Barro, Ursúa, Weng, 2020).

თუმცა იმ არხების უკეთესად გაანალიზებისთვის, რითიც ეპიდემია და ეპიდემიის წინააღმდეგ გატარებული პოლიტიკა გავლენას ახდენს ეკონომიკაზე, აუცილებელია მაკროეკონომიკური მოდელების განვითარება, რომელშიც ჩართული იქნება ეპიდემიოლოგიური მოდელირების ნაწილი და ადამიანთა ჯანმრთელობის მდგომარეობა. ასეთი ტიპის მოდელის ერთ-ერთ მაგალითს წარმოადგენს აიქენბაუმის, რებელოს და ტრაბანდტის მიერ ჩამოყალიბებული ჩარჩო, რომლის დეტალური შინაარსი განხილულია მეთოდოლოგიის ნაწილში. მკვლევარების მიხედვით, მოკლევადიან პერიოდში არსებობს არჩევანი ჯანმრთელობასა და ეკონომიკას შორის. აშშ-ს მონაცემების გამოყენებით მათ აჩვენეს, რომ გრძელვადიან პერიოდში, მთლიანი სამამულო პროდუქტის შემცირება უფრო ნაკლებია შეკავების ოპტიმალური პოლიტიკის პირობებში ვიდრე სოციალური დისტანცირების ზომების გარეშე შემთხვევაში. მოდელი შეიცავს როგორც მოთხოვნის, ასევე მიწოდების მხარეს, რისი უარყოფითი ფაქტორების კომბინაციის დროსაც ადგილი აქვს ღრმა რეცესიას. (Eichenbaum, Rebelo, Trabandt, 2020). აღნიშნულ ჩარჩოს იყენებენ რაბელო და ჯოანი ბრაზილიის მაგალითისთვის COVID-19 პანდემიის ეფექტის შესაფასებლად. მათი შეფასებით, შეკავების ოპტიმალურ პოლიტიკას შეუძლია მძლავრი რეცესიის გამოწვევა მოკლევადიან პერიოდში, თუმცა, ამავე დროს, ხდება გარდაცვლილთა რაოდენობის შემცირება. გარდა ამისა, ავტორებმა გაითვალისწინეს ეფექტიანი მკურნალობის მეთოდის დანერგვის ალბათობა, რაც აქცევს მომხმარებელს შედარებით უფრო რისკ მოყვარულად. ამის შედეგად, ისინი ამცირებენ ეკონომიკურ აქტივობას უფრო ნაკლებად, ვიდრე მკურნალობის მეთოდის არარსებობის პირობებში (Rabelo, Johann, 2020).

კრუგერი და სხვები ავრცელებენ ზემოთ აღნიშნულ ჩარჩოს ეკონომიკაში ჰეტეროგენური სექტორების გათვალისწინებით, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდებიან ტექნოლოგიებითა და ინფიცირების ალბათობებით. ნაშრომის მიხედვით, ადამიანების მიერ სოციალური დისტანცირების და ჰიგიენის დაცვის პირობებში, ეკონომიკური საქმიანობის გადანაწილების საფუძველზე, ინფექციის დონე მცირდება მთავრობის მიერ შეკავების პოლიტიკის გამკაცრების გარეშე (Krueger, Uhlig, Xie, 2020). ამის მსგავსად, გუერიერიმ და სხვებმა ასევე გამოიყენეს ჰეტეროგენური სექტორები თავის ანალიზში და აჩვენეს, რომ ახალი კეინზიანური ტიპის მოდელში, COVID-19-ის მიერ გამოწვეულ მიწოდების შოკს შეუძლია გამოიწვიოს ერთობლივი მოთხოვნის უფრო დიდი ცვლილება, რომელიც აღემატება თავდაპირველი შოკის ზომას. ასევე, ავტორები აღნიშნავენ ფისკალური პოლიტიკის შედარებით სუსტ გავლენას ფისკალური მულტიპლიკატორების შეზღუდული ეფექტის გამო (Guerrieri, Lorenzoni, Straub, Werning, 2020).

3. მეთოდოლოგია

3.1. მოდელი

წარმოდგენილი ნაშრომის ჩარჩო და ანალიზი ემყარება Eichenbaum-Rebelo-Trabandt მოდელს (Eichenbaum-Rebelo-Trabandt), რომელიც შემდგომ მოხსენიებული იქნება როგორც ERT მოდელი. ეს მოდელი წარმოადგენს სტანდარტული ეპიდემიოლოგიური SIR მოდელის (Kermack, McKendrick, 1927) გაფართოებას მაკროეკონომიკური ურთიერთკავშირებით. კანონიკური SIR მოდელისგან განსხვავებით, ERT მოდელში გათვალისწინებულია მოსახლეობის სამომხმარებლო საქონლისა და მომსახურების ყიდვის და შრომის აქტივობები. აღნიშნული ტიპის აქტივობების ჩართვა მოდელში ზრდის ვირუსის გავრცელების ალბათობას, რადგან ამ დროს ხდება ურთიერთკავშირი ადამიანებს შორის. სტანდარტული SIR მოდელი მოდიფიცირებულია ისე, რომ ინფექციის გადაცემის ალბათობა დამოკიდებული ხდება ეკონომიკური აგენტების ქცევაზე.

განხილულ მოდელებში მოსახლეობა იყოფა ოთხ კატეგორიად:

- S_t – მგრძნობიარე (Susceptible),
- I_t – ინფიცირებული (Infected),
- R_t — გამოჯანმრთელებული (Recovered),
- D_t – გარდაცვლილი (Deceased).

მგრძნობიარეთა კატეგორიაში შედიან ადამიანები, ვისაც არ გააჩნია იმუნიტეტი ვირუსის მიმართ და პოტენციურად შეუძლიათ დაავადდნენ. ინფიცირებულთა კატეგორიაში შედიან ადამიანები, რომელთაც აღმოაჩნდათ ვირუსი. გამოჯანმრთელებულთა კატეგორიაში შედის მოსახლეობის ის ნაწილი, ვინც გადაურჩა ვირუსს და შეიძინა იმუნიტეტი, ხოლო გარდაცვლილთა კატეგორიას მიეკუთვნება ვირუსის გამო გარდაცვლილი მოსახლეობის ნაწილი. T_t წარმოადგენს ახალ დაავადებულ ადამიანთა რაოდენობას.

მგრძნობიარე ადამიანი შესაძლებელია დაავადდეს სამი გზით: პირველ გზას წარმოადგენს კონტაქტი დაავადებულ ადამიანთან სამომხმარებლო საქონლის შესყიდვის დროს (რესტორანი, პროდუქტისა და ტანსაცმლის ყიდვა და ა.შ.); მეორე გზას – კონტაქტი დაავადებულ ადამიანთან სამუშაო გარემოში; მესამე გზას – შემთხვევითი დაინფიცირება, ინფექციის მატარებელ ზედაპირთან შეხებით ან დაავადებულ ადამიანთან შემთხვევითი კონტაქტით. შესაბამისად, სამივე გზით ახალ დაავადებულთა რაოდენობა T_t გამოსახულია შემდეგნაირად:

$$T_t = \pi_1(S_t C_t^S)(I_t C_t^I) + \pi_2(S_t N_t^S)(I_t N_t^I) + \pi_3(S_t I_t^s),$$

სადაც π_1 არის მოხმარებასთან დაკავშირებული საქმიანობით ინფიცირების ალბათობა, π_2 – სამუშაო სივრცეში დაინფიცირების ალბათობა, ხოლო π_3 არის ინფიცირების ალბათობა, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული არც მოხმარებასთან და არც შრომასთან. ამავე დროს, $S_t C_t^S$ აღნიშნავს მგრძნობიარე მოსახლეობის ერთობლივ მოხმარებას, ხოლო $I_t C_t^I$ – ინფიცირებულ ადამიანთა ერთობლივ მოხმარებას; $S_t N_t^S$ არის მგრძნობიარე კატეგორიის მიერ სამუშაო საათების ერთობლივ მიწოდებას, ხოლო $I_t N_t^I$ – ინფიცირებულ ადამიანთა შრომის საათების ერთობლივ მიწოდებას. თუ სრულდება შემდეგი პირობა $\pi_1 = \pi_2 = 0$, ადგილი აქვს სტანდარტულ SIR მოდელს. ეპიდემიის საპასუხოდ, მოსახლეობა ამცირებს თავის მოხმარებას და მიწოდებულ შრომას დაავადების ალბათობის შესამცირებლად.

მგრძობიარე ჯგუფის მოცულობა $t+1$ პერიოდში იქნება:

$$S_{t+1} = S_t - T_t;$$

ინფიცირებულთა ჯგუფის მოცულობა $t+1$ პერიოდში:

$$I_{t+1} = I_t + T_t - (\pi_r + \pi_d) I_t;$$

გამოჯანმრთელებულთა ჯგუფის მოცულობა $t+1$ პერიოდში:

$$R_{t+1} = R_t + \pi_r I_t,$$

სადაც π_r არის გამოჯანმრთელების ალბათობა;

გარდაცვლილთა ჯგუფის მოცულობა $t+1$ პერიოდში:

$$D_{t+1} = D_t + \pi_d I_t,$$

სადაც π_d არის გარდაცვალების ალბათობა.

მთლიანი მოსახლეობა, რომელიც ნორმალიზებულია და უდრის 1-ს, $t+1$ პერიოდში იქნება:

$$Pop_{t+1} = Pop_t - \pi_d I_t.$$

დაშვების თანახმად, ყველა აგენტმა იცის მოსახლეობის ჯანმრთელობის დინამიკის შესახებ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ შემთხვევაში არ სრულდება კეთილდღეობის თეორიის მთავარი პრინციპი, პარეტო ეფექტურობა, რადგან ადგილი აქვს კლასიკურ გარეგან ეფექტს (externality). დაინფიცირებული ადამიანები არ აქცევენ ყურადღებას მათ მიერ გარეგან ეფექტებს. შესაბამისად აგენტები არ ახდენენ გარეგანი ეფექტის ინტერნალიზაციას.

განხილულ მოდელში ეკონიმიკური აგენტები არიან იდენტურები და ახდნენ შემდეგი ფუნქციის მაქსიმიზაციას:

$$U = \sum_{t=0}^{\infty} \beta^t u(C_t, N_t)\,,$$

სადაც $\beta \in (0;1)$ არის დისკონტის განაკვეთი, ხოლო t პერიოდის სარგებლიანობის $u(C_t, N_t)$ ფუნქცია არის განცალკევებადი სტანდარტული თვისებების მქონე:

$$u_t(C_t, N_t) = lnC_t + \frac{\theta}{2} N_t^2,$$

სადაც c_t არის მოხმარება, N_t კი აღნიშნავს შრომის საათებს. ეკონომიკური აგენტები იღებენ გადაწყვეტილებას შემდეგი საბიუჯეტო შეზღუდვის პირობებში:

$$(1 + \mu_t) C_t = \omega_t C_t + \Gamma_t\,,$$

სადაც ω_t არის რეალური ხელფასის განაკვეთს, μ_t – მოხმარებაზე დაწესებული გადასახადი, ხოლო Γ_t – ერთჯერადი ტრანსფერი მთავრობისგან (lump-sum transfer). აღნიშნული მოდელის ჩარჩოში, μ_t მოიაზრება ვირუსის შეკავების

პოლიტიკის მიახლოებით მაჩვენებლად (proxy). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, μ_t წარმოადგენს მთავრობის ინსტრუმენტს, რითიც მას შეუძლია შეამციროს სოციალური კონტაქტების მოცულობა ადამიანებს შორის. მაგალითად, აღნიშნული ინსტრუმენტის გამოყენებით, კერძოდ კი მოხმარებაზე დაწესებული გადასახადის ზრდით, მთავრობა ზრდის მოხმარების შეფარდებით ფასს დასვენებასთან შედარებით (ეკონომიკური აგენტი ირჩევს, თავისი დროის რა ნაწილი მიაწოდოს შრომის ბაზარს და დროის რა ნაწილი დაუთმოს დასვენებას). შესაბამისად, სხვა თანაბარ პირობებში, შინამეურნეობები შეცვლიან თავიანთ ქცევას და ამჯობინებენ სახლში დარჩენას, რაც წარმოადგენს მათ პასუხს გაზრდილ გადასახადზე. გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული ქმედებები დიდ გავლენას ახდენს გამოშვებაზე.

წარმოების მიმართ მოდელში ვიყენებთ დაშვებას, რომ არსებობს იდენტური ფირმების სიმრავლე, რომლებიც იყენებენ წრფივ საწარმოო ფუნქციას:

$$C_t = AN_t,$$

სადაც C_t არის წარმოებული სამომხმარებლო პროდუქციის მოცულობა, A – ტექნოლოგიის პარამეტრი, ხოლო N_t ერთობლივი სამუშაო საათების მიწოდება.

განსახილველ მოდელში მთავრობას გააჩნია მხოლოდ გადასახადის აკრეფის და შინამეურნეობებისთვის ერთჯერადი ტრანსფერების გადაცემის ფუნქცია:

$$\mu_t C_t = \Gamma_t.$$

ზემოთ ჩამოთვლილ ჯგუფებს გააჩნიათ თავიანთი სარგებლიანობის ფუნქციები, რომლებიც დამოკიდებულია მათი ჯანმრთელობის სტატუსზე მომდევნო პერიოდში. მგრძნობიარე ჯგუფის წარმომადგენლები τ_t ალბათობით გადადიან ინფიცირებულთა ჯგუფში, ხოლო მათი სარგებლიანობის ფუნქცია მომდევნო პერიოდში იქნება U^i_{t+1}. ამავე დროს, $(1-\tau_t)$ ალბათობით ისინი რჩებიან მგრძნობიარეთა ჯგუფში და მათი სარგებელი იქნება U^s_{t+1}.

$$U^s_t = u(C^s_t, N^s_t) + \beta[(1-\tau_t)U^s_{t+1} + \tau_t U^i_{t+1},$$

ხოლო საბიუჯეტო შეზღუდვა იქნება:

$$(1+\mu_t)C^s_t = \omega_t N^s_t + \Gamma_t$$

$$\tau_t = \pi_1 C^s_t(I_t C^I_t) + \pi_2 N^s_t(I_t N^I_t) + \pi_3 I_t.$$

გამოჯანმრთელების შემთხვევაში ადამიანები იღებენ U^r_{t+1} სარგებელს მომდევნო პერიოდში, რაც ემყარება იმ დაშვებას, რომ გამოჯანმრთელებული ადამიანი იძენს იმუნიტეტს და არ დაავადდება მეორეჯერ.

$$U^r_t = u(C^r_t, N^r_t) + \beta U^r_{t+1}.$$

ამ დროს საბიუჯეტო შეზღუდვა ემთხვევა მგრძნობიარეთა ჯგუფის საბიუჯეტო შეზღუდვას:

$$(1+\mu_t)C^r_t = \omega_t N^r_t + \Gamma_t.$$

იმ შემთხვევაში, თუ ადამიანი ინფიცირებულია, მას სამომავლოდ აქვს განვითარების სამი ვარიანტი. პირველ შემთხვევაში, ის განიკურნება π_r ალბათობით და მისი სარგებლიანობის ფუნქცია იქნება U^r_{t+1}. მეორე შემთხვევაში, ის გარდაიცვლება π_d ალბათობით და სიკვდილის სარგებლიანობის ფუნქცია უდრის ნულს. ხოლო მესამე შემთხვევაში, ის რჩება ინფიცირებული $t+1$ პერიოდში და მისი სარგებლიანობის ფუნქცია იქნება U^i_{t+1}, ალბათობით $(1-\pi_r-\pi_d)$.

$$U^i_t = u\left(C^i_t, N^i_t\right) + \beta[(1-\pi_r-\pi_d)U^i_{t+1} + \pi_r U^r_{t+1} + \pi_d 0.$$

საბიუჯეტო შეზღუდვა განსხვავდება მგრძნობიარე ჯგუფის საბიუჯეტო შეზღუდვისგან ϕ^i პარამეტრის გათვალისწინებით. აღნიშნული პარამეტრი ასახავს შრომის მწარმოებლურობას. მგრძნობიარე და გამოჯანმრთელებული ჯგუფების შემთხვევაში მისი მნიშვნელობა უდრის ერთს, ხოლო ინფიცირებულთა ჯგუფისთვის ის არის ერთზე ნაკლები $(\phi^i < 1)$. აღნიშნული მოსაზრება ეფუძნება იმ დაშვებას, რომ ინფიცირებული ადამიანის შრომის მწარმოებლურობა მცირდება გამოჯანმრთე–ლებულ და მგრძნობიარე ადამიანის შრომის მწარმოებლურობასთან შედარებით.

$$(1+\mu_t)C^i_t = \omega_t \phi^i N^i_t + \Gamma_t.$$

3.2. კალიბრაცია

პარამეტრების კალიბრაცია ხდება საქართველოს მონაცემების[1] და შესაბამისი ლიტერატურის გამოყენებით. უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ პარამეტრს ახასიათებს გაურკვევლობა ეპიდემიის ბუნებიდან გამომდინარე. შესაბამისად, შედეგების საიმედობისთვის შემოწმდა რობასტულობა სხვადასხვა პარამეტრების პირობებში. ატკენსონის მიხედვით, 18 დღეა

საჭირო იმის გასარკვევად, კორონავირუსით დაავადებული ადამიანი გამოჯანმრთელდება თუ ვერა (ანუ გარდაიცვლება). შესაბამისად, $\pi_r + \pi_d = 7/18$ (Atkeson, 2020). მოდელის თითოეული პერიოდი შეესაბამება კვირას. 29 ივნისის მდგომარეობით, კორონავირუსის მოკვდავობის მაჩვენებელი საქართველოში შეადგენს 1.6 პროცენტს. თუმცა საქართველოში გარდაცვლილთა რაოდენობის მცირე შემთხვევების გამო, აღნიშნული დონე არ ასახავს სრულ პოტენციურ საფრთხეს, რომელიც დაკავშირებულია შეკავების ღონისძიებების და სოციალური დისტანცირების ნორმების სწრაფ შერბილებასთან. მოკვდავობის ასაკობრივი მაჩვენებლის მისაღებად გამოყენებულია სამხრეთ კორეის მონაცემები, როგორც იმ ქვეყნის მაგალითი, სადაც ჩატარებულია ყველაზე მეტი ტესტი მოსახლეობის ერთ სულზე (Rabelo, Soares, 2020)[2]. აღნიშნული მაჩვენებელი შეწონილია საქართველოს მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის შესაბამისად, სადაც 70 და მეტი ასაკის მქონე მოსახლეობა არ არის გათვალისწინებული, რადგან მათი აქტივობის დონე სამუშაო ძალაში დაბალია სხვა ასაკობრივ ჯგუფებთან შედარებით (38.7 პროცენტი 2017-2019 წელს 65+ ასაკის ჯგუფის შემთხვევაში და 75.3 პროცენტი 20-64 ასაკის კატეგორიისთვის). ამის შემდეგ საშუალო შეწონილი მოკვდავობის დონე შეადგენს 0.41 პროცენტს. შესაბამისად $\pi_d = \frac{7x0.0041}{18} \approx \mathbf{0.001605}$, ხოლო $\pi_r \approx \mathbf{0.3872}$. ეპიდემიამდე მდგრადი დონის კალიბრაციისთვის ვიყენებთ შემდეგ მაჩვენებლებს. A პარამეტრების შერჩევა მოხდა ისე, რომ კვირაში შემოსავალი მოსახლეობის ერთ სულზე უდრიდეს 10320.42/52, რაც არის მოსახლეობის ერთ სულზე რეალური მშპ-ს საშუალო მნიშვნელობა 2017-2019 წლებში. θ პარამეტრების შერჩევა მოხდა ისე, რომ კვირაში ნამუშევარი საათების რაოდენობა უდრიდეს 36.9-ს, რაც წარმოადგენს 2017-2019 წლებში ნამუშევარი ფაქტიური საათების საშუალოს. ϕ^i პარამეტრი, რომელიც ახასიათებს დაავადებული ადამიანის შეფარდებით მწარმოებლურობას, უდრის 0.8-ს. აღნიშული მნიშვნელობა შერჩეულია აიქენბაუმის ნაშრომის და ჩინეთის დაავადებათა კონტროლის და პრევენციის მიხედვით (Eichenbaum, Rebelo, Trabandt, 2020). ვუშვებთ, რომ ინფიცირებულთა წილი მთლიან მოსახლეობაში, ϵ, საწყის პერიოდში უდრის 0.001-ს.

π_3 პარამეტრს, რომელიც ასახავს საქმიანობებისგან ინფიცირების ალბათობას და არ არის დაკავშირებული არც მოხმარებასთან და არც შრომასთან, მიენიჭა მნიშვნელობა 2/3 აიქენბაუმის ნაშრომის შესაბამისად. π_1 მიიღება როგორც ნარჩენობითი წევრი. იმის მიუხედავად, რომ შეკავების პოლიტიკამ შეამცირა ინფიცირების ალბათობა მიმდინარე პერიოდში, მოსალოდნელია, რომ აღნიშნული შეზღუდვების შერბილების შემდეგ მოიმატებს დაინფიცირებულთა რიცხვი სამუშაო გარემოს წყაროებიდან და საგანმანათლებო დაწესებულებებიდან ახალი სასწავლო წლის დაწყებიდან. შესაბამისად, π_2 პარამეტრის მნიშვნელობას ვიღებთ იმ დაშვებიდან გამომდინარე, რომ სხვა თანაბარ პირობებში, სამუშაო სივრცესა და სასწავლო დაწესებულებში დაინფიცირების ალბათობა გაიზრდება. სამუშაო სივრცეში ვირუსის დღიური კონტაქტების საშუალო მაჩვენებელი შეადგენს 4-ს, ხოლო სასწავლო დაწესებულებებში – 10-ს (Lee et al., 2010). ამავე დროს, გრიპის ვირუსის შემთხვევაში, ვირუსის გადაცემის 37 პროცენტი ხდება სამუშაო გარემოსა და სასწავლო დაწესებულებაში (Ferguson et al, 2006). შესაბამისად, ვირუსის გადაცემის 17.6 (0.48x0.37) პროცენტი მოხდება სამსახურში[1].

გადაცემის პარამეტრები აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:

$$\frac{\pi_3}{\pi_1 C^2 + \pi_2 N^2 + \pi_3} = \frac{2}{3},$$

$$\frac{\pi_2 N^2}{\pi_1 C^2 + \pi_2 N^2 + \pi_3} = 0.1764,$$

$$\frac{\pi_1 C^2}{\pi_1 C^2 + \pi_2 N^2 + \pi_3} = 1 - \frac{2}{3} - 0.1764.$$


4. სიმულაციის შედეგები

ეკონომიკური აგენტების ქცევის გავლენა ეპიდემიოლოგიურ სურათზე ნათლად ჩანს დიაგრამა 3-ზე, სადაც ერთმანეთს ვადარებთ სტანდარტულ SIR და ნახსენებ SIR-ის გაფართოებული ვერსიას (ERT)[2]. ERT მოდელის საბაზისო ვერსიაში, შეკავების პოლიტიკის შესაბამისი მაჩვენებელი μ_t უდრის 0-ს. შესაბამისად, დიაგრამაზე ნაჩვენები მომხმარებლების ქცევა განპირობებულია მათი სარგებლიანობის ფუნქციის მაქსიმიზაციით, მთავრობის მიერ შეკავების პოლიტიკის დაწესების

[1] მონაცემთა წყარო: საქსტატი, საქართველოს ეროვნული ბანკი, Johns Hopkins University.
[2] მონაცემთა წყარო: სამხრეთი კორეის ჯანდაცვისა და კეთილდღეობის სამინისტრო 2020 წლის 29 ივნისის მდგომარეობით.

გარეშე. ადამიანები ცვლიან თავიანთ ქცევას ინფიცირების რისკის შემცირების მიზნით. როგორც ვხედავთ, ეპიდემია ნაკლებად საშიშია, როდესაც ვითვალისწინებთ ადამიანების ქცევას, რადგან დაინფიცირებულთა რაოდენობა აღწევს მაქსიმუმს 33–ე კვირას და შეადგენს საწყისი მოსახლეობის 5.5 პროცენტს. ხოლო სტანდარტულ SIR მოდელის პირობებში, ინფიცირებულთა რიცხვი მაქსიმუმს აღწევს ეპიდემიის დაწყებიდან 31–ე კვირას და შეადგენს 6.8 პროცენტს. ამავე დროს ადამიანთა ქცევის შეცვლა განაპირობებს მოკვდავობის მაჩვენებლის შემცირებას. ERT მოდელის შემთხვევაში გრძელვადიან პერიოდში საწყისი მოსახლეობის 0.22 პროცენტი გარდაცვლილია[3], ხოლო SIR შემთხვევაში – 0.24 პროცენტი. თუმცა, აღნიშნულ ქცევას გააჩნია შესაბამისი ეკონომიკური შედეგები. მგრძობიარე ჯგუფის მომხმარებლები მკვეთრად ამცირებენ მოხმარებას და შრომის მიწოდებას, რაც იწვევს უფრო ღრმა რეცესიას. შემცირება განპირობებულია დაავადებული ადამიანების მწარმოებლურობის კლებით, რაც ამცირებს აღნიშნული ჯგუფის მოხმარებას. ამავე დროს, გარდაცვლილთა რაოდენობა ამცირებს სამუშაო ძალის მიწოდებას. SIR მოდელში მოხმარების შემცირება აღწევს მაქსიმუმს 32–ე კვირას, სადაც ის მცირდება 1.48 პროცენტით. ამავე დროს, ERT მოდელში ადამიანები ამცირებენ თავიანთ მოხმარებას უფრო მეტად და 33–ე კვირას ერთობლივი მოხმარების შემცირება შეადგენს –6.8 პროცენტს. ამავე დროს, სამუშაო ძალის შემცირება გრძელვადიან პერიოდში უფრო ნაკლებია ERT მოდელში, რადგან ნაკლები ადამიანი გარდაიცვლება, ვიდრე ამას ასახავს SIR მოდელი.

დიაგრამა 3: ERT და SIR მოდელების შედარება



წყარო: ავტორის გაანგარიშება

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მომხმარებლები არ ახდენენ გარეგანი ეფექტების ინტერნალიზაციას. შესაბამისად, პოლიტიკის გამტარებლებს შეუძლიათ მოხმარებაზე გადასახადის μ_t დაწესებით მოსახლეობის ქცევის ცვლილება.

[1] $0.48 \approx \frac{4x1690170}{4x1690170+10x741703}$, სადაც 1690170 არის 2019 წელს დასაქმებულთა რაოდენობა, ხოლო 741703 არის ზოგადი და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა რაოდენობა.

[2] მოდელის ანალიზი განხორციელდა კომპიუტერული პროგრამა MATLAB–ის საშუალებით.

[3] უნდა აღინიშნოს, რომ დღევანდელ რეალობაში, როდესაც ხდება ეპიდემიის მართვა, ეს რიცხვი პესიმისტურია. თუმცა აღნიშნული მოკვდაობის მაჩვენებელი განპირობებულია კალიბრაციის ნაწილში გარდაცვალების ალბათობის შერჩევით სამხრეთი კორეის ასაკობრივი სტრუქტურის მაგალითით.


აღნიშნული მაჩვენებელი ასახავს შეკავების პოლიტიკის მიახლოებით მაჩვენებელს, რითიც პოლიტიკის გამტარებლები ახერხებენ უარყოფითი გარეგანი ეფექტის ინტერნალიზაციას. ოპტიმალური შეკავების პოლიტიკის დასადგენად ხდება არსებული ჯგუფების (რადგან საწყის პერიოდში არ არიან გარდაცვლილი და გამოჯანმრთელებულები: $R_O = D_O = 0$) საწყისი შეწონილი სარგებლიანობის ფუნქციის მაქსიმიზაცია სიმულაციის პერიოდის განმავლობაში (Eichenbaum, Rebelo, Trabandt, 2020):

$$U_O = S_O U_O^S + I_O U_O^I .$$

დიაგრამა 4-ზე ასახულია შეკავების პოლიტიკის გამოყენება ERT ჩარჩოში. დაინფიცირებულთა რაოდენობაზე დაკვირვებით შეიძლება აღინიშნოს შეკავების პოლიტიკის ეფექტიანობა საბაზისო ERT მოდელთან შედარებით. როგორც ზემოთ იყო ნახსენები, საბაზისო სცენარში, დაინფიცირებულთა წილი აღწევს მაქსიმუმს 33-ე კვირას და შეადგენს 5.5 პროცენტს. ხოლო ოპტიმალური შეკავების პოლიტიკის პირობებში, აღნიშნული წილის მაქსიმუმს წარმოადგენს 3.7 პროცენტი. საქართველოს შემთხვევაში არსებულ წილებს შორის სხვაობა, 2020 წლის მონაცემების მიხედვით, შეადგენს 66,9 ათას ადამიანს. ხოლო მოკვდავობის მაქსიმალური მაჩვენებელი მცირდება 0.22-დან 0.19 პროცენტამდე. აღნიშნული სხვაობა დაახლოებით შეადგენს 1115 ადამიანს. დაინფიცირებულთა აღნიშნული შემცირება ასევე ნიშნავს ნაკლებ ზეწოლას საავადმყოფოებში პალატების რაოდენობაზე, რაც წარმოადგენს მნიშვნელოვან ფაქტორს ეპიდემიის წარმატებით მართვისთვის. თუმცა უფრო მკაცრი შეკავების პოლიტიკა იწვევს უფრო ღრმა რეცესიას, რადგან აღნიშნული ღონისძიებები აძვირებს მოხმარებას (არსებული შეზღუდვების გამო ასევე შეუძლებელია გარკვეული ტიპის საქონლისა და მსახურების შეძენა) და ადამიანები იძულებულნი არიან შეამცირონ მოხმარება და შრომა. ერთობლივი მოხმარება მცირდება და 35-ე კვირას აღწევს -21.9 პროცენტს, რაც მნიშვნელოვნად აღემატება ERT-ს საბაზისო სცენარს (33-ე კვირას -6.8 პროცენტი). შესაბამისად, მოკლევადიან პერიოდში, არსებობს არჩევანის გაკეთების საჭიროება ეპიდემიოლოგიურ და ეკონომიკურ ვითარებებს შორის.

ამავე დროს, რადგან შეკავების პოლიტიკის პირობებში ნაკლებია გარდაცვალების შემთხვევები, გრძელვადიან პერიოდში შრომის მიწოდება (მიწოდების მხარე) უფრო მაღალია, ვიდრე ეს იქნებოდა შეკავების პოლიტიკის არარსებობის პირობებში. შესაბამისად, გრძელვადიან პერიოდში ვირუსის გავრცელების უარყოფითი ეფექტი უფრო ნაკლებია შეკავების პოლიტიკის პირობებში.

დიაგრამა 4: ERT მოდელი შეკავების ოპტიმალური პოლიტიკით და მის გარეშე



წყარო: ავტორის გაანგარიშება

ოპტიმალური შეკავების პოლიტიკა მიჰყვება დაინფიცირებულთა წილის დინამიკას. ოპტიმალური μ_t მნიშვნელობა იცვლება 2.9–დან პირველ პერიოდში, 49–მდე 35–ე კვირას, ხოლო შემდგომ ის განაგრძობს შემცირებას. ეს გამოწვეულია იმით, რომ ეპიდემიის დასრულებისთვის საჭიროა კოლექტიური იმუნიტეტის შეძენა. შესაბამისად, ოპტიმალურია შეკავების პოლიტიკის გამკაცრება ვირუსის გავრცელების ეტაპზე და შეკავების პოლიტიკის შერბილება, როდესაც ინფიცირებულთა დღიური შემთხვევები მცირდება. აღნიშნული ეტაპობრივი შერბილება საშუალებას მისცემს ქვეყანას, გამოიმუშაოს კოლექტიური იმუნიტეტი ეტაპობრივად, ჯანდაცვის სტრუქტურის რესურსების შესაბამისად.

5. დასკვნა

საქართველოსთვის ERT მოდელის (Eichenbaum, Rebelo, Trabandt, 2020) კალიბრაციის შედეგების მიხედვით, ოპტიმალურ შეკავების პოლიტიკას შეუძლია მთლიან მოსახლეობაში დაინფიცირებულთა წილის 5.5 პროცენტიდან 3.7 პროცენტამდე შემცირება, რაც ასევე ამცირებს მოკვდავობის მაჩვენებელს 2.2 პროცენტიდან 1.9 პროცენტამდე. თუმცა აღნიშნული ტიპის შეკავების პოლიტიკა იწვევს ღრმა რეცესიას მოკლევადიან პერიოდში. მოდელში პოლიტიკის გამკაცრების ინსტრუმენტად განხილულია მოხმარებაზე გადასახადის ზრდა, რომლის ინტერპრეტაცია ასევე შესაძლებელია როგორც სოციალური დისტანცირების სავალდებულო ნორმების დაწესება (ტრანსპორტით გადაადგილების აკრძალვა, იძულებითი კარანტინი, რესტორნების და საჯარო თავშეყრის ადგილების დახურვა და ა.შ.). აღნიშნული გზით პოლიტიკის გამტარებელი ახდენს უარყოფითი გარეგანი ეფექტის ინტერნალიზაციას, რომელიც წამოიქმნება ადამიანების მიერ სხვა ადამიანის დაინფიცირების შესაძლებლობის უგულებელყოფით. ამ დროს, მომხმარებლები ამცირებენ მოხმარებას და შრომას იმაზე უფრო მეტად, ვიდრე ეს იქნებოდა შეკავების პოლიტიკის არარსებობის პირობებში. შესაბამისად, მოკლევადიან პერიოდში არსებობს არჩევანის გაკეთების საჭიროება ეკონომიკურ და ეპიდემიოლოგიურ ვითარებას შორის. თუმცა, გრძელვადიან პერიოდში, შეკავების პოლიტიკის ღონისძიებების გატარების პირობებში, პანდემიის უარყოფითი გავლენა ეკონომიკაზე უფრო სუსტია, ვიდრე შეკავების პოლიტიკის არარსებობის პირობებში.

განხილული საკითხი მოითხოვს დამატებით კვლევებს და ეკონომიკის სხვადასხვა ასპექტების გათვალისწინებას, რომლებიც ასევე გავლენას ახდენს მომხმარებლებისა და ფირმების ქცევაზე. მაგალითად, წარმოდგენილ ნაშრომში არ არის გათვალისწინებული ნომინალური სიხისტე. მოსალოდნელია, რომ ნომინალური სიხისტის პირობებში ერთობლივი მოთხოვნის შემცირება გამოიწვევს უფრო ღრმა რეცესიას. ასევე, მოდელის გაფართოება შესაძლებელია ჰეტეროგენური აგენტებისა და სექტორების განცალკევებით. გრძელვადიანი გავლენის უკეთესად შეფასებისთვის შესაძლებელია მოდელში ფისკალურ პოლიტიკასა და ეკონომიკას შორის გადაცემის მექანიზმის გაფართოება როგორც ტრანსფერების, ასევე ვალის მდგრადობის ანალიზის კუთხით. რადგან პანდემია დიდ გავლენას ახდენს ქვეყნის საგარეო მოწყვლადობაზე და უარყოფითად მოქმედებს როგორც ბიუჯეტზე, ასევე მიმდინარე ანგარიშის ბალანსზე, საინტერესო საკითხს წარმოადგენს ქვეყნების ვალის მდგრადობის ანალიზი და ფინანსური სექტორის სტაბილურობის კვლევა. აღნიშნული მიმართულებით ანალიზის გაფართოება წარმოადგენს მომავალი კვლევების საკითხებს. თუმცა მოსალოდნელია, რომ სტატიის მთავარი იდეა რეცესიასა და ეპიდემიის შედეგებს შორის არჩევანის გაკეთების გარდაუვალობის შესახებ დარჩება უცვლელი.

ლიტერატურა/REFERENCES

Ananiashvili, I., Gaprindashvili, L. (2020). The Scale of the Spread of COVID -19 in Georgia and Effectiveness of Preventive Measures Implemented by the Government – What Do Models Say? *Globalization and Business*, 10. (In Georgian).

Atkeson, A. (2020). What will be the economic impact of covid-19 in the us? rough estimates of disease scenarios (w26867). *National Bureau of Economic Research*.

Barro, R. J., Ursúa, J. F., & Weng, J. (2020). The coronavirus and the great influenza pandemic: Lessons from the “spanish flu” for the coronavirus’s potential effects on mortality and economic activity (w26866). *National Bureau of Economic Research*.

Eichenbaum, M. S., Rebelo, S., & Trabandt, M. (2020). The macroeconomics of epidemics (w26882). *National Bureau of Economic Research.*

Ferguson, N. M., Cummings, D. A., Fraser, C., Cajka, J. C., Cooley, P. C., & Burke, D. S. (2006). Strategies for mitigating an influenza pandemic. *Nature*, 442(7101), 448-452.

Georgian Government (2020). Report of conducted measures against COVID-19 by the Georgian Government [COVID-19-is winaamghdeg saqartvelos mtavrobis mier gatarebuli ghonisdziebebis angarishi]. (In Georgian)

Guerrieri, V., Lorenzoni, G., Straub, L., & Werning, I. (2020). Macroeconomic Implications of COVID-19: Can Negative Supply Shocks Cause Demand Shortages? (No. w26918). *National Bureau of Economic Research*.

International Monetary Fund. *World Economic Outlook Update: A Crisis Like No Other, An Uncertain Recovery.* Washington, DC, June 2020.

International Monetary Fund. World Economic Outlook: The Great Lockdown (2020). Washington, DC, April.

International Monetary Fund. World Economic Outlook Update: Tentative Stabilization, Sluggish Recovery? (2020). Washington, DC, January 2020.

Jibuti, M. (2020). Viral Variations of Political Economy. Round Table "Coronomics". *Economics and Business*, 2. (In Georgian).

Jordà, Ò., Singh, S. R., & Taylor, A. M. (2020). Longer-run economic consequences of pandemics (w26934). *National Bureau of Economic Research*.

Kakulia, M. (2020). Lessons from the Coronomic Crisis for Georgia. Round Table "Coronomics". *Economics and Business*, 2. (In Georgian).

Kermack, W. O., & McKendrick, A. G. (1927). A contribution to the mathematical theory of epidemics. Proceedings of the royal society of london. *Series A, Containing papers of a mathematical and physical character*, 115(772), 700-721.

Kovzanadze, I. (2020). Economic Challenges and Prospects During the COVID-19 Infection. Round Table "Coronomics". *Economics and Business*, 2. (In Georgian).

Krueger, D., Uhlig, H., & Xie, T. (2020). Macroeconomic dynamics and reallocation in an epidemic (w27047). *National Bureau of Economic Research.*

Lee, B. Y., Brown, S. T., Cooley, P. C., Zimmerman, R. K., Wheaton, W. D., Zimmer, S. M., ... & Burke, D. S. (2010). A computer simulation of employee vaccination to mitigate an influenza epidemic. *American journal of preventive medicine*, 38(3), 247-257.

Mekvabishvili, E. (2020). The Impact of the Global Coronomic Crisis on the Georgian Economy. Round Table "Coronomics". *Economics and Business*, 2. (In Georgian).

Papava, V. (2020). Coronomics and Qualitatively New Economic Crisis. Round Table "Coronomics". *Economics and Business*, 2. (In Georgian).

Rabelo, M., & Soares, J. (2020). *The Macroeconomics of Epidemics: results for Brazil.*

გლობალიზაცია, დემოგრაფია, მაკროკონომიკა, ფინანსები, რეგიონული ეკონომიკა და ინოვაციები

GLOBALIZATION, DEMOGRAPHY, ACROECONOMICS, FINANCES, REGIONAL ECONOMICS AND INNOVATIONS

JEL Classification: A12, I15, I18 https://doi.org/10.35945/gb.2020.10.014

THE IMPACT OF THE CORONAVIRUS PANDEMIC ON THE FORMS AND STRUCTURE OF EMPLOYMENT

JOSEPH ARCHVADZE
Doctor of Economics, Professor
Kutaisi University, Georgia
daswreba@yahoo.com

Abstract. The coronavirus pandemic almost immediately led to a global narrowing of the global economy, a sharp reduction in aggregate supply and demand. The decline in production was especially felt in the second quarter of 2020, when the recession in most countries of the world had a double-digit value. According to IMF forecasts, in general, the economy in developed countries, even in 2021, will not reach the level of 2019.

The global economic downturn is accompanied by a massive reduction in jobs, rising unemployment, especially in industries that are focused on foreign markets and serving foreign consumers (export production, reception and service of foreign tourists, international transportation, etc.).

The economic crisis caused by the coronavirus also hit global economic and technological ties, led to their widespread fail in many geographical points of the planet, and increased the risk of fragmentation and regionalization of the global market.

All this was adequately reflected in change of global demand for labor, in a significant transformation of the structure, size and location of employment, and the state of the labor market as a whole.

For citation: Tugushi, M., (2020). Problems of Employment and Unemployment on the Global Pandemic background in Georgia. *Globalization and Business, 10.* 156-162. https://doi.org/10.35945/gb.2020.10.019

JEL Classification: I20; J10 https://doi.org/10.35945/gb.2020.10.019

დასაქმებისა და უმუშევრობის პრობლემები საქართველოში გლობალური პანდემიის ფონზე

მირონ ტუღუში
ეკონომიკის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
Tugushi@tsu.ge

საკვანძო სიტყვები: კორონავირუსის პანდემია; დასაქმება და უმუშევრობა; დასაქმების პროგრამები; რეგიონული ეკონომიკის განვითარება.

ციტირებისთვის: ტუღუში მ. (2020). დასაქმებისა და უმუშევრობის პრობლემები საქართველოში გლობალური პანდემიის ფონზე. *გლობალიზაცია და ბიზნესი, №10*, გვ. 156-162. https://doi.org/10.35945/gb.2020.10.019

კორონავირუსის პანდემია (COVID-19), მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდეც მძვინვარებს და არავინ იცის პიკს როდის მიაღწევს, ჩვენი დროის გლობალურ კრიზისად შეფასდა. იგი ყველა კონტინენტზე გავრცელდა. დაავადებულთა საერთო რიცხვი, ასევე მისი ყოველდღიური მაჩვენებელი ძალიან მაღალია ამერიკის შეერთებულ შტატებში, დაავადების შემთხვევები სწრაფი ტემპით იზრდება ინდოეთში, სამხრეთ ამერიკის ქვეყნებიდან განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა ბრაზილიაში, ხოლო ევროპა ვირუსის ეპიცენტრი გახდა, სადაც ყოველდღიურად იზრდება ახალ-ახალი შემთხვევების რაოდენობა. კორონავირუსის გავრცელების მხრივ მზარდი ტენდენცია შეინიშნება რუსეთში, უკრაინაში, აზერბაიჯანში, სომხეთში, ბოლო დღეების მონაცემებით კი, საქართველოშიც. ხელისუფლებისა და ექიმების მცდელობის მიუხედავად, ყოველდღიურად, დაავადებულთა რაოდენობამ ხუთ ასეულს გადააჭარბა, რაც დამაფიქრებელია.

კორონავირუსის სივერაგე იმაში მდგომარეობს, რომ ის საკმაოდ ხშირ შემთხვევაში, ძირითადად ჯანმრთელ ადამიანებში ზედმეტი გართულებების გარეშე მიმდინარეობს, თუმცა, საკმაოდ მძიმე კვალს ტოვებს, ქრონიკული დაავადებების მქონე ადამიანების ჯანმრთელობაზე კი უმძიმესად მოქმედებს, რაც, არცთუ იშვიათად, მათი გარდაცვალებითაც მთავრდება.

ადამიანის ჯანმრთელობაზე კორონავირუსის მავნებლური ზემოქმედების მასშტაბები ბოლომდე შესწავლილი არაა, რაც ხელს უშლის დაავადებული ადამიანების მკურნალობის, ასევე მისი საწინააღმდეგო ვაქცინის შექმნის პროცესს.

სამწუხარო ფაქტია, რომ როგორც საზღვარგარეთ, ასევე საქართველოში მოსახლეობის არცთუ მცირე ნაწილი კორონავირუსის პანდემიის საშიშროებას სათანადოდ ვერ აფასებს, მას, ჩვეულებრივი გრიპის ვირუსის რანგში განიხილავს, რაც მისი კიდევ უფრო ფართოდ გავრცელების საშიშროებას ქმნის.

კორონავირუსის პანდემიამ უკვე საგრძნობლად დააზიანა მსოფლიო ეკონომიკა, მართალია, ის ბოლომდე შეფასებული არაა, მაგრამ პირველი შედეგები მოწმობს, რომ ზარალი ძალიან დიდი იქნება.

ეკონომიკის დოქტორი, ექსპერტ ეკონომიკური საკითხებში ი. არჩვაძე თვლის, რომ ,,ეს მესამე მსოფლიო ომია, …ექსპერტები, კორონავირუსის პანდემიის გამო, მშპ-ს 8-დან 12%-მდე ვარდნას ვარაუდობენ. თუ გავითვალისწინებთ გლობალური ეკონომიკის მასშტაბებს, ჩვენ მხოლოდ 2022 წლისთვის შევძლებთ 2019 წლის დონის დაწევას…“ (Archvadze, 2020).

ამას ფაქტებიც მოწმობს. ,,საქსტატის“ მონაცემებით 2020 წლის მხოლოდ 7 თვეში ქვეყანაში მნიშვნელოვნად შემცირდა მთლიანი შიგა პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით. 2020 წლის მეორე კვარტალში ეს მაჩვენებელი 3,016 ლარს შეადგენდა, რაც 2019 წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით 200 ლარით ნაკლებია. 2020 წლის 7 თვეში ეკონომიკის ცალკეულ სექტორში მნიშვნელოვანი ვარდნა დაფიქსირდა. ყველაზე მეტად დაზარალდა ტურიზმი, რომლის შემოსავალი 40%-ით შემცირდა, მშენებლობაში კლებამ შეადგინა 24,5%, ხელოვნებაში, გართობასა და დასვენებაში – 24,1, ტრანსპორტსა და დასაწყობებაში – 22,6, საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობაში – 15.5, საბითუმო და საცალო ვაჭრობაში – 13,2, დამამუშავებელ მრეწველობაში – 12,1%-ით და ა.შ.

ამჟამად, მთლიანი შიგა პროდუქტის დარგობრივ სტრუქტურაში ყველაზე დიდი წილით გამოირჩევა ვაჭრობა (14.6 პროცენტი) და უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები (12.7), შემდეგ მოდის სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა (10.2), დამამუშავებელი მრეწველობა

(9.9), სახელმწიფო მმართველობა (7.5), მშენებლობა (6.8), ტრანსპორტი და დასაწყობება (6.1), განათლება (5.6 პროცენტი) და ა. შ.

თუ გავითვალისწინებთ, რომ კორონავირუსის გლობალური პანდემია მსოფლიოში ისევ გრძელდება, ხოლო საქართველოში მან ახალი ძალით იფეთქა, შეიძლება დავასკვნათ, რომ ეკონომიკის ვარდნის პროცესი მომავალშიც გაგრძელდება და შესაბამისად ზარალის ოდენობაც გაიზრდება. ამჟამად ძნელი სათქმელია ამ ნეგატიურ პროცესს როდის ექნება დასასრული, თუმცა, კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინის გამოცდის დასრულებისა და მასზე ხელმისაწვდომობის ვადის გათვალისწინებით შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ ეკონომიკის გამოცოცხლების პროცესის დაწყება 2021 წლის შუა ხანებამდე, ნაკლებად რეალურია.

გლობალური პანდემიის გამო ქვეყნის ეკონომიკაში მიმდინარე უარყოფითმა პროცესებმა, ბუნებრივია, ნეგატიურად იმოქმედა დასაქმებისა და უმუშევრობის მაჩვენებლებზე, რომლებიც სასურველისაგან მანამდეც შორს იყო. როგორც ცხრილიდან 1-დან ჩანს, საქართველოს სტატისტიკის სამსახურის ოფიციალური მონაცემებით მიმდინარე წლის 7 თვეში უმუშევარობის დონე 0.9 პროცენტული პუნქტით გაიზარდა (და არა 0,9 პროცენტით, როგორც ამას ხშირად აღნიშნავენ). შესაბამისი ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს მაჩვენებელი ქვეყნის დასაქმებისა და უმუშევრობის სფეროში არსებულ მდგომარეობას რეალურად არ უნდა ასახავდეს.

ასეთი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას იძლევა ექსპერტების მიერ, არაერთხელ, უარყოფითად შეფასებული დასაქმებულთა და უმუშევართა აღრიცხვაში არსებული მეთოდოლოგიური ლაფსუსები, რომლებიც კორონავირუსის პანდემიამდე დიდი ხნით ადრე შეინიშნებოდა და დღესაც შენარჩუნებულია.

საქართველოში, დასაქმებისა სფეროში უკანასკნელ ათწლეულებში ჩამოყალიბებული ტენდენციები, ერთმნიშვნელოვნად, უარყოფით შეფასებას იმსახურებს. კორონავირუსის ფართომასშტაბიანმა გავრცელებამ ამ მხრივ მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა, რადგან მრავალი მიმართულებით ეკონომიკის საგრძნობი რეცესიის შედეგად, დასაქმების შესაძლებლობები კიდევ უფრო შემცირდა. ყურადღებას ზოგიერთ მათგანზე შევაჩერებთ.

პირველი, 2019 წლის მდგომარეობით 15 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობაში დაბალია დასაქმების დონის მაჩვენებელი 55,7%, მაღალია არააქტიური მოსახლეობის რიცხვი (1125,9 ათასი) და ხვედრითი წონა – 37,1 პროცენტი, რაც, თავის მხრივ მრავალ პრობლემაზე მიუთითებს: ქვეყანაში არასათანადო ეკონომიკური და სოციალური განვითარების გამო შეზღუდულია დასაქმების შესაძლებლობები, შესაბამისად, უმნიშვნელოდ იზრდება სამუშაო ადგილების რიცხვი. არცთუ იშვიათად, სათანადო ინფრასტრუქტურის არარსებობის, ასევე შრომის დაბალი ანაზღაურების გამო ადამიანებს არ უღირთ შრომით საქმიანობაში ჩაბმა და ა.შ. ამიტომაცაა, რომ საქართველოში მაღალია იმ პირთა რიცხვი, რომლებსაც არ სურთ შრომით საქმიანობაში ჩართვა;

მეორე, აღსანიშნავია, რომ საქართველოში, წლების განმავლობაში დასაქმებულთა საერთო რაოდენობაში თვითდასაქმებულთა წილი ძალიან მაღალი იყო და ასეა დღესაც (1998 წელს-57.1%, 2010 წ.-58.8, 2015 წ.-53.5, 2019 წ.-49,7%). ცხრილი 1-დან ჩანს, რომ 1998 წლიდან დღემდე, ანუ 20 წლის განმავლობაში დასაქმებულთა საერთო რაოდენობაში დაქირავებით დასაქმებულთა წილი ყოველთვის ნაკლები იყო თვითდასაქმებულთა შესაბამის მაჩვენებელზე და ეს თანაფარდობა, დაქირვებით დასაქმებულთა სასარგებლოდ, უმნიშვნელოდ, მხოლოდ 2019 წელს შეიცვალა. ეს კარგია, თუმცა, მომავალში გამოჩნდება ის, ტენდენციის სახით ჩამოყალიბდება თუ არა.

ზოგადად, საერთაშორისო პრაქტიკაში დასაქმებულთა საერთო რაოდენობაში დაქირავებით დასაქმებულთა წილის ზრდა პროგრესულ მოვლენადაა შეფასებული, ამასთან, თვითდასაქმება, როგორც დასაქმების ერთ-ერთი სახეობა ასევე მყარად არის დამკვიდრებული. საქართველოში,

ცხრილი 1. საქართველოს მოსახლეობის დასაქმებისა და უმუშევრობის მაჩვენებლები 1998-2019 წლებში (ათასი კაცი,%)

	1998 წ.	2000 წ.	2005 წ.	2010 წ.	2015წ.	2019 წ.	2020IIკვ.
ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა	1972,8	2049,2	1982,7	1970,9	2018,0	1911,2	1919,8
დასაქმებულია სულ	1728,5	1837,2	1683,0	1627,8	1733,8	1690.2	1684.0
მ.შ. დაქირავებული	724,4	683,9	632,2	668,8	798,3	849,3	-
თვითდასაქმებული	987,1	1041,2	1050,0	956,6	928,0	840,4	-
უმუშევარი	244,2	212,0	299,7	343,1	284,2	221,0	235.9
უმუშევრობის დონე (%)	12,4	10,3	15.1	17,4	14,1	11,6	12.3

წყარო:. geostat.ge, დასაქმება და უმუშევრობა. 2015 წლის ჩათვლით შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევა. შემდეგ კი სამუშაო ძალის გამოკვლევა.

თვითდასაქმება, ნეგატიური მხარითაც გამოირჩევა, ქუჩაში უკანონო გარემოვაჭრე თავს თვითდასაქმებულს უწოდებს, რაც არასწორია. ამიტომ, უნდა დაკონკრეტდეს ვინ შეიძლება მიეკუთვნებოდეს თვითდასაქმებულებს და ვინ არა;

მესამე, არაფორმალური დასაქმების ზრდა, ზოგადად, ეკონომიკის განვითარების, ასევე ეფექტიანი დასაქმების უზრუნველყოფის თვალსაზრისით, უარყოფითი მოვლენაა. არაფორმალური დასაქმება ძირითადად გვხვდება საცალო ვაჭრობაში (მაგ. არაორგანიზებული გარე ვაჭრობა), მშენებლობაში (სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებზე), სამედიცინო და საგანმანათლებლო სფეროებში (მაგ. რეპეტიტორობა და ა.შ.) და ა.შ.

ცნობილია, რომ ეკონომიკის არაფორმალური სექტორის წარმომადგენლები არარეგისტრირებულ საქმიანობას ეწევიან, არ იხდიან გადასახადებს, მაშინ, როცა ზოგჯერ ფორმალური სექტორის შრომის საშუალებებსაც იყენებენ. ეკონომიკის არაფორმალური სექტორი უპირატესად განვითარებადი ქვეყნებისათვისაა დამახასიათებელი, თუმცა, განვითარებულ ქვეყნებშიც გვხვდება. საქართველო, როგორც ყოფილი საბჭოური სისტემის ნაწილი, ვერანაირად ვერ იქნებოდა არც არის თავისუფალი არაფორმალური დასაქმებისაგან, თუმცა, მისი აღრიცხვა ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენიდან დიდი დაგვიანებით დაიწყო.

ოფიციალური მონაცემების მიხედვით, საქართველოში, 2017 წელს, არასასოფლო-სამეურნეო სფეროში დასაქმებულთა საერთო რაოდენობაში არაფორმალურად დასაქმებულთა წილი 33.9%-ს შეადგენდა, 2018 წელს 36.2, 2019 წელს კი 34,7%-ს. მონაცემებიდან ჩანს, რომ არაფორმალურ სექტორში უფრო მეტად მამაკაცები აქტიურობენ, ისევე როგორც სოფლად დასაქმებულები, ვიდრე ქალაქებში მცხოვრები პირები. საქართველოში ქალთა არაფორმალურ სეტორში დასაქმებისა და მათი დაბალი აქტიურობის მიზეზები დეტალურადაა გაანალიზებული გაეროს ქალთა ორგანიზაციისა და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს მიერ 2018 წელს ჩატარებულ კვლევაში (Women' S Economic Inactivity and Engagement In The Informal sector in Georgia, 2018);

მეოთხე, ექსპერტთა შეფასებით, ქვეყნის აქტიური მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილი, დაახლოებით 1,2-1,5 მლნ ადამიანი გასულია ქვეყნიდან, მაგრამ საქართველოში მაინც ვერ მოხერხდა უმუშევრობის მეტნაკლებად მისაღებ ზღვრამდე (6-8-%-ის ფარგლებში) შემცირება. საქართველოში უმუშევრობის ოფიციალური მაჩვენებელი კიდევ უფრო მაღალი რომ არ არის, ეს ,,საქსტატის" მიერ გამოყენებული მეთოდოლოგიის არსებითი ხარვეზების (კვირაში ერთი საათით მომუშავენი და სოფლად 1 ჰა მიწის ნაკვეთის მფლობელნი დასაქმებულად ითვლებიან) შედეგია (Tugushi, 2018).

საქართველოში უმუშევრობის აღრიცხვის პრობლემის არსებობაზე მიუთითებს ექსპერტული გაანგარიშებებიც, რომელთა მიხედვით, საქართველოში, უმუშევრობის საშუალო დონე 32.0-36.0%-ის ფარგლებშია. პროფესორ ი. არჩვაძის გათვლებით კი „...უმუშევართა რაოდენობა საქართველოში 0.3 მლნ კი არა, თითქმის 0.8 მლნ. კაცი იქნება." (Archvadze, 2013). საქართველოში, დასაქმებულთა და უმუშევართა აღრიცხვის მოუწესრიგებლობისა და მეთოდოლოგიის ლაფსუსების გამო, უმუშევრობის მაჩვენებლები რომ ხელოვნურადაა შემცირებული დიდი ხნის წინათ მიუთითებდნენ პროფესორები: მ. ცარციძე და ნ. ლაცაბიძე (Tsartsidze & Latsabidze, 2012), ნ. პაიჭაძე (Paichadze, 2016), ქ. ჩიტალაძე და რ. ქინქლაძე (Chitaladze & Kinkladze, 2017) და სხვები, მათ შორის ჩვენც (Tugushi, 2018).

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ საქართველოში 2020 წლის ბოლოდან დასაქმებისა და უმუშევრობის მაჩვენებლის დათვლა, მოსალოდნელია ახალი მეთოდოლოგიის საფუძველზე მოხდეს. რაც იმას გულისხმობს, რომ **თვითდასაქმებულებად აღარ ჩაითვლებიან პირები, რომლებიც თავიანთ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში მიღებულ პროდუქციას უმთავრესად საკუთარი მოხმარებისთვის იყენებენ**. ასეთი მეთოდოლოგიური ცვლილების შედეგად, დასაქმებულთა და უმუშევართა აღრიცხვა, ბუნებრივია, არსებულთან შედარებით უფრო ზუსტი გახდება, მაგრამ ეს საკმარისი არაა.

ზემოღნიშნული და სხვა მიზეზებიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ კორონავირუსის ფართომასშტაბიანი გავრცელების გამო საქართველოში უმუშევართა რიცხვის 0.9 პროცენტული პუნქტით მატება ნაკლებად სარწმუნოა.

მიუხედავად იმისა, რომ ,,საქსტატს", ჯერ-ჯერობით, არ გამოუქვეყნებია ინფორმაცია რეგიონების მიხედვით უმუშევრობის დონის შესახებ 2020 წლის პირველ ნახევრის მდგომარეობით, უმუშევრობის რეგიონული სტრუქტურის დინამიკაში განხილვა მაინც საინტერესოა. ცხრილი 2.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს რეგიონების მიხედვით უმუშევრობის დონე ტრადიციულად მკვეთრად განსხვავებულია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ქვეყანაში ეკონომიკური განვითარების მხრივ გამოთანაბრების პროცესი ნელა მიმდინარეობს.

უმუშევრობა ყოველთვის მაღალი იყო და არის თბილისში, რაც, ჩვენი დედაქალაქის ეკონომიკისა და სოციალური სფეროს დარგობრივი სტრუქტურის არსებითი ცვლილებით შეიძლება აიხსნას. ძველი, მბრძანებლურ-ადმინისტრაციული პერიოდის სამეურნეო კავშირები სწრაფად დაინგრა, რიგმა საწარმოებმა და ფაბრიკებმა ფუნქციონირება შეწყვიტა, მაგრამ წლების განმავლობაში საბაზრო ურთიერთობების დამკვიდრებისა და შესაბამის დარგობრივი სტრუქტურის ფორმირება ნელი ტემპით მიმდინარეობდა, რის გამოც, თბილისში, უმუშევრობის დონე, მკვეთრად გაიზარდა (30 %-საც კი გადააჭარბა). სასიამოვნოა, რომ ამ მხრივ მდგომარეობა თანდათან უმჯობესდება და დინამიკაში უმუშევრობის დონის შემცირების ტენდენცია შეინიშნება.

ცხრილი 2. საქართველოს მოსახლეობის უმუშევრობის დონე რეგიონების მიხედვით 1996-2019 წწ (%)

	1996	2005	2010	2015	2017	2018	1019
საქართველო სულ	12,6	15,1	17,4	14,1	13,9	12,7	11,6
თბილისი	19,7	29,0	29,8	22,7	24,7	18,8	17,7
კახეთი	8,2	4,9	11.8	6.5	3,7	3,9	4,0
შიდა ქართლი	7,6	13,7	13,7	11,0	12,9	14,5	11,5
ქვემო ქართლი	5,6	11,1	10,5	11,8	14,1	15,3	14,6
აჭარის ა/რ	5,6	22,6	21,0	19,4	10,9	9,1	8,8
სამეგრელო ზემო სვანეთი	7,6	7,9	15,0	14,0	8,6	11,9	9,8
იმერეთი სულ (მ.შ.რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი)	18,1	11,6	13,0	10,4	14,0	12,4	11,6
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი (ცალკე აღირიცხა)	-	-	-	-	-	-	4,1
დანარჩენი სულ	7,0	8,4	9,7	5,8	-	-	-
მათ შორის:							
სამცხე ჯავახეთი	-	-	-	-	5,9	6,8	5,5
გურია	-	-	-	-	2,7	1,8	2,5
მცხეთა მთიანეთი	-	-	-	-	7,8	9,7	7,9

შენიშვნა:

1) 2005-2015 წლები გადაანგარიშებულია მოსახლეობის 2014 წლის აღწერის მიხედვით;

2017 წლიდან შერჩევის ჩარჩოს წარმოადგენს მოსახლეობის 2014 წლის აღწერის მონაცემთა ბაზა.

2) 2018 წლის ჩათვლით იმერეთის მონაცემები მოიცავს რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მონაცემებსაც, 2019 წლიდან კი 2019 წლიდან კი რაჭა-ლეჩხუმისა და ვემო სვანეთის მონაცემები ცალკეა გამოყოფილი;

3) 2015 წლის ჩათვლით ,,დანარჩენი სულ" მოიცავს სამცხე-ჯავახეთის, გურიის და მცხეთა-მთიანეთის მონაცემებსაც, შემდეგ კი სამცხე-ჯავახეთის, გურიისა და მცხეთა-მთიანეთის მონაცემები ცალკეა გამოყოფილი;

წყარო: 2016 წლის ჩათვლით შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევა, 2017 წლიდან - სამუშაო ძალის გამოკვლევა.

თუ 2010 წლის მონაცემებს არ მივიღებთ მხედველობაში უმუშევრობის შედარებით სტაბილური მაჩვენებლები ფიქსირდება კახეთში, რაც არაა გასაკვირი. იგი ძირითადად მევენახეობის განვითარების შედეგია. თუ გავითვალისწინეთ, რომ კახეთში მევენახეობის განვითარებისა და ყურძნის გადამუშავების შედეგად მიღებული პროდუქტების წარმოების მატებასთან ერთად იზრდება მეხილეობის დარგი, ასევე ხორბლის წარმოებაც, რაც განპირობებულია როგორც დასაქმებულთა რიცხვის ზრდით, ასევე მათი შრომის ეფექტიანობის ამაღლებით. ამიტომაცაა, რომ კახეთში, 2019 წელს, 1996 წელთან შედარებით, უმუშევრობის დონის მაჩვენებელი საგრძნობლად შემცირდა, თითქმის განახევრდა.

უმუშევრობის საშუალორესპუბლიკურზე დაბალი მაჩვენებლები აქვს საქართველოს ყველა დანარჩენ რეგიონს ქვემო ქართლის გარდა. განსაკუთრებით დაბალი კი გურიას, რაც, სხვა ფაქტორებთან ერთად (შიგა და გარე შრომითი მიგრაცია) დასაქმებულთა და უმუშევართა აღრიცხვაში არსებული პრობლემების შედეგია.

დასაქმებისა და უმუშევრობის მაჩვენებლების ცვლილების ტენდენციები გვიჩვენებს, რომ საჭიროა დასაქმების შესაძლებლობების რეგიონულ ჭრილში შესწავლა და მათი ეფექტიანი გამოყენების გზების დასახვა. ამ პრობლემის გადაწყვეტის საუკეთესო საშუალებად გვესახება დასაქმების რეგიონული პროგრამების დამუშავება და რეალიზაცია.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ დასაქმებისა და უმუშევრობის სასურველი დონის მიღწევა ქვეყნის ეკონომიკისა და სოციალური სფეროს განვითარების გარეშე შეუძლებელია. ეს კი, თავის მხრივ მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული, კერძოდ კი უცხოური და შიგა ინვესტიციების მოზიდვაზე, ადამიანური რესურსების პროფესიული მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების გამართული სისტემის, ასევე, ბიზნესის განვითარებისათვის საჭირო კეთილსასურველი გარემოს არსებობაზე, გარე და შიგა ბაზრების შესწავლის მიზნით მარკეტინგული კვლევების ჩატარებაზე და ა.შ., რაც საკმაოდ რთულია და სოლიდურ ფინანსურ ხარჯებთანაა დაკავშირებული. ამასთან, მსოფლიოში, მათ შორის საქართველოშიც კორონავირუსის მასშტაბურმა გავრცელებამ და მის წინააღმდეგ ბრძოლამ დიდ ადამიანურ ენერგიასთან ერთად კოლოსალური ფინანსური სახსრები შთანთქა, რამაც, როგორც აღვნიშნეთ, უკვე მოახდინა მეტნაკლები ნეგატიური გავლენა ეკონომიკისა და სოციალური სფეროს განვითარებაზე. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ კორონავირუსი ჯერჯერობით ისევ მძვინვარებს და ცნობილი არაა როდის მოხდება მისი განეიტრალება, აუცილებელია მასთან ერთად თანაცხოვრება და საქმიანობა ვისწავლოთ.

აჟამად, მსოფლიოს წამყვანი ქვეყნები (და არა მხოლოდ) ყოველნაირად ცდილობენ, არ დაუშვან ეკონომიკის შემდომი დაცემა, უნდა გამოინახოს გზები აღმავლობის დასაწყებად. ასეთი განწყობაა საქართველოშიც.

აკადემიკოსი ლ. პაპავა კორონავირუსის საწინააღმდეგო

ვაქცინის შექმნას განსაკუთრებულ მნიშვნელობის ამოცანად მიიჩნევს, ამასთან, თვლის, რომ პანდემიის პერიოდში „ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების გაძლიერებას, რაც მისი მთავრობისათვის უმთავრესი საზრუნავი უნდა გახდეს. ეკონომიკური უსაფრთხოების საკითხებს შორის კი განსაკუთრებით ყურადღებას საჭიროებს მოსახლეობის სასურსათო უსაფრთხოების მაქსიმალურ დონეზე უზრუნველყოფა" (Papava, 2020).

ვფიქრობთ გასათვალისწინებელია ეკონომიკის დოქტორის, ექსპერტის ეკონომიკური საკითხებში ი. არჩვაძის მოსაზრება: „მეტი ინვესტიცია უნდა განვახორციელოთ მცირე და საშუალო ბიზნესში, ხელი უნდა შევუწყოთ ეკონომიკის დეკონცენტრაციას და დედაქალაქიდან გატანას... უნდა ვიზრუნოთ სოფლის მეურნეობასა და მთის რეგიონების პოტენციალის ათვისებაზე. საქართველოს გაცილებით მეტის მიღწევის შესაძლებლობა გააჩნია, მიუხედავად იმისა, არის კორონავირუსის პანდემია თუ არა" (Archvadze, 2020).

მსოფლიოში, მათ შორის საქართველოში, კორონავირუსის პანდემიის გახანგრძლივებამ, მისი საწინააღმდეგო საშუალებების (პირველ რიგში ვაქცინის) შექმნის სირთულემ, მსგავსი თუ განსხვავებული პანდემიების გამეორების საშიშროებამ არა მარტო მედიკოსები, არამედ მთავრობა და ეკონომიკის სფეროს ხელმძღვანელები სერიოზულად უნდა დააფიქროს იმაზე, თუ როგორ გახდეს შესაძლებელი ამ და სხვა სახეობის ვირუსთან თანაცხოვრება, ისე, რომ შევძლოთ როგორც ადამიანების ჯანმრთელობის შენარჩუნება, ასევე ეკონომიკის ზრდის უზრუნველყოფა. აქედან გამომდინარე, უშუალოდ ეკონომიკის სფეროში ჩვენი მთავრობის ამოცანა უნდა იყოს მისი დარგობრივი სტრუქტურის შემდგომი სრულყოფა იმ მიმართულებით, რომ უზრუნველვყოთ ქვეყნის რეალური სექტორის, განსაკუთრებით კი სოფლის მეურნეობის (მისი ქვედარგების) განვითარების ტემპების დაჩქარება, რომელიც შექმნის ერთი მხრივ, ადგილობრივი წარმოებით მოსახლეობის სასურსათო უზრუნველყოფის, მეორე მხრივ, კი ქვეყანაში ტურიზმის კიდევ უფრო განვითარების შესაძლებლობას, რასაც, დღეს, სამწუხაროდ, ჩვენი აგრარული სექტორი ვერ ახერხებს. უცხოეთიდან შემოტანილი სასურსათო საქონლის ბაზაზე ტურიზმის განვითარება სასურველი შედეგის მომტანი ვერ იქნება.

გარდა ამისა, არ შეიძლება არ დავეთანხმოთ ექსპერტებს იმაში, რომ საჭიროა ეკონომიკური განვითარების მხრივ რეგიონების შესაძლებლობების შესწავლა და იქ არსებული რეზერვების ამოქმედება. ეს აუცილებელია ქვეყნის როგორც ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, რეგიონების ეკონომიკური განვითარების გამოთანაბრების, ასევე ზოგადად ბიზნესის განვითარებისათვისაც.

ექსპორტისა და იმპორტის დეფორმირებული თანაფარდობის ეტაპობრივად შეცვლისა და ექსპორტის წამახალისებელი ღონისძიებების გატარებასთან ერთად აუცილებელია იმპორტის სასაქონლო სტრუქტურის დეტალური შესწავლა და მათი უმრავლესობის ადგილობრივი წარმოებით ჩანაცვლების პროგრამების დამუშავება და განხორციელება. აკადემიკოსი ვ. პაპავა ამის თაობაზე მიუთითებს ,,სამწუხაროდ, ეკონომიკის რეალური სექტორის განუვითარებლობის გამო ქვეყანა უფრო მეტს მოიხმარს, ვიდრე თავად აწარმოებს, რის შედეგადაც წლების განმავლობაში იმპორტი ექსპორტს საშუალოდ 3-ჯერ აღემატება, ხოლო სამომხმარებლო კალათაში (ისევე, როგორც სასურსათო კალათაში) იმპორტული პროდუქცია საშუალოდ 80%-ის დონეზეა" (Papava, 2019), რაც მიუღებელია. საქონლის, ფრინველის ხორცისა და ხორცპროდუქტების, რძისა და რძისპროდუქტების, ხილისა და ბოსტნეულის, კარტოფილის, ტომატის პასტის და ა.შ. იმპორტი თუ მთლიანად არა, ძირითადად მაინც უნდა ჩანაცვლდეს ადგილობრივი წარმოებით. მოწინავე ტექნოლოგიების დანერგვის შემთხვევაში შესაძლებელია ხორბლის, სიმინდის და სხვა მარცვლოვანი კულტურების მოსავლიანობის მატება. ყოველივე ზემოაღნიშნული და ბევრი სხვა მიმართულებით საქმიანობის გააქტიურება საქართველოში დასაქმებისა და უმუშევრობის მაჩვენებლების გაუმჯობესებაზე დადებითად იმოქმედებს.

გარდა ამისა, საკუთრივ დასაქმებისა და უმუშევრობის ეფექტიანი მართვა-რეგულირება შეუძლებელი იქნება თუ ამ მიმართულებით არ გატარდა ისეთი კონკრეტული ღონისძიებები:

1) კორონავირუსის პანდემიით გამოწვეული შედეგების გათვალისწინებით აუცილებელია დაზუსტდეს საქართველოს მთავრობის მიერ 2019 წლის 30 დეკემბერს დამტკიცებული ,,საქართველოს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის 2019-2023 წლების სტრატეგიის (დადგენილება №662, დანართი 1), განხორციელების ვადები; ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის გამო აღნიშნულ დანართში გათვალისწინებული ღონისძიების შესრულების ვადები უნდა გახანგრძლივდეს;

2) ,,დასაქმების შესახებ" კანონის დროულად მიღება, რომელიც შრომის, დასაქმებისა და უმუშევრობის მნიშვნელოვან საკანონმდებლო ბაზას წარმოადგენს. ხელისუფლებამ უნდა გააცნობიეროს, რომ 2006 წელს, ,,შრომის კოდექსის" მიღებისას ,,დასაქმების შესახებ" კანონის ძალადაკარგულად გამოცხადება მძიმე შეცდომა იყო. ,,შრომის კოდექსი" ვერანაირად ვერ ჩაანაცვლებს ,,დასაქმების შესახებ" კანონსა და მის ნორმებს. ეს კანონები ერთმანეთს ავსებენ, რაც მათი მუხლების უბრალო შედარებიდანაც ნათლად ჩანს. ამასთან, აღნიშნული კანონი მოქმედებს ისეთ განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებში, რომლებსაც საქართველოსთან შედარებით დასაქმებისა და უმუშევრობის უკეთესი მაჩვენებლები აქვთ.

შევნიშნავთ, რომ ,,დასაქმების შესახებ" ახალ კანონში სრულად უნდა იყოს გათვალისწინებული დასაქმებისა და უმუშევრობის აღრიცხვის მეთოდოლოგიაში ამჟამად არსებული ხარვეზები, რომელთა გამოც დასაქმებულთა და

უმუშევართა ფაქტიური რაოდენობა მკვეთრად განსხვავდება ოფიციალური სტატისტიკის მიერ შემოთავაზებული მონაცემებისაგან;

3) მოსაწესრიგებელია ქვეყანაში შრომის, დასაქმებისა და უმუშევრობის საკითხების კურატორი ,,ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს" ორგანიზაციული სტრუქტურა და ფუნქციები. იქ, ადრინდელი სახით (2004 წელს მიღებული საქართველოს მთავრობის დადგენილება №47, 2004 წლის 7 ივნისს მიღებული დებულების შესაბამისად), უნდა აღდგეს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტი, სამინისტროში შრომის, დასაქმებისა და უმუშევრობის საკითხების კურატორს უნდა აუმაღლდეს სტატუსი და გახდეს მინისტრის პირველი მოადგილე;

4) სამინისტროში ორგანიზაციული სტრუქტურის ცვლილებებს აზრი ექნება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მთავრობის თავმჯდომარე იქნება ქვეყანაში შრომის, დასაქმებისა და მოსახლეობის სოციალური დაცვის უპირობო მხარდამჭერი, წინააღმდეგ შემთხვევაში შრომის, დასაქმებისა და მოსახლეობის სოციალური დაცვის დარგში მინისტრის პირველ მოადგილესაც ძალიან გაუჭირდება ამ სფეროს თუნდაც მნიშვნელოვანი საკითხების აქტუალურობაში ჯერ პროფესიით ექიმი მინისტრის, შემდეგ კი პრემიერის დარწმუნება;

4) იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენი მოსახლეობა, უმუშევრობას, უმთავრეს სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემად მიიჩნევს (რაც ჩანს სხვადასხვა გამოკითხვებით) იმაზე მიუთითებს, რომ მას მეტი ყურადღება სჭირდება. აუცილებელია რეგიონულ ჭრილში დასაქმების პროგრამების დამუშავება და რეალიზაცია. ეს, მეტად რთული, მაგრამ რეგიონებში ეკონომიკის განვითარების გამოთანაბრებისა და უმუშევრობის მაჩვენებლის შემცირების უმნიშვნელოვანესი პირობაა. ამ საქმეში ,,ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ" მაორგანიზებელი როლი უნდა შეასრულოს.

დასკვნა

ქვეყანაში კორონავირუსულ პანდემიის შედეგად კიდევ უფრო გამწვავებული შრომის, დასაქმებისა და უმუშევრობის პრობლემები ერთი რომელიმე სამინისტროს მონდომებითა და აქტიური საქმიანობით ვერ გადაწყდება, ეს შეიძლება მიღწეულ იქნეს მხოლოდ ხელისუფლების ყველა შტოს ცენტრალური და ადგილობრივი სამსახურების გაერთიანებული ძალისხმევითა და მოსახლეობის ფართო ჩართულობით, სხვადასხვა მიმართულებით შესაბამისი პროგრამების მომზადებისა და რეალიზაციის საფუძველზე.

ლიტერატურა/REFERENCES

Resolution of the Government of Georgia on the Labor and Employment Policy Strategy of Georgia for 2019-2023 (662, 1), December 30, 2019. file:///C:/Users/user/Downloads/matsne-4761408-0%20(3).pdf;

Geostat, *Employment and Unemployment*, 2013-2020 second quarter;

Geostat, *Methodological manual for statistics on the Information Society*, 2019;

Geostat, Distribution of population aged 15 and older bu economic status and regions, 2006-2019;

Archvadze, J., (2013) *Impact of labor migration on indicators characterizing the state of the labor market* (on the example of Georgia), Ivane Javakhishvili Tbilisi State University, universali.

Archvadze, J., (2020) Interview. According to Nozadze, in fact, this is the third world war caused by the coronavirus, September 21. https://for.ge/view/193838/faqtobrivad-es-aris-koronavirusisgan-gamowveuli-mesame-msoflio-omi.html

Paichadze, N., (2016)Unemployment Problem in Georgia and Ways of Its Overcoming, *Economics and Business*, 1, 9-27;

Papava, V., (2020). *Vaccination and disinformation*, September 25.
https://for.ge/view/194101/*vaqcinacia-da-dezinformacia*.html

Papava, V. (2019) Politicization of the Economy and Non-Economic Policy (Experience Of post- Communist Georgia). *Globalization and Business*. 8, 13-21.

Tugushi, M., (2018) Trends of changes in unemployement level in Georgia and directions of its regulation, *Globalization and Business*, 5,148-153

Women' S Economic Inactivity and Engagement In The Informal sector in Georgia (2018) © UN Women and SDC 2018 ISBN 978-9941-8-0656-8

Tsartsidze, M., & Latsabidze, N., (2012), The Prospects of Labor Market Development in Georgia, *Economics and Busines*, 1, 77-96; https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/global.pdf

Chitaladze, K., & Kinkladze R, (2017), The Unemployment Trends in Georgia, Ivane javakhishvili Tbilisi State University facculty of Economics and Business, Challenges of *Globalization in Economics and Business*, November 3-4, 566- 571, https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/global.pdf

JEL Classification: F65, F52 https://doi.org/10.35945/gb.2020.10.020

DEFENSE FINANCING FEATURES WITHIN THE CONTEXT OF THE NEW CHALLENGES

OKSANA CHEBERYAKO

Doctor of Historical Science, Ph. D. in Economics, Professor,
Taras Shevchenko National University of Kyiv, Ukraine,
cheberyako@ukr.net

VIKTOR KOLESNYK

Doctor of Historical Science, Professor,
Taras Shevchenko National University of Kyiv, Ukraine,
kolesnykvf@ukr.net

ALINA GAIDUCHENKO

Senior Teacher,
National Academy of Security Service of Ukraine,
gaiduchenko.alina@gmail.com

Abstract. The beginning of the third millennium was marked by the desire of the leader countries (USA, China, and Russia) to geopolitical, geostrategic and geo-economic redistribution of spheres of influence. The collapse of the USSR, the dissolution of the Warsaw Pact Organization, the end of the Cold War did not bring the world closer to stability and security. Military force capabilities continue to be considered as one of the most powerful factors in world politics. Proof of this is the intensification of the struggle of the world›s superpowers for regional and global leadership, control over oil, gas and energy flows. It is worth mentioning the Transnistrian conflict, Russia-Led wars in South Ossetia and Abkhazia, the Russian-Georgian war in August 2008, the civil war in Syria, the intensification of Islamic extremism within the ISIS, Russia›s annexation of Crimea, the hybrid war unleashed and continues to wage by the Russian Federation against Ukraine. In this connection, it is becoming increasingly important to provide corresponding levels for the defense budget funding. Thus, the study of the peculiarities of defense financing in Ukraine and powerful military superpowers is of considerable scientific, practical and political interest. Comparing the defense expenditures of different countries makes it possible to identify key problem issues in the defense financing of Ukraine and bring the corresponding costs to international standards. This indicator is one of the most important criteria that characterize the state›s desire for development, relevant combat readiness of the armed forces and other military forces in the face of new challenges.

The last years of the previous century were characterized by global geopolitical changes and growing contradictions, which resulted in: the transformation of the bipolar model (USA - USSR) into a multipolar (powerful military superpowers - the USA, Russia, China, Saudi Arabia, France, Japan, Germany, India, Brazil)); globalization of world economic processes; erosion through «hybrid wars», which are a new kind of global confrontation in today›s destabilized international security environment, the facets of the division between war and peace.

The availability of weapons of mass destruction and high-precision weapons in the third millennium, the growth of their capacity, the complexity of military equipment and combat assets, the use of new methods and means of warfare have led to significant changes in the functions and tasks of the armed forces, increasing their number and government spending on defense purposes. Today there are about 200 armies in the world with a total number of 24-25 million people (about 0.4% of the world›s population) (Military..., 2002). The state of the troops of any state must correspond to its economic capabilities and at the same time ensure the implementation of national security tasks.

KEYWORDS: DEFENSE FINANCING, DEFENSE BUDGET, HYBRID WARS, MILITARY DOCTRINE, MILITARY SECURITY, NATIONAL SECURITY, NATO, WARSAW PACT.

For citation: Cheberyako, O., Kolesnyk, V., & Gaiduchenko, A. (2020). Defense Financing Features Within the Context of The New Challenges. *Globalization and Business, 10.* 163-169. https://doi.org/10.35945/gb.2020.10.020

The latest fourth-generation wars, a complicated and unstable form of relations in the international arena, are «hybrid wars», which are replacing classical wars in the form of chains of armed conflicts, which have a hidden nature and are usually erupted in political, economic, informational and other spheres. In this case, the armed forces are often involved in small numbers to carry out certain tasks (Cheberyako, Varnalii, 2017).

From time immemorial, the armed forces have been the main and principal guarantor of any country independence and the security of its citizens. Diplomacy and interstate treaties are also important factors in international stability, but as experience shows, when it comes to military conflict, they often do not work, and events in Ukraine and Georgia are clear evidence of this.

Ukraine›s national security conditions have deteriorated significantly since 2013 due to interstate and transnational conflicts over natural resources, environmental problems, and facilities that cross state borders and emerge the sovereignty of individual states. All this is aggravated by the global financial and economic recessions and a number of other factors as well.

The military aggression of the Russian Federation, the issue of protection of state independence, and the territorial integrity of Ukraine were transferred to the practical plane. Russia›s occupation of part of the territory of Ukraine is accompanied by the destruction of the system of world and national security, the principles of international law. It is obvious that under these conditions, it is urgent and justified to increase, in accordance with the new Military Doctrine, the amount of funding for the defense of Ukraine, as well as other states that support it as full-fledged subjects of international relations.

In general, the financing of the defense of a country depends on the military doctrine adopted by it. There are three main approaches to its formation:

• total waiver of military expenditures (Andorra, Costa Rica, Grenada, Liechtenstein, the Marshall Islands, one of the smallest countries in the world - Nauru, the island nation of Palau, Samoa, the Solomon Islands);

• creation of a powerful military superpower (USA, China, Russia, Saudi Arabia, France, Japan, Germany, India, Brazil);

• financing of defense on the principle of minimal sufficiency (Ukraine before the armed aggression of the Russian Federation) (Cheberyako, 2017).

Prior to the hybrid war unleashed by Russia, Ukraine was not a full member of the international security system and relied on its own forces. At the same time, defense spending was financed according to the third approach, which was relatively small and sometimes amounted to less than 1% of GDP. This level of funding was inadequate, negatively affecting the effectiveness of the Armed Forces of Ukraine, their combat capability and combat readiness. World practice shows that defense spending less than 1% of GDP annually leads to a complete loss of defense capability. Nowadays, Ukraine is pursuing a course of Euro-Atlantic integration and NATO membership, striving to become an element of the new architecture of European security in the future, where its vital interests will be ensured collectively with the direct participation of Ukraine itself. Without membership in the North Atlantic Alliance, a system of collective security, Ukraine will no longer have effective leverage to influence decisions taking into account its national interests.

The main source of defense funding in Ukraine is the State Budget, and the amount of relevant expenditures is determined by the Law of Ukraine «On the State Budget of Ukraine for the relevant year». In this case, defense expenditures in accordance with the law must be at least 3% of the planned GDP (Article 2 of the Law of Ukraine «On Defense of Ukraine»). In addition, since 2014, there has been an additional source - charitable donations of individuals and legal entities (Law of Ukraine «On Amendments to Certain Legislative Acts of Ukraine to Strengthen the Material and Financial Support of the State›s Defense Capability»).

The level of national defense expenditures as a percentage of GDP and total state budget expenditures, as is customary, is one of the most important indicators of a state›s defense capability (Table 1).

Table 1 demonstrates that the expenditures of the Ministry of Defense of Ukraine during 2011-2019 amounted to less than 3% of GDP, although this financial regulation is provided and enshrined in the New Military Doctrine.

In NATO countries, defense spending usually constitutes 2.2-2.5% of GDP. Reduction of this indicator of financing, as practice shows, does not provide the necessary level of the

Table 1.
Expenditures on defense from the state budget of Ukraine in 2011-2018

Indicator	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020 (plan)
Defense expenditure as a percentage of GDP, %	1,04	1,16	1,05	0,97	2,32	2,5	2,5	2,7	2,68	2,6
Defense expenditure in the structure of DB expenditure, %	3,9	3,6	3,7	6,36	9,01	8,67	8,86	9,84	9,94	9,96
Current prices, million UAH	13241,1	14485,7	14843,0	27363,4	52005,2	59348,9	74346,2	97024,0	106627, 7	117510,0

Source: compiled by authors on the basis of Ukrainian Ministry of Finance (MoF) data.

state protection. The optimal expenditure structure of the classic military budget of NATO countries, as a rule, consists of three parts:

• personnel costs (up to 50%);
• operating expenses (20%);
• financing of defense R&D (up to 10%) and acquisition of new weapons and equipment (up to 20%).

The disadvantage of the defense budget of Ukraine before the armed aggression of Russian Federation was that its structure did not meet international standards (Fig. 1).

Thus, in Ukraine up to 80% of funds were spent on the maintenance of the main staff. These costs can rightly be called «eating the budget», because there were no funds left for such items as «purchase of weapons and military equipment» and «research and development». As a result, in 2014, the Armed Forces of Ukraine were unable to carry out the tasks assigned to them. Expenditures on the development of armaments and military equipment increased in 2014-2015, but in general the structure of the military budget is changing very slowly. It is quite obvious that this process will take some time.

Every year, the Global Firepower web resource publishes an estimate of the total military power of each country in the world which is based on 55 indicators: the quantities of weapons, military equipment, the total strength of the arm, transport infrastructure, military budget, access to oil, etc. This does not take into account the combat experience of armies. Ranking among the world's strongest military powers Ukraine possesses 27th position out of 138, and among European countries - 9th place out of 50.


According to the Stockholm Institute for Peace (SIPRI), all countries in the world spent 1917 billion dollars on defense in 2019. This is the largest amount since the global financial crisis of 2008 and is probably the peak of military spending. Overall, defense spending on the planet was 2.2% of world GDP, or about $ 249 per person (Rating..., 2020).

Recently, Ukraine›s neighboring states - Poland, Slovakia, Hungary, Romania, Moldova, Belarus and Russia - are actively arming themselves, technically upgrading their armies, and their defense spending is constantly rising. Amid such an active rearmament, first of all of Russia, Ukraine›s defense capabilities need to be constantly increased.

Nowadays, the world's ten strongest armies are the United States, China, Russia, India, France, Japan, South Korea, Britain, Turkey and Germany. The three leaders - the United States, China and Russia - remain unchanged. The expenditures of these states on defense financing since 1914 are shown in Table 2.

After emerging from the Great Depression and winning World War II, the United States became the world›s most

Fig. 1. Structure of MDU expenditures in 2010 – 2015 years, in %.



Source: Own calculations according to the Laws of Ukraine «On the State Budget for the relevant year».

Table 2.
Military expenditures of military superpowers in 2014 - 2020, (billion dollars)

Country	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020
USA	753,6	736,4	767,6	818,9	890,8	904,3	935,8
China	200,0	213,5	225,6	238,5	253,.4	261,0	-
Russia	68,4	73,7	79,0	63,6	61,4	65,1	-

Source: calculated and compiled by authors on the basis of Stockholm International Peace Research Institute data, US Military Budget.

influential market economy country, outpacing all other countries in military spending. This status of the United States was determined by postwar documents. The main documents displayed the results of the Bretton Woods Conference, which secured for the United States the status of world economic leader and the 1949 North Atlantic Treaty. This treaty united North American and Western European countries (USA, Canada, Iceland, Great Britain, France, Belgium, the Netherlands, Luxembourg, Norway, Denmark, Italy and Portugal) into a military alliance (the North Atlantic Alliance, or NATO) to counter socialist countries. According to it, the member countries of the union undertook to collectively protect any party to the treaty that will be attacked. Indeed, the North Atlantic Alliance became a system of collective security of the «western» world from the USSR and the subsequent union of the Warsaw Pact countries (The North...,2020).

The United States has become the informal leader of the North Atlantic Alliance as the country with the strongest economy at the time, the least affected by the war. Until the end of the Cold War and the collapse of the Soviet Union together with the socialist bloc, NATO did not officially participate in any military conflict, although it expanded in number. After 1991, the Alliance virtually lost its main goal - protection from the Warsaw Pact countries - and began to participate mainly in the UN peacekeeping missions to settle the internal conflicts of certain countries (Yugoslavia, the Middle East). For the time being, the bloc has 30 countries.

The US military doctrine, in accordance with Chapter 10 of the United States Code, is a set of all the basic rules and principles of the US military to organize and ensure the security of the people and the state through political, diplomatic, economic and military measures (The United..., 2020). The US Congress is the main body of civilian control over the Armed Forces; it approves the military doctrine of the state and plans to reform the armed forces, as well as the US military budget law. The Congress reserves the right to declare war on the state, but this privilege actually remains the prerogative of the presidential power.

The US military spending is the second substantial item in the federal budget after social security (almost 20% of the total federal budget), which consists of four components:

• first, it is the base budget of the Ministry of Defense ($ 636 billion for 2020);

• second, foreign emergency operations to combat the Islamic State group ($ 69 billion for 2020);

• third, these are other agencies that protect the nation ($ 228 billion for 2020).

• fourth, other agencies - internal security ($ 50 billion), the State Department ($ 44 billion), the National Nuclear Safety Administration in the Department of Energy ($ 20 billion), the FBI, and cyber security in the Department of Justice ($ 9.8 billion) (US Military..., 2020)

In general, the United States Armed Forces includes the Army, Navy, Air Force, Marine Corps, and Coast Guard. All of them are subordinated to the Ministry of Defense, except for the Coast Guard, for which the Ministry of National Security is responsible.


Operationally, the United States Armed Forces is divided into the Joint Forces Command, which is a combination of several branches of Armed Forces intended to perform tasks in a particular region of the globe. There are 10 combat commands: European, Pacific, African and others.

According to the degree of operational readiness, the US Armed Forces is divided into those that carry out their tasks on a regular basis, and the reserve forces (in the Army and Air Force - the National Guard and the Reserve of the relevant type of Armed Forces, in the Navy - only the Navy Reserve and Marines).

According to the Stockholm Institute for Peace Studies (SIPRI), the United States is the absolute leader among countries in terms of military budgets. The US defense spending in 2020 is about 936 billion dollars (Stockholm..., 2020) and this is the largest amount in the history of the country. Enormous financial costs are aimed at making the US Armed Forces more mobile, innovative and «deadly». The dynamics of total US defense spending in recent years (Fig. 2) shows a steady growth of an average of 5% (National..., 2020)

The US military budget for 2020 includes increased funding to ensure European security and counter potential Russian aggression. So, 734 million dollars are allocated within the framework of the European Defense Initiative and for programs to provide security assistance to Ukraine. Thus, the cost for increasing Ukraine›s defense capacity, including

Fig. 2. Dynamics of the US defense spending, billion dollars (taking into account the fund of additional defense expenditures)



Source: compiled by the authors according to National defense budget estimates for FY 2020.

the supply of lethal weapons to Kiev and strengthening the coast guard, will rise to $300 million, along with $125 million for strengthening the Baltic States protection. As part of strengthening the security of the Baltic States, among other things, joint military exercises and the supply of military equipment are planned. Special provision in the law provides additional funding of $250 million to «counter the Kremlin›s influence and Russia›s ongoing disinformation operation.» It prohibits US military cooperation with Russia and Washington›s recognition of the annexation of Crimea by the Russian Federation. The document expresses firmly support of the United States for the North Atlantic Alliance. It is also foreseen to update and expand strategies to combat the «malicious influence» of Russia and China (Egisman, 2020).

By cutting NATO funding, the United States is redistributing some of its funds to Ukraine and Georgia. Whereas previously they provided about 22% of direct NATO funding, covering the cost of maintaining headquarters, joint security investments, and individual military operations, the Trump administration is seeking to reduce its contribution to about 16%, bringing it into line with contributions from Germany, which finances 14.8%.

In China, the Old Doctrine of «People›s War» has been replaced by a strategy of «active defense,» which is the military doctrine of China in the new century. Supporting the global trend in the military sphere and relying on growing economic power, China is pursuing a course to improve the quality of defense capabilities based on advances in science and advanced technology.

In the open version of China›s official military doctrine, the White Paper on Defense uses the phrase «new era» to describe the current stage of China›s political and economic development, with key emphasis on an overall assessment of the global military-political situation, threats from other powerful powers, possible response of the country to challenges in the field of defense and national security. China expects to reach world leadership by 2050, for which particular attention is paid to technology, the promotion of Chinese economic interests and, consequently, their military and political support.

According to the new strategy, the country should have relatively compact, well-balanced types of armed forces, ready for both defensive and offensive actions according to the formula: «China is not going to attack anyone, but in case of aggression will retaliate.»

China›s nuclear strategy, which has pledged not to be first to use nuclear weapons, corresponds with the concept of «nuclear deterrence»: China does not seek to achieve nuclear parity with developed countries, but its nuclear forces must be able to inflict irreparable damage on enemy in any military-political situation, which will force the latter to renounce the use of nuclear weapons. At the same time, it is worth noting that China›s strategic nuclear forces are an offensive weapon in terms of their combat capabilities, and their role in the global balance of nuclear forces is significant.


Among the factors of instability, China considers, first of all, the widening gap between developed countries and developing countries; hegemony and policy from the standpoint of force pursued by individual states; intensification of rivalry for the natural resources of the planet.

As for the Asia-Pacific region (APR), the factors of its instability are the incompleteness of the peace process on the Korean Peninsula, as well as the Taiwan problem.

China is a permanent member of the UN Security Council, as well as the G20. In 2001, the leaders of China, Russia, Kazakhstan, Tajikistan, Kyrgyzstan and Uzbekistan founded the SCO (Shanghai Cooperation Organization) Alliance. The main tasks of the organization are to strengthen stability and security in the broad space uniting the member states, the fight against terrorism, extremism, drug trafficking, separatism, the development of economic cooperation, energy partnership, scientific and cultural cooperation.

China has long ranked second in the world in terms of

Fig. 3. Estimation of China›s defense spending.



military spending after the United States and, apparently, is not going to stop there. Defense spending is growing 7-8% annually - faster than in other countries, although catching up with the leader of the war race the USA for China will not be easy. In addition, China is not making much effort to ensure military competition with the United States in different parts of the world. Its main approach is to oust Americans from the Asia-Pacific region, which they are systematically coping with.

In China, there is no generally accepted standard for reporting on military expenditures, although there are international mechanisms, in particular the United Nations Report on Military Expenditures, in which countries participate voluntarily with varying degrees of detail. China has been providing UN military expenditure materials since 2007, although their reports remain less transparent than in other countries. Therefore, the issue of actual military spending in China is debatable, as shown in Figure 3.

In general, the Reports on Defense Budgets point to their growth, with Beijing prioritizing military modernization as a top priority, even as economic growth slows. The lack of transparency in China›s military spending leads to discrepancies between official figures and actual estimates. Official data do not take into account a number of expenditures related to the military sphere, including China›s space programs, extra-budgetary revenues from military commercial enterprises, defense mobilization funds, permitted sale of land or food surpluses, recruitment allowances and others.

For the past 25 years, following the 1995-1996 crises in the Taiwan Strait, China›s defense spending has been steadily rising in order to modernize it and increase its combat capability. The modernization of the People›s Liberation Army is just one of many Chinese reforms that are being implemented to provide the country with world leadership in the cultural, economic, political and military spheres by the middle of the 21st century. Along with this, the modernization of national defense and armed forces is expected to be completed by 2035.

Although in terms of financial depth, there seems to be no signs of «overheating» in the banking sector, as they were observed during the financial crisis of 2008, worthy of note is loss recorded by the sector during the first quarter. Unlike the financial crisis of 2008, which was definitely caused by financial factors, the given economic reality was created by completely different (epidemiological) factors. Consequently, in this regard, it's too much of a risk to confine ourselves merely to making direct linkages between the parameters of financial depth. In addition to problem loans, another major challenge for the banking sector will be the lack of profitable investment projects, without which the banking sector will not be able to balance the risks posed by problem loans. In this context, it is important to re-evaluate the conceptual attitudes of the State towards the management and ownership of «strategic» facilities and state-owned enterprises, whose investment attractiveness is inelastic with respect to economic shocks.

Table 2. Financial structure of the anti-crisis plan

	mln Gel	%
bills subsidies	120.0	13%
Small hotel loans subsidies	10.0	1%
Compensation for job loss	460.0	49%
Compensation for self-employed	75.0	8%
Job maintenance subsidy	250.0	27%
Additional social assistance	25.0	3%
	940.0	

REFERENCES

Constitution of Georgia, *Law of Economic Freedom*;

European reconstruction and development bank (*EBRD*) 2020, https://www.ebrd.com/news/2020/ebrd-economies-seen-contracting-by-35-per-cent-in-2020-48-per-cent-rebound-in-2021.html

Government of Georgia https://stopcov.ge/ka/Gegma

Kaufman, M., & Leigh D. - Global Imbalances and the COVID-19 Crisis. https://blogs.imf.org/2020/08/04/global-imbalances-and-the-covid-19-crisis/

Krugman, P. - Notes on the Coronacoma (Wonkish), nytimes opinion, https://www.nytimes.com/2020/04/01/opinion/notes-on-the-coronacoma-wonkish.html

Ministry of Finance of Georgia. https://mof.ge/saxelmwifo_vali;

National bank of Georgia - Statistical dates 2020, https://www.nbg.gov.ge/index.php?m=304;

Papava, V., & Charaia, V., (2020). C*oronomic crisis and some challenges for the Georgian economy.* Georgian Foundation for Strategic and International Studies. Available at https://www.gfsis.org/files/library/opinion-papers/136-expert-opinion-eng.pdf

Papava, V., (2020). Features of the Economic Crisis Under the COVID-19 Pandemic and the Threat of the Zombie-ing of the Economy. *BULLETIN OF THE GEORGIAN NATIONAL ACADEMY OF SCIENCES*, vol. 14, no. 3, 2020. http://science.org.ge/bnas/vol-14-3.html

Stiglitz, J., (2020). - Conquering the Great Divide, *Journal "FINANCE & DEVELOPMENT".* https://www.imf.org/external/pubs/ft/fandd/2020/09/pdf/COVID19-and-global-inequality-joseph-stiglitz.pdf

State Budget of Georgia 2020;

TBC Capital, COVID-19 Influence on Georgian Economic 14.5.2020

XE.COM, https://www.xe.com/currencycharts/?from=USD&to=GEL&view=1M

JEL Classification: F10, F20, F60. https://doi.org/10.35945/gb.2020.10.027

THE NEGATIVE IMPACT OF THE COVID-19 ON ECONOMICS (ON THE EXAMPLE OF GEORGIA)

NIKA ASANIDZE

PhD student

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

nikaasanidze@gmail.com

Abstract. Assessing the impact of the COVID-19 crisis on societies, economies and vulnerable groups is fundamental to inform and tailor the responses of governments and partners to recover from the crisis and ensure that no one is left behind in this effort. The world is facing the dangers posed by the global spread of the new COVID-19 which has created new set of problems for the economy. The Crisis has caused many difficulties for Georgia and its economy. The impact of the new virus is rippling through Georgian economy, but it might take a few months to fully see the fallout in data that track economic performance in Georgia. The coronavirus pandemic is putting enormous pressure on healthcare systems, it is affecting the global economy in an unprecedented way and it is leading to a downturn incomparable to any other economic crisis in recent history. It is hard to estimate the depth and duration of the recession for every region and country. It will depend not only on the development of pandemic, but also on specific economic futures, strengths and vulnerabilities. Today the economy is a hostage to medicine. In Georgia, had on the following industries: tourism, transportation, agriculture and real estate had the biggest negative impact from COVID-19. Hotels, restaurants and tourist agencies demand from the government to postpone the budget taxes and bank loans. Meanwhile the hospitality sector of Georgia tries to minimize the cost because of sharp drop in revenue. Different countries will need different responses to dealing with the global economic challenges. As a fact COVID-19 has taught many countries to survive during the crisis period. From the economic stand point of view, every country has suffered the negative consequences of the COVID-19. The level of the consequences had direct correlation on the economic factors.

KEYWORDS: PANDEMIC, ECONOMIC GROWTH, SECTORAL ANALYSIS, GLOBAL ECONOMIC CHALLENGES.

For citation: Asanidze, N., (2020). The Negative Impact of the ovid-19 on Economics (On the Example of Georgia). *Globalization and Business, 10.* 210-217. https://doi.org/10.35945/gb.2020.10.027

JEL Classification: F10, F20, F60. https://doi.org/10.35945/gb.2020.10.027

კორონავირუსის უარყოფითი გავლენა ეკონომიკაზე (საქართველოს მაგალითზე)

ნიკა ასანიძე
დოქტორანტი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
nikaasanidze@gmail.com

საკვანძო სიტყვები: პანდემია, ეკონომიკური ზრდა, დარგობრივი ანალიზი, გლობალური ეკონომიკური გამოწვევები.

ციტირებისთვის: ასანიძე ნ. 2020). კორონავირუსის უარყოფითი გავლენა ეკონომიკაზე (საქართველოს მაგალითზე). *გლობალიზაცია და ბიზნესი, №10,* გვ. 210-217. https://doi.org/10.35945/gb.2020.10.027

შესავალი

თანამედროვე ეკონომიკური სამყარო მოიცვა უდიდესმა საფრთხემ. აქამდე შეუსწავლელი ვირუსი, გახდა უდიდესი კრიზისის მიზეზი. მსოფლიოში მოხდა არნახულად დიდი გარდაქმნები. სხვა უამრავ აზრთა სხვადასხვაობასთან, მტრობასთან და დაპირისპირებასთან ერთად გაჩნდა ერთი გამაერთიანებელი საერთო მტერი – ახალი კორონავირუსი. ახალი კორონავირუსის (Covid-19) აფეთქებამ მთელი მსოფლიო მოიცვა, რის გამოც ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ის გლობალურ პანდემიად გამოაცხადა (ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია, 2020). ყოველდღიურად, მისი ზეგავლენა უამრავ სფეროზე არის შესამჩნევი. შესაძლებელია, ითქვას, კორონავირუსმა ყველაზე მეტად თანამედროვე მსოფლიო ქვეყნების ეკონომიკას მიაყენა დარტყმა და შედეგად კრიზისი გამოიწვია. სხვა უამრავ საკითხთან ერთად, ჩნდება კითხვა, თუ რამდენად შესწევს კრიზისის პირობებში არსებობა სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკას. ამ კითხვის აქტუალურობას ისიც იწვევს, რომ არავინ იცის რა სიხშირით და რა პერიოდულობით განმეორდება ასეთი მოვლენები მომავალში. ვგულისხმობ მოვლენებს, როდესაც ეკონომიკა გვევლინება მედიცინის მძევლად (Papava, 2020). შედეგად იგი, აბსოლუტურად ახალი კვლევის და შესწავლის აუცილებლობას განაპირობებს. ამ მიზეზით გაჩნდა ახალი ტერმინი – კორონომიკა (Coronomics) (Alwis, 2020). პირველად ტერმინი გამოიყენა შრი-ლანკელმა მეცნიერმა აჯით დე ალვისმა (Prof. Ajith de Alwis). იგი ტერმინში გულისხმობს კორონას (Corona) და ეკონომიკსს(Economics) ერთდროულად. კორონომიკა სწავლობს კორონავირუსის უარყოფით გავლენას ეკონომიკურ სექტორზე.

კორონავირუსის უარყოფითი გავლენა ეკონომიკის სექტორებზე

კორონავირუსის უარყოფითი გავლენა ტურიზმის სექტორზე. Covid 19-მა უამრავი სფერო დააზარალა. დღესდღეობით ვდგავართ არა რომელიმე კლასიკური კრიზისის, არამედ სრულიად განსხვავებული გლობალური ეკონომიკური კრიზისის წინაშე. მისი გამომწვევი მიზეზები არა ენდოგენური, არამედ ეგზოგენური ხასიათისაა. იგი გულისხმობს იმ ფაქტს, რომ ეკონომიკური კრიზისი წარმოქმნილია, არა ეკონომიკური საფუძვლით, არამედ სრულიად სხვა სფეროს საფუძვლით. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიო დგას – „კორონომიკური კრიზისის“ – („Coronomic Crises”) საფრთხის წინაშე (Papava & Charaia, 2020:4). ალბათ ყველაზე მეტად დაზარალებული სექტორები კორონავირუსისგან არის: ტურიზმი და ტრანსპორტირების სექტორი. ტურიზმის სექტორი არის ერთ-ერთი პირველი, რომელმაც ყველაზე დიდი დარტყმა მიიღო, როგორც მოთხოვნის, ისე მიწოდების კუთხით.

მსოფლიოს უამრავი განვითარებული და განვითარებადი ქვეყნის წამყვან დარგს წარმოადგენს მომსახურების სფერო, კონკრეტულად კი ტურიზმი. მათ შორის არის საქართველოც, რადგან ბოლო ათწლეულებიდან გამომდინარე საქართველოს ეკონომიკისთვის ეს დარგი გახდა პრიორიტეტული. ცხადია, სხვა საკითხია რამდენად სწორად იქნა შერჩეული წამყვან/სტრატეგიულ დარგად ტურიზმი. ამის ნათელ დადასტურებას ვიღებთ დღეს, თუ რაოდენ მცდარია ტურიზმზე დამოკიდებულება ისეთი ქვეყნისთვის, რომელიც არის მომხმარებელი და არა მწარმოებელი. ზოგადად, საქართველოს ეკონომიკური მოდელის დასახასიათებლად გასა-

თვალისწინებელია, რომ სამწუხაროდ, ის არა იმდენად წარმოების ზრდაზეა ორიენტირებული, რამდენადაც მოხმარების სტიმულირებაზე. ამას კი თავის მხრივ სხვა უარყოფით შედეგებამდე მივყავართ (Papava 2018). ის რომ საქართველოს ეკონომიკა მოხმარებაზე მეტად არის ორიენტირებული, ვიდრე წარმოებაზე, ის ფაქტიც ადასტურებს რომ კერძო და სახელმწიფო მოხმარების ჯამური მოცულობა მთლიან სამამულო პროდუქტში 90% შეადგენს (Samson, 2008).

საბოლოოდ, ჩვენ დღესდღეობით ვიღებთ შედეგს, რომლის დროსაც მომხმარებელი ერის მოსახლეობის უმრავლესობა ტურიზმის სექტორშია დასაქმებული. შესაბამისად მოკლევადიან პერიოდში ხალხის უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ეს შეფერხება ძლიერ დაარტყამს მათ „ჯიბეებს" რაც ნამდვილად მართებულია. თუმცა, თუ ვიმსჯელებთ გრძელვადიან პერიოდზე, აუცილებლად არის შესაცვლელი ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის ეს მიმართულება. წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველოს ეკონომიკა იტრიალებს მუდმივად ერთ წრეზე და ვიქნებით მოქცეულები „ტურისტულ ხაფანგში" იგი გულისხმობს მოვლენას, რომლის დროსაც ეკონომიკა იზრდება, თუმცა არ ვითარდება (Papava, 2018).

ცალსახაა, ის ფაქტი, რომ ტურიზმის განვითარება, მწარმოებლურობის ზრდასთან ერთად კიდევ მეტად შეუწყობს ხელს ეკონომიკურ განვითარებას. მწარმოებლურობის ზრდაში, სხვა საკითხებთან ერთად, ვგულისხმობ იმ ძირითადი საშუალებების წარმოებას ქვეყნის შიგნით, რასაც მოიხმარენ, როგორც საქართველოს მოქალაქეები, ასევე მოიხმარენ ვიზიტორები. ვფიქრობ, ამ თვალსაზრისით არ იქნება მართებული მხოლოდ ექსპორტზე ორიენტირებული ეკონომიკის მოდელის გამოყენება, ბაზრების ჩაკეტვაზე ფიქრი, ან იმპორტის ჩანაცვლებაზე ორიენტაციის აღება. უმჯობესია, მოხდეს ადგილობრივი წარმოების ხელშეწყობა, რათა სამომავლოდ წარმოება მოხდეს იმ მოცულობით რაც შეუძლია ქვეყანას. ეს ერთი მხრივ არ წარმოქმნის კორუფციის რისკებს, მეორე მხრივ მწარმოებლები თავისით მოახერხებენ ბაზარზე დამკვიდრებას.


ზემოხსენებული მიზეზებიდან გამომდინარე, განსაკუთრებით რეალური ეკონომიკის არარსებობიდან გამომდინარე, სამწუხაროა, მაგრამ საქართველოს ეკონომიკაში, მის ეროვნულ შემოსავალში ყველაზე დიდი წილი უჭირავს ტურიზმის სექტორს და უცხოეთიდან გამოგზავნილ ფულად შემოსავლებს, ტრანსფერტებს. მთლიან სამამულო პროდუქტში (Papava & Silagadze, 2020:203) ამ სექტორების ჯამური შემოსავალი დაახლოებით 15 % შეადგენს (Geostat, 2020).

თუ ავიღებთ უცხოელი ტურისტების ხარჯვით ნაწილს 2015 წლიდან 2019-ის ჩათვლით ვნახავთ, რომ საკმაოდ დიდ ციფრებს მივიღებთ. მონაცემები აღებული მაქვს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის გვერდიდან. ხარჯის ტიპში გათვალისწინებულია: საკვები და სასმელი, ტურისტის განთავსება, საყიდლები, გართობა, ადგილობრივი ტრანსპორტი და სხვა ხარჯები (Geostat, 2020).

სტატისტიკაში აღწერილია 2015 წლიდან 2019 წლის ჩათვლით, კვარტალურად, უცხოელი ტურისტების საშუალო ხარჯვითი ნაწილი, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს საქართველოს ეკონომიკისთვის მიღებულ შემოსავლებს. თითოეულ კვარტალში ნაჩვენებია, თუ რამდენი მილიონი ლარით გაიზარდა ტურისტული ინდუსტრიით შემოსავალი საქართველოს ეკონომიკას. ასე მაგალითად:

- 2015 წელს შემოსავლის სახით მიღებულია 4 058 400 000 ლარი;
- 2016 წელს შემოსავლის სახით მიღებულია 4 380 000 000 ლარი;
- 2017 წელს შემოსავლის სახით მიღებულია 5 761 200 000 ლარი;
- 2018 წელს შემოსავლის სახით მიღებულია

დიაგრამა N1. უცხოელ ვიზიტორთა საშუალო კვარტალური ხარჯების სტატისტიკა. (2015 წლიდან 2019 წლამდე).



7 917 600 000 ლარი;

- 2019 წელს შემოსავლის სახით მიღებულია 8 511 600 000 ლარი.

ბოლო წლების განმავლობაში, ტურისტული სექტორიდან მიღებული შემოსავლებით ტურიზმის წილი, როგორც მთლიან სამამულო პროდუქტში, ასევე სხვა მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებში იზრდებოდა. კორონავირუსის პანდემიის შემდგომ აღნიშნული შემოსავლები მინიმუმამდე დავა. ტურიზმის სფეროში შემცირებული შემოსავლები კი პირდაპირ ურტყამს მის მომიჯნავე სფეროებს: როგორებიცაა უძრავი ქონების გაქირავება, საკვები ობიექტები, კაფე–რესტორნები. აქედან გამომდინარე პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული მოვლენა უარყოფითად აისახება მცირე და საშუალო ბიზნესზე. ამ უკანასკნელში კი საქართველოს მოქალაქეების ძალიან დიდი ნაწილი შედის.

„კორონავირუსის ეფექტი" ფულად გზავნილებზე. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ წლებში საქართველო მთლიანად იქცა მომხმარებელ ერად. სხვა უამრავ პოსტ–სოციალისტური ქვეყნის მსგავსად ქვეყნის ეკონომიკის ფუნქციონირებაში, განსაკუთრებით კი ეროვნული ვალუტის სტაბილურობაში უდიდეს როლს ასრულებდა და ასრულებს ფულადი გზავნილები. ცალსახაა ის ფაქტი, რომ ფულად გზავნილებს უმნიშვნელოვანესი წვლილი შეჰქონდათ და ყოველთვის შეიტანენ შინამეურნეობების მოხმარების სტაბილურობაში. თუმცა, ცალკე განხილვის საგანია ფულადი გზავნილების როლი საქართველოსთვის და საქართველოს ეკონომიკისთვის. სამწუხაროა ის ფაქტი, რომ ქვეყნის მოსახლეობის დიდი ნაწილი საზღვრებს მიღმაა და ეკონომიკურ „მხსნელად" ევლინებიან, როგორც საკუთარ ოჯახებს, ისე ქვეყნის ეკონომიკას. მაგალითად, ფულადი გზავნილები წლების მიხედვით შეადგენდა (National Bank, 2020):

- 2015 წელს 1.08 მილიარდ დოლარს;
- 2016 წელს 1.1 მილიარდ დოლარს;
- 2017 წელს 1.4 მილიარდ დოლარს;
- 2018 წელს 1.6 მილიარდ დოლარს;
- 2019 წელს 1.7 მილიარდ დოლარს.

ფულადი გზავნილები, სწორი ეკონომიკური პოლიტიკის პირობებში არასდროს არ უნდა განიხილებოდეს, როგორც განვითარების ხელისშემწყობი ძირითადი საშუალება. ის გრძელვადიან პერიოდში არ წარმოადგენს დაბალშემოსავლიან ქვეყნებისთვის განსაკუთრებულ წამალს. მის დადებით და უარყოფით მხარეებზე მსჯელობა ძალიან საკამათო იქნება. ჩემი აზრით, მიგრანტთა ფულადი გზავნილებით შესაძლებელია, მხოლოდ მოკლევადიან პერიოდში სხვადასხვა პირველადი მოხმარების პროდუქტზე, თუ საგნებზე გამოყენება და მისი გრძელვადიან პერიოდში კეთილდღეობის მომტან ინსტრუმენტად გამოყენება მცდარია. ფულადი გზავნილების არასტაბილურობა პირველ რიგში ვლინდება გლობალური კრიზისების დროს. ფაქტია, კრიზისულ სიტუაციაში ძალიან შემცირდება ფულადი გზავნილები, რადგან საქართველოდან წასული მიგრანტთა უმრავლესობა არიან ისეთ ქვეყნებში როგორებიცაა რუსეთი, იტალია, ამერიკის შეერთებული შტატები და თურქეთი. ეს ქვეყნები, ისევე როგორც საქართველო დგას ძალიან დიდი საფრხის წინაშე და მათი ეკონომიკაც ზარალდება კორონავირუსით. შესაბამისად, საქართველოს მოქალაქეთა უმრავლესობა ვერ ახერხებს სამსახურის მოძიებას, ან არსებულ სამსახურში საქმიანობის გაგრძელებას. ეს ყოველივე კი პირდაპირ პროპორციულად აისახება ფულადი გზავნილების შემცირებაზე.

კორონავირუსი და სოფლის მეურნეობა. შეიძლება ითქვას, ქვეყნის ეკონომიკას სხვადასხვა სექტორების ერთდროულად ზრდა ანვითარებს. მათ შორის მოიაზრება სოფლის მეურნეობის წილის ზრდა, მთლიან ეკონომიკაში. ერთი მხრივ, შეიძლება ითქვას: ეკონომიკაში სოფლის მეურნეობის წილის შემცირება არ ნიშნავს: ქვეყნის ეკონომიკის „ცუდ რელსებზე" გადაყვანას. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს ის ფაქტი, რომ განვითარების ეტაპების გავლასთან ერთად, ნებისმიერი განვითარებული ქვეყნის ეკონომიკაში მცირდებოდა სოფლის მეურნეობის წილი. აქვე, უნდა ითქვას ის ფაქტი, რომ ასეთი ტიპის ქვეყნებში სოფლის მეურნეობის განვითარებასთან ერთად ვითარდება ეკონომიკის სხვა სექტორებიც. სხვა სექტორების განვითარების სისწრაფე კი ბევრად მასშტაბურია. აქედან გამომდინარე მიიღწევა შედეგი: ეკონომიკაში სოფლის მეურნეობის წილი მცირდება იმის ხარჯზე, რომ ეკონომიკის სხვა სექტორები ბევრად სწრაფად ვითარრდება. მეორე მხრივ, სოფლის მეურნეობის გარკვეულ დონემდე ზრდის გარეშე, მთლიან ეკონომიკაში, წარმოუდგენელია ეკონომიკური განვითარება. განსაკუთრებით, თუ გავითვალისწინებთ საქართველოს რესურსებს. ჩემი კვლევის მიზანს წარმოადგენს ამ მიმართულებით, არა ის ფაქტი თუ რა ოდენობით და პროცენტული წილით უნდა იყოს ყოველწლიურად მთლიან სამამულო პროდუქტში სოფლის მეურნეობის სექტორი წარმოდგენილი, არამედ იმის თქმა რომ კორონავირუსის პერიოდში თვალნათლივ დავინახეთ სოფლის მეურნეობის პროდუქტის აუცილებლობა. ასევე შეიძლება, აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ათწლეულების წინ დაწყებული არასწორი ეკონომიკური პოლიტიკის შედეგს ვიმკით დღეს. საქართველოს ეკონომიკა მთლიანად ჩამოკიდებულია ისეთი ქვეყნების ეკონომიკაზე როგორებიც არის: თურქეთი და ბევრი სხვა ქვეყანა. თუ გავაკეთებთ იმ დაშვებას, რომ საქართველოში ტურიზმი უნდა გახდეს ეკონომიკის წამყვანი დარგი, უპირველესად ამისთვის სოფლის მეურნეობის დარგი უნდა იყოს განვითარებული. წინააღმდეგ შემთხვევაში დიდი არაფრის მომცემია ტურისტული სექტორი. ჩემი მოსაზრებით, არამართებულია ეკონომიკური ორიენტირების აღება იმპორტირებული პროდუქტის ჩანაცვლებაზე. ეს უკანასკნელი ამაღლებს დიდი კორუფციის გაჩენის რისკს. თუმცა აუცილებელია, იმდენი პროდუქციის წარმოება, რაც შეუძლია ქვეყნის ეკონომიკას.

მე ვფიქრობ, შემდგომი ეკონომიკური ხედვები და ნაბი–

ჯები უნდა დაემყაროს სრულიად ახალ ეკონომიკურ წესრიგს. აქამდე არსებული ეკონომიკური პოლიტიკა, მთლიანად უნდა შეიცვალოს და მოერგოს იმ რეალობას, რის წინაშეც შეიძლება დადგეს მსოფლიო ეკონომიკური წესრიგი. უმნიშვნელოვანესია გადამამუშავებელი მრეწველობის წინ წამოწევა, რადგან მოხდეს ზოგიერთი იმპორტ შემცველი სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება. ისეთი მიმართულებები, როგორებიცაა, მსუბუქი მრეწველობის დარგები: მეაბრეშუმეობა, ეთერზეთების წარმოება, სამკურნალო მცენარეების წარმოება ძალიან ადვილად შეუძლია სახელმწიფოს და უმოკლეს ვადაში უნდა მოხდეს მისი განხორციელება ასევე, მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მოსახლეობის სამეწარმეო გააქტიურება და მათი შემოსავლების ინტენსიური ზრდა ყველაზე უკეთ შესაძლებელია კოოპერაციული სექტორის აქტიური მხარდაჭერით (Koguashvili, Papava, Silagadze, Kunchulia, Mekvabishvili, Gogokhia, Chikhladze, Ramishvili, Archvadze, Galegashvili, 2020).

ასევე, შესანიშნავი მიზეზია საბაჟო რეგულაციების გადახედვისთვის, ანტიდემპინგური კანონმდებლობის ამოქმედებისთვის, ადგილობრივი წარმოების განვითარებისთვის. სახელმწიფო ჩართულობის და სწორი პოლიტიკის პირობებში სრულებით შესაძლებელია საქართველო მოგვევლინოს ქვეყანად, რომელიც საკუთარი სასურსათო კალათის დიდ ნაწილის თავის ნაწარმით შევსებას შეძლებს.

ლარის კურსზე კორონავირუსის გავლენა. პანდემიის პირობებში ყველა ქვეყნის ვალუტას, გარკვეული ზიანი მიადგა. მათ შორის არის საქართველოს ეროვნული ვალუტა ლარი. რაღა თქმა უნდა, ეს არ მომხდარა რომელიმე კონკრეტული ერთი მიზეზის გამო, თუმცა შესაძლებელია ძირითად მიზეზებზე საუბარი. თავდაპირველად, საინტერესო იქნება ზოგადი სახით ლარის გრაფიკული ანალიზის განხილვა. თუ დავეყრდნობით ეროვნული ბანკის მონაცემებს, თვალნათლივ დავინახავთ რა სხვაობაა ბოლო თვეების განმავლობაში ლარის გაცვლით კურსსა და ამერიკის შეერთებული შტატების დოლარის გაცვლით კურსს შორის (Georgian National Bank, 2020). ცხადია, ჯანსაღი ეკონომიკის პირობებში ერთი დღის განმავლობაში არ უნდა ხდებოდეს ეროვნული ვალუტის კურსის 21 თეთრით გაუფასურება.


გრაფიკზე ნათლად ჩანს, რომ ბოლო პერიოდის განმავლობაში, ლარის კურსი დოლართან მიმართებაში ბევრად გაუფასურდა. ამას, როგორც ობიექტური მიზეზები გააჩნია, ასევე გააჩნია მიზეზთა ერთობლიობა, რომელიც წამოსულია რეალური ეკონომიკის არქონიდან. მე ვფიქრობ, პანდემიის შემდგომ, ძირითადი მიზეზები ლარის კურსის ვარდნის არის:

- ტურიზმის მთლიანად გაჩერება;
- მოლოდინები. მასში იგულისხმება ბაზარზე შექმნილი პანიკა, რომელმაც ხელი შეუწყო მოქალაქეების ხელთ არსებული ლარის გადახურდავებას, უცხოურ ვალუტაში;
- რეალური ეკონომიკის არქონა;
- ფულადი გზავნილების შემცირება;
- ეროვნული ბანკის პასიური ქმედებები;
- ექსპორტის მაჩვენებლის უმცირეს ნიშნულზე დაყვანა.

კორონავირუსი და თანამედროვე მსოფლიო

გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისების მიზეზების, ხასიათის, შედეგებისა და პერიოდულობის განმეორებადობას ალბათობასთან დაკავშირებით მეცნიერთა შორის აზრთა დიდ განსხვავებას აქვს ადგილი. ეკონომისტთა ნაწილი ფიქრობს, რომ გლობალური ეკონომიკური კრიზისი ზოგადად საზოგადოებათმცოდნეობასა და, კერძოდ, ეკონომიკურ მეცნიერებაში არსებული კრიზისის ერთ-ერთი გამოხატულებაა. ზოგადი თვალსაზრისით კრიზისი

გრაფიკი N3. ლარის კურსის მაჩვენებლები დოლართან მიმართებაში 2019 წლიდან (ყოველთვიური საშუალო)



არის მოვლენათა განვითარებაში მკვეთრი გარდატეხა, რთული გარდამავალი მდგომარეობა მძიმე სიტუაციაში (Mekvabishvili, 2012:19). ფაქტია, ურთულესი იქნება, თუმცა აუცილებლად საჭიროა იმ გზების კვლევა-ძიება, რომლებიც მოცემული კრიზისიდან უსწრაფესად გამოსვლის საშუალებას მოაძებნინებს ქვეყნების ხელისუფლებებს. შესაძლებელია, დახმარებისთვის სხვადასხვა წარსულში მომხდარი ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლის პრაქტიკა იქნეს გათვალისწინებული. თუ გადავხედავთ წარსულს, ვნახავთ რომ გასულ საუკუნეში ვხვდებოდით გლობალურ ეკონომიკურ კრიზისებს. მაგალითად:

- 1930-იან წლებში წარმოქმნილი დიდი დეპრესია, რომელმაც ფაქტიურად შეარყია კაპიტალიზმის მსოფლიო ეკონომიკური სისტემა;
- მეორე მსოფლიო ომის მოვლენებით გამოწვეული კრიზისი, რომელიც განმეორდა 1957-1958 და 1974-1975 წლებში, თუმცა ისინი გაცილებით ნაკლებად მწვავე იყო;
- ასევე, 1990-იან წლებში საბჭოთა კავშირის დაშლით გამოწვეული რეგიონის კრიზისი;
- XXI საუკუნეში 2008-2010 წლების მსოფლიოს ფინანსური კრიზისი.

აღსანიშნავია, რომ თითოეულ ამ კრიზისს თავისი მახასიათებლები ჰქონდა. კორონავირუსით გამოწვეულ კრიზისს, თითოეული მათგანისგან განასხვავებს ის ფაქტი, რომ იგი არ მოდის ეკონომიკური მიზეზით გამოწვეული მოვლენისგან, ასევე არ წარმოქმნილა გეოპოლიტიკური განაწილების შემდგომ მიღებული უთანხმოებისგან. მოცემული კრიზისს საფუძველი აქვს მედიცინაში და აბსოლუტურად სხვა ტიპის მიდგომა ესაჭიროება თითოეული ქვეყნის მხრიდან. თუმცა, გასათვალისწინებელია ზემოთ ნახსენები კრიზისების პრაქტიკაც, რადგან თითოეულ ამ შემთხვევაში ეკონომიკა ხასიათდებოდა შეფერხებით, ზოგ შემთხვევაში გაჩერებით და სახელმწიფოებს უწევდათ მაქსიმალური ჩართულობა მის ასამუშავებლად.

კორონავირუსი, მხოლოდ საფრთხე თუ ახალი შანსი განვითარებადი სახელმწიფოებისთვის?

ეკონომიკურად რომ შევაფასოთ: თუ ადრე იაფი მუშახელის და დაბალი გადასახადების გამო ჩინეთში ვაჭრობა და წარმოება გახლდათ მომგებიანი, დღეს ხდება პირიქით. მიმდინარე მოვლენებმა ისევე, როგორც სხვა ქვეყნების ეკონომიკა, ჩინეთის ეკონომიკაც ძალიან დააზარალა. ჩინეთში არსებული უამრავი კომპანია, მიწოდების ჯაჭვის რღვევის გამო დაზარალდა. ასევე, სხვა ქვეყნების მხრიდან შესაძლებელია, შემდგომი ვაჭრობის ბარიერები დაწესდეს ჩინეთთან. ამიტომ, არსებული კომპანიები დაიწყებენ ძებნას ისეთი ქვეყნებისას სადაც იაფი იქნება მუშახელი. ასევე, კონკრეტული ქვეყნიდან წარმოებული პროდუქტის გატანა იქნება ხელსაყრელი, დაბალი გადასახადების და თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებებიდან გამომდინარე.

ვფიქრობ, სწორედ ესაა მომენტი, როდესაც ბევრ განვითარებად ქვეყანას ეძლევა შექმნილი ვითარება გამოიყენოს განვითარებისთვის. შესაბამისად, ისეთ ქვეყანას, როგორიც საქართველოა, ეძლევა შესანიშნავი შანსი მონაწილეობა მიიღოს მსოფლიო ეკონომიკურ გადაწყობაში და გამოიყენოს ყველა ის შესაძლებლობა, რომელიც შეიძლება ძალიან დიდი ხნის განმავლობაში აღარ მიეცეს. ამიტომ, აუცილებელია ხისტი ეკონომიკური პოლიტიკის გატარება. როგორ არის შესაძლებელი, საქართველო გახდეს მიმზიდველი ქვეყანა როგორც ინვესტორისთვის, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის? თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ შესაძლებელია, მოხდეს ჩინური ეკონომიკის გარკვეული რღვევა იმის გათვალისწინებით რომ კომპანიები დაიწყებენ ახალი ნავსაყუდელის ძებნას, გამოვყოფდი რამდენ ძირითად ფაქტორს რის გამოც შეიძლება სწორი „შეფუთვის" პირობებში საქართველო მოგვევლინოს ტრანსნაციონალური კომპანიებისთვის საინტერესო ქვეყნების რიგებში:

- შესანიშნავი გეოგრაფიული მდებარეობა ევროპასა და აზიას შორის;
- თავისუფალი ვაჭრობის სისტემის როგორც ჩინეთთან, ასევე ევროკავშირის ქვეყნებთან;
- ამერიკის შეერთებულ შტატებთან მიმდინარე მოლაპარაკებები თავისუფალ ვაჭრობასთან დაკავშირებით;
- იაფი მუშახელი, ევროპის სხვა ქვეყნებთან შედარებით.

ცალკე, უნდა ითქვას რომ საქართველოს ერთ-ერთი დიდი მონაპოვარი თავისუფალი ვაჭრობაა მსოფლიოს ორ უდიდეს რეგიონთან: ჩინეთთან და ევროკავშირთან. უბრალოდ, ამას სჭირდება სწორი გამოყენება და შესაბამისი პოლიტიკური ნება. ასეთი ტიპის ხელშეკრულება ჩინეთთან და ევროკავშირთან ერთდროულად, მხოლოდ მსოფლიოს შვიდ ქვეყანას გააჩნია: საქართველოს, ჩილეს, პერუს, სამხრეთ კორეას, შვეიცარიას, სინგაპურს და ისლანდიას. მათ შორის საქართველოს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ თავისი ნიშა უჭირავს როგორც გეოგრაფიული თვალსაზრისით ასევე სხვა მიზეზებიდან გამომდინარე.

რა რეალური შედეგის მომტანი შეიძლება გახდეს სექტორული ანტიკრიზისული გეგმები?

ამ კრიზისის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩართული ქვეყნების ხელმძღვანელები ცდილობენ, შეიმუშაონ და გაატარონ ანტიკრიზისული ღონისძიებები, რათა მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა შეამსუბუქონ, ხოლო ეკონომიკის პოტენციური დანაკარგები მაქსიმალურად შეამცირონ (Papava, 2020).

შესაბამისად იქცევა საქართველოს მთავრობაც. მან აპრილის ბოლოს და მაისის დასაწყისში წარმოადგინეს

ტურიზმის, სოფლის მეურნეობის, სოციალური დაცვის და განათლების სისტემის მიმართულებით გასატარებელი რეფორმების პრეზენტაციები, სადაც საუბრობენ ანტიკრიზისულ პერიოდზე და შესაბამის სექტორულ დახმარებებზე (Georgian Government, 2020). ცხადია, კორონავირუსით მიღებული ზიანი ძალიან დიდია როგორც ეკონომიკისთვის, ასევე ჯანდაცვის, განათლების და სხვა სექტორების მიმართულებით. ანტიკრიზისული გეგმის არსიც სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ეტაპობრივად მოხდეს თითოეული ზემოთ თქმული დარგის შოკიდან გამოყვანა. თუ გეგმის სისწორე, მიზნობრიობა, სამოქმედო არეალი და სისტემა დახვეწილი იქნება, ამ შემთხვევაში მივიღებთ, ერთი მხრივ სიტუაციის ეკონომიკური თვალსაზრისით, განმუხტვას, ხოლო მეორე მხრივ უმოკლეს ვადაში გარკვეულ დონემდე მაკროეკონომიკური მაჩვენებლების მიყვანას.

ვფიქრობ, სოფლის მეურნეობის მიმართულებით წარმოდგენილი ანტიკრიზისული გეგმა საკმაოდ დიდ დახმარებებს ითვალისწინებს და საკმაოდ კარგია ისეთი ტიპის ქვეყნისთვის, როგორიცაა საქართველო. უმთავრესი ამ მიმართულებით ის ფაქტია, რომ ეს ის დარგია, საიდანაც შეიძლება გარკვეულწილად წარმოიქმნას რეალური ეკონომიკა. დამატებით გასათვალისწინებელია ფაქტი: ქვეყნებს, რომელთაც აქვთ გახსნილი ტიპის ეკონომიკა, ურთულდებათ მეტად კონკურენციაში ჩაბმა თუ ციფრულ და ტექნოლოგიურ მიმართულებებზე არ აქვთ აწყობილი ყველა ზემოხსენებული მიმართულება. ეს უკანასკნელი ერთდროულად მოგვცემს იმის საშუალებას, რომ შეიქმნას რეალური ეკონომიკა, რაც ყველაზე მნიშვნენელოვანია, მაგალითად, ისეთი დარგისთვის, როგორიცაა თითოეული ახალარჩეული მთავრობის „უსაყვარლესი დარგი" – ტურიზმი.

ასევე, განათლების მიმართულებით, ვფიქრობ, რომ საკმაოდ კარგი ანტიკრიზისული გეგმა იქნა შემუშავებული. კარგია ის ფაქტი რომ აკადემიურ წლად არ მოხდა მიმდინარე წლის გამოცხადება. ფაქტია ეს ერთი მხრივ სტუდენტებს და მოსწავლეებს, ხოლო მეორე მხრივ ქვეყანას გაურთულებდა საქმეს. ასევე, მნიშვნელოვანია დისტანციური სწავლების განვითარება. ბევრ განვითარებულ სახელმწიფოში დისტანციური სწავლება განიხილება, როგორც სწავლების ერთ-ერთი საშუალება და საქართველოში მოხდა მისი პირველი გამოცდა. ზემოაღნიშნული, რამდენად ეფექტიანია ქართულ რეალობაში, ეს სხვა საკითხია, თუმცა, ვფიქრობ, კორონავირუსის პერიოდში გამოყენებული პრაქტიკა განათლების მიმართულებით, საკმაოდ პერსპექტიულია.

დასკვნა

ფაქტია, კორონავირუსმა ბევრ სახელმწიფოს ასწავლა კრიზისის პირობებში არსებობა. ეკონომიკური თვალსაზრისით, მიმაჩნია, რომ ნებისმიერმა სახელმწიფო ზარალი განიცადა. თუმცა, ბევრ მათგანს ძალიან მცირე. ზიანის სიმცირე პირდაპირპროპორციულად დამოკიდებული გახლდათ ეკონომიკის საფუძვლებზე.

ჩემი აზრით, საქართველო კარგად გაუმკლავდა კორონავირუსით გამოწვეულ პირველ შეტევას ჯანდაცვის მიმართულებით. დროთა განმავლობაში პანდემიის შედეგები თავს იჩენს ეკონომიკაში. იმედია, კარგი ანტიკრიზისული გეგმის პირობებში ეს ზიანი იქნება მცირე.

Covid-19-მა საქართველოს ეკონომიკას აჩვენა, რომ საჭიროა სხვა პრიორიტეტები, რომელიც გათვლილი იქნება ეკონომიკის რეალური სექტორის განვითარებისთვის. ძალიან კარგია ტურიზმის და სოფლის მეურნეობის მიმართულების წინა პლანზე წამოწევა, თუმცა ღრმად ვარ დარწმუნებული იმ ფაქტში, რომ მათი განხილვა, როგორც ეკონომიკის რეალური სექტორის ლოკომოტივის, ჩანაფიქრშივე მცდარია. აუცილებელია სოფლის მეურნეობის დარგობრივი განვითარება იმ დონემდე, რა დონემდეც შესაძლებელია განვითარდეს საქართველოში (ისევე როგორც ტურიზმის).

პრიორიტეტულ დარგად უნდა იქცეს განათლებაზე დაფუძნებული ეკონომიკის შექმნა. ასევე, უმნიშვნელოვანესია ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია სხვა მიმართულებებთან ერთად იმ დარგების წამოწევით, რომლისთვის საჭირო მასალებიც უხვადაა საქართველოში.

ვფიქრობ დღეს არის შესანიშნავი დრო, მოხდეს ქვეყნის რეორიენტირება და ეკონომიკის მთლიანად ინდუსტრიაზე და განათლების ეკონომიკაზე დაფუძნების. ამისთვის, საჭიროა ეტაპობრივი მოქმედება და ვფიქრობ შედეგებიც საკმაოდ კარგი იქნება.

ლიტერატურა/REFERENCES

Koguashvili, P., Papava, V., Silagadze, A., Kunchulia, T., Mekvabishvili, E., Gogokhia, R., Chikhladze, N., Ramishvili, B., Archvadze, I. & Galegashvili, D. (2020). We will defeat Korona. Hunger and Poverty? *Resonance*. (In Georgian); http://www.resonancedaily.com/mobile/index.php?id_rub=11&id_artc=92467

Mekvabishvili, E. (2012). Theory of economic crises and financial-economic crises of the globalization era. *Globalization, Modern Problems of International Business and Development Perspectives*. Tbilisi, Universal Publishing House; (In Georgian); <https://taxuna.files.wordpress.com/2015/11/unnamed-file.pdf >.

Papava, V. & Charaia, V. (2020). *The Coronomic Crisis and Some Challenges of the Georgian Economy.* Tbilisi: Georgian Strategy and International Relations Research Foundation. Expert Opinion, N136 (In Georgian); <http://papava.info/publications/Papava_Charaia_coronomical-crisis-and-Georgia.pdf>.

Papava, V. (2018). Georgia›s economic model: Consumer paradox and touristic trap. In: *The Challenges of Globalization in Economics and Business.* Tbilisi, Ivane Javakhishvili Tbilisi State University Publishing House, (In Georgian);
<https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/konference.pdf>.

Papava, V., Silagadze A. (2019). How to translate the term «Gross Domestic, Product» into Georgian. *Globalization and Business*. No 7; (In Georgian); <https://www.researchgate.net/publication/334897039_rogor_unda_itargmnos_kartulad_termini_GROSS_DOMESTIC_PRODUCT>.

Papava, V. (2020). *Pension, Economic Growth, Agflation and Inflation, Georgian Strategy and International Relations Research Center*; (In Georgian); < https://www.gfsis.org/ge/blog/view/1071>.

National Bank, (2020). Money transfers in Georgia. National Bank of Georgia; (In Georgian); <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=304>.

National Bank, (2020). Official exchange rates. National Bank of Georgia, (In Georgian); <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=306>.

Geostat, (2020). Distribution of tourist expenses. National Statistics Office; (In Georgian); < https://www.geostat.ge/ka/modules/categories/101/shida-turizmi>.

Geostat, (2020). The share of agriculture in the total domestic product. *National Statistics Office*; (In Georgian);
< https://www.geostat.ge/ka/modules/categories/196/soflis-meurneoba>.

Government of Georgia, (2020). *Anti-crisis plans for education, tourism and agriculture*; (In Georgian); <http://gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=288>.

Alwis, A. de. (2020). *"Coronomics –Plan Your Eggs and the Basket!" Daily FT,* February 25, <http://www.ft.lk/columns/Coronomics-%E2%80%93-Plan-your-eggs-and-the-basket-/4-695109>.

Papava, V. (2020). "Coronomic Crisis: When the Economy Is A Hostage to Medicine." Eurasia Review. *Journal of analysis and news*. March 29, <https://www.eurasiareview.com/29032020-coronomic-crisis-when-the-economy-is-a-hostage-to-medicine-oped/>.

Papava, V. (2018). Georgia's Economy in a Tourist Trap. Rondeli Blog, July 25 <https://www.gfsis.org/blog/view/854>.

Samson, I. (2008). Medium-Term Prospects for the Georgian Economy. *Georgian Economic Trends*, February.

WHO Director-General's Opening Remarks at the Media Briefing on COVID-19 - 11 March . (2020). World Health Organization. <https://www.who.int/dg/speeches/detail/who-director-general-s-opening-remarks-at-the-media-briefing-on-covid-19---11-march-2020>.

JEL Classification: F4; L81 https://doi.org/10.35945/gb.2020.10.028

TRADE POLICY RESPONSES TO THE CONTEMPORARY CHALLENGES OF THE GLOBAL MARKET

LELA JAMAGIDZE
PhD in Economics, Assistant professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia
lela.jamagidze@tsu.ge

Abstract. The present paper discusses several new trends in the global trade such as digitalization of trade, regional trade agreements and the emergence of new global players. Based on theoretical research and the study of the available secondary statistical data it analyzes how trade policy can address these changes under the existing world trading system.

Trade rules underlying the traditional trading system are still applicable under increasing digital trade and enhanced bilateral and regional trade integration. However, WTO Agreement has nothing to do with those barriers of trade that go beyond traditional trade measures and are very acute for the developing countries. They involve access to the Internet and other telecommunication infrastructure, weak formal institutions and legal protection, lack of awareness about the potential benefits and opportunities in digital trade and lack of IT literacy. In order to overcome these barriers developing countries should incorporate trade policy as a component of deep economic reforms. The pace of development of the multilateral trading rules is slower than required by increasingly flexible business models. Therefore, countries try to find solutions at the bilateral and plurilateral levels. For instance, the EU develops regulations under Digital Single Market as well as within its bilateral trade agreements with non-member states. Georgia is implementing digital economy regulations in accordance to its DCFTA with the EU.

Access to information and communication technologies is essential to be engaged in digital trade. For developing countries investments in digital infrastructure is an important policy issue, while developed countries are more focused on balanced trade rules, which ensure the development of digital trade, on the one hand and security and data protection, on the other.

Contemporary trade policy goes beyond regulation based on classical trade instruments. It encompasses regulation within regional trade and investment agreements, technical standards and other behind-the-border measures, regulation of services and intellectual property markets and support for sustainable development goals, etc. A large part of the contemporary regional trade agreements covers all these areas. Development of bilateral and regional cooperation by encouraging deep integration can be discussed as an effort to overcome inflexibilities of the multilateral system. Regional integration enables countries to develop selective approach towards their trade partners and maintain certain degree of autonomy by applying different trade rules towards different partners. Elimination of behind the border barriers and enhanced regulatory harmonization leads to reduced trade costs but it also leads to race to the bottom in regulatory facilitation, what might be detrimental to the national policy goals. The effects of deep economic integration cannot be assessed based on the traditional approach of trade creation and trade diversion, because integration as an institutional process affects not only trade flows but also economic and institutional development levels of the countries.

Deep regional integration reduces institutional differences within regions and increases them across regions. Besides it, the increasing role of BRICs countries in international trade leads to greater diversity of actors in the world market. New global players ask for greater voice in the process of reforming trade rules. Therefore, global trade rules should reflect the diversity that comes from changes in the patterns as well as the main players of the world market.

KEYWORDS: TRADE POLICY, DIGITAL TRADE, REGIONAL TRADE AGREEMENTS, TRADE RULES.

For citation: Jamagidze, L. (2020). Trade Policy Responses to the Contemporary Challenges of the Global Market. *Globalization and Business, 10.* 218-224. (In Georgian) https://doi.org/10.35945/gb.2020.10.028

JEL Classification: F4; L81 https://doi.org/10.35945/gb.2020.10.028

სავაჭრო პოლიტიკის მიმართულებები გლობალური ბაზრების ახალი გამოწვევების საპასუხოდ

ლელა ჯამაგიძე

ეკონომიკის დოქტორი, ასისტენტ პროფესორი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

lela.jamagidze@tsu.ge

საკვანძო სიტყვები: მწვანე ეკონომიკა, მდგრადი ეკონომიკური ზრდა, მწვანე ინვესტიციები, მწვანე დაფინანსება.

ციტირებისთვის: ჯამაგიძე ლ. (2020). სავაჭრო პოლიტიკის მიმართულებები გლობალური ბაზრების ახალი გამოწვევების საპასუხოდ. *გლობალიზაცია და ბიზნესი, №10*, გვ. 218-224. https://doi.org/10.35945/gb.2020.10.028

შესავალი

სტატიაში განხილულია მიმდინარე ტექნოლოგიური და სტრუქტურულ-გეოგრაფიული ცვლილებების გავლენა მსოფლიო ვაჭრობაზე და გაანალიზებულია სავაჭრო პოლიტიკის მიმართულებები, რომლებიც ამ ცვლილებებს პასუხობს. ერთი მხრივ, ციფრულ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ვაჭრობის განვითარება, ხოლო მეორე მხრივ, პროტექციონისტული ტალღის გაძლიერება სავაჭრო პოლიტიკის განხორციელებაში წინააღმდეგობებს ქმნის. ამასთან, 2008-2009 წლების გლობალური კრიზისის შემდგომ პერიოდში მსოფლიო ვაჭრობის შემცირება და გაჯანსაღების ნელი პროცესი სავაჭრო პოლიტიკისთვის გამოწვევას წარმოადგენს და ამყარებს მოსაზრებას, რომ მომავალში ვაჭრობის განვითარება მნიშვნელოვანწილად სავაჭრო პოლიტიკის მიმართულებების არჩევანზე იქნება დამოკიდებული (Goldberg, 2019).

სტატია წარმოდგენილია შემდეგი სტრუქტურით: ტექნოლოგიური ცვლილებების მრავალმხრივ სავაჭრო პოლიტიკაზე გავლენას ციფრული ვაჭრობის განვითარებისა და შესაბამისი სავაჭრო წესების მიხედვით განვიხილავთ. სტრუქტურულ-გეოგრაფიული ცვლილებების გავლენის ანალიზისთვის შესწავლილია ინტეგრაციული დაჯგუფებების როლი და მათ ფარგლებში სავაჭრო პოლიტიკის განსაზღვრის თავისებურებები თანამედროვე ეტაპზე, ასევე, მსოფლიო ბაზრის ახალი მოთამაშეების გავლენით მრავალმხრივ სავაჭრო პოლიტიკაში მოსალოდნელი ცვლილებები.

სავაჭრო პოლიტიკა ციფრული ვაჭრობის განვითარების პირობებში

თანამედროვე პირობებში გლობალური ვაჭრობის განვითარებაზე გავლენას ახდენს ციფრული ტექნოლოგიების უახლესი მიღწევების დანერგვა და გამოყენება. ციფრული ტექნოლოგიები ცვლილებებს იწვევს საერთაშორისო ვაჭრობის სტრუქტურაში, სავაჭრო დანახარჯებსა და მონაწილე სუბიექტების მახასიათებლებში.

ციფრულ ვაჭრობაში ურთიერთობების ოთხ ტიპს შორის – (a) B2B (ბიზნესისა ბიზნესის მიმართ); (b) B2C (ბიზნესისა მომხმარებლის მიმართ); (c) B2G (ბიზნესისა მთავრობის მიმართ) და C2C (მომხმარებლისა მომხმარებლის მიმართ) – დომინანტურია პირველი, რაც კომპანიებს შორის ციფრულ ვაჭრობას მოიცავს (UNCTAD, 2015). სხვადასხვა შეფასებით 2015 წლისთვის ამ ტიპის მსოფლიო ვაჭრობის მოცულობა $19.9 ტრილიონი იყო, ხოლო მეორე კატეგორია უტოლდებოდა $2.2 ტრილიონს (UNCTAD, 2016).


ციფრული ტექნოლოგიები საშუალებას აძლევს კომპანიებს, ადვილად დაძლიონ გეოგრაფიული და საზღვრებთან დაკავშირებული სავაჭრო ბარიერები, სწრაფად გახდნენ გლობალური, უფრო ადვილად შეაღწიონ ახალ მიწოდების ჯაჭვში და ახალ ბაზრებზე. ამდენად, ინტერნეტ-ეკონომიკის განვითარება სავაჭრო ბარიერების შემცირებაზე ორიენტირებული პოლიტიკის რეალიზაციის ხელშემწყობია, მაგრამ, მეორე მხრივ, ციფრული ვაჭრობა რეგულირების თვალსაზრისით ბევრ გამოწვევას ქმნის. ის, როგორც წესი, თანაკვეთაშია პოლიტიკის სხვა ისეთ სფეროებთან, როგორებიცაა პერსონალურ მონაცემთა დაცვა, ინტელექტუალური საკუთრების და ტექნოლოგიების ტრანსფერის რეგულირება. მაგალითად, მონაცემთა დაცვის რეგულაციები ზღუდავს კლიენტთა მონაცემებზე წვდომასა და მათ ტრანსფერს; ინტელექტუალურ საკუთრების არასრულყოფილი მარეგულირებელი ჩარჩო-წესები სათანადოდ ვერ იცავს მომსახურების მწარმოებლებს, მომხმარებლებს და პროვაიდერებს; ონლაინ პლატფორმების რეგულაციები, მონაცემთა ლოკალიზაციის მოთხოვნები, ვებ გვერდების

გაფილტვრა და ბლოკირება, ერთი მხრივ, უსაფრთოხოების აუცილებლობითაა ნაკარნახევი, მაგრამ, მეორე მხრივ, სავაჭრო ბარიერებს წარმოადგენს. აღნიშნულთან ერთად, ციფრულ ვაჭრობაში ბარიერებს ქმნის დისკრიმინაციული სტანდარტები და ტესტირების მოთხოვნები, ელექტრონულ გადახდებზე დაწესებული შეზღუდვები (აკრძალვები) და ტექნოლოგიების იძულებითი ტრანსფერი.

გლობალური ციფრული ვაჭრობის მასშტაბების შეფასებისთვის საერთაშორისო პრაქტიკაში გამოყენებული სტატისტიკური მაჩვენებლები აერთიანებს როგორც ელექტრონული არხებით მიწოდებული საქონლისა და მომსახურების ნაკადებს, მონაცემთა საერთაშორისო ტრანსფერს, ასევე, არაპირდაპირ მაჩვენებლებს, რომლებიც ციფრული ვაჭრობის ინფრასტრუქტურულ პირობებს ახასიათებს. ესაა საინფორმაციო-ტექნოლოგიური საქონლითა და მომსახურებით ვაჭრობა.

გლობალური ციფრული ვაჭრობა, გაზომილი კომპიუტერული, სატელეკომუნიკაციო და საინფორმაციო მომსახურების მსოფლიო ექსპორტის მიხედვით, თანმიმდევრულად მზარდ ტენდენციას ავლენს.

დიაგრამა. გლობალური სატელეკომუნიკაციო, კომპიუტერული და საინფორმაციო მომსახურების ექსპორტის წილი კომერციული მომსახურების ექსპორტში (%)



წყარო: UNCTAD, 2017

საინფორმაციო-ტექნოლოგიური საქონლის ექსპორტის წილი მთლიან მსოფლიო ექსპორტში 2009 წელს 11.96%-დან 2016 წელს 11.51%-მდე შეიცვალა. საინფორმაციო-ტექნოლოგიური საქონლით ვაჭრობაში ქვეყნებს საკმაოდ განსხვავებული პოზიციები უკავიათ – მთლიანი ექსპორტის 38% ჩინეთზე მოდის, ხოლო მას მოსდევს ევროკავშირი 18%-იანი წილით, იმპორტში კი ევროკავშირს უჭირავს უდიდესი – 21%-იანი წილი, ხოლო მას აშშ მოსდევს 16%-ით (UNCTAD, 2019, გვ. 63). მთლიან ექსპორტში საინფორმაციო-ტექნოლოგიური საქონლის წილის მიხედვით საქართველოს პოზიცია მოკრძალებულია. მსოფლიო ბანკის მონაცემები მოწმობს, რომ საქართველო ამ მაჩვენებლით საკმაოდ ჩამორჩება არა მხოლოდ ევროპის ქვეყნებს, არამედ საშუალოზე დაბალშემოსავლიანი ქვეყნების ჯგუფს.

მაგრამ, მეორე მხრივ, საქართველო სწრაფად აუმჯობესებს ციფრულ ვაჭრობაში ჩართულობის მაჩვენებლებს. B2C ელექტრონული ვაჭრობის ინდექსის მაჩვენებელი 2014 წლის 39.2-დან 2017 წელს 72.3 გაუმჯობესდა.

ცხრილი 1. საინფორმაციო-ტექნოლოგიური საქონლის ექსპორტის წილი ქვეყნის მთლიან ექსპორტში (%)

ქვეყანა	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017
საქართველო	0.28	0.28	0.30	0.46	0.69	0.63	1.05	0.45	0.56
ევროკავშირი	6.20	6.34	5.74	5.27	4.99	5.12	5.28	5.32	5.25
ცენტრალური ევროპისა და ბალტიის ქვეყნები	13.08	13.16	11.56	10.55	9.81	9.77	9.80	9.29	9.20
საშუალოზე დაბალშემოსავლიანი ქვეყნები	5.15	4.13	4.03	4.94	5.26	5.74	7.27	7.91	3.93

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ მსოფლიო ბანკის მონაცემების მიხედვით https://data.worldbank.org/indicator/TX.VAL.ICTG.ZS.UN?contextual=region&locations=GE

ცხრილი 2. საქართველოს ელექტრონული ვაჭრობის B2C ინდექსი, 2014-2017

	2014	2015	2016	2017
ინტერნეტის მომხმარებელი ინდივიდების წილი	49	-	50	60
საკრედიტო ბარათის მომხმარებელი ინდივიდების წილი	18	40	40	61
უსაფრთხო ინტერნეტ სერვერები 1 მლნ ადამიანზე (ნორმალიზებული)	62	62	60	72
UPU საფოსტო კავშირების სანდოობის ქულა	28	28	76	96
ელექტრონული ვაჭრობის B2C ინდექსის ქულა	39.2	44	57	72.3

წყარო: UNCTAD B2C E-commerce Index 2016

ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ საინფორმაციო-ტექნოლოგიური საქონლის ექსპორტის წილობრივი მაჩვენებელი ციფრული ვაჭრობის სურათს მხოლოდ ნაწილობრივ ასახავს. ის უკავშირდება ციფრული ვაჭრობის უზრუნველსაყოფად აუცილებელი ინფრასტრუქტურის მიწოდებას (როგორიცაა კომპიუტერული და საკომუნიკაციო მოწყობილობები, ელექტრონული მოწყობილობები, სხვა საინფორმაციო და საკომუნიკაციო საქონელი), მაგრამ გლობალურ ვაჭრობაში გაცილებით დიდ როლს ასრულებს ციფრული შინაარსის მქონე პროდუქტები (მაგალითად, პროგრამები), ციფრული ინფრასტრუქტურის მიწოდებასთან დაკავშირებული მომსახურება და მომსახურების ის სახეობები, რომელთა მიწოდება ელექტრონულად ხორციელდება.

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (ვმო) შეთანხმება საინფორმაციო ტექნოლოგიების შესახებ (ITA) ტრადიციული სავაჭრო ბარიერების (ტარიფების) მოხსნას უზრუნველყოფს შეთანხმებით გათვალისწინებულ ყველა პროდუქტზე. სამწლიანი მოლაპარაკებების შედეგად, 2015 წლიდან გაფართოვდა პროდუქტების ჩამონათვალი, რომლებზეც ეს შეთანხმება ვრცელდება. მასში დამატებით შეტანილია 201 დასახელების პროდუქტი, რაც გლობალური ვაჭრობის 7%-ს მოიცავს. ეს შეთანხმება არეგულირებს საინფორმაციო-ტექნოლოგიური საქონლისა და მომსახურების ტრადიციული ბარიერების გამოყენებას (ტარიფები, მონაცემთა ლოკალიზაციის მოთხოვნები, კვოტები, ტექნიკური ბარიერები), მაგრამ ვმო-ს შეთანხმება ვერ უზრუნველყოფს განვითარებადი ქვეყნებისთვის აქტუალური ისეთი ბარიერების დაძლევას, როგორებიცაა წვდომა ინტერნეტთან და სხვა სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურასთან, სუსტი ფორმალური ინსტიტუტები და სამართლებრივი დაცვის გარანტიები, ასევე, ამ სფეროში არსებული შესაძლებლობების შესახებ ნაკლები ინფორმირებულობა და საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების არცოდნა. ამგვარი ბარიერების დასაძლევად საჭიროა სავაჭრო პოლიტიკა სიღრმისეული ეკონომიკური რეფორმების ნაწილად მოიაზრებოდეს. იმის გამო, რომ ციფრული ვაჭრობა ვითარდება საკმაოდ სწრაფად, ხოლო ვმო-ს ჩარჩოში მოლაპარაკებების პროცესი და ცვლილებები არსებულ სავაჭრო წესებში საკმაოდ გახანგრძლივებულია, ქვეყნები გამოსავალს ორმხრივ და პლურილატერალურ შეთანხმებებში ხედავენ.

ევროკავშირი აქტიურად ცდილობს, უფრო სწრაფად განავითაროს შესაბამისი რეგულაციები ერთიანი ციფრული ბაზრის ფარგლებში (Digital Single Market), ასევე, არაწევრ ქვეყნებთან თავისი ორმხრივი სავაჭრო ხელშეკრულებების საფუძველზე.

სავაჭრო პოლიტიკის რეფორმების გატარება საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების პროცესის ფარგლებში საერთაშორისო დონეზე დადგენილი ნორმების ურთიერთვაჭრობაში აღიარებით ხდება – ვმო-ის მთელი რიგი მუხლები წარმოადგენს ღრმა და თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების (DCFTA) შემადგენელ და განუყოფელ ნაწილს. კიდევ ერთი სტრატეგიაა ურთიერთმსგავსი ინსტიტუტებისა და პროცედურების დანერგვა (მაგალითად, როგორც საბაჟო რეგულირების სფეროში განხორციელდა), ზოგჯერ ხდება ნორმებისა და მოთხოვნების პირდაპირი გადმოტანა (ტექნიკური ბარიერების სფეროში), ხოლო მომსახურებით ვაჭრობაში უპირატესობა ენიჭება თანდათანობით ჰარმონიზაციას (Jamagidze, 2019). ციფრული ეკონომიკის სფეროს რეფორმები მიზნად ისახავს ეკონომიკური და ბიზნეს შესაძლებლობების ხელშეწყობას, ციფრული კომპეტენციების გაძლიერებას და ელექტრონული ვაჭრობის განვითარებას. ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში, «საქართველო 2020», პრიორიტეტულ მიმართულებადაა დასახული ქვეყნის მასშტაბით საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა და სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის განვითარება. ელექტრონული კომერციის დირექტივის შესაბამისად მიმდინარეობს მუშაობა საქართველოს ელექტრონული კომერციის შესახებ კანონპროექტზე. რაც შეეხება საქართველოს კანონმდებლობას ელექტრონული იდენტიფიკაციის და სანდო სერვისების შესახებ (კანონი ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ), ის ევროკავშირის (eIDAS) რეგულაციასთან შესაბამისობაში 2018 წელს მოვიდა[1]. (European Commission, 2019).

[1] ევროკომისია. (2019). ანგარიში საქართველოს მიერ ასოცირების პროცესის განხორციელების შესახებ.

საინფორმაციო-სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე წვდომა უპირველესი წინაპირობაა ციფრულ ვაჭრობაში ჩართვისთვის. ციფრულ ინფრასტრუქტურაში ინვესტიციები ხელს უწყობს სავაჭრო დანახარჯების შემცირებას და მის განვითარებას. ეს მიმართულება განვითარებადი ქვეყნებისთვისაა აქტუალური, ხოლო განვითარებული ქვეყნები განსაკუთრებით ზრუნავენ, რომ ისეთი რეგულაციები მოაწესრიგონ, როგორიცაა მომხმარებელთა უსაფრთხოება და მონაცემთა დაცვა.

მსოფლიო ვაჭრობის სტრუქტურულ-გეოგრაფიული ცვლილებების გავლენა სავაჭრო პოლიტიკაზე

ორმხრივი და რეგიონული თანამშრომლობის გაძლიერება არა მხოლოდ ციფრული ვაჭრობის სფეროში, არამედ საქონლითა და მომსახურებით ტრადიციულ ვაჭრობაში პოზიციების გაუმჯობესებას ისახავს მიზნად. მნიშვნელოვანი ტენდენციაა თავისუფალ ვაჭრობაზე ორიენტირებული პოლიტიკის ტრადიციული მიმართულებიდან, რაც ტარიფებისა და სავაჭრო ბარიერების მოხსნას გულისხმობს, გადასვლა კომპლექსურ მიმართულებაზე, როდესაც ვაჭრობის მრავალმხრივ დონეზე გაიოლების პარალელურად მიმდინარეობს რეგიონული თავისუფალი სავაჭრო (RTA) და საინვესტიციო შეთანხმებების გაფორმება, რომლებიც სულ უფრო მეტად ვითარდებიან „ღრმა“ ინტეგრაციის გზით. დღეს მსოფლიოში საშუალო სატარიფო განაკვეთი ყველა სახის საქონელზე გაანგარიშებით არის 7,54%. 1990 წელს ეს მაჩვენებელი 21,7% იყო. 2008-2016 წლებში საშუალო სატარიფო განაკვეთის ცვლილების დიაპაზონი 1%-ს არ აღემატებოდა, რაც ნიშნავს, ტარიფების განაკვეთები მნიშვნელოვნად არ შეცვლილა. ამდენად, საშინაო ბაზრის დაცვის ინსტრუმენტებად უმთავრესად არასატარიფო ზომები და რეგულაციები გამოიყენება. შესაბამისად, რეგიონული სავაჭრო შეთანხმებები სწორედ ამ ტიპის რეგულაციების შესუსტებას ახდენენ ვაჭრობის გაიოლების მიზნით. როდრიკი (Rodrik, 2018:.5) გამოყოფს ოთხ ძირითად სფეროს, რომლებიც ექცევა „ღრმა“ ტიპის სავაჭრო შეთანხმებების რეგულირების ქვეშ: ვაჭრობასთან დაკავშირებული ინტელექტუალური საკუთრება; კაპიტალის ნაკადების რეგულაციები; საინვესტიციო დავების გადაწყვეტა და სტანდარტების ჰარმონიზაცია. გარდა ამისა, სამუშაო ძალისა და გარემოსთან დაკავშირებული პოლიტიკის ღონისძიებების ჩართვისთვის საფუძველს ქმნის ის რეგიონული სავაჭრო შეთანხმებები, რომლებიც საქონელთან ერთად მომსახურებაზეც ვრცელდება.

2018 წლისთვის ვმო-ს მონაცემთა ბაზაში დაფიქსირებული ძალაში მყოფი რეგიონული სავაჭრო შეთანხმებების რაოდენობა 294 აღწევს. ამ შეთანხმებების ნახევარზე მეტი (150) მოიცავს როგორც საქონლით, ასევე, მომსახურებით ვაჭრობას, ხოლო 143 შეთანხმება მოიცავს მხოლოდ საქონელს. მათგან დაახლოებით ნახევარი განვითარებად ქვეყნებს შორისაა გაფორმებული. ევროკავშირი უდიდეს რეგიონულ სავაჭრო შეთანხმებას წარმოადგენს, რომელზეც მსოფლიო ვაჭრობის 1/3 მოდის, ხოლო ევროკავშირსა და NAFTA-ს შორის ვაჭრობა რეგიონთაშორის ვაჭრობაში უდიდეს წილს იკავებს. დღესდღეობით რეგიონული ინტეგრაციის ეკონომიკური შედეგების შეფასება ტრადიციულად მიღებული ვაჭრობის შექმნისა და ვაჭრობის შეჩერების ეფექტების მიხედვით არასაკმარისია, რადგან ინტეგრაცია, როგორც ინსტიტუტციური მოვლენა, მიმართულია იქითკენ, რომ ქვეყნების ეკონომიკური და ინსტიტუციური განვითარების დონეებში განსხვავებები აღმოიფხვრას. (Jamagidze, 2010).

როგორც ცხრილ 3-ში წარმოდგენილი მონაცემებიდან ჩანს, თითოეული სავაჭრო შეთანხმება სხვადასხვა ხარისხით ასტიმულირებს შიდარეგიონულ ექსპორტს. MERCOSUR-ის, COMESA-ის და ECOWAS-ის შემთხვევაში შიდარეგიონული სავაჭრო კავშირები უფრო სუსტია, ვიდრე დანარჩენ მსოფლიოსთან მათი ვაჭრობა. სავაჭრო პარტნიორის შერჩევის შესაძლებლობა რეგიონული შთანხმების ფარგლებში ქვეყნებს გარკვეულ მოქნილობას ანიჭებს, რომ შეინარჩუნოს შედარებითი ავტონომია და მათთვის პრიორიტეტული სავაჭრო პარტნიორების მიმართ განსხვავებული სავაჭრო რეჟიმები აამოქმედონ, ასევე, ეს შეთანხმებები ეროვნული ეკონომიკური მიზნების მიღწევის ინსტრუმენტად გამოიყენონ. ამით ქვეყნები მრავალმხრივი სავაჭრო სისტემის მოუქნელობის დაძლევას ცდილობენ.

ეკონომიკური დაცემის ან შენელებული ეკონომი-

ცხრილი 3. ზოგიერთი რეგიონული თავისუფალი სავაჭრო შეთანხმების ექსპორტი (პროცენტულად მთლიან ექსპორტში, 2016)

	EU	NAFTA	ASEAN	MERCOSUR	COMESA	ECOWAS
ექსპორტი გეოგრაფიული რეგიონის არაწევრ ქვეყნებთან	6	_	43	8	11	14
ექსპორტი რეგიონული შეთანხმების შიგნით	64	50	24	13	10	10
ექსპორტი დანარჩენ მსოფლიოში	30	50	33	79	79	78

წყარო: World Trade Statistical Review, WTO, 2018, p.74

კური ზრდის პირობებში აქტიურდება პროტექციონისტული მიმართულებები. აღსანიშნავია, რომ დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში სწორედ ასეთი შენელებული ზრდის ეტაპი დგას, ამასთან, პოლიტიკური პროცესების განვითარებაც პროტექციონიზმის გაძლიერებას უწყობს ხელს. მაგალითად, აშშ-ში ტრამპის არჩევის შემდეგ ევროპის ზოგიერთ ქვეყანაშიც გაძლიერდა პროეტქციონიზმის ღია მხარდაჭერის ტალღა (Rising Protectionism, Challenges, threats and Opportunities for Australia, 2017). პროტექციონიზმი ერთ-გვარ შენიღბულ სახეს იღებს, რათა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წესების პირდაპირი დარღვევა არ მოხდეს (Gamberoni & Newfarmer, 2017). ბევრია კონკრეტული მაგალითი, როცა გამოყენებული სავაჭრო ზომები გაუმართლებელ ბარიერებს ქმნის ვაჭრობაში. მაგალითად, ინდონეზიას იმპორტის ლიცენზირების მკაცრი მოთხოვნები აქვს და ზღუდავს იმ პორტების რაოდენობას, რომლის გავლითაც შეიძლება იმპორტი შევიდეს, ინდოეთი ამკაცრებს სტანდარტებს ჩინური სათამაშოების მიმართ, ჩინეთი ზღუდავს ესპანურ რძის პროდუქტებს; აშშ-მ 2018 წელს გაამკაცრა ტარიფები ფოლადსა და ალუმინზე. რაც შეეხება ევროკავშირს, კანადას, ინდოეთსა და თურქეთს, ვმო-ს ჩარჩოში ამკაცრებს ანტიდემპინგურ ზომებს და ცდილობს, შემოიღოს დროებითი ტარიფები დაცვითი ზომების შესახებ შეთანხმების მიხედვით. მიმდინარე სავაჭრო კონფრონტაციები არა მხოლოდ გლობალურ ვაჭრობას აფერხებს, არამედ სავაჭრო პოლიტიკასა და წესებზე ახდენს მნიშვნელოვან გავლენას. სავაჭრო დავები ორმხრივ დონეზე მიმდინარეობს და მათი გადაწყვეტის გზების ძიებაც ორმხრივი მოლაპარაკებების გზით ხდება. ეს მიუთითებს, რომ ქვეყნები მათთვის მწვავე სავაჭრო პრობლემების მრავალმხრივ დონეზე განხილვასთან შედარებით, ორმხრივ და რეგიონულ დონეს უფრო ეფექტურად მიიჩნევენ.

დიდი ქვეყნების სავაჭრო პოლიტიკა მნიშვნელოვნად მოქმედებს საერთაშორისო ბაზრებზე და დანარჩენი ქვეყნების სავაჭრო პოლიტიკაზე. მაგალითად, აშშ-ის პროტექციონისტულმა ნაბიჯმა BRICS-ის ქვეყნები (ბრაზილია, რუსეთი, ინდოეთი, ჩინეთი, სამხრეთ აფრიკა) აიძულა, ჩამოეყალიბებინა საერთო ხედვა და მისთვის საერთო საკითხები წარმოეჩინა მსოფლიო სავაჭრო სისტემის დღის წესრიგში (Chandran, 2018). განვითარებული ქვეყნები საქონლის მსოფლიო ექსპორტის ნახევარს და მომსახურების ექსპორტის 2/3-ს ახორციელებს, მაგრამ მისი შეფარდებითი წილი მსოფლიო მიწოდებაში იკლებს (UNCTAD, 2018). 2008-2016 წლებში მსოფლიო ვაჭრობის შემცირების მიუხედავად, BRICS-ის ქვეყნების იმპორტი და ექსპორტი იზრდებოდა. მსოფლიო ექსპორტში მათი წილი დაახლოებით 1/3-ს შეადგენს. მათი სავაჭრო კავშირები გაღრმავდა როგორც ურთიერთშორის, ისე სხვა მზარდ ბაზრებთან და განვითარებად ქვეყნებთან. 2018 წელს იოჰანესბურგის სამიტზე ამ ქვეყნებმა გამოთქვეს მზადყოფნა ვმო-ს მრავალმხრივი ჩარჩო-წესების შემდგომ განვითარებაში მიიღონ მონაწილეობა და განსაკუთრებული ყურადღება განვითარებადი ქვეყნების პრობლემებს დაუთმონ.

BRICS-ის ქვეყნების შესახებ ლიტერატურაში სამი ძირითადი მიმართულებაა აქტუალური: მათი როლი გლობალური სავაჭრო წესების ტრანსფორმაციაში; მათი სავაჭრო პოლიტიკა და გავლენა ვმო-ზე და BRICS-ის ქვეყნების პოლიტიკის კოორდინაცია და თანამშრომლობა. სამივე შემთხვევაში ამ ქვეყნებს აქვთ საკმარისი ძალაუფლება, რომ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენონ არსებული სავაჭრო წესები. ბრაზილიას, ჩინეთს და ინდოეთს, მიუხედავად მათი განსხვავებული სავაჭრო ინტერესებისა, მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა დოჰას რაუნდის მიმდინარეობაზე (Hopewell, 2017).

ღრმა ტიპის რეგიონული სავაჭრო შეთანხმებების გააქტიურებამ, შესაძლოა, შეამციროს ინსტიტუციური განსხვავებები რეგიონებს შიგნით და გაზრდოს რეგიონებს შორის. ამასთან, ახალი მოთამაშეების როლის გაძლიერება და განვითარებად ქვეყნებს შორის დიფერენციაციის ზრდა აუცილებლად საჭიროებს, რომ სავაჭრო წესებმა ასახოს გლობალური ვაჭრობის როგორც სტრუქტურული, ისე მონაწილეთა ეკონომიკური მოდელებიდან გამომდინარე მრავალფეროვნება.

დასკვნა

სავაჭრო წესები, რომლებიც, არეგულირებდა საქონლისა და მომსახურების ტრადიციულ ნაკადებს, ციფრული ვაჭრობის პირობებშიც გამოყენებადია, მაგრამ დღეს ისინი საინფორმაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნებულ მოქნილ ბიზნეს-მოდელებთან ადაპტაციას საჭიროებს. ეს პროცესი, ციფრული ვაჭრობის განვითარების ტემპთან შედარებით, ნელა მიმდინარეობს.

სავაჭრო პოლიტიკა სულ უფრო კომპლექსური ხდება, რადგან ის აღარ შემოიფარგლება კლასიკური სავაჭრო ინსტრუმენტების გამოყენების მიზანშეწონილობის საკითხით, არამედ მოიცავს რეგიონულ სავაჭრო და საინვესტიციო შეთანხმებების ფარგლებში ვაჭრობის რეგულირებას, სტანდარტებთან და ყველა სხვა სახის არასატარიფო ზომასთან დაკავშირებულ პოლიტიკას, მომსახურების ბაზრებისა და ინტელექტუალური საკუთრების ბაზრების რეგულირებას, მდგრადი განვითარების მიზნების ხელშეწყობას და სხვა. საქმე ისაა, რომ მრავალმხრივი სავაჭრო სისტემის მოუქნელობით გამოწვეული ხარვეზების გამოსწორებას ქვეყნები ორმხრივი და რეგიონული სავაჭრო თანამშრომლობის გააქტიურებით ცდილობენ. მისი ერთ-ერთი მიმართულება რეგულაციების ჰარმონიზაციაა, რათა სტანდარტებისა და სხვა არასატარიფო ზომების, როგორც სავაჭრო ბარიერების ეფექტების მინიმიზება მოხდეს. ამ შემთხვევაში დგება ვაჭრობიდან მოგებისა და ეროვნული ეკონომიკური მიზნების დაბალანსების პრობლემა, რადგან ქვეყნების კონკურენციამ

სავაჭრო რეგულაციების შემცირებაში შეიძლება მათი სხვა ეკონომიკური მიზნები დააზიანოს.

ჩინეთის, ინდოეთისა და სხვა განვითარებადი ქვეყნების როლი მსოფლიო ვაჭრობაში იზრდება, შესაბამისად, ვიღებთ მსოფლიო ბაზარს, სადაც მრავალი, ურთიერთგანსხვავებული ეკონომიკური მოდელის მქონე აქტორია წარმოდგენილი. მათი თავისებურებების გათვალისწინების გარეშე მრავალ–მხრივი სავაჭრო პოლიტიკა ვერ უზრუნველყოფს კოორდი–ნირებული და წესებზე დაფუძნებული სავაჭრო წესრიგის უპირატესობების განხორციელებას (პროტექციონიზმის შე–მცირება, ღიაობა, პროგნოზირებადობა და სხვა).

ლიტერატურა/REFERENCES

European Commission. (2019). Association Implementation Report on Georgia. https://eeas.europa.eu/sites/eeas/files/2019_association_implementation_report_georgia_.pdf

Jamagidze, L. (2010). *The role of transnational corporations in the process of globalization of the world economy.* Tbilisi, Universali (in Georgian)

Jamagidze, L. (2019). Import of institutions in the field of Georgia-EU relations. *Economics and Business*, #3, 199-216.

Chandran, Nyshka. (2018). The World's Major Emerging Economies Could End up Benefitingfrom Global Trade Tensions. https://www.cnbc.com/2018/07/25/brics-could-benefit-from-global-trade-tensions.html

Gamberoni, E., & Newfarmer, R. (2017). *Trade protection: Incipient but Worrisome Trends, The Collapse of Global Trade, Murky Protectionism, and the Crisis: Recommendations for the G20, Edited by Baldwin, R. and Evenett*

Goldberg, P. K. (2019). *The Future of Trade. Policy can play a role in shaping the future of the ailing multilateral trade system.* https://www.imf.org/external/pubs/ft/fandd/2019/06/pdf/the-future-of-global-trade-goldberg.pdf

Hopewell & Kristen. (2017). The BRICS-Merely a Fable? Emerging Power Alliances in Global Trade Governance. *International Affairs* 93(6):1377-96

International Trade Centre (2017). BRICS countries: *Emerging players in global services trade.* ITC, Geneva.

Productivity Commision. (2017). Rising Protectionism, Challenges, threats and Opportunities for Australia, *Research Paper*

Rodrik & Dani. (2018). What Do Trade Agreements Really Do? *Working Paper* 24344 http://www.nber.org/papers/w24344

UNCTAD, (2015). *Technical Notes on ICT for Development*, No. 7. Geneva.http://unctad.org/en/PublicationsLibrary/tn_unctad_ict4d07_en.pdf

United Nations Conference on Trade and Development (UNCTAD) (2017): *Information Economy Report: Digitalization, Trade and Development.*

UNCTAD, (2016). *B2C E-commerce Index.*

UNCTAD. (2018), *Key statistics and Trends in International Trade*

World Bank. (2019). *World Development Indicators*

WTO. (2018). *World Trade Report 2018*

WTO. (2018). *World Trade Statistical Review*

განათლება, ტექნოლოგიები, ინფორმაცია, კომუნიკაცია და ტურიზმი გლობალიზაციის პირობებში

EDUCATION, TECHNOLOGIES, INFORMATION, COMMUNICATION AND TOURISM IN TERMS OF GLOBALIZATION

JEL Classification: F63 https://doi.org/10.35945/gb.2020.10.029

PERSPECTIVES OF SUSTAINABLE DEVELOPMENT AND SUSTAINABLE BUSINESS MODELS IN THE POST-COVID ERA

IA NATSVLISHVILI
PhD in Economics, Associate Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia
ia.natsvlishvili@tsu.ge

Abstract. The article assesses the perspectives of achieving sustainable development goals and implementation of sustainable business models in Post-Covid era. Challenges created by the novel corona virus (Covid-19) pandemic have been analyzed in the context of sustainable development using desk research method and qualitative content analysis. Pandemic crisis gradually develops into a «triple wave» crisis: 1) pandemic shock and public health crisis; 2) a stronger shock of economic global mega-recession, 3) an even more powerful ecological crisis caused by climate change and declining biodiversity might be emerge.

According to the Organization for Economic Cooperation and Development (OECD) the total «lockdown» of economy caused by pandemic leads to a reduction of almost one-third of the gross domestic product (GDP) in the world›s leading economies. Each month of economic "lockdown" causes a 2% loss of annual GDP. If some sectors of the economy can only be partially «locked down», then the initial reduction in GDP in most leading economies will be 20% -25%. According to the World Bank pandemic and "lockdown" of world's leading economies could push to extreme poverty more than 60 million people and eliminate all the results achieved in the past years in poverty eradication.

Achieving sustainable development goals and implementation of sustainable business models might stay away from attention. In the future the frequency of pandemics will increase if humanity does not stop destroying nature. It is known that among mammals and water birds 1.7 million unknown viruses are inhabited that could be transmitted to human beings. Unrestrained deforestation, agrarian expansion, and infrastructure creation bring humans closer to these mammals and birds.

The pandemic situation is causing changes in the socio-political context. There are signs of politicization in the fight against corona virus-phenomena called infodemia and covidism. We observe excessive bans introduced by governments, restrictions on international trade, calls for protectionism, propaganda of nationalism, attempts to introduce authoritarianism, violation of fundamental human rights, attempts to spread mass fear and hysteria through the media.

The article evaluates two alternative scenarios for socio-economic development of post-pandemic period. In the current global mega-recession markets are changing radically, in the face of growing uncertainty firms are trying to adapt to new conditions. On the front line the «big» state appears, which acts as a leader in dealing with the pandemic and restoring the economy. In the Post-Covid era, a «new normal» situation is expected to emerge, which can develop in two possible directions. Undesirable direction is reduction of public services, ecological crisis caused by climate change, nationalism, autocracy. The preferred direction of development is more internationalization, new paradigms of business management, investments oriented on sustainable development, implementation of sustainable business modes, a new green deal and democracy. In order to reduce the risks of future pandemics, in the Post-Covid period a stimulus policy should be concentrated on the protection of human life and healthcare, provision of livelihoods, nature conservation and protection.

KEYWORDS: COVID-19, SUSTAINABLE DEVELOPMENT, SUSTAINABLE BUSINESS MODELS, ECONOMIC RESECTION, PANDEMICS, COVIDISM, INFODEMIA.

For citation: Natsvlishvili, I., (2020). Perspectives of Sustainable Development and Sustainable Business Models in the Post-Covid Era. *Globalization and Business, 10.* 227-232. (In Georgian) https://doi.org/10.35945/gb.2020.10.029

JEL Classification: F63 https://doi.org/10.35945/gb.2020.10.029

მდგრადი განვითარების და მდგრადი ბიზნეს მოდელის პერსპექტივები პოსტკოვიდურ ეპოქაში

ია ნაცვლიშვილი

ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ასოცირებული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
ia.natsvlishvili@tsu.ge

საკვანძო სიტყვები: მდგრადი განვითარება, მდგრადი ბიზნეს მოდელები, ეკონომიკური რეცესია, კოვიდ 19, პანდემია, ინფოდემია, კოვიდიზმი.

ციტირებისთვის: ნაცვლიშვილი ი. (2020). მდგრადი განვითარების და მდგრადი ბიზნეს მოდელის პერსპექტივები პოსტკოვიდურ ეპოქაში. *გლობალიზაცია და ბიზნესი, №10*, გვ. 227-232. https://doi.org/10.35945/gb.2020.10.029

შესავალი

პანდემია თანამედროვეობის უდიდესი გამოწვევაა. იგი საფრთხეს უქმნის მილიონობით ადამიანის ჯანმრთელობას, იწვევს უპრეცედენტო გლობალურ ეკონომიკურ მეგარეცესიას და გაურკვევლობას. მსოფლიო ბანკის შეფასებით მიმდინარე წელს 2019 წელთან შედარებით გლობალური ეკონომიკა შემცირდება 4,2 ტრილიონი დოლარით, ხოლო 2021 წლისთვის – 7,5 ტრილიონი დოლარით. ეს მაჩვენებელი წარმოადგენს აშშ-ს მთელი ეკონომიკის 40%-ს და უფრო მეტია, ვიდრე ერთად აღებული ლათინური ამერიკის, კარიბის ზღვის კუნძულების, შუა აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის მთლიანი სამამულო პროდუქტი (Trotsenburg, 2020).


ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) პროგნოზით, იმ შემთხვევაში თუ ვირუსის შეკავების პოლიტიკით დაწესებული შეზღუდვები შემსუბუქდება და 2020 წლის მეორე ნახევარში დაუბრუნდება ნორმალურ ვითარებას, მაშინ EBRD-ის რეგიონების ეკონომიკები 2020 წელს შემცირდება საშუალოდ 3,5%-ით და 2021 წელს დაიწყებს აღდგენას საშუალოდ 4,8%-იანი წლიური ზრდის ტემპით. ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლის ცვლილება 2019 წლის ნოემბრიდან დღემდე ნავარაუდევია -6,5% (Williams, 2020). საქართველოში 2020 წელს მოსალოდნელია შემცირება -5,5%, 2021 წელს აღდგენა 5,5%-ით, ხოლო 2020 წელს წინა წელთან შედარებით ცვლილება შეადგენს -10% (EBRD, 2020).

კვლევის მიზანი და კვლევის მეთოდოლოგია: კვლევის მიზანია ახალი კორონა ვირუსის (კოვიდ19) პანდემიით მდგრადი განვითარებისთვის შექმნილი გამოწვევების გამოკვეთა, პოსტკოვიდურ ეპოქაში მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევის და მდგრადი ბიზნეს მოდელების დანერგვის პერსპექტივების შეფასება. კვლევა შესრულებულია სამაგიდო კვლევისა და თვისებრივი კონტენტ-ანალიზის მეთოდების გამოყენებით.

კვლევის შედეგების ანალიზი და დისკუსია

მსოფლიოში უმწვავესი რეცესიის თავიდან აცილება შეუძლებელია იმ მიზეზის გამო, რომ ჯერ კიდევ გრძელდება პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლა. არანაკლები მნიშვნელობის ამოცანას წარმოადგენს უმოკლეს დროში ეკონომიკის აღდგენა. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) შეფასებით, პანდემით გამოწვეული ეკონომიკის „გაჩერება" (lockdown) პირდაპირ გავლენას ახდენს ეკონომიკის თითოეულ სექტორზე და იწვევს მთლიანი სამამულო პროდუქტის თითქმის ერთი მესამედით შემცირებას მსოფლიოს წამყვან ეკონომიკებში (G20-ის ქვეყნები). „გაჩერების" თითოეული თვე იწვევს წლიური მშპ-ის 2%-იან დანაკარგს. მხოლოდ ტურიზმის სექტორში მოსალოდნელია გამოშვების მთლიანი მოცულობის 70%-იანი კლება (OECD, 2020a). დიაგრამა 1 გვიჩვენებს ცალკეული ეკონომიკის სექტორების შემცირების სავარაუდო სცენარს G7-ის ქვეყნებში. სცენარი ეყრდნობა ქვეყნების მთელი ეკონომიკის, და არა მათი ცალკეული რეგიონების „გაჩერების" დაშვებას. ყველა ქვეყანაში ნავარაუდევია ტრანსპორტის, წარმოების და პერსონალური სერვისების სრული შეწყვეტა, მშენებლობისა და პროფესიული სერვისების ერთი მეორედით, ხოლო ყველა იმ სხვა დანარჩენ სექტორში გამოშვების სამი მეოთხედით კლება, რომლებზეც ეკონომიკის სრული „გაჩერება" პირდაპირ გავლენას ახდენს. აღსანიშნავია, რომ ამ სავარაუდო სცენარიდან მეტ-ნაკლებად განსხვავებული იქნება რეალური ვითარება ცალკეულ ქვეყანაში პანდემიის შეკავების მიზნით განხორციელებული კონკრეტული ღონისძიებების მიხედვით (OECD, 2020a).

დიაგრამა 1. საქმიანობის სრული ან ნაწილობრივი „გაჩერების“ პოტენციური საწყისი გავლენა G7-ის ქვეყნების ეკონომიკაზე



წყარო: Organisation for Economic Co-operation and Development. http://www.oecd.org/newsroom/oecd-updates-g20-summit-on-outlook-for-global-economy.htm

თუ მოხერხდება ეკონომიკის ზოგიერთი სექტორის მხოლოდ ნაწილობრივი „გაჩერება“ და დავუშვებთ, რომ „გაჩერების“ მსგავსი დონე შენარჩუნდება ყველა ქვეყანაში, მაშინ მთლიან სამამულო პროდუქტზე თავდაპირველი პირდაპირი დარტყმა წამყვანი ეკონომიკების უმრავლესობაში იქნება 20%-25%. ამასთან, მთლიანი სამამულო პროდუქტის წლიური ზრდა დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რამდენ ხანს გაგრძელდება ამკრძალავი ღონისძიებები. საშუალოდ, ეკონომიკის სხვადასხვა სექტორებში მოსალოდნელია გამოშვების მთლიანი მოცულობის 30-40%-იანი შემცირება (OECD, 2020b). აღსანიშნავია, რომ მთლიანად OECD-ის ქვეყნებში, მიმდინარე კრიზისის ფონზე მკვეთრად შემცირებულია მომხმარებლის ნდობის (CCI) და ბიზნესის ნდობის (BCI) ინდექსები, ასევე მკვეთრად შემცირებულია შედგენილი მთავარი ინდიკატორის (CLI) მაჩვენებელიც (OECD, 2020c).

პანდემია განსაკუთრებულ საფრთხეს უქმნის უღარიბეს ქვეყნებს სასურსათო უსაფრთხოების კუთხით, რადგან სურსათის იმპორტირება უწევთ იმ პირობებში, როცა ეცემა მათი ეროვნული ვალუტის კურსი, მცირდება შემოსავლები, რთულდება სურსათის ქვეყანაში შეტანა მის ექსპორტირებაზე შეზღუდვებისა და მიწოდების ჯაჭვის მოშლის გამო. მსოფლიო ბანკის შეფასებით, პანდემიამ და წამყვანი ეკონომიკების ე.წ. „გაჩერებამ“ შესაძლოა გამოიწვიოს 60 მილიონზე მეტი ადამიანის უკიდურესი სიღარიბე. ეს ფაქტი წარმოადგენს სიღარიბის აღმოფხვრის მიმართულებით უახლოეს წლებში მიღწეული ყველა შედეგის ნიველირებას (The World Bank, 2020a).

ქვეყნები მიმართავენ ექსტრაორდინალურ სტრატეგიებს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის, კეთილდღეობისთვის მიყენებული ზიანის შემცირების, ეკონომიკური კრიზისის დაძლევისა და პოსტ-კრიზისულ პერიოდში ეკონომიკის გრძელვადიანი აღდგენის უზრუნველსაყოფად. ასევე, საერთაშორისო ორგანიზაციები ახორციელებენ კონკრეტულ პროექტებს ქვეყნების დასახმარებლად პანდემიით გამოწვეული სიძნელეების დასაძლევად.

პანდემიის გამოწვევის საპასუხოდ მსოფლიო ბანკის მიერ შემუშავებული პოლიტიკის პრიორიტეტები გულისხმობს: სურსათის, აგრარული რესურსებისა და მუშახელის მოძრაობისთვის ხელშეწყობას, უღარიბესი და ყველაზე მეტად მოწყვალდი ჯგუფების სოციალური დაცვის პროგრამების განხორციელებას, საშუალო ვადიან პერიოდში გრძელვადიანი მედეგობისა და პრევენციის უზრუნველმყოფელი პირობების შექმნას ე.წ. „ერთიანი ჯანმრთელობის“ მიდგომის გამოყენებით უღარიბესი ქვეყნების ჩათვლით, ექსპორტის შეზღუდვებისგან თავშეკავებას, იმპორტზე არააუცილებელი ბარიერების დაწესებისა და არასაჭირო მარაგების შექმნის თავიდან აცილებას (The World Bank, 2020b). შესაბამისად, კრიზისის დაძლევისა და ეკონომიკის აღდგენის საპასუხო ღონისძიებათა ნაკრები მოიცავს ღონისძიებებს, რომელიც მიმართულია: ადამიანთა სიცოცხლის გადარჩენაზე, უღარი-

ბესი და ყველაზე მეტად მოწყვლადი ჯგუფების დაცვაზე, ბიზნეს-აქტივობისა და სამუშაო ადგილების შენარჩუნებაზე, შოკების მიმართ მედეგი, მოქნილი ეკონომიკის შექმნაზე.

მიმდინარე პანდემიით შექმნილი მწვავე ეკონომიკური კრიზისის ფონზე შეიძლება ყურადღების მიღმა დარჩეს მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევა და მდგრადი ბიზნეს მოდელების დანერგვა. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 193 წევრმა ქვეყანამ 2015 წლის 25 სექტემბერს მიაღწია უპრეცენდენტო შეთანხმებას მდგრადი განვითარების დოკუმენტზე „ჩვენი სამყაროს გარდაქმნა: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისათვის", რომელიც მოიცავს 17 მიზანს და 169 ამოცანას (United Nations, 2020).

მდგრადი განვითარების მიზნები (იხ. ცხრილი 1) ეფუძნება მდგრადი განვითარების სამ ურთიერთდაკავშირებულ ელემენტს: ეკონომიკური ზრდა, სოციალური ინკლუზია და გარემოს დაცვა. თანამედროვე პანდემია სამივე ამ ელემენტზე უკიდურესად მძიმე გავლენას ახდენს: იწვევს ღრმა გლობალურ ეკონომიკურ რეცესიას, ამწვავებს უთანასწორობისა და სიღარიბის პრობლემას, საფრთხეს უქმნის გარემოსდაცვით ღონისძიებებზე ძალისხმევის კონცენტრაციას.

მდგრადი განვითარების მიზნებთან თანხვედრაშია გარემოსდაცვითი შესრულების ინდექსი (EPI), რომელიც გვიჩვენებს მდგრადი განვითარების არსებულ სიტუაციას მსოფლიოში. იგი ახდენს 180 ქვეყნის შეფასებასა და რანჟირებას მდგრადი განვითარების ორი მიმართულებით–სიჯანსაღის/ჯანმრთელობის დაცვისა და ეკოსისტემის სიცოცხლისუნარიანობის კუთხით. გარემოსდაცვითი შესრულების ინდექსით (გში) წარმოადგენს პრობლემების განსაზღვრის, მიზნების დასახვის, ტენდენტიების დადგენის, დამდგარი შედეგების ახსნის და საუკეთესო პრაქტიკის იდენტიფიცირების ინსტრუმენტს. ინდექსი საშუალებას იძლევა, მოხდეს გარემოსდაცვის კუთხით არასაკმარისი ძალისხმევის იდენტიფიცირება და მეგზურობის გაწევა პოლიტიკის შემმუშავებლებისთვის. მსოფლიოში გში–ს მიხედვით ქვეყნების რანჟირების პირველ ათეულში ევროპული სახელმწიფოები იკავებენ მოწინავე პოზიციებს (World Economic Forum, 2020a).

გარემოსდაცვითი შესრულების ინდექსით გარემოს სიჯანსაღისა და ეკოსისტემის სიცოცხლისუანრიანობის კუთხით ფასდება ქვეყნების მდგომარეობა გარემოს დაცვის 11 სფეროში. ამ პროცესში გამოიყენება 32 ინდიკატორი (ჰაერის ხარისხი, წყლის რესურსები, ბიომრავალფეროვნება, სანიტარული ნორმები, კლიმატი და ენერგოპოლიტკა, მოსახლეობის ჯანმრთელობა და სხვ.) და ფასდება, რამდენად შეესაბამება კონკრეტული ქვეყნის პოლიტიკა საერთაშორისო დონეზე მიღებულ სტანდარტებს. 2020 წელს გში–ს დაემატა ისეთი ახალი ინდიკატორები, რომელიც ზომავს ნარჩენების მართვას, მიწის საფარის ცვლილებით გამოწვეულ ნახშირბადის დიოქსიდის გამოფრქვევას და შავი ნახშირბადის ემისიას. სამივე ამ ფაქტორს მნიშვნელოვანი როლი აქვს კლიმატის ცვლილების გამოწვევაში (Yale Center for Environmental Law and Policy, 2020). გარემოსდაცვითი შესრულების ინდექსის შესახებ 2020 წლის ანგარიშში შეფასებულია მსოფლიოს 180 ქვეყანა, სადაც საქართველო 41.3 ქულით 102–ე ადგილს იკავებს (Environmental Performance Index, 2020a). გარემოს დაცვის პოლიტიკასთან მიმართებით საქართველო ჩამორჩება რეგიონის ქვეყნებს და მათთან შედარებით დაბალი ეფექტურობით ხასიათდება (Environmental Performance Index, 2020b). როგორც ცხრილი 2–დან ჩანს, საქართველოს გარემოს დაცვის კუთხით სამეზობლოში ერთ–ერთი ყველაზე უარესი მაჩვენებლები აქვს და, მაგალითად, მეზობელ სომხეთს რანჟირებაში ჩამორჩება 49 პუნქტით.

ახალი კორონა ვირუსით (კოვიდ–19) გამოწვეულმა პან–

ცხრილი 1. მდგრადი განვითარების მიზნები

მდგრადი განვითარების მიზნები			
მიზანი 1	სიღარიბის აღმოფხვრა	**მიზანი 10**	შემცირებული უთანასწორობა
მიზანი 2	ნულოვანი შიმშილი	**მიზანი 11**	მდგრადი ქალაქები და დასახლებები
მიზანი 3	ჯანმრთელობა და კეთილდღეობა	**მიზანი 12**	პასუხისმგებლიანი მოხმარება და წარმოება
მიზანი 4	ხარისხიანი განათლება	**მიზანი 13**	მოქმედება კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ
მიზანი 5	გენდერული თანასწორობა	**მიზანი 14**	წყალქვეშა ეკოსისტემა
მიზანი 6	სუფთა წყალი და სანიტარია	**მიზანი 15**	მიწის ეკოსისტემა
მიზანი 7	ხელმისაწვდომი და უსაფრთხო ენერგია	**მიზანი 16**	მშვიდობა, სამართლიანობა და ძლიერი ინსტიტუციები
მიზანი 8	ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა	**მიზანი 17**	თანამშრომლობა საერთო მიზნებისთვის
მიზანი 9	მრეწველობა, ინვოაცია და ინფრასტრუქტურა		

წყარო: გაერთიანებული ერების ორგანიზაცია

ცხრილი 2. გარემოსდაცვითი შესრულების ინდექსი საქართველოსა და მეზობელ ქვეყნებში

ქვეყანა	ადგილი გში რანჟირებაში	გში ქულა	10 წლიანი ცვლილება (%)
საქართველო	102	41,3	-1,3
თურქეთი	99	42,6	2,1
აზერბაიჯანი	72	46	4
რუსეთი	58	50, 5	3,9
სომხეთი	53	52,3	4,5

წყარო: იელის გარემოსდაცვითი სამართლისა და პოლიტიკის ცენტრი.

დემიამ კიდევ უფრო თვალსაჩინო გახადა მსოფლიოს ყველა ქვეყნის მძლავრი ურთიერთდამოკიდებულება, მდგრად და მედეგ სოციალურ-ეკონომიკური განვითარებაში ინვესტიციების განხორციელების მნიშვნელობა. მიმდინარე პანდემიით შექმნილი მწვავე ეკონომიკური კრიზისი არამხოლოდ საფრთხეებს უქმნის მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევასა და მდგრადი ბიზნეს მოდელების დანერგვას, არამედ წარმოშობს შესაძლებლობას, ხელახლა გავიაზროთ და ახლებურად წარვმართოთ ძალისხმევა მათ მისაღწევად. სწორედ მსგავსი პრობლემური საკითხების განსასჯელად 2021 წლის იანვარში დავოსში (შვეიცარია) უკვე დაგეგმილია მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ უნიკალური წყვილი სამიტის მოწვევა, რომლის თემატიკაა ე.წ. „დიდი გადატვირთვა". „დიდი გადატვირთვა" არის ვალდებულების აღება, უფრო სამართლიანი, მდგრადი და მედეგი მომავლის უზრუნველსაყოფად ერთობლივად და საჩქაროდ მომზადდეს ჩვენი ეკონომიკური და სოციალური სისტემის საფუძვლები. იგი საჭიროებს ახალ სოციალურ კონტრაქტს, რომელიც ორიენტირებული იქნება ადამიანის ღირსებასა და, სოციალურ სამართლიანობაზე, როცა ეკონომიკური განვითარების მიღმა არ დარჩება სოციალური პროგრესი (World Economic Forum, 2020b).

მომავალი გლობალური საფრთხე კლიმატისა და ბიომრავალფეროვნების ცვლილებით გამოწვეული კრიზისი შეიძლება აღმოჩნდეს. კლიმატისა და ბიომრავალფეროვნების უკონტროლო ცვლილებებმა შესაძლოა, გასულ ათწლეულებში განვითარებით მიღწეული სარგებლის სრული ნიველირება მოახდინოს და შეუძლებელი გახადოს მომავალი წარმატებები განვითარებაში. ექსპერტების აზრით, მომავალში პანდემიების სიხშირე გაიზრდება, თუ კაცობრიობა არ შეწყვეტს ბუნების განადგურებას. ცნობილია, რომ ძუძუმწოვრებსა და წყლის ფრინველებში ადამიანზე გადამდები 1,7 მილიონი უცნობი ვირუსი ბინადრობს. შეუკავებელი გაუტყეურება, აგრარული ექსპანსია და ინფრასტრუქტურის შექმნა ადამიანს აახლოებს ამ ცხოველებსა და ფრინველებთან.

პანდემიური ვითარება იწვევს არა მხოლოდ ეკონომიკურ კრიზისს, არამედ ცვლილებებს სოციალურ-პოლიტიკურ ჭრილშიც. ხშირია მთვრობების მხრიდან პანდემიასთან ბრძოლის ეგიდით ზეჭარბი ამკრძალავი ღონისძიებების გამოყენება, საერთაშორისო ვაჭრობის შეზღუდვა, უცხოურისა და უცხოელების მიმართ სხვადასხვა ფობიების გაჩენა, პროტექციონიზმისკენ მოწოდებები, ნაციონალიზმის პროპაგანდა, ავტორიტარიზმისკენ მისწრაფება, ადამიანის ფუნდამენტური უფლებების უაპელაციო დარღვევა. არცთუ იშვიათად ადგილი აქვს პანდემიის შიშით მთავრობებისთვის ჭარბი ძალაუფლების გადაცემას საგანგებო მდგომარეობის საბაბით, მასმედიის საშუალებებით მასობრივი შიშისა და ისტერიის დათესვის მცდელობას. ზოგჯერ სახეზეა კორონავირუსთან ბრძოლის პოლიტიზაციის ნიშნები. ასეთი ტენდენციები ექსპერტების მიერ შეფასებულია, როგორც ინფოდემია და კოვიდიზმი.

დასკვნები და რეკომენდაციები

კოვიდპანდემიით შექმნილი კრიზისი თანდათან ფორმირდება „სამმაგი ტალღის" ბუნების მქონე კრიზისად, სადაც პანდემიურ შოკსა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის კრიზისს (პირველ ტალღა) მოსდევს ეკონომიკური მეგარეცესიის უფრო ძლიერი შოკი (მეორე ტალღა), რომელსაც მომავალში, შესაძლოა, მოჰყვეს კლიმატის ცვლილებითა და ბიომრავალფეროვნების შემცირებით გამოწვეული კიდევ უფრო მძლავრი ეკოლოგიური კრიზისი.

პოსტპანდემიური პერიოდისთვის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ორი ალტერნატიული სცენარის შესაძლებლობა განიხილება. მიმდინარე გლობალური მეგარეცესიის პირობებში ბაზრები რადიკალურად იცვლება, მზარდი გაურკვევლობის პირობებში ფირმები ცდილობენ ახალ პირობებთან ადაპტირებას, წინა ხაზზე გამოდის „დიდი" სახელმწიფო, რომელიც ასრულებს ლიდერის ფუნქციას პანდემიასთან გამკლავებასა და ეკონომიკის აღდგენაში. პოსტკოვიდურ ეპოქაში მოსალოდნელია შეიქმნას „ახალი ნორმალური" ვითარება, რომელიც ორი შესაძლო მიმართულებით შეიძლება განვითარდეს. არასასურველი მიმართულებაა ნაციონალიზმი, საჯარო სერვისების შემცირება,

კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ეკოლოგიური კრიზისი, აუტოკრატია. განვითარების სასურველი მიმართულებაა უფრო მეტი ინტერნაციონალიზაცია, ბიზნესის მართვის ახალი პარადიგმები და მდგრად განვითარებაზე ორიენტირებული ინვესტიციები, ახალი მწვანე შეთანხმება, დემოკრატია.

პოსტკოვიდურ ეპოქაში სოციალურ–ეკონომიკური განვითარების სასურველი მიმართულებით წარმართვის თვალსაზრისით ამჟამინდელი კრიზისი ქმნის შესაძლებლობას, მთავრობებმა პოსტკრიზისულ პერიოდში ეკონომიკის აღდგენის ხელშემწყობ ღონისძიებებში უფრო მეტი აქცენტი გააკეთონ მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევასა და მდგრადი ბიზნეს მოდელების დანერგვის ხელშეწყობაზე. მომავალი პანდემიების რისკების შემცირების მიზნით პოსტკოვიდურ პერიოდში მასტიმულირებელი პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს ადამიანის სიცოცხლის დაცვასა და ჯანმრთელობის უსაფრთხოებაზე, საარსებო საშუალებების უზრუნველყოფაზე, ბუნების შენარჩუნებასა და გაფრთხილებაზე.

არჩევანი უნდა გაკეთდეს მდგრადი და ინკლუზიური განვითარების სასარგებლოდ. ამიტომ ბიზნეს მოდელები უნდა ითვალისწინებდეს მდგრადი განვითარების მიზნებს. მდგრადი ბიზნეს მოდელების შეთავაზება კერძო სუბიექტებისთვის წარმატების წინაპირობა და, ამასთანავე, მომავალში მსგავსი კრიზისების პრევენციის ბერკეტი იქნება.

REFERRENCES

Environmental Performance Index 2020 (2020a). [online] https://epi.yale.edu/epi-results/2020/country/geo). Accessed on May 20, 2020.

Environmental Performance Index 2020 (2020b). [online] https://epi.yale.edu/epi-results/2020/component/epi). Accessed on May 20, 2020.

European Bank for Reconstruction and Development (2020). *Regional Economic Prospects in the EBRD Regions*. May 2020 update. Covid-19: From shock to recovery. [online] https://www.ebrd.com/what-we-do/economic-research-and-data/rep.html Accessed on May 20, 2020.

Organisation for Economic Co-operation and Development (2020a). *OECD* updates G20 summit on outlook for global economy. 27/03/2020 - Updated 15 April 2020. [online] http://www.oecd.org/newsroom/oecd-updates-g20-summit-on-outlook-for-global-economy.htm) Accessed on May 20, 2020.

Organisation for Economic Co-operation and Development (2020b). *Evaluating the initial impact of COVID-19 containment measures on economic activity.* Updated 10 June 2020. [online] https://read.oecd-ilibrary.org/view/?ref=126_126496-evgsi2gmqj&title=Evaluating_the_initial_impact_of_COVID-19_containment_measures_on_economic_activity Accessed on June 20, 2020.

Organisation for Economic Co-operation and Development (2020c). *Main Economic Indicators.*, Vol. 2020, Issue 6, June [online] https://read.oecd-ilibrary.org/economics/main-economic-indicators/volume-2020/issue-6_06aa372c-en#page5 Accessed on June 20, 2020.

The United Nations, Georgia (2020). *Sustainable Development Goals*. [online] https://georgia.un.org/sdgs#.XsqYmkQzbIU Accessed on May 10, 2020.

The World Bank (2020a). *World Bank Group: 100 Countries Get Support in Response to COVID-19* (Coronavirus)., 19 May, 2020. [online] https://www.worldbank.org/en/news/press-release/2020/05/19/world-bank-group-100-countries-get-support-in-response-to-covid-19-coronavirus?cid=ECR_E_NewsletterWeekly_EN_EXT&deliveryName=DM65219 Accessed on May 20, 2020.

The World Bank (2020b). Statement by Mari Pangestu, Managing Director for Development Policy and Partnerships, *The World Bank at the Virtual Meeting of G20 Agriculture Ministers.* April 21, 2020. [online] https://www.worldbank.org/en/news/speech/2020/04/21/statement-by-mari-pangestu-managing-director-for-development-policy-and-partnerships-the-world-bank-at-the-virtual-meeting-of-g20-agriculture-ministers Accessed on May 20, 2020.

Trotsenburg, A. V., (2020) *Broad, fast action to save lives and help countries rebuild.* 06 May, 2020. [online] https://blogs.worldbank.org/voices/broad-fast-action-save-lives-and-help-countries rebuild?cid=ECR_E_NewsletterWeekly_EN_EXT&deliveryName=DM63224 Accessed on May 20, 2020.

Williams, A. (2020). *EBRD economies seen contracting by 3.5 per cent in 2020*, 4.8 per cent rebound in 2021. 13 May, 2020 [online] (https://www.ebrd.com/news/2020/ebrd-economies-seen-contracting-by-35-per-cent-in-2020-48-per-cent-rebound-in-2021.html Accessed on June 20, 2020.

World Economic Forum (2020a). *This is the state of sustainability around the world.* 12 June, 2020. [online] https://www.weforum.org/agenda/2020/06/chart-of-the-day-this-is-the-state-of-sustainability-around-the-world?fbclid=IwAR0VN0ziYsATwDwSMhCU2IzXVzm8IFRy58tUpsRYWcnk-0n6hIBCtZf_hbw Accessed on June 20, 2020.

World Economic Forum (2020b). *The Great Reset: A Unique Twin Summit to Begin 2021.* [online] https://www.weforum.org/great-reset/about (Accessed on June 30, 2020).

Yale Center for Environmental Law and Policy (2020). *Environmental Performance Index 2020.* [online] https://envirocenter.yale.edu/2020-environmental-performance-index (Accessed on June 20, 2020).

JEL Classification: J23, J24, O33, O38, O43 https://doi.org/10.35945/gb.2020.10.030

ACCELERATED AUTOMATION AND THE ECOSYSTEM OF ADAPTATION TO THE CHANGES

QUJI BICHIA

Doctor of Economics, Researcher
The Institute for the Research of Economic
and Social Problems of Globalization,
European University, Georgia
q.bichia@iset.ge

Abstract. The spread of the pandemic has further accelerated the already accelerated process of automation, as it reduces all interactions and helps social distancing, as it was advised to combat the virus. Automation is proceeding at a very fast pace in many sectors of the economy and creating the need for countries to respond to these new challenges at the level of national economic strategy. The new challenge has changed the attitudes of not only manufacturers but also consumers and given them additional impetus to the using robots and artificial intelligence. During this period, those, who are the first to be able to switch to online sales, reduce the need for communication with employees and increase the level of automation, will be able to gain an advantage. Because of this, there is a danger that after the pandemic ends, some of those currently temporarily unemployed will not be able to return to work and will need to adapt to the new reality. In the light of such changes, it is important to identify areas of declining and growing sectors of labor demand and to prepare the population for change to prevent technological unemployment. As it turns out, technological skills and social skills are becoming increasingly demanded, while physical and basic cognitive skills are on the decline. In order to adapt to a new reality, firms have a choice of retraining old employees, redeploying them to different sets of tasks, hiring individuals with skills that are increasingly needed, contracting specialists outside the company (freelancers) and releasing employees that do not fit the new paradigm of business models.

Automation involves the disappearance of a large proportion of low-skilled occupations, leading to a critical role for education in employment. It is therefore important for the government to establish a strategic position on higher and professional education, which will be based on a long-term plan for the structural transformation of the workforce. Automation may be used as an opportunity if a productive ecosystem is established and all stakeholders get actively involved in the process of adjusting to the new reality. For that it is necessary to form an overall ecosystem of stakeholders, which should contain employers at the center and different supporting institutions around them. The ecosystem should consist of labor agencies that help individuals find new jobs, retrain and get some benefits. Educational institutions play a crucial role in devising courses and specializations that fit an exact position that is in demand in some companies. Industry associations and non-profit organizations also need to be coordinated with companies to expand this ecosystem. Combined effort of all these five groups of stakeholders can manage to overcome the looming challenge of rapid unemployment growth and wide skill mismatch. If a society fail to coordinate in the ecosystem, the aftermath will be devastating and income inequality will be amplified. One solution to that is thought to be universal basic income (UBI) but so far it doesn't seem feasible and cannot be relied on. Adapting society to a change instead of giving out basic income seems to address the problem better and not just on a surface.

KEYWORDS: FOURTH INDUSTRIAL REVOLUTION, AUTOMATION, TECHNOLOGICAL UNEMPLOYMENT, LABOR AGENCIES.

For citation: Bichia, Q., (2020). Accelerated Automation and the Ecosystem of Adaption to the Changes. *Globalization and Business, 10.* 233-242. (In Georgian) https://doi.org/10.35945/gb.2020.10.030

JEL Classification: J23, J24, O33, O38, O43 https://doi.org/10.35945/gb.2020.10.030

დაჩქარებული ავტომატიზაცია და ცვლილებებთან ადაპტაციის ეკოსისტემა

ქუჯი ბიჭია

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, მკვლევარი
ევროპის უნივერსიტეტის გლობალიზაციის ეკონომიკური და სოციალური პრობლემების კვლევითი ინსტიტუტი, საქართველო
q.bichia@iset.ge

საკვანძო სიტყვები: მეოთხე ინდუსტრიული რევოლუცია, ავტომატიზაცია, ტექნოლოგიური უმუშევრობა, დასაქმების სააგენტოები.

ციტირებისთვის: ბიჭია ქ. (2020). დაჩქარებული ავტომატიზაცია და ცვლილებებთან ადაპტაციის ეკოსისტემა. *გლობალიზაცია და ბიზნესი, №10*, გვ. 233-242. https://doi.org/10.35945/gb.2020.10.030

შესავალი

კომპანიები ცდილობენ ეკონომიკური დაღმავლობის დროს ხარჯები შეამცირონ. შეგვიძლია გავიხსენოთ 2008 წლის ფინანსური კრიზისი, რომლის დროსაც ადვილად ავტომატიზირებადი სამუშაო ადგილები გაქრა და კრიზისის დასრულების შემდეგ აღარ დაბრუნებულა. მას შემდეგაც, როცა კოვიდ–19 ჩაივლის, კომპანიები შეეცდებიან თავიანთი სამეწარმეო პროცესი პანდემიის მიმართ მდგრადი გახადონ. ონლაინ–ვაჭრობა მნიშვნელოვნად გაფართოვდა სოციალური დისტანცირების პირობებში, რამაც გაზარდა ზეწოლა მუშახელით გადავსებულ საწყობებზე. თუმცა, საწყობებში შესასრულებელი სამუშაო რუტინული და ადვილად ავტომატიზირებადია, რის გამოც ის, მოსალოდნელია, უახლოეს მომავალში სრულად შეასრულოს რობოტებმა. ამის მაგალითია Amazon–ის საწყობები, რომლებშიც უკვე მრავალი რობოტია დასაქმებული და კიდევ მეტის დასაქმება იგეგმება მიმდინარე პანდემიის პირობებში. ასევე, აშშ–ს უდიდესი სავაჭრო კორპორაცია Walmart იყენებს რობოტებს დამლაგებლების პოზიციაზე. სამხრეთ კორეაში რობოტების გამოყენება დაიწყეს ტემპერატურის გასაზომად და დეზინფექციის ხსნარების გასავრცელებლად. იმის გათვალისწინებით, რომ ჯანდაცვის ექსპერტები სოციალური დისტანცირების რჩევებს ავრცელებენ 2021 წლის განმავლობაშიც, რობოტებზე მოთხოვნა კიდევ უფრო მაღალი იქნება. McDonald›s–ში რობოტების გამოცდა მიმდინარეობს მზარეულებისა და მიმტანების როლში (Corkery and Gelles, 2020). კომპანია Tesla წლებია მუშაობს ავტომობილებზე, რომლებსაც მძღოლი აღარ დასჭირდებათ, მათ შორის სატვირთო ავტომობილებზეც, რომლებიც დისტანციური ბრძანებების საშუალებით გადაზიდავენ ნებისმიერი სახის ტვირთს. მსგავსი მაგალითების მოყვანა კიდევ მრავლად შეიძლება (Bichia, 2017). ეს საკმაოდ ბევრ სამუშაო ადგილს უქმნის საფრთხეს. შეიძლება გარკვეულ სექტორებში საქართველოში უფრო გვიან გავრცელდეს რობოტექნოლოგიები, ვიდრე წამყვან ქვეყნებში, მაგრამ ადრე თუ გვიან აუცილებლად მისწვდება ყველა ქვეყანას. ავტომატიზაცია სტუმარ–მასპინძლობის ინდუსტრიაშიც იკიდებს ფეხს (თათეიშვილი და გუგუშვილი, 2019), რომელიც საქართველოსთვის ერთ–ერთ ძირითად რისკ ჯგუფს წარმოადგენს. იმ სფეროში, სადაც პირდაპირ არ შეეხება, გავლენა აისახება იმპორტირებულ საქონელთან კონკურენციის გაწევის სირთულეში. დიდი კორპორაციების მიერ ადამიანის ჩასანაცვლებლად ავტომატიზაციასა და რობოტებში ინვესტიციების განხორციელების შემდეგ არაა მოსალოდნელი, რომ მსგავს პოზიციაზე მომავალში ისევ ადამიანი დასაქმდეს. რობოტების შექმნა და ბიზნესში ინტეგრირება უფრო ძვირია, მაგრამ, თუ ეს წარმატებით განხორციელდა, შემდეგ მათი ოპერირება უფრო ნაკლები ჯდება.

კორონავირუსმა შეცვალა როგორც მეწარმეების, ასევე მომხმარებლების ქცევაც. 1918 წლის „ესპანური გრიპის“ პანდემიის შედეგად ხანგრძლივად შეიცვალა სოციალური ურთიერთობის წესები და შემცირდა ნდობა საზოგადოებაში. ანალოგიურად, დღესაც მოსალოდნელია, რომ მომხმარებლებმა გარკვეული დროის განმავლობაში პირისპირ ურთიერთობას ავტომატიზირებული მომსახურება არჩიოს (მაგ. თვითმომსახურება მოლარეებთან ურთიერთობის ნაცვლად, მიტანის სერვისები). შეიძლება ითქვას, რომ პანდემია დამატებითი დამაჩქარებელი ფაქტორი აღმოჩნდა ავტომატიზაციის ისედაც სწრაფ ტემპში მიმდინარე პროცესისათვის. მაკინზის კვლევითი ინსტიტუტის მონაცემებით პანდემიამ 5 წლით დააჩქარა ციფრული ტექნოლოგიების

დანერგვა ბიზნესში და მისთვის მზაობა მომხმარებლებში (Baig et al., 2020). ავტომატიზაციამ შეიძლება მარკეტინგული უპირატესობაც წარმოაჩინოს, რადგან ადამიანებმა შეიძლება ვირუსის გავრცელების რისკის შესამცირებლად აირჩიონ ისეთ ადგილებში წასვლა, სადაც ნაკლები მომუშავე და მეტი მოწყობილობაა. კონტაქტის შესამცირებლად მარკეტებიც უფრო მეტად გადადიან მობილური გადახდის სერვისებზე და დისტანციურ ალტერნატივებზე. პოპულარობას იკრებს 2018 წელს დაარსებული სრულად ავტომატიზებული სავაჭრო ქსელი Amazon Go, სადაც მომხმარებლებს არც კონსულტანტებთან უწევთ ურთიერთობა და არც მოლარესთან პროდუქტების გატარება.

2030 წლისთვის ავტომატიზაცია მნიშვნელოვნად შეცვლის საბანკო და სადაზღვევო, ენერგიისა და მომპოვებელ, ჯანდაცვის, ადმინისტრირებისა და მონიტორინგის, მრეწველობის და გაყიდვების სექტორებს. ფინანსური მომსახურებები უკვე შეიცავენ ხელოვნური ინტელექტის გამოყენების სხვადასხვა მიმართულებებს, განსაკუთრებით რისკის პროგნოზირებასა და პროდუქტების ინდივიდუალურ მარკეტინგში. მოლარეთა, ოპერატორთა და ბროკერთა რაოდენობა შემცირდება. ხელოვნური ინტელექტის გამოყენება გააგრძელებს ვაჭრობაში შემოსავლებისა და მოგების მარჟის გარდაქმნას თვითმომსახურების დანადგარების, საწყობში მომუშავე რობოტების, ინვენტარის მენეჯმენტისთვის განკუთვნილი სენსორების და მომხმარებლის მოთხოვნის პროგნოზირების მანქანური სწავლებით გაუმჯობესებული მეთოდების დამკვიდრების პარალელურად. რუტინული საქმიანობა, როგორიცაა ავტომობილის მართვა, პროდუქტების შეფუთვა, გადაზიდვა, დასაწყობება თანდათან გადაინაცვლებს რობოტების ხელში. უმეტესად დარჩება მომხმარებელთა მომსახურების, მენეჯმენტის და ინოვაციური ტექნოლოგიების გაშვებისა და მოვლის პოზიციები. კომპანიის წარმატების ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორი იქნება თანამშრომლებისთვის მუდმივი სწავლების შესაძლებლობების უზრუნველყოფა და ცხოვრების განმავლობაში სწავლების კულტურის ორგანიზაციულ დონეზე დამკვიდრება. სამუშაო ძალის სტრუქტურა გააგრძელებს ცვლილებას იმ ფონზე, რომ დაქირავებულ თანამშრომლებს გარკვეულწილად ჩაანაცვლებს დროებითი კონტრაქტორები და შტატგარეშე სპეციალისტები („ფრილანსერები"). კომპანიებს უფრო და უფრო მეტი სამუშაო გააქვთ ფირმის გარეთ, აუთსორსინგმა წარმოშვა მსგავსი საქმიანობების მზარდი ონლაინ-პლატფორმები. გერმანიაში შრომის ბაზრის რეფორმების შედეგად 2005 წლიდან 2017 წლამდე უმუშევრობის დონე 12%-დან 5%-მდე ჩამოვიდა, თუმცა ჯამური ნამუშევარი საათების რაოდენობა პრაქტიკულად არ შეცვლილა. ეს მიუთითებს იმაზე, რომ მოხდა პარადიგმის ცვლილება და სამუშაოს მეტი ნაწილი გადავიდა ნახევარგანაკვეთიან ან ზღვრულ დასაქმებაში („მინი-სამუშაო") (Bughin et al., 2018). იცვლება არა მარტო დასაქმებადი პოზიციების რაოდენობა, არამედ ზოგადად სამუშაო ადგილების სტრუქტურაც. ადამიანებს მოუწევთ გადახედონ იმას, თუ რა საქმიანობაა მეტად ან ნაკლებად ღირებული და რა საქმიანობას თვლიდნენ ჩაუნაცვლებლად, მაგრამ აღმოაჩნეს, რომ ჩანაცვლებადია.

ასევე, აღსანიშნავია ავტომატიზაცია აუდიტის მიმართულებით. გარკვეული ორგანიზაციები ინვოისის ავტომატურ გატარებას ახდენენ, ავტომატურად ხდება მომხმარებელთა ანგარიშზე კრედიტის გამოთვლა, იგეგმება აუდიტის რუტინული საქმიანობის ავტომატიზაცია. ეს საშუალებას იძლევა, აუდიტორთა დროის მეტი წილი დაეთმოს უფრო კომპლექსურ საქმიანობას და აუდიტის ხარისხის ზრდას (Moffitt et al., 2018).

რა ბედი ელით დასაქმებულებს ასეთი ცვლილებების პირობებში?

ავტომატიზაცია მეტწილად ემუქრება დაბალანაზღაურებად პროფესიებს. აშშ-ს ბაზარზე პრეზიდენტის ეკონომიკურ მრჩეველთა კომისიის კვლევის მიხედვით საათში 20 დოლარზე ნაკლები ანაზღაურების მქონე მუშახელის 83% ჩანაცვლების მაღალი რისკის წინაშე დგას, საათში 40 დოლარზე მეტი ანაზღაურების მომუშავეთათვის კი ასეთი რისკი მხოლოდ 4%-ისთვის დგას (Frey & Osborne, 2017). ავტომატიზაცია იწვევს ფასის შემცირებას არა მარტო იმ წარმოების ფაქტორებისთვის, რომელზეც პირდაპირი გზით ზემოქმედებს, არამედ ტალღური ეფექტით სხვა არასრულყოფილად შენაცვლებადი ფაქტორებისთვისაც. ამგვარად, ავტომატიზაციამ შეიძლება შეამციროს არა მხოლოდ დაბალკვალიფიციური, არამედ მაღალკვალიფიციური შრომის რეალური ხელფასიც (Acemoglu, & Restrepo, 2018). ამ მომენტისთვის სახელმწიფო დახმარების პროგრამები ქმნის მოტივაციებს დამსაქმებელთათვის, რომ შეინარჩუნონ თანამშრომლები, მაგრამ ეს პროგრამები არის ერთჯერადი და ახლო მომავალში მათ ისევ გაუჩნდებათ სურვილი, განიხილონ ავტომატიზაციის შესაძლებლობები. მზარდი ავტომატიზაციის გამო პანდემიის პირობებში გაშვებული თანამშრომლების რიცხვი უფრო მაღალი იქნება, ვიდრე პანდემიის შემდეგ დაქირავებული თანამშრომლებისა. კარანტინის შედეგად შექმნილი პრობლემის აღმოსაფხვრელად PayPal-მა გადაწყვიტა მეტად დაეყრდნოს „ჩატბოტებს" და მომხმარებელთა კითხვების 65% სწორედ ასეთი გზით განიხილა. ასეთი ცვლილების შემდეგ ნაკლებად სავარაუდოა, რომ კომპანიამ მომხმარებლებთან ურთიერთობისთვის ისევ ძველი თანამშრომლები დააბრუნოს (Corkery and Gelles, 2020). ანალოგიურად, ყველა, ვინც თანამშრომლებს შეამცირებს კრიზისის პერიოდში, ამისთვის გაწეულ ინვესტიციებს წყალში არ გადაყრის და ფუნქციონირების ძველ მოდელზე არ დაბრუნდება. ამის გათვალისწინებით, მწვავედ დგება მასიური გადამზადების შესახებ აქტიური განხილვის საკითხი.

სამუშაო ძალაზე მოთხოვნის ზრდა უკვე სამი ათწლეულია პრაქტიკულად არ შეინიშნება. მოთხოვნის სტაგნაცია აიხსნება ავტომატიზაციის აჩქარებული ტემპებით (ძირითადად მრეწველობაში) და შენელებული ტემპებით ახალი საქმიანობის შექმნაში. ამასთან, ეკონომიკა განიცდის მწარმოებლურობის ზრდის შენელებას, რაც ტექნოლოგიური განვითარების პარალელურად მიმდინარეობს. დ. ასემოგლუ და პ. რესტრეპო ამტკიცებენ, რომ, თუ ავტომატიზაცია მომავალშიც მწარმოებლურობის ზრდის გამომწვევი მთავარი ფაქტორი იქნება, სამუშაო ძალაზე მოთხოვნა გააგრძელებს შემცირებას. მწარმოებლურობის ზრდის პარალელურად რომ გაგრძელდეს შრომის ანაზღაურების ზრდაც, ამისთვის ახალი ტექნოლოგიები უნდა ზრდიდეს წარმოების შრომატევადობას. ასეთი იქნება ინოვაციები თუ არა, დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე, მათ შორის სხვადასხვა უნარის შრომის მიწოდებაზე, დემოგრაფიულ ცვლილებებზე, შრომის ბაზრის ინსტიტუტებზე, სახელმწიფო პოლიტიკაზე გადასახადების, კვლევა და განვითარების ხარჯების თუ სხვა საკითხების შესახებ, ბაზრების კონკურენტულობაზე, კორპორაციულ სტრატეგიებზე და ინოვაციური ჯგუფების ეკოსისტემაზე. ავტომატიზაციის შედეგად ძველი სამუშაო ადგილების გაქრობასა და ახალი საქმიანობების გაჩენას შორის ბალანსი თუ არაეფექტიანად იცვლება, შეიძლება საპასუხო სამთავრობო პოლიტიკა გამართლებული იყოს როგორც სამუშაო ადგილების შექმნის, ისე პროდუქტიულობის ზრდის გაუმჯობესებისათვის. პოლიტიკა შეიძლება გულისხმობდეს ზედმეტი ავტომატიზაციის მოტივაციის მოშორებას და ტექნოლოგიური ცვლილების მიმართულების დაბალანსების მიმართულებით გამიზნული ახალი პოლიტიკის შემუშავებას (Acemoglu, & Restrepo, 2019).

აშშ-ს ეკონომიკაში ჯერ კიდევ ძალიან მცირეა ავტომატიზაციისა და რობოტების პოტენციალის გამოყენების დონე, რის გამოც დაკარგული სამუშაო ადგილების რაოდენობა მხოლოდ 400 000-მდეა. თუმცა, თუ რობოტიზაციის ტემპი შენარჩუნდება მომდევნო ორი ათწლეულის განმავლობაში, შედეგები ბევრად უფრო მწვავე იქნება. ექსპერტთა მოლოდინით 2025 წლისთვის რობოტების რაოდენობა გაოთხმაგდება დღევანდელთან შედარებით, რაც დასაქმებულთა მოსახლეობასთან ფარდობას 1%-ით შეამცირებს, ხელფასის ზრდას კი – 2%-ით. თუმცა, უნდა გავითვალისწინოთ, რომ მომდევნო ათწლეულის განმავლობაში ხელოვნური ინტელექტი, მანქანური სწავლება, კომუნიკაციის ტექნოლოგიები და ახალი სამეწარმეო ტექნოლოგიები კიდევ უფრო განვითარებულ სახეს მიიღებს, რაც მეტად დააჩქარებს ავტომატიზაციის პროცესს (Acemoglu, & Restrepo, 2020).

ბოლო სამი ათწლეულია, რაც ეკონომიკური გარემო და განსაკუთრებით დასაქმების სფერო ძალიან სწრაფად იცვლება. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ცნობილი საგანგაშო შეფასებით დღევანდელი დაწყებითი კლასების მოსწავლეთა 65% მომავალში იმუშავებს ისეთ სამუშაო ადგილებზე, რომლებიც ჯერ არც შექმნილა (WEF, 2016). ეს იმას ნიშნავს, რომ ცვლილებები საგანმანათლებლო სისტემაში სკოლის ეტაპიდან უნდა დაიწყოს. აუცილებელია, სახელმწიფომ წაახალისოს ინკლუზიური განვითარება და ხელი შეუწყოს მის მოსახლეობას, ფეხი აუწყოს მიმდინარე ცვლილებებს. ინკლუზიურობაზე ხაზგასმა საყურადღებოა და მასზე არაერთი მეცნიერი საუბრობს (მაგ., გაგნიძე, 2019; გელაშვილი, 2018). ამისთვის კი არსებობს მექანიზმები, რომელთა შორის უმნიშვნელოვანესია შესაბამისი ინსტიტუციების და მათ შორის ურთიერთკავშირის განვითარება.

ავტომატიზაციის და ტექნოლოგიური უმუშევრობის ფონზე საგადასახადო სისტემა შეიძლება გადასახედი იყოს, თუმცა ეს საკითხი აქტიური განხილვის საგანს არ წარმოადგენს. საქმე ისაა, რომ ახლანდელი საგადასახადო სისტემა ავტომატიზაციის სტიმულირებას ახდენს ისეთ შემთხვევებშიც, როცა ის სხვა მხრივ ეფექტიანი არაა. გადასახადებიდან შემოსავალს სახელმწიფო უმეტესად დასაქმებულთა ხელფასებიდან იღებს, რაც ნიშნავს, რომ დამქირავებლებს ნაკლები გადასახადის გადახდა შეუძლიათ დასაქმებულთა რაოდენობის შემცირებით და რობოტებით ჩანაცვლებით. როცა გამომთვლელი მანქანა ჩაანაცვლებს ადამიანს, სახელმწიფო კარგავს საგადასახადო შემოსავალს. ეს არის კაპიტალის ნაცვლად დასაქმებულთა დაბეგვრის გაუთვალისწინებელი შედეგი. ამგვარად, გარკვეული ეკონომისტები გამოდიან კაპიტალზე ან რობოტებზე გადასახადის შემოღების ინიციატივით, რაც თანაბარ პირობებში ჩააყენებს დასაქმებულებსა და რობოტებს (Abbott & Bogenschneider, 2018). ეს საინტერესო მიდგომაა, მაგრამ ახლო მომავალში მსგავსი სისტემური ცვლილებები მოსალოდნელი არაა. იქნება თუ არა ასეთი ჩარევა გამართლებული, ამის შესახებ არსებობს აზრთა სხვადასხვაობა. ეს ისეთი გადაწყვეტილებაა, რაც ქვეყნებმა ერთად უნდა მიიღონ, რათა კონკურენტული უპირატესობა არ დაკარგონ. ეს კი საკმაოდ ამცირებს მსგავსი შეთანხმების მიღების შანსს.

ავტომატიზაცია – საფრთხე თუ შესაძლებლობა?


ავტომატიზაცია ზოგადად ორი სახის შეიძლება იყოს. მან შეიძლება ჩაანაცვლოს მუშახელი, ან შეიძლება მიერთება მოახდინოს რაც გულისხმობს თანამშრომლის შესაძლებლობების გაფართოებას ციფრული ტექნოლოგიებით და მისი პროდუქტიულობის ზრდას. მიერთება არის ავტომატიზაციის სასურველი შედეგი, რაც დასაქმების შემცირების მინიმალური მაჩვენებლით და მწარმოებლურობის მნიშვნელოვანი ზრდით ხასიათდება (Acemoglu, & Restrepo, 2018). კ. შვაბი მიიჩნევს, რომ მოკლე და საშუალო პერიოდის მომავალში ავტომატიზაცია მეტწილად მიერთებით ხასიათდება და განგაშის საფუძველი ჯერჯერობით არ არსებობს. აღსანიშნავია, რომ ავტომატიზაცია მეტწილად ხდება კონკრეტული დავალების დონეზე და არა მთლიანი სამუ-

შაო ადგილის დონეზე. ეს ნიშნავს, რომ მომუშავეს გარკვეული დრო გამოუთავისუფლდება, რომელიც შეიძლება სხვა კრეატიული აქტივობისთვის გამოიყენოს და პროდუქტიულობა გაზარდოს. მეორე მხრივ, შეიძლება ამან გამოიწვიოს არსებული დავალებების გადანაწილება ნაკლებ მუშახელზე, რაც უმუშევრობის ზრდას გამოიწვევს. კ. შვაბი იმედიანადაა განწყობილი, რომ ამის ნაცვლად მოხდება ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, რაზეც მისი გამოკითხული დამსაქმებლების დიდი ნაწილიც მიუთითებს (WEF, 2018).

2030 წლისთვის მოსალოდნელია, რომ სამუშაოზე ტექნოლოგიური უნარების გამოყენების მაჩვენებელი 50%-ით გაიზარდოს აშშ-ში და 41%-ით – ევროპაში. ყველაზე მეტი ზრდა მოსალოდნელია ინტერნეტ ტექნოლოგიებსა და პროგრამირების უნარებზე მოთხოვნაში, რაც 2016 წლიდან 2030 წლამდე შეიძლება 90%-ითაც გაიზარდოს. ავტომატიზაციის ერაში ციფრული უნარების საბაზო დონეზე განვითარება პრაქტიკულად ყველას მოეთხოვება. ამ უნარზე მოთხოვნა მოსალოდნელია, აშშ-ში 69%-ით, ევროპაში კი 65%-ით გაიზარდოს. დიაგრამა 1. წარმოადგენს ავტომატიზაციის პირობებში კლებადი და მზარდი მოთხოვნის უნარების შესახებ კვლევის შეჯამებას. ფიზიკური და საბაზო კოგნიტური უნარები მაღალი საფრთხის კატეგორიებია და 2030 წლისთვის მოსალოდნელია, რომ ადამიანების ჩართულობა ამ მიმართულებით 14% და 15%-ით შემცირდეს, შესაბამისად. ეს კლება კიდევ გაგრძელდება და მისი მეტი ნაწილის ავტომატიზაცია მოხდება მომდევნო წლებში. ყველაზე მეტი მოთხოვნის ზრდა კი მოსალოდნელია ტექნოლოგიური უნარების მიმართულებით, რომლისთვისაც მოსალოდნელი ცვლილება 55%-ს აღწევს. პრაქტიკულად ყველასთვის იქნება აუცილებელი მინიმალური ტექნოლოგიური ცოდნა და ბევრი ახალი პოზიცია გაჩნდება, რომლებიც ახალი ტექნოლოგიური მოთხოვნების დაკმაყოფილებას მოემსახურება (Bughin et al., 2018).

It should be noted that the holding includes the service of installation of «Carsharing», electric chargers and solar panels, and one of the main directions of the company is to start the production of electric cars in Georgia.

«Carsharinging» service is already available. The news has been launched for two months and at this stage the company has 50 electric cars in Tbilisi. «Shared car service has already been launched and citizens can use it. Anyone can download the application and use the service without any problems. We currently have 50 electric cars. We are waiting for the arrival of new cars and in the first stage, there will be 300 cars, and in total we have decided to import about 3,000 electric cars," said Giorgi Khurodze.

If we want our cities to be able to live in the future, renewing public transport is inevitable. Ultimately, a public action that will help promote e-mobility will be justified if it is closely coordinated with the development of new methods of mobility and new ways of generating and disseminating electricity.

REFERENCES

Klein, Maury (2018): *The Technological Revolution, in The Newsletter of Foreign Policy Research Institute*, 13(18);

Perez, C. (2019): Technological revolutions and techno-economic paradigms., in Working Papers in Technology Governance and Economic Dynamics, *Working Paper* 20, (Norway and Tallinn University of Technology, Tallinn);

Šmihula, D. (2011): *Long waves of technological innovations, Studia politica Slovaca,* 2/2011, Bratislava, ISSN 1337-8163, 50-69;

Drucker, P. F. (1965): *The First Technological Revolution and Its Lessons*;

Philip S. Anton, Silberglitt, R., & Schneider, J. (2011): *The Global Technology Revolution* - Bio/Nano/Materials Trends and Their Synergies with Information Technology by 2015., RAND, ISBN;

Bedianashvili, G. (2019). Knowledge economic, enterpreneurial activity and cultur factor in modern conditions of Gobalization: chelenges for Georgia. *Globalization and Business*, 5. https://www.eugb.ge/view_archive.php?cat=5#;

Papava V., (2017). *Politization of the economy and non-ecobomic policy* (experience of post communist Georgia).

Chikhladze, N., Rusadze, N., (2015). The role of budget investments in the socio-economic development of the region. *International Economic Conference IEC* 2015. Models of National Economic Development: Yesterday, Today, Tomorrow, Proceedings. Business Engineering. https://drive.google.com/file/d/0B3PZSQNPT43SWUtLSUszbkh6VFE/view?pref=2&pli=1 152-156;

Gechbaia, B., & Qoqiauri, L., (2019). Main blocks and models of the national innovative system. *Scientific bulletin of Polissia*, 1 (17), 2019. 41-54. DOI: 10.25140/2410-9576-2019-1(17)-41-54;

Gechbaia, B., & Mamuladze, C., 2016 Priorities of the innovative economy in the EU and the current problems of its formation. *Innovative Economics and Management.* 2, 9-12.

JEL Classification: L26, O31, O33, Q55 https://doi.org/10.35945/gb.2020.10.036

TECHNOLOGICAL INNOVATIONS AND OPPORTUNITIES FOR ENTREPRENEURSHIP DEVELOPMENT IN GEORGIA

AMIRANI MAGLAKELIDZE

Researcher

The Institute for the Research of Economic and Social Problems of Globalization, European University, Georgia

PhD Student

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

maglakelidze.amirani@gmail.com

Abstract. Given the modern global conjuncture, technological innovation and creative thinking play a major role in the process of implementing entrepreneurial activities. The rapid development of digital technologies and the emergence of diverse digital platforms have given impetus to the transformation of entrepreneurial behavior and the conduct of entrepreneurial activities from the real - to the virtual environment. In the modern digital world, there is no alternative to technological entrepreneurship. 5G network, blockchain, 3D printing and other technological innovations make business processes faster, more reliable and flexible. The generation and implementation of continuous innovative ideas in technology has led to the emergence and development of information technology, digital technology, digital platforms, on which the modern form of entrepreneurship - digital entrepreneurship is based.

One of the obstacles to the development of digital entrepreneurship in Georgia is the lack of proper access to digital technologies. At the same time, the population of Georgia has not yet developed the digital culture and skills that ensure the implementation of commercial activities in the virtual space. According to the National Statistics Office of Georgia in July 2019 in the country: 70.6% of households actively used the Internet, only 20.8% of them purchased goods and/or services through digital channels. In 2018, only 3.2% of enterprises received an order through the website. These data indicate the low level of Internet use by the public and, consequently, enterprises for commercial purposes. This untapped segment, at the same time, creates a solid potential for further development of digital entrepreneurship. Especially today, when physical mobility is restricted due to the worldwide pandemic COVID-19.

Innovations and technologies are the main driving forces of modern entrepreneurship. Therefore, the emphasis of the Government of Georgia in this direction and the launch of appropriate economic policy instruments should positively support the transformation of the entrepreneurial environment and entrepreneurial behavior in the country. Given the current situation in Georgia, in order to identify and develop digital entrepreneurial opportunities, it would be appropriate to take the following measures: First, the state must ensure that more people have access to the Internet and digital technologies; Second, increase the scale of financial support programs for innovative and digital entrepreneurial initiatives, also, to help startups attract funding sources, to consult on opportunities to attract venture investments, to make it possible to implement a more technologically innovative idea; Third, primacy should be given to Georgian universities in the fields of entrepreneurship, innovation and technology, computer science; Fourth, the network of innovation centers should be expanded and similar educational spaces should be created to ensure the development of technical and entrepreneurial skills of the population (especially the rural population) in the field of innovation and technology.

KEYWORDS: TECHNOLOGICAL INNOVATION, ENTREPRENEURSHIP, DIGITAL ENTREPRENEURSHIP, DIGITAL TECHNOLOGY, DIGITAL PLATFORM.

For citation: Maglakelidze, A. (2020). Technological Innovations and Opportunities for Entrepreneurship Development in Georgia. *Globalization and Business, 10.* 264-269. (In Georgian) https://doi.org/10.35945/gb.2020.10.036

JEL Classification: L26, O31, O33, Q55 https://doi.org/10.35945/gb.2020.10.036

ტექნოლოგიური ინოვაციები და მეწარმეობის განვითარების შესაძლებლობები საქართველოში

ამირან მაღლაკელიძე

მეცნიერ-თანამშრომელი,

გლობალიზაციის ეკონომიკური და სოციალური პრობლემების კვლევითი ინსტიტუტი, ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო

დოქტორანტი,

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

maglakelidze.amirani@gmail.com

საკვანძო სიტყვები: ტექნოლოგიური ინოვაციები, მეწარმეობა, ციფრული მეწარმეობა, ციფრული ტექნოლოგიები, ციფრული პლატფორმები.

ციტირებისთვის: მაღლაკელიძე ა. (2020). ტექნოლოგიური ინოვაციები და მეწარმეობის განვითარების შესაძლებლობები საქართველოში. *გლობალიზაცია და ბიზნესი, №10*, გვ. 264-269. https://doi.org/10.35945/gb.2020.10.036

შესავალი

თანამედროვე გლობალური კონიუნქტურის გათვალისწინებით, სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების პროცესში, ტექნოლოგიურ ინოვაციებს და შემოქმედებით აზროვნებას მთავარი როლი ენიჭება. ციფრული ტექნოლოგიების სწრაფმა განვითარებამ და მრავალფეროვანი ციფრული პლატფორმების წარმოქმნამ, ბიძგი მისცა სამეწარმეო ქცევის ტრანსფორმაციას და სამეწარმეო საქმიანობის რეალურიდან ვირტუალურ გარემოში წარმართვას.

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს, ინოვაციის დომინანტური როლის წარმოჩენას სამეწარმეო პროცესში და საქართველოში, ციფრული მეწარმეობის, როგორც სამეწარმეო აქტიურობის თანამედროვე ფორმის, განხორციელების შესაძლებლობების გამოკვეთას და, ამისათვის, შესაბამისი ჩასატარებელი ღონისძიებების წარმოდგენას.

თანამედროვე ეკონომიკის ძირითად რესურსს ინფორმაცია და ცოდნა წარმოადგენს. წარმოების პროცესი კი დაკავშირებულია მეცნიერებატევად ტექნოლოგიებთან (Bedianashvili, 2018: 58). მეწარმეობის თანამედროვე ფორმების განვითარებაში, შეუქცევადი ტექნოლოგიური ინოვაციები ცენტრალურ ადგილს იკავებს. ტექნოლოგია ხშირ შემთხვევაში გარკვეული ტექნიკის ერთობლიობაა, რომელიც გამოიყენება კონკრეტული მიზნის მისაღწევად. (Runge, 2014: 7) მუდმივი ინოვაციები ინფორმაციულ ტექნიკაში – კომპიუტერის სიმძლავრეზე, გაციფრულებაზე, ქსელში ჩართვასა და მონაცემთა რაოდენობაზე დაყრდნობით, რეალიზდება ისეთ ინოვაციურ ინფორმაციულ ტექნოლოგიებში, როგორიცაა: ინტერნეტი, მობილური ტელეკომუნიკაცია და ინტერაქტიული ტელევიზია (Kollmann, 2019: 5). განუწყვეტელი ინოვაციატევადი იდეების გენერირებამ და რეალიზაციამ განაპირობა ინფორმაციული ტექნოლოგიების, ციფრული ტექნოლოგიების, ციფრული პლატფორმების წარმოქმნა და განვითარება, რასაც პრაქტიკულად ეფუძნება ციფრული მეწარმეობა.

დღევანდელი ციფრული ეპოქისთვის დამახასიათებელია ციფრული ტექნოლოგიების ინტენსიური განვითარება. ის არღვევს ტრადიციულ საზღვრებს და ცვლის მეწარმეობისა და ინოვაციების პროცესებსა და შედეგებს. მას აქვს თანდაყოლილი გენერირების უნარი, შეუძლია მუდმივად განვითარება და ასევე, ძალუძს, გადაატრიალოს დადგენილი ქცევები (Berger et al., 2019). უკანასკნელი წლების განმავლობაში პლატფორმების ეკოსისტემაში საწარმოების რაოდენობა მკვეთრად იზრდება. ყველასათვის ცნობილია ისეთი ციფრული პლატფორმები, როგორიცაა: Apple, Google, Amazon, Alibaba და სხვა. პლატფორმების ეკოსისტემების საფუძველია პროდუქციის, მომსახურებისა და ბიზნეს პროცესების გაციფრულება, რა დროსაც ადგილი აქვს გლობალური ლანდშაფტის ფორმირებას (Evans & Gawer, 2016). მომძლავრებულმა ციფრულმა ტექნოლოგიებმა, ციფრულმა პლატფორმებმა და ციფრულმა ინფრასტრუქტურამ გარდაქმნა ინოვაციისა და მეწარმეობის სფერო, რასაც მოყვება, როგორც ფართო ორგანიზაციული ისე, პოლიტიკური შედეგები (Nambisan et al. 2019).

1. ტექნოლოგიური ინოვაციები, როგორც თანამედროვე მეწარმეობის წარმატების გარანტი

სამეწარმეო საქმიანობის წარმატებისთვის ინოვაციის შეუცვლელ როლზე შუმპეტერიდან იწყება მსჯელობა, რომელიც წარმოების საშუალებების ახალი კომბინაციით, სამე-

წარმეო პროცესში ახალი სიცოცხლის შეტანაზე, რაღაც ახლის შექმნასა და ახლის ძიებაზე აქცენტირებდა (Schumpeter, 1931: 100–101). ინოვაცია, თანამედროვე ეკონომიკური ზრდის მთავარი განმაპირობებელია, ხოლო მეწარმე, რომელიც ახდენს ცოდნის კომერციალიზაციას, გამორჩეულ როლს ასრულებს ამ პროცესში (Piegeler, 2015: 49). დღესდღეობით, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სამეწარმეო საქმიანობის ინოვაციური ასპექტი და ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის ფორმირება და ეფექტიანობა (Bedianashvili, 2017: 10).

ინოვაციის დინამიკურმა და ცვალებადმა საზღვრებმა მეწარმეობის პროცესები ნაკლებად შემოზღუდულად აქცია, ვიდრე ტრადიციულ ეკონომიკაში. სამეწარმეო პროცესების გაციფრულებამ ხელი შეუწყო სამეწარმეო პროცესის სხვადასხვა ფაზებს შორის საზღვრების დაშლას და ინოვაციური ბარიერების შემცირებას (Sahut et al., 2019)

ციფრულ ეკონომიკაში მეწარმეობის განხორციელებისათვის მნიშვნელოვანია განუწყვეტელი ტექნოლოგიური ინოვაციები, თანამედროვე ტექნოლოგიური და ელექტრონული საბაზრო კონიუნქტურის პროგრესული ხედვა, კრეატიულობა და სამომავლო ტენდენციების პროგნოზირების უნარი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს შეუქცევადი წარმატება (Maglakelidze, 2020).


ციფრულ ეკონომიკაში, ყოველი საწარმოს დაფუძნებისას, ბიზნეს კონცეფციის ცენტრში დგას იდეა (Kollmann, 2019: 134), თუმცა, აუცილებელია, მისი რეალიზება მოხდეს პროდუქტის ან მომსახურების შეთავაზებაში, რა დროსაც იგი ასევე შეიძლება აღწერილ იქნას, როგორც ინოვაცია. შეთავაზება მხოლოდ მაშინ ითვლება ინოვაციად, როდესაც იგი წარმატებით არის განხორციელებული და გამოიყენება რომელიმე საზოგადოების ანდა ბაზრის მიერ, რომლისთვისაც მოაქვს სარგებელი. ინოვატორისთვის, წარმატების მისაღწევად, მნიშვნელოვან ასპექტებს შემოქმედებითობა, წარმოსახვა, გამჭრიახობა, ინფორმირებულობა და ტესტირება წარმოადგენს (Whittington 2018, 2–4), რისკის გაცნობიერებასა და გაბედულებასთან ერთად (Maglakelidze, 2020). ამ საფუძველზე მიიღწევა წარმატება, იქმნება ციფრული ღირებულება, ჩნდება მოტივაცია სამეწარმეო საქმიანობის გაფართოებისა და შეუქცევადი კვლავწარმოებისთვის (იხ. ნახაზი).

2. ციფრული მეწარმეობის ფენომენი

ციფრული მეწარმეობის კვლევა, ბოლო პერიოდის სამეცნიერო ლიტერატურაში უაღრესად აქტუალურია. რა არის ციფრული მეწარმეობა და რა პროცესებთანაა ის დაკავშირებული? ევროკომისიის განმარტებით, ციფრული მეწარმეობის მიზანია, ციფრული ტრანსფორმაციით, მოიცვას ბიზნესის ყველა სექტორი, შეიქმნას ახალი ციფრული კომპანიები, გაუმჯობესდეს ინოვაციური საქმიანობა. ამისათვის საჭიროა, გამოყენებულ იქნას შემდეგი ციფრული ტექნოლოგიები: სოციალური, მობილური, დიდი ზომის მონაცემები (big data) და ღრუბლოვანი (cloud) გადაწყვეტები (European Commission, 2015: 14). კოლმანს მიაჩნია, რომ ციფრული მეწარმეობა დაკავშირებულია, ციფრულ ეკონომიკაში, დამოუკიდებელი და ორიგინალური, ეკონომიკური სუბიექტის (მაგ., ელექტრონული სტარტაპი) შექმნასთან და პროდუქციის ან/და მომსახურების სპეციფიკური ონლაინ შეთავაზებით მომხმარებელთა მრავალგვარი მოთხოვნების დაკმაყოფილებასთან (Kollmann, 2019: 19). ციფრული მეწარმეობა აღწერს ციფრული ღირებულების სამეწარმეო შექმნის პროცესს, რომელიც მოიცავს ციფრული ინფორმაციის ეფექტურ მოპოვებას, დამუშავებას, განაწილებასა და მოხმარებას. ამისათვის, იგი იყენებს სხვადასხვა სოციალურ–ტექნიკურ ციფრულ შესაძლებლობებს (Sahut et al., 2019: 7). აღნიშნულ პროცესში ასევე მიმდინარეობს ინდივიდების სამეწარმეო შესაძლებლობების იდენტიფიცირება, შეფასება და გამოყენება, რა დროსაც ხორციელდება ციფრული პროდუქტის განვითარება და ციფრული არხებით რეალიზაცია (Pioch, 2019: 3). ლი დინის და სხვ. მოსაზრებით კი, ციფრული მეწარმეობა არის „ტრადიციული მეწარმეობის შერიგება ბიზნესის შექმნის და კეთების ახალ გზებთან, ციფრულ ეპოქაში" (Le Dinh et al., 2018: 1).

ციფრული მეწარმეობის თავისებურება და ტრდიციული

ნახაზი. იდეა–ინოვაცია–წარმატების ჯაჭვი ციფრულ მეწარმეობაში (Maglakelidze, 2020).



მეწარმეობისგან განსხვავებულობა მდგომარეობს იმაში, რომ გარიგების მხარეები ციფრულ პლატფორმაზე პოულობენ ერთმანეთს და ახორციელებენ საჭირო ტრანსაქციას. მაგალითად, Airbnb აკავშირებს სასტუმროს გამქირავებელს – დაქირავების მსურველთან. Airbnb იმით განსხვავდება ტრადიციული მეწარმეობის სასტუმროსგან, რომ არის ციფრული პლატფორმა, რომელსაც არ გააჩნია ფიზიკური რესურსი (სასტუმრო) და ასევე, დასაქმებული თანამშრომლების შედარებით მცირე რაოდენობას საჭიროებს (Pioch, 2019: 3). იგივე ეხება amazon.com-ს, სადაც არა, მაგალითად, „წიგნი“ ან რომელიმე სხვა პროდუქტი ქმნის ღირებულებას, არამედ, საჭირო ინფორმაციების მიმოხილვის, შერჩევის და გადაცემის ფუნქცია, მისი დროითი და სივრცითი შეზღუდულობისგან თავისუფალი ხელმისაწვდომობა, ინტერნეტში ელექტრონული შერჩევისა და შეკვეთის საშუალება. აღნიშნული „ციფრული (ელექტრონული) პროდუქტის“ შექმნა შესაძლებელია მხოლოდ ინფორმაციული ტექნოლოგიების მეშვეობით (Kollmann, 2018: 186-187).

ციფრული მეწარმეობის სტრუქტურული მონახაზი, გარემო ფაქტორების გათვალისწინებით, შედგება ხუთი კომპონენტისგან: ციფრული ცოდნის ბაზა და ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) ბაზარი; ციფრული ბიზნეს გარემო; დაბეგვრა და ფინანსური გარემო; ციფრული უნარ-ჩვევები და ელექტრონული ლიდერობა (e-leadership); სამეწარმეო აზროვნება (European Commission, 2015: 15).

ციფრულ ეპოქაში ტექნოლოგიები, როგორიცაა სოციალური მედია, ღია პროგრამული უზრუნველყოფა და აპარატურა, ქრაუდსორსინგი, ელექტრონული ნდობა (e-trust) და ონლაინ რეპუტაციის შეფასება, 3D ბეჭდვა, დიდი ზომის მონაცემები (big data) და სხვა, შესაძლებლობას მისცემს მეწარმეებს, მნიშვნელოვნად შეამცირონ გამოგონებასა და ახალი კომპანიის შექმნას შორის არსებული ბარიერები (Sahut et al., 2019). ციფრული ეკონომიკა და მისი ფუძემდებლური ტექნოლოგიები წარმოადგენს მთავარ განვითარებად სფეროს და შესაბამისად, დაკავშირებულია მრავალ შესაძლებლობასთან (Kollmann, 2018). ინტერნეტის და ციფრული ტექნოლოგიების ფართო გავრცელება და მათზე მოსახლეობის უმრავლესობის წვდომა, ონლაინ კომერციული პროცესის მოქნილობა და სისწრაფე დღითიდღე მეტ ადამიანს უბიძგებს ციფრული პროდუქტითა და სერვისებით სარგებლობისაკენ. განსაკუთრებით დღეს, როდესაც მსოფლიოს მასშტაბით გავრცელებული პანდემიის (COVID-19) გამო შეზღუდულია ფიზიკური გადაადგილება. ციფრული ტექნოლოგიები იძლევა სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების და შემოსავლის მიღების შესაძლებლობას სახლიდან გაუსვლელად. ციფრული ინსტრუმენტებისა და პლატფორმების გამოყენება ხელს უწყობს ახალი ტიპის სამუშაო ადგილების გაჩენას (Sahut et al., 2019).

ამასთანავე, გაციფრულებას გააჩნია ნაკლოვანებები და ციფრული მეწარმეობა შეიცავს გარკვეულ რისკს. ასე, მაგალითად: ინოვაციური ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებასთან დაკავშირებით (მაგ., ინტერნეტ სტარტაპების ელექტრონული შესყიდვით სარგებლობა), არსებობს ეჭვი მომხმარებლების მზაობის თვალსაზრისით, რაც რისკის შემცველია ციფრული ეკონომიკის განვითარებასთან და, შესაბამისად, ამ სფეროში ინვესტიციების მოზიდვასთან დაკავშირებით (Kollmann, 2018: 190); ციფრულმა ტექნოლოგიებმა შეიძლება, უპირატესობა მიანიჭოს კონკრეტულ ჯგუფებს, მას შეუძლია, ამასთანავე, დააზიანოს სხვები. განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის ციფრულმა დაშორიშორებამ შეიძლება, გააფართოვოს უფსკრული იმასთან დაკავშირებით, თუ რა ღირებულების შექმნა შეუძლია ცალკეულ ქვეყანას და რამდენს შეუძლია მათი მოპოვება (Berger et al., 2019); ციფრული ეკოსისტემები მეწარმეებისგან ორი როლის შეთავსებას მოითხოვს: 1. როგორც, ეკოსისტემის წევრი და 2. როგორც საწარმოს ლიდერი, რაც ხშირად, ამ როლების შეუთავსებლობის გამო, წარმოშობს როლის კონფლიქტს და სტრესის მაღალ დონეს (Nambisan & baron, 2019); გაციფრულება იწვევს ტრადიციულ ეკონომიკაში არსებული სამუშაო ადგილების გამოთავისუფლებას; ასევე, არსებობს კიბერუსაფრთხოების და მონაცემთა დაცვის რისკები.

3. ციფრული მეწარმეობის განვითარების შესაძლებლობები საქართველოში

თანამედროვე მსოფლიოში, ტექნოლოგიატევად მეწარმეობას ალტერნატივა არ გააჩნია. ციფრულ სამყაროში, 5G ქსელი, ბლოკჩეინი, 3D ბეჭდვა და სხვა ტექნოლოგიური ინოვაციები უფრო სწრაფს, საიმედოს და მოქნილს ხდის ბიზნეს პროცესებს. ციფრული მეწარმეობის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია, ციფრულ ეკოსისტემაში მოხდეს სულ უფრო მეტი პლატფორმის ინტეგრირება, რაც მეტ ციფრული ღირებულების შექმნას უზრუნველყოფს. პლატფორმები ინოვაციების სერიოზულ წყაროს წარმოადგენენ და ქსელის ეფექტების (Evans & Gawer, 2016) საშუალებით უფრო და უფრო მეტი მომხმარებლის მობილიზებას ახდენენ. დღესდღეობით, საქართველოში მოქმედი ციფრული პლატფორმების მაგალითებია: Mymarket.ge და Vendoo.ge (ელექტრონული კომერცია), Myhome.ge (უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვის პლატფორმა), Myauto.ge (მეორადი ავტომობილების ყიდვა-გაყიდვის პლატფორმა) და სხვა.

საქართველოში, სოციალიზმის არსებობის პირობებში, უცხო იყო კერძო სამეწარმეო აქტიურობა და, შესაბამისად, მოსახლეობა ხასიათდებოდა სამეწარმეო აზროვნებისა და ინიციატივის სიმწირით (ეს გავლენა დღემდე იგრძნობა). თანამედროვე გლობალური კონიუნქტურის გათვალისწინებით აუცილებელია ინდივიდების აზროვნების მეტამორფოზა ინოვაციების, სამეწარმეო და ტექნოლოგიური მიმართულებით. ამისათვის, საჭიროა: პირველი, სამეწარმეო, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების მიმართულებით, განათლების

მიზნობრივი პროგრამების შემუშავება და სისტემატიური რეალიზაცია დამწყები მეწარმეებისთვის და ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის, რაც უზრუნველყოფს ადეკვატური პროგრესული ცოდნის გადაცემას (Maglakelidze, 2019a: 127) და საზოგადოებაში რელევანტური სამეწარმეო და ციფრული უნარ-ჩვევების განვითარებას და მეორე, საქართველოს უნივერსიტეტებში პრიორიტეტი მიენიჭოს და პოპულარიზაცია გაეწიოს ისეთ ფაკულტეტებს, რომლებიც მიმართულია ინფორმაციული ტექნოლოგიების, კომპიუტერული მეცნიერებების შესწავლისაკენ და ამ სფეროში პროფესიონალების აღზრდისაკენ.

საქართველოში ციფრული მეწარმეობის განვითარების ერთ-ერთ შემაფერხებელ ფაქტორს წარმოადგენს ციფრულ ტექნოლოგიებზე სათანადო ხელმისაწვდომობის არქონა. ამასთანავე, საქართველოს მოსახლეობაში, ჯერჯერობით, არ არის გამომუშავებული ის ციფრული კულტურა და უნარ-ჩვევები, რაც კომერციული საქმიანობის ვირტუალურ სივრცეში განხორციელებას უზრუნველყოფს. საერთაშორისო მასშტაბით, საქართველო ციფრული განვითარების საშუალო დონეზეა: მსოფლიო ბანკის, ციფრული ათვისების ინდექსის (DAI) მიხედვით საქართველო, მსოფლიოს 180 ქვეყანას შორის, 2016 წელს 69-ე პოზიციას იკავებდა (worldbank.org); BBVA Research-ის ციფრული ინდექსის (DiGiX) 2019 წლის მონაცემებით კი, საქართველო, მსოფლიოს 99 ქვეყანას შორის, 57-ე ადგილზე იმყოფებოდა (bbvaresearch.com). საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2019 წლის ივლისის მონაცემებით, ქვეყანაში: ინტერნეტს აქტიურად იყენებდა შინამეურნეობების 70,6%, მათგან მხოლოდ 20,8%-მა შეიძინა საქონელი ან/და მომსახურება ციფრული არხებით. 2018 წელს, საწარმოების მხოლოდ 3,2%-მა მიიღო შეკვეთა ვებგვერდის მეშვეობით (geostat.ge). აღნიშნული მონაცემები, საზოგადოების მიერ და შესაბამისად, საწარმოებში კომერციული მიზნებისთვის ინტერნეტის გამოყენების დაბალ დონეზე მიუთითებს. ეს აუთვისებელი სეგმენტი კი, ამავდროულად, ქმნის სოლიდურ პოტენციალს ციფრული მეწარმეობის შემდგომი განვითარებისთვის.

ციფრული მეწარმეობის დაწყებისთვის მნიშვნელოვანია, სახელმწიფოს მხრიდან, ხელშემწყობი ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელება და ციფრული მეწარმეობის განვითარების მიზანმიმართული სტრატეგიის არსებობა. აუცილებელია ციფრული სამეწარმეო კულტურის ამაღლება, რომელიც უნდა გახდეს სახელმწიფო პოლიტიკის სტრატეგიული მიმართულება (Erkomaishvili, 2019: 43). ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სფეროს განვითარებისთვის, სახელმწიფო პოლიტიკის პრიორიტეტულ ამოცანას უნდა წარმოადგენდეს უახლესი, ციფრული ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა (Maglakelidze, 2019b: 175).

დასკვნა

სტატიაში განხილული სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზი გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ ინოვაციები და ტექნოლოგიები თანამედროვე მეწარმეობის მთავარი მამოძრავებელი ძალებია. აქედან გამომდინარე, საქართველოს მთავრობის მიერ, ამ მიმართულებით აქცენტირება და ეკონომიკური პოლიტიკის შესაბამისი ინსტრუმენტების ამოქმედება პოზიტიურად უნდა წაადგეს ქვეყანაში სამეწარმეო გარემოს და სამეწარმეო ქცევის ტრანსფორმაციას.

საქართველოში, დღეს არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, ციფრული სამეწარმეო შესაძლებლობების გამოსავლენად და განსავითარებლად, უპრიანი იქნება შემდეგი ღონისძიებების ჩატარება: პირველი, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს მოსახლეობის მეტი რაოდენობის ხელმისაწვდომობა ინტერნეტთან და ციფრულ ტექნოლოგიებთან; მეორე, გაზარდოს ინოვაციური და ციფრული სამეწარმეო ინიციატივების ფინანსური ხელშეწყობის პროგრამების მასშტაბი, ასევე, სტარტაპებს ხელი შეუწყოს დაფინანსების წყაროების მოზიდვაში, გაუწიოს კონსულტაციები ვენჩერული ინვესტიციების მოზიდვის შესაძლებლობებთან დაკავშირებით, რათა მეტი ტექნოლოგიატევადი ინოვაციური იდეის განხორციელება გახდეს შესაძლებელი; მესამე, საქართველოს უნივერსიტეტებში პრიმატი მიენიჭოს მეწარმეობის, ინოვაციების და ტექნოლოგიების, კომპიუტერული მეცნიერებების მიმართულებებს; მეოთხე, უნდა გაფართოვდეს ინოვაციების ცენტრების ქსელი და შეიქმნას მსგავსი საგანმანათლებლო სივრცეები, რომელიც უზრუნველყოფს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სფეროში მოსახლეობის (განსაკუთრებით სოფლად მცხოვრები მოსახლეობის) ტექნიკური და სამეწარმეო უნარ-ჩვევების განვითარებას.

ლიტერატურა/REFERENCES

Bedianashvili, G. (2018) Culture as a Factor of Knowledge Economics with Paradigmatic Changes in Systemic Institutional Context. *Journal Globalization and Business,* N6, P.58-66 (In Georgian).

Bedianashvili, G. (2017) Formation of Knowledge Economy and Innovative Entrepreneurial Policy: Institutional Aspects. *Journal Globalization and Business,* N3, P.10-16 (In Georgian).

Erkomaishvili, G. (2019) Digital Economy – An Innovative Tool for Economic Growth. *Journal Economics and Business,* V.XI, N2, P.37-46 (In Georgian).

Maglakelidze, A. (2020) Challenges and Perspectives of Digital Entrepreneurship in Georgia. *Journal "Economics and Business,* V.XII, N3 (In Georgian).

Maglakelidze, A. (2019a) Development of Small and Medium Entrepreneurship and Formation of a Middle Class in Georgia. *Journal "Globalization and Business"*, N7, P.123-129 (In Georgian).

Maglakelidze, A. (2019b) For the Purpose of Forming National Innovation System in Georgia. *Journal "Economics and Business",* V.XI, N1, P.171-179 (In Georgian).

Berger, E. S. C., Briel, F., Davidsson, & P., Kuckertz, A. (2019) Digital or not - The future of entrepreneurship and innovation. *Journal of Business Research.* DOI: 10.1016/j.jbusres.2019.12.020

European Commission (2015) *Digital Entrepreneurship Scoreboard* 2015. Brussels. https://ec.europa.eu/growth/content/digital-entrepreneurship-scoreboard-2015-0_en

Evans, P. C. & Gawer, A. (2016) *The rise of the platform enterprise: a global survey.* https://www.thecge.net/app/uploads/2016/01/PDF-WEB-Platform-Survey_01_12.pdf

Kollmann, T. (2018) E-Entrepreneurship: Unternehmensgründung in der Net Economy. In Handbuch Entrepreneurship, *Hrsg*. G. Faltin, 181-199. Springer Gabler, Wiesbaden.

Kollmann, T. (2019) E-Entrepreneurship: Grundlagen der Unternehmensgründung in der digitalen Wirtschaft. 7. Auflage, Springer Gabler, Wiesbaden.

Le Dinh, T., Vu, M.C. & Ayayi, A. (2018) Towards a living lab for promoting the digital entrepreneurship process. *International Journal of Entrepreneurship*, 22(1), 1-17.

Nambisan, S. & Baron, R. A. (2019) On the costs of digital entrepreneurship: Role conflict, stress, and venture performance in digital platform-based ecosystems. *Journal of Business Research.* DOI: https://doi.org/10.1016/j.jbusres.2019.06.037

Nambisan, S. Wright, M. & Feldman, M. (2019) The digital transformation of innovation and entrepreneurship: Progress, challenges and key themes. *Research Policy,* 48(8). DOI: https://doi.org/10.1016/j.respol.2019.03.018

Piegeler, M. (2015) Entrepreneurship und Innovation: Stand der Forschung und politische Handlungsempfehlungen, *IW-Analysen*, No. 103, Institut der deutschen Wirtschaft (IW), Köln.

Pioch, S. (2019) Digital Entrepreneurship: ein Praxisleitfaden für die Entwicklung eines digitalen Produkts von der Idee bis zur Markteinführung. *Springer Gabler*, Wiesbaden.

Runge, W. (2014) *Technology Entrepreneurship: a Treatise on Entrepreneurs and Entrepreneurship for and in Technology Ventures*. Volume 1, KIT Scientific Publishing, Karlsruhe.

Sahut, J., Iandoli, L. & Teulon, F. (2019) *The age of digital entrepreneurship. Journal Small Business Economics.* DOI: https://doi.org/10.1007/s11187-019-00260-8

Schumpeter, J. (1931) Theorie der wirtschaftlichen Entwicklung: eine Untersuchung über Unternehmergewinn, Kapital, Kredit, Zins und den Konjunkturzyklus. Dritte Auflage. *Verlag von Duncker & Humblot,* München und Leipzig.

Whittington, D. (2018) *Digital Innovation and Entrepreneurship.* Cambridge University Press, Cambridge.

https://www.geostat.ge/ka/modules/categories/104/sainformatsio-da-sakomunikatsio-teknologiebi /Last view 19 May, 2020/

https://www.bbvaresearch.com/en/publicaciones/digix-2019-tracking-digital-evolution/ /Last view 19 May, 2020/

https://www.worldbank.org/en/publication/wdr2016/Digital-Adoption-Index /Last view 19 May, 2020/

JEL Classification: H82 https://doi.org/10.35945/gb.2020.10.037

THE AUTONOMOUS REPUBLIC OF ADJARA (BASED ON THE EXAMPLE OF GODERDZI SKI RESORT)

PAATA BERIDZE
PhD student
Batumi Shota Rustaveli State University, Georgia.
paataberidze@yahoo.com

Abstract. In the Autonomous Republic of Adjara, the establishment of ski resort on Goderdzi Pass is important for the development of recreation resources and as well as for the central government, which dedicates a significant amount of financial resources from both local and the central budget. Consequently, it is important to consider the ongoing processes of resort privatization. This interest is further intensified by the direct sale of a large amount of real estate. This article analyses the assessment aspects of real estate transfer in the form of direct sales and discusses the factors hindering the development of the resort, as well as the expected consequences of massive real estate privatization. So far, the mechanisms of privatization of property owned by the Autonomous Republic of Adjara and the legislation in force within this area, including strengths and weaknesses are discussed. Based on the law, the goal of privatization in the form of direct sale is to transfer the property right to the customer, who fully and conscientiously fulfils the condition(s) set for property privatization in the form of direct sale. The following can be assessed by the projects and activities carried out by the bidder in the past. The examples of direct selling discussed in the article clearly show that there are frequent cases when the transfer of property in the form of direct sale takes place to entrepreneurial entities registered a few days earlier, which excludes from consideration their experience in this particular field. Apart from that, in the legislative part of maintaining the profile as well as in the part of the employment of the locals, different deadlines and terms of condition are set for various companies which differ greatly without any regularity. Due to the abovementioned reasons, the investors who initially agree with the contract initiate amendments which causes changes to be made to the initial agreement. Often, these changes contradict the general plan for the development of the Goderdzi Ski Resort and have an overall negative impact on the stance of the Autonomous Republic of Adjara due to frequent extension of the deadline for the investment execution. Based on the results of the research, it is recommended to create a document (computing formula) that will allow the property management body to determine the minimum amount of employees and the amount of investment during the development of the investment package, as well as the minimum period of profile maintenance.

KEYWORDS: PROPERTY OF THE AUTONOMOUS REPUBLIC OF AJARA; DIRECT SELLING; RESORT GODERDZI; LAW OF THE AUTONOMOUS REPUBLIC OF AJARA ON PRORERTY MANAGEMENT AND DISPOSAL OF THE AUTONOMOUS REPUBLIC OF ADJARA

For citation: Beridze, P., (2020). The Autonomous Republic of Adjara (Based on the Example of Goderdzi Ski Resort). *Globalization and Business, 10.* 270-277. (In Georgian) https://doi.org/10.35945/gb.2020.10.037

JEL Classification: H82 https://doi.org/10.35945/gb.2020.10.037

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უძრავი ქონების პრივატიზაციის ასპექტები (კურორტ „გოდერძი"-ს მაგალითზე)

პაატა ბერიძე
დოქტორანტი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
paataberidze@yahoo.com

საკვანძო სიტყვები: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონება, პირდაპირი მიყიდვა, კურორტი გოდერძი, აჭარის ა.რ. ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ კანონი.

ციტირებისთვის: ბერიძე პ. (2020). აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უძრავი ქონების პრივატიზაციის ასპექტები (კურორტ „გოდერძი"-ს მაგალითზე). *გლობალიზაცია და ბიზნესი, №10,* გვ. 270-277. https://doi.org/10.35945/gb.2020.10.037

შესავალი

სახელმწიფოს მიერ ქონების პრივატიზაციის უცხოური მაგალითები და შეფასებები

პრივატიზაცია ზრდის ეკონომიკურ ეფექტიანობას, ხელს უწყობს მეწარმეობას, ქმნის გამჭვირვალობას და მეტი სარგებელი მოაქვს გარემოსათვის. კერძო სექტორის ორგანიზაციები ბევრ შეცდომას უშვებენ, მაგრამ ისინი მუდმივად ასწორებენ დაშვებულ შეცდომებს. მათ მუდმივად სიახლეები უნდა დანერგონ, რათა დააკმაყოფილონ საზოგადოების ცვალებადი მოთხოვნილებები (Edwards, 2016).

მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკოსები ხშირად გვპირდებიან, რომ „სახელმწიფოს ისე მართავენ, როგორც ბიზნესს", ამის გაკეთება შეუძლებელია. სახელმწიფო შემოსავალს იღებს დაბეგვრისგან, რაც არა არის ინდივიდუალური და ნებაყოფლობითი. ამრიგად, არ არსებობს უკუკავშირის მექანიზმი, რომლის საშუალებითაც მოხდება არაეფექტური სამთავრობო სერვისების რეფორმირება ან დახურვა (Murphy, 2011).

პრივატიზაციის პროგრამებს შეუძლია, მნიშვნელოვანი თანხები მოიზიდოს ბიუჯეტში. მოცემულ ნაშრომში აღნიშნულია, რომ პრივატიზებიდან მიღებული თანხები უნდა განიხილებოდეს როგორც დაფინანსება, და არა როგორც შემოსავალი. დაბეგვრისგან განსხვავებით, პრივატიზაცია არასდროს არ ამცირებს კერძო სექტორის მატერიალურ კეთილდღეობას (Mackenzie, 1998).

რამ გამოიწვია სოციალიზმიდან კაპიტალიზმზე გადასვლისას ზოგიერთ ქვეყანაში ეკონომიკური მაჩვენებლების ზრდა, ხოლო ზოგიერთში მნიშვნელოვანი ეკონომიკური ვარდნა? მეცნიერებს სამი ძირითადი არგუმენტი აქვს:

1) წარმატებულმა ქვეყნებმა სწრაფად განახორციელეს ნეოლიბერალური პოლიტიკა;

2) წარუმატებლობები გამოწვეული არ იყო პოლიტიკით, არამედ ცუდი ინსტიტუციური გარემოთი;

3) პოლიტიკა იყო კონტრპროდუქტიული, რადგან მათ ზიანი მიაყენეს სახელმწიფოს.

მასობრივი პრივატიზაციის პროგრამებმა, რომელიც განხორციელდა, შექმნა მასიური ფისკალური შოკი პოსტკომუნისტური მთავრობებისათვის, რითაც ძირი გამოუთხარა კერძო სექტორის ინსტიტუციურ განვითარებას და მკაცრად გაამძაფრა ტრანსფორმაციული რეცესია (Hamm, 2012).

ეროვნული ან საერთაშორისო ინვესტორები სახელმწიფოდან უძრავი ქონების შეძენისას უცნობ გარემოში ხვდებიან, სადაც ისინი რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან უძრავი ქონების შესახებ ინფორმაციის დაბალი გამჭვირვალობის გამო, კერძოდ: ქონების საორიენტაციო ღირებულების არარსებობა; ისტორიული ან ამჟამინდელი საბაზრო სტატისტიკის არარსებობა; ურბანული, რეგიონული და გარემოსდაცვითი დაგეგმარების ბუნდოვანი პროცედურები და კანონმდებლობა, რომელიც არ არის ნათელი; სიტუაცია, როცა საჭირო ხდება ადგილობრივის დახმარება ან ფარული გადახდები. რათა შესაძლებელი გახდეს ინვესტირება/განვითარება/მენეჯმენტი; გარემო, რომელშიც მთავრობა ან კომუნალური სამსახურები ცვლიან ურბანული განვითარების

სტატუსს და რეგულაციებს, ეს ყველაფერი ქმნის ინვესტირებისათვის მაღალ რისკს (Triantafyllopoulos, 2006).

ალბანეთში უძრავი ქონების ბაზრის ფორმატირებისათვის აუცილებელია მიწის შეფასების მიდგომის ზუსტი აღქმა, როგორც მიწის მართვის სისტემის ერთ–ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია, მისი მდგრადი განვითარებისათვის. ამ კონტექსტში, ალბანეთის მთავრობის ერთ–ერთი მთავარი ამოცანაა უძრავი ქონების შეფასების ეროვნული სისტემის შექმნა, რომელიც ინტეგრირებული იქნება უძრავი ქონების კადასტრის სისტემაში, მიწის ადგილობრივი ბაზრის გამჭვირვალობისა და მიწის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მიზნით, რომელიც ამავე დროს გამოყენებული შეიძლება იქნეს სხვადასხვა მიზნისათვის (Thanasi, 2014).

მონღოლეთის საზოგადოება არასდროს იცნობდა მიწის კერძო საკუთრების კონცეფციას. ვინაიდან ქვეყანა მისწრაფვის თავისუფალი ბაზრისკენ და მისი ეკონომიკური განვითარება ინტეგრირდება გლობალური ეკონომიკის ტენდენციებთან, მონღოლეთში მიწის რეფორმის ჩატარების აუცილებლობა სულ უფრო აშკარა ხდება. კერძო საკუთრებაში მიწების არარსებობა არის ფაქტორი, რომელიც ანელებს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას და ზღუდავს მდგრად ინვესტიციებს მიწასა და უძრავ ქონებაში (Tumenbayar, 2000).

დღეისათვის კვიპროსი მნიშვნელოვანი საერთაშორისო ტურისტული მიმართულებაა და ბოლო 20 წელია ფიქსირდება ტურისტთა რაოდენობის მნიშვნელოვანი ზრდა. თავდაპირველად ითვლებოდა, რომ ეს ეკონომიკური პროგრესის მარტივ ვარიანტს წარმოადგენს და ამას ამყარებდა ტურიზმის პირდაპირი და არაპირდაპირი გავლენა სამუშაო ადგილების შექმნაზე, უცხოური ვალუტის შემოდინება და ეკონომიკური ზრდა. ტურიზმის მოცულობის ზრდასთან ერთად ენთუზიაზმი იმის შესახებ, რომ ის წარმოადგენდა უფასო განვითარების საშუალებას, ჩანაცვლდა ეჭვებითა და ყოყმანით ტურიზმის კიდევ უფრო გაზრდის სასურველ მიზნებთან მიმართებაში. მდგრადი ტურიზმის მიღწევისათვის აუცილებელია მისი სამომავლო ტემპებისა გაფართოების ფორმის შეზღუდვა. ტურიზმი კვიპროსის საქმიანობის მნიშვნელოვან სექტორად რჩება, მაგრამ არსებობს ბუნდოვნება, რომელი ბაზრის სეგმენტი იქნება მთავარი და დასჭირდება თუ არა მას მუდმივი ინვესტირება პროდუქტის ან მომსახურების ხარისხის შენარჩუნებისა და ამაღლების მიზნით. ინდუსტრია უნდა იყოს მოქნილი, ინოვაციური და მზად უნდა იყოს განვითარებადი ბაზრის ტენდენციებზე რეაგირებისათვის (Ayres, 2000).

თითქმის ყველა ქვეყანაში, მუნიციპალიტეტები ფლობენ ან აკონტროლებენ უძრავი ქონების მნიშვნელოვან წილს, თუმცა ძალიან ცოტაა იმ მუნიციპალიტეტების რაოდენობა, რომლებიც ფიქრობენ, რომ მათ საკუთრებაში არსებული ქონება არის „პორტფელი", რომლის მეშვეობითაც მათ შეუძლიათ უკეთესად შეასრულონ მათზე დაკისრებული ფუნქციები (Kaganova, 2000).

როგორც ვხედავთ, სახელმწიფოს მხრიდან ქონების პრივატიზაციის საკითხები არერთგვაროვნადაა შეფასებული, ასევე მიღებული შედეგებიც სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულია. საკითხი, რომელზე თითქმის ყველა თანხმდება – ქონება, რომელსაც სახელმწიფოსათვის სარგებელი არ მოაქვს, საპრივატიზაციო ქონების ნუსხაში უნდა შევიდეს, ხოლო ქონება, რომელსაც სახელმწიფოსათვის ზარალი მოაქვს, ასევე დაუყოვნებლივ უნდა იქნეს პრივატიზებული.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზების მექანიზმები და აღნიშნულ სფეროში მოქმედი კანონმდებლობის მიმოხილვა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვას, განკარგვას და სარგებლობაში გადაცემას აწესრიგებს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ" (დოკუმენტის ნომერი: 103 უ.ს.რ.ს.) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი, რომელიც 2010 წლის 10 დეკემბერს მიღებული იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო) მიერ. მოცემული კანონი ეფუძნება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ საქართველოს კონსტიტუციურ კანონს; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციას და სახელმწიფო ქონების შესახებ საქართველოს კანონს.

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის შესაბამისად, ქონების განკარგვის/სარგებლობის/მართვის უფლებით გადაცემის ფორმებია:

ა) პირობიანი ან უპირობო აუქციონი;
ბ) პირდაპირი მიყიდვა/მართვის უფლებით გადაცემა;
გ) პირდაპირი მიყიდვა კონკურენტული შერჩევის საფუძველზე;
დ) უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემა.

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის თანახმად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების (მათ შორის სამეწარმეო სუბიექტების აქციების, წილების) მიყიდვა შესაძლებელია პირდაპირი მიყიდვის ფორმით, რომელიც ხორციელდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის სამართლებრივი აქტის საფუძველზე. მოცემული კანონის შესაბამისად „პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების მიზანია, საკუთრების უფლება გადაეცეს იმ მყიდველს, რომელიც სრულად და კეთილსინდისიერად შეასრულებს ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზებისათვის დადგენილ პირობას (პირობებს)".

ძირითადი ტექსტი: გოდერძის უღელტეხილზე სამთო-სათხილამურო კურორტის მშენებლობის ისტორიის მიმოხილვა და 2017-2019 წლებში პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზებული ქონების შესახებ ინფორმაცია

აჭარა ტურისტული ინფრასტრუქტურის მხრივ წამყვან ადგილს იკავებს საქართველოს რეგიონებს შორის. რეგიონის მდიდარი კულტურული მემკვიდრეობა, მრავალფეროვანი ბუნება, სხვადასხვა გეოგრაფიული რელიეფი, კლიმატისა და მინერალური წყლების სამკურნალო თვისებები, კეთილ-მოწყობილი პლიაჟები, ქალაქისა და სოფლის გამორჩეული ყოველდღიური ცხოვრება, უგემრიელესი სამზარეულო ქმნის საუკეთესო პირობებს ყველა სახის ტურიზმის განვითარებისათვის. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დედაქალაქის შემდგომ აჭარა ლიდერია (31%) რეგიონებს შორის საერთაშორისო ვიზიტების მიხედვით (www.gnta.ge) (Meskhia, 2018).

ტურიზმი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ერთ-ერთი პრიორიტეტული სექტორია. ქვეყანას გააჩნია საკმაოდ მდიდარი საკანონმდებლო ბაზა, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყანაში ტურიზმის განვითარებას. სტატიაში განხილულია საქართველოს მთავრობის დადგენილება ტურისტული საწარმოს სტატუსის მინიჭების, ასევე მისი ფუნქციონირებისა და გაუქმების წესი, რომელიც საგადასახადო შეღავათებს ემყარება. მსგავსი სტატუსის მქონე ობიექტები მიმზიდველი გახდა არარეზიდენტებისათვის და მშენებლებისათვის – ეს ყველაზე მარტივი ხერხია ინვესტიციის მოსაზიდად (Jabnidze, 2019).

ტურისტულ ინფრასტრუქტურაზე წვდომა ტურიზმის განვითარების გადამწყვეტი ფაქტორია. დაურეგულირებელი სატრანსპორტო და საგზაო ინფრასტრუქტურა შეფასდა როგორც უკიდურესი რისკის მატარებლად. საგზაო ინფრასტრუქტურა ძირითადად მნიშვნელოვანია კურორტ გოდერძის შემთხვევაში, ხოლო სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა კრიტიკულია სხვა დანარჩენი ლოკაციებისათვის, არსებობს პრობლემები საზოგადოებრივ ტრანსპორტთან დაკავშირებით (არახელსაყრელი განრიგი, ძველი ავტომანქანები, განადგურებული ავტოსადგურები) (Bakhtadze, 2020).

საქართველო კვლავ ხდება სათხილამურო სპორტის აღიარებული ცენტრი. ტურისტები და ამ შესანიშნავი სპორტის მოყვარულები ევროპიდან, ამერიკიდან და რუსეთიდან ჩამოდიან. ადგილობრივი კურორტების წარმატების ფორმულაა კარგად განვითარებული ინფრასტრუქტურა და ციგურაობის შესანიშნავი შესაძლებლობა. ტურისტის მომსახურებისათვის გათვალისწინებულია მცირე საოჯახო სასტუმროები და მყუდრო კოტეჯები, ასევე უზარმაზარი სასტუმრო კომპლექსები (Berdzenishvili, 2016).

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2011 წლის 06 ივნისის №228 ბრძანებით ჩამოყალიბდა შპს„Goderdzi Resorts", რომლის საქმიანობის ძირითად მიმართულებებად განისაზღვრა: გოდერძის უღელტეხილზე ტურიზმის განვითარება, ტურისტული და საკურორტო მომსახურება, საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობის განხორციელება და სხვა სახის სამეურნეო და კომერციული საქმიანობა, რომელიც არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას, საწარმოსა და პარტნიორის ინტერესებს. საქართველოს მთავრობის 27.06.2011 წლის №1342 განკარგულების გათვალისწინებით, საზოგადოების საწესდებო კაპიტალში შეტანილი იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე (ხულოს მუნიციპალიტეტი, სოფ.დანისპარაულში მდებარე, კურორტი ,,გოდერძი") სათხილამურო ტურიზმის განვითარებისათვის და თანამედროვე სტანდარტების სათხილამურო კომპლექსის პროექტირებისა და მშენებლობის პირველი ეტაპის სამუშაოების, ასევე სახელფასო და ფუნქციონირებისათვის საჭირო სხვა ხარჯების დასაფინანსებლად საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი ფულადი თანხა 2 000 000 ლარის ოდენობით, ხოლო მოგვიანებით საქართველოს მთავრობის 24.05.2012 წლის №984, 08.06.2012 წლის №1066 და 13.07.2012 წლის №1353 განკარგულებების საფუძველზე საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი ფულადი თანხა 12 918600 ლარის ოდენობით. საქართველოს მთავრობის 03.07.2013 წლის №705 განკარგულების საფუძველზე, საწესდებო კაპიტალში შეტანილ იქნა საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი ფულადი თანხა 8 000000 ლარი. გარდა ზემოაღნიშნულისა, საბაგირო და სათხილამურო გზების ინფრასტრუქტურის შექმნისათვის დამატებით დაიხარჯა -23 440 534 ლარი.

გოდერძის უღელტეხილზე, სამთო-სათხილამურო კურორტის ტერიტორიაზე, 2017-2019 წლებში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის სამართლებრივი აქტის საფუძველზე, პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზებული უძრავი ქონების შესახებ მონაცემები შემდეგნაირია (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2020 წლის 25 თებერვლის №1-01-10/879 წერილი):

1) 2017 წლის 05 აგვისტოს შპს „ჯი ეს პი გრუპ"-ს (ს/ნ: 445470348) მიეყიდა 8 საკადასტრო ერთეულად რეგისტრირებული 5 445 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, რომლის საპრივატიზებო ღირებულებამ შეადგინა – 115 510 ლარი (თანხის გადახდის პერიოდი 1 თვე). ქონების შემძენს დაეკისრა შემდეგი ვალდებულებები: 2022 წლის 30 ოქტომბრამდე არანაკლებ 100 ნომრიანი სასტუმროს ან/და კოტეჯის სამშენებლო სამუშაოების დასრულება და ამოქმედება და მოცემულ პროექტში არანაკლებ 2 200 000 ლარის ინვესტიციის განხორციელება.

2) 2017 წლის 08 აგვისტოს შპს „გოლდმაინ"-ს (ს/ნ: 445513070) მიეყიდა 2 საკადასტრო ერთეულად

რეგისტრირებული 8 311 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, რომლის საპრივატიზებო ღირებულებამ შეადგინა – 133 000 ლარი (თანხის გადახდის პერიოდი 1 თვე). ქონების შემძენს დაეკისრა შემდეგი ვალდებულებები: 36 თვის ვადაში მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობებიდან არანაკლებ 100 ნომრიანი სასტუმროს ამოქმედება; 10 წლის განმავლობაში პროფილის შენარჩუნება და არანაკლებ პროფილის შენარჩუნების ვადით 40 საქართველოს მოქალაქის დასაქმება. მოცემულ პროექტში არანაკლებ 4 000 000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის ინვესტიციის განხორციელება.

3) 2017 წლის 09 აგვისტოს შპს „ბათმშენი-2007"-ს (ს/ნ: 245442506) მიეყიდა 2 საკადასტრო ერთეულად რეგისტრირებული 2 468 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, რომლის საპრივატიზებო ღირებულებამ შეადგინა – 39 500 ლარი (თანხის გადახდის პერიოდი 3 თვე). ქონების შემძენს დაეკისრა შემდეგი ვალდებულებები: 2020 წლის 30 დეკემბრამდე არანაკლებ 30 ნომრიანი სასტუმროს შენობა-ნაგებობ(ებ)ის ექსპლუატაციაში შეყვანა და ამოქმედება; სასტუმროს ამოქმედებიდან არანაკლებ 10 წლის განმავლობაში პროფილის შენარჩუნება და არანაკლებ პროფილის შენარჩუნების ვადით 7 საქართველოს მოქალაქის დასაქმება. მოცემულ პროექტში არანაკლებ 1 000 000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის ინვესტიციის განხორციელება.

4) 2017 წლის 11აგვისტოს შპს „გუკა"-ს (ს/ნ: 445514168) მიეყიდა 2 საკადასტრო ერთეულად რეგისტრირებული 6 174 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, რომლის საპრივატიზებო ღირებულებამ შეადგინა – 98 800 ლარი (თანხის გადახდის პერიოდი 1 თვე). ქონების შემძენს დაეკისრა შემდეგი ვალდებულებები: არაუგვიანეს 2021 წლის 01 მარტისა არანაკლებ 30 ნომრიანი სასტუმროს ექსპლუატაციაში შეყვანა და ექსპლუატაციაში შეყვანიდან 6 თვის ვადაში ამოქმედება; სასტუმროს ამოქმედებიდან არანაკლებ 5 წლის განმავლობაში პროფილის შენარჩუნება და არანაკლებ პროფილის შენარჩუნების ვადით 15 საქართველოს მოქალაქის დასაქმება. მოცემულ პროექტში არანაკლებ 700 000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის ინვესტიციის განხორციელება.

5) 2017 წლის 11დეკემბერს შპს „ნიუ გოდერძი"-ს (ს/ნ: 448052703) მიეყიდა 1 საკადასტრო ერთეულად რეგისტრირებული 3 539 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, რომლის საპრივატიზებო ღირებულებამ შეადგინა – 56 625 ლარი (თანხის გადახდის პერიოდი 1 თვე). ქონების შემძენს დაეკისრა შემდეგი ვალდებულებები: 36 თვის ვადაში მრავალფუნქციური შენობის (სასტუმრო არანაკლებ 100 ნომერი, საცურაო აუზი, სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი) ამოქმედება; მრავალფუნქციური შენობის ამოქმედებიდან არანაკლებ 30 წლის განმავლობაში პროფილის შენარჩუნება და არანაკლებ პროფილის შენარჩუნების ვადით 15 საქართველოს მოქალაქის დასაქმება. მოცემულ პროექტში არანაკლებ 4 000 000 ლარის ინვესტიციის განხორციელება.

6) 2017 წლის 14 დეკემბერს შპს „ნიუ თაიმ"-ს (ს/ნ: 445440577) მიეყიდა 1 საკადასტრო ერთეულად რეგისტრირებული 3 130 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, რომლის საპრივატიზებო ღირებულებამ შეადგინა – 50 080 ლარი (თანხის გადახდის პერიოდი 1 თვე). ქონების შემძენს დაეკისრა შემდეგი ვალდებულებები: 40 თვის ვადაში არანაკლებ 50 ნომრიანი სასტუმროს ამოქმედება; 30 წლის განმავლობაში სასტუმროს პროფილის შენარჩუნება და არანაკლებ პროფილის შენარჩუნების ვადით 25 საქართველოს მოქალაქის დასაქმება. მოცემულ პროექტში არანაკლებ 1 500 000 აშშ დოლარის ინვესტიციის განხორციელება.

7) 2017 წლის 14 დეკემბერს შპს „გთემ გროუპ"-ს (ს/ნ: 446958953) მიეყიდა 13 საკადასტრო ერთეულად რეგისტრირებული 5 328 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, რომლის საპრივატიზებო ღირებულებამ შეადგინა – 85 250 ლარი (თანხის გადახდის პერიოდი 6 თვე). ქონების შემძენს დაეკისრა შემდეგი ვალდებულებები: 2019 წლის 1 დეკემბრამდე ხულოს მუნიციპალიტეტის კურორტ გოდერძზე არსებული განაშენიანების რეგულირების გეგმით განსაზღვრული პარამეტრების შესაბამისად ხელოვნური ტბის მოწყობის მიზნით საპროექტო/სამშენებლო დოკუმენტაციის მომზადების დასრულება და შესათანხმებლად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში წარდგენა, ხოლო 2022 წლის 14 ოქტომბრამდე ხელოვნური ტბის მოწყობის სამუშაოების დასრულება. 2022 წლის 1 დეკემბრამდე არანაკლებ 13 კოტეჯის სამშენებლო სამუშაოების დასრულება და ამოქმედება. მოცემულ პროექტში არანაკლებ 4 500 000 ლარის ინვესტიციის განხორციელება; 30 წლის განმავლობაში პროფილის შენარჩუნება და არანაკლებ პროფილის შენარჩუნების ვადით 20 საქართველოს მოქალაქის დასაქმება.

8) 2018 წლის 05 იანვარს ოთარ იაკობაძეს (პ/ნ: 61009000340) მიეყიდა 1 საკადასტრო ერთეულად რეგისტრირებული 150 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, რომლის საპრივატიზებო ღირებულებამ შეადგინა – 2 250 ლარი (თანხის გადახდის პერიოდი 1 თვე). ქონების შემძენს დაეკისრა შემდეგი ვალდებულებები: 2019 წლის 30 დეკემბრამდე საკუთრებაში გადაცემულ მიწის ნაკვეთზე სწრაფი კვების ობიექტის ამოქმედება და არანაკლებ 12 000 ლარის ინვესტიციის განხორციელება.

9) 2018 წლის 25 მაისს სს „პრემიერ ჰოტელ გრუპ"-ს (ს/ნ: 445528037) მიეყიდა 1 საკადასტრო ერთეულად რეგისტრირებული 2 508 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, რომლის საპრივატიზებო ღირებულებამ შეადგინა – 40 128 ლარი (თანხის გადახდის პერიოდი 1 თვე). ქონების შემძენს დაეკისრა შემდეგი

ვალდებულებები: 48 თვის ვადაში არანაკლებ 60 ნომრიანი სასტუმროს მშენებლობის დასრულება, ექსპლუატაციაში შეყვანა და ამოქმედება; 30 წლის განმავლობაში სასტუმროს პროფილის შენარჩუნება და მუდმივად 25 მოქალაქის დასაქმება. მოცემულ პროექტში არანაკლებ 2 500 000 ლარის ინვესტიციის განხორციელება.

10) 2018 წლის 01 ივნისს შპს „ხიდი-2006"-ს (ს/ნ: 245556991) მიეყიდა 4 საკადასტრო ერთეულად რეგისტრირებული 4 986 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, რომლის საპრივატიზებო ღირებულებამ შეადგინა – 79 776 ლარი (თანხის გადახდის პერიოდი 1 თვე). ქონების შემძენს დაეკისრა შემდეგი ვალდებულებები:2019 წლის 01 დეკემბრამდე ს/კ: 23.14.36.474 და ს/კ: 23.14.36.475, ასევე 2020 წლის 31 დეკემბრამდე ს/კ: 23.14.36.479 და ს/კ: 23.14.36.478 საზოგადოებრივი დანიშნულების და კვების ობიექტების მშენებლობის დასრულება, ექსპლუატაციაში შეყვანა და ამოქმედება; 20 წლის ვადით პროფილის შენარჩუნება და პროფილის შენარჩუნების ვადით 50 მოქალაქის დასაქმება. მოცემულ პროექტში არანაკლებ 1 000 000 ლარის ინვესტიციის განხორციელება.

11) 2018 წლის 8 ივნისს შპს „ამბასადორი ბათუმი"-ს (ს/ნ: 445515719) მიეყიდა 1 საკადასტრო ერთეულად რეგისტრირებული 2 676 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, რომლის საპრივატიზებო ღირებულებამ შეადგინა – 42 816 ლარი (თანხის გადახდის პერიოდი 1 თვე). ქონების შემძენს დაეკისრა შემდეგი ვალდებულებები: ხელშეკრულების გაფორმებიდან 50 თვის ვადაში 85 ნომრიანი სასტუმროს მშენებლობის დასრულება, ამოქმედება და ექსპლუატაციაში შეყვანა; აღნიშნულ პროექტში არანაკლებ 10 000 000 ლარის (დღგ-ს გარეშე) ინვესტიციის განხორციელება, პროექტის ფარგლებში მუდმივად არანაკლებ 50 მოქალაქის დასაქმება და პროფილის არანაკლებ 30 წლის ვადით შენაჩუნება.

12) 2018 წლის 18 ივნისს ხათუნა ქორიძეს (პ/ნ: 61001001167) მიეყიდა 1 საკადასტრო ერთეულად რეგისტრირებული 2574 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, რომლის საპრივატიზებო ღირებულებამ შეადგინა – 41200 ლარი (თანხის გადახდის პერიოდი 1 თვე). ქონების შემძენს დაეკისრა შემდეგი ვალდებულებები: ხელშეკრულების გაფორმებიდან 36 თვის ვადაში არანაკლებ 50 ნომრიანი სასტუმროს ექსპლუატაციაში შეყვანა და ამოქმედება; არანაკლებ 20 წლის განმავლობაში სასტუმროს პროფილის შენარჩუნება და პროფილის ვადით სეზონურად (წელიწადში არანაკლებ 5 თვე) 30 მოქალაქის და არასეზონურად 10 მოქალაქის დასაქმება, აღნიშნულ პროექტში არანაკლებ 3 000 000 ლარის ინვესტიციის განხორციელება.

13) 2018 წლის 27 ივნისს შპს „დალ კაპიტალ"-ს (ს/ნ: 445522783) მიეყიდა 1 საკადასტრო ერთეულად რეგისტრირებული 2 739 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, რომლის საპრივატიზებო ღირებულებამ შეადგინა – 43 824 ლარი (თანხის გადახდის პერიოდი 3 თვე). ქონების შემძენს დაეკისრა შემდეგი ვალდებულებები: 2023 წლის 31 დეკემბრამდე მრავალფუნქციური საზოგადოებრივი დანიშნულების კომპლექსის (რომელიც უნდა მოიცავდეს: „პიაცას მოედანი", სასტუმრო-აპარტამენტები არანაკლებ 100 ნომერი, კაფე-რესტორანი, დასასვენებელი და გასართობი სივრცეები) ექსპლუატაციაში შეყვანა და ამოქმედება; ამოქმედებიდან არანაკლებ 20 წლის განმავლობაში პროფილის შენარჩუნება და სასტუმროს ამოქმედებიდან, მუდმივად პროფილის შენარჩუნების ვადით არანაკლებ 40 მოქალაქის დასაქმება; აღნიშნულ პროექტში არანაკლებ 6 000 000 ლარის ინვესტიციის განხორციელება.

14) 2018 წლის 05 ივლისს შპს „ელტური – 2008"-ს (ს/ნ: 248434038) მიეყიდა 1 საკადასტრო ერთეულად რეგისტრირებული 2 117 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, რომლის საპრივატიზებო ღირებულებამ შეადგინა – 33 872 ლარი (თანხის გადახდის პერიოდი 1 თვე). ქონების შემძენს დაეკისრა შემდეგი ვალდებულებები: 39 თვის ვადაში არანაკლებ 70 ნომრიანი სასტუმროს ამოქმედება; სასტუმროს ამოქმედებიდან არანაკლებ 30 წლის განმავლობაში უზრუნველყოს პროფილის შენარჩუნება; აღნიშნულ პროექტში განახორციელოს არანაკლებ 3 400 000 ლარის ინვესტიცია.

15) 2018 წლის 19 ივლისს შპს „ვესტი"-ს (ს/ნ: 445502037) მიეყიდა 1 საკადასტრო ერთეულად რეგისტრირებული 1 675 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, რომლის საპრივატიზებო ღირებულებამ შეადგინა – 26 800 ლარი (თანხის გადახდის პერიოდი 1 თვე). ქონების შემძენს დაეკისრა შემდეგი ვალდებულებები: ხელშეკრულების გაფორმებიდან 44 თვის ვადაში არანაკლებ 30 სასტუმროს ტიპის აპარტამენტის და არანაკლებ 56 ნომრიანი სასტუმროს ამოქმედება; სასტუმროს ამოქმედებიდან 1 თვის ვადაში, არანაკლებ 56 ნომრიანი სასტუმროს ცალკე საკადასტრო ერთეულად რეგისტრაცია და სასტუმროს პროფილის არანაკლებ 10 წლის ვადით შენარჩუნება. პროფილის შენარჩუნების ვადით, არანაკლებ 15 მოქალაქის დასაქმება; აღნიშნულ პროექტში არანაკლებ 3 000 000 ლარის ინვესტიციის განხორციელება.

16) 2019 წლის 10 დეკემბერს სს „ენერგო-პრო ჯორჯია"-ს (ს/ნ: 205169066) მიეყიდა 1 საკადასტრო ერთეულად რეგისტრირებული 1 000 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, რომლის საპრივატიზებო ღირებულებამ შეადგინა – 1 ლარი (თანხის გადახდის პერიოდი 1 თვე). ქონების შემძენს დაეკისრა შემდეგი ვალდებულება: ხელშეკრულების გაფორმებიდან 18 თვის ვადაში პირადად ან მესამე პირის საშუალებით საკუთრებაში გადაცემულ ქონებაზე განათავსოს სატრანსფორმატორო პუნქტი.

განხილული მონაცემებით დგინდება, რომ 1 შემთხვევაში სს „ენერგო პრო ჯორჯიაზე" გადაცემული იქნა მიწის ნაკვეთი, რომელზეც განესაზღვრა სატრანსფორმატორო ქვესადგურის

მშენებლობის ვალდებულება. ვინაიდან ელექტრო ენერგიის განაწილება ბუნებრივ მონოპოლიასთან მიახლოებული ბიზნესია, ამასთან კურორტის მაშტაბით იზრდება ელექტრო ენერგიის მოხმარების მოცულობა, მოცემული მიზნით ქონების პირდაპირი მიყიდვა ან სიმბოლურ ფასად გადაცემა ვფიქრობ, რომ გამართლებულია.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კანონის შესაბამისად პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების მიზანია, საკუთრების უფლება გადაეცეს იმ მყიდველს, რომელიც სრულად და კეთილსინდისიერად შეასრულებს ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზებისათვის დადგენილ პირობას (პირობებს). მოცემული შესაძლებელია შეფასდეს პრეტენდენტის მიერ საქმიანობის წინა პერიოდში (ქონების პირდაპირი წესით მიყიდვამდე) განხორციელებული პროექტებითა და საქმიანობით. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, პირდაპირი მიყიდვის ფორმით გადაცემული ქონების მესაკუთრეების შესწავლამ გამოავლინა შემდეგი გარემოებები:

ა) სს „პრემიერ ჰოტელ გრუპი" (ს/ნ: 445528037) მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში დარეგისტრირებული იქნა 2018 წლის 12 მარტს, ხოლო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავჯდომარის გადაწყვეტილებით, პირდაპირი მიყიდვის ფორმით 2018 წლის 25 მაისს მოცემულ კომპანიას კურორტ „გოდერძი"-ზე საკუთრებაში გადაეცა 2 508 კვ.მ. მიწის ნაკვეთი.

ბ) შპს „გოლდმაინი" (ს/ნ: 445513070) რეესტრში დარეგისტრირებული იქნა 2017 წლის 25 ივლისს, ხოლო პირდაპირი მიყიდვის ფორმით 2017 წლის 08 აგვისტოს მოცემულ კომპანიას კურორტ გოდერძზე საკუთრებაში გადაეცა 8 311 კვ.მ. მიწის ნაკვეთი.

გ) შპს „გუკა" (ს/ნ: 445514168) რეესტრში დარეგისტრირებული იქნა 2018 წლის 11 აგვისტოს და იმავე დღეს პირდაპირი მიყიდვის ფორმით კომპანიას კურორტ გოდერძზე საკუთრებაში გადაეცა 6 174 კვ.მ. მიწის ნაკვეთი.

დ) შპს „ნიუ გოდერძი" (ს/ნ: 448052703) რეესტრში დარეგისტრირებული იქნა 2017 წლის 03 ნოემბერს, ხოლო პირდაპირი მიყიდვის ფორმით 2017 წლის 11 დეკემბერს მოცემულ კომპანიას კურორტ გოდერძზე საკუთრებაში გადაეცა 3 539 კვ.მ. მიწის ნაკვეთი.

წარმოდგენილი მაგალითებით ნათლად ჩანს, რომ ქონების საკუთრებაში გადაცემის დღეს ან რამდენიმე დღით ადრე დარეგისტრირებულ სამეწარმეო სუბიექტს რაიმე სახის გამოცდილება ვერ ექნება და შესაბამისად, მაგალითად მოყვანილი პირდაპირი მიყიდვები, კანონში დაფიქსირებულ მიზანს, ვფიქრობ რომ არ ემსახურება.

2017-2018 წლების მანძილზე კურორტ გოდერძიზე პირდაპირი მიყიდვის ფორმით, რამოდენიმე კომპანიას გადაეცა მიწის ნაკვეთები. ხელშეკრულების თანახმად 1 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ღირებულება განისაზღვრა 16 ლარის ოდენობით, მაშინ როდესაც 2019 წელს ჩატარებულ აუქციონზე 1 კვ.მ. მიწის ღირებულება განისაზღვრა 80 ლარის ოდენობით. ამასთან, პირდაპირი მიყიდვისას სხვადასხვა ინვესტორს სხვადასხვა პირობები გააჩნდათ, თუნდაც ისედაც მიზერული საპრივატიზებო ღირებულების გადახდისას, ზოგიერთისათვის თანხის გადახდის ვადა შეადგენდა 1 თვეს, ზოგიერთისათვის 3 თვეს, ხოლო ზოგიერთისათვის 6 თვეს.

გარდა ზემოაღნიშნულისა, პროფილის შენარჩუნების ნაწილში, ასევე ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების ნაწილში სხვადასხვა კომპანიისათვის სხვადასხვა რაოდენობა და ვადებია მითითებული, რომელიც მნიშვნელოვნად გასხვავდება ერთმანეთისაგან და ქონების პირდაპირი წესით შემძენი პრეტენდენტებისათვის პირობების განსაზღვრისას, ერთმანეთს შორის არ იკვეთება რაიმე სახის კანონზომიერება.

ასევე ხშირია ინვესტორების ინიცირებით თავდაპირველად გაფორმებული ხელშეკრულების შემდგომ პერიოდში ცვლილების ფაქტები, რომელიც ხშირ შემთხვევაში ეწინააღმდეგება სამთო-სათხილამურო კურორტ „გოდერძის" განაშენიანების რეგულირების გენერალურ გეგმას. ხელშეკრულების პირობების ცვლილებებით ხშირ შემთხვევაში უარესდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოზიციები (ხშირია ინვესტიციის განხორციელების ვადების გახანგრძლივება).

დასკვნა

ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ არ არის შემუშავებული (თუნდაც მხოლოდ კურორტ გოდერძიზე არსებული უძრავი ქონების პრივატიზების მიზნით) უნივერსალური დოკუმენტი (გამომთვლელი ფორმულა), რომლითაც შესაძლებელი იქნება, გამოანგარიშდეს დასაქმებულთა და ინვესტიციის მოცულობის მინიმალური ოდენობა, ასევე პროფილის შენარჩუნების მინიმალური ვადა. მიღებულ დოკუმენტში ნათლად უნდა განისაზღვროს ინვესტორებისათვის საპრივატიზებო ქონების ღირებულების გადახდის ვადები და პირობები. დაუშვებელია კურორტის განაშენიანების რეგულირების გენერალური გეგმის ცვლილება, თუ ეს არ იქნება სახელმწიფოს სტრატეგიულ ინტერესებში (შესაბამისი არგუმენტაციის თანდართვით), ასევე ინვესტორთან გაფორმებული სახელშეკრულებო პირობებიც მინიმალური ოდენობით უნდა იცვლებოდეს.

ვინაიდან კურორტ „გოდერძი"-ზე მიწის ნაკვეთის შემძენთა რაოდენობა საკმაოდ დიდია, მიზანშეწონილია აღნიშნულ ტერიტორიაზე ტურისტული ინფრასტრუქტურის აშენების მიზნით, ქონების პირდაპირი წესით მიყიდვის ნაცვლად, ავტონომიური რესპუბლიკის მხრიდან ორგანიზებული იქნეს პირობიანი ელექტრონული აუქციონები, რაც გაზრდის საბიუჯეტო შემოსავლებს და მინიმუმამდე დაიყვანს კორუფციის რისკს.

ლიტერატურა/REFERENCES

The Supreme Council of the Autonomous Republic of Ajara (2010). *Law of the Autonomous Republic of Adjara on Property Management and Disposal of the Autonomous Republic of Adjara* (103). (in Georgian).

Edwards, Ch., (2016). *Privatization*. https://www.downsizinggovernment.org/privatization

Murphy, R., P., (2011). Privatizing Federal Government Assets. *The Library of Economics and Liberty.* https://www.econlib.org/library/Columns/y2011/Murphyprivatization.html

Mackenzie, G. A., (1998). The Macroeconomic Impact of Privatization. *IMF Economic Review* https://link.springer.com/article/10.2307/3867393.

Hamm, P., & Lawrence P., & King, David Stuckler (2012).Mass Privatization, State Capacity, and Economic Growth in Post-Communist Countries. *American Sociological Review*. Volume 77 Issue. 295-324. https://journals.sagepub.com/doi/abs/10.1177/0003122412441354.

Kaganova, O., & Nayyar-Stone, R., (2000). Municipal Real Property Asset Management: An Overview of World Experience, Trends and Financial Implications. *Journal of Real Estate Portfolio Management* Vol. 6 Issue 4.

Triantafyllopoulos, N., (2006) Constrains in Real Estate Investments in Greece 46th Congress of the European Regional Science Association: Enlargement, *Southern Europe and the Mediterranean*, August 30th - September 3rd, 2006, Volos, Greece https://www.econstor.eu/handle/10419/118417

Thanasi, Marsela., (2014). Property Mass Evaluation in Albania. *Journal of Marketing & Management*. Nov 2014, Vol. 5 2, 1-11. 11. https://web.a.ebscohost.com/abstract?direct=true&profile=ehost&scope=site&authtype=crawler&jrnl=21539715&AN=96153032&h=woVh1I7EyZeuZnq9MPiqHoc3ArL%2fWh2FlKpZcF4qfkFIdwlxu0WpYbg%2bDvftCe0KaaNVXpIW5UBbi01O%2fscOSw%3d%3d&crl=c&resultNs=AdminWebAuth&resultLocal=ErrCrlNotAuth&crlhashurl=login.aspx%3fdirect%3dtrue%26profile%3dehost%26scope%3dsite%26authtype%3dcrawler%26jrnl%3d21539715%26AN%3d96153032

Tumenbayar, Nyamaa., (2000). Land Privatization Option for Mongolia 2000 Constituting the Commons: Crafting Sustainable Commons in the New Millennium, *the Eighth Biennial Conference of the International Association for the Study of Common Property*. http://dlc.dlib.indiana.edu/dlc/handle/10535/133

Ron, Ayres., (2000). Tourism as a passport to development in small states: reflections on Cyprus International *Journal of Social Economics* 1 February 2000 https://www.emerald.com/insight/content/doi/10.1108/03068290010308992/full/html

Bakhtadze, E., Phalavandishvili, N., & Robitashvili, N., (2020). IDENTIFYING TOURISM MARKET GROWTH OPPORTUNITIES AND RISKS IN THE AUTONOMOUS REPUBLIC IN AJARA (GEORGIA). Proceedings of the 2020 International Conference *«ECONOMIC SCIENCE FOR RURAL DEVELOPMENT»* No 54 Jelgava, LLU ESAF, 12-15 May 2020, pp. 35-42 DOI: 10.22616/ESRD.2020.54.004. http://www.esaf.llu.lv/sites/esaf/files/files/lapas/Krajums_Nr_54_07.07.2020.pdf#page=35

Meskhia, E., (2018). *The Role of Adjara Sightseeing in Tourism Proceedings of the International scientific and practical conference* - Bulgaria of regions.

Berdzenishvili, N., (2016). *The Mountain Resorts of Georgia Published in the Russian Federation Tourism Education Studies and Practice Has been issued since* 2014. ISSN: 2312-0037 E-ISSN: 2409-2436 7, 1, 4-9, 2016 http://ejournal10.com/journals_n/1463828479.pdf

Jabnidze, N., Gechbaia, B., Phalavandishvili, N., & Bakhtadze, E., (2019). *An enterprise with tourist status as a stimulant for attracting investments and tourists to Adjara Fundamental and applied researches in practice of leading scientific schools*, 31(1),77–80 Accepted 28.02.2019 https://farplss.org/index.php/journal/article/view/571/531

JEL Classification: D2, H5, I1, K4 https://doi.org/10.35945/gb.2020.10.038

PROBLEMS CAUSED BY THE PANDEMIC IN PUBLIC PROCUREMENT OF GEORGIA

GVANTSA SISOSHVILI

PhD student

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

gsisoshvili@gmail.com

Abstract. The spread of the new coronavirus in the world, including in Georgia, had a significant negative impact on both public and private organizations, which has affected the public procurement process in the country. Georgia has spent a large amount of money to deal with the virus. As a result, administrative costs have been reduced in order to finance the 2020 state budget deficit - 57 million GEL for labor costs and 107 million GEL for goods and services. It should be noted that 195 million GEL is used on arranging quarantine spaces and other additional health care costs while 1.31 billion GEL is provided for goods and services. During the pandemic, demand from the state increased significantly in the health sector, while declining in other areas, many planned purchases were canceled, tenders were not held, were suspended or their announcement was delayed. This has affected companies whose major activities include state orders. Also rising inflation and currency devaluation have made goods and services more expensive. Consequently, complex problems arose for the entities participating in public procurement, namely:

- From the moment the first case of the virus was reported in Georgia, it became mandatory for public and private organizations to follow the recommendations of the World Health Organization and the National Center for Disease Control and Public Health. So, large amount of money was spent on hygiene, disinfection and other means of protecting against the virus to ensure the safety of customers and employees.

- Some public and private organizations continued to work remotely, for which they incurred additional costs for equipping employees at home (with computer or other technological resources). Other organizations, which were not prohibited the operation, funded the transportation of staff to the workplace, because of emergency was declared and public transport was restricted.

- In order to free up financial resources, procurement organizations have restricted the announcement of planned tenders. Even the winner had already been identified or the bidder had been invited to sign the contract. At the same time, according to the Unified Public Procurement Electronic System a number of tenders have been suspended, including large-scale infrastructure projects, most of which were in the selection stage or successful bidder was revealed and invited to sign the contract.

- Due to the global pandemic, most companies failed to meet their contractual obligations on time. Contract authorities change the terms of the contract, including increased delivery time and services. In the case of infrastructure projects, based on the decree of the Government of Georgia, contract authorities were given the right to increase the contract value by 10% -20% in order to finance the increase of supplier costs on construction materials

- Amendments were made to the legislation governing public procurement. For example, Procurement of goods and services under the many of CPV codes were restricted to contract authorities without the consent of the Government of Georgia. In the original version of the resolution, only 30 out of 200 codes were restricted, and from April 1, 2020, the number of restricted CPV codes has increased to 160. There are number of classified goods and services, whose purchase does not require government consent: agricultural and food products, outerwear, pharmaceutical products, miscellaneous transport equipment and spare parts, Works for complete or part construction and civil engineering work, laboratory services, refuse and waste related services. Because agreement with the government and electronic procedures takes a long time, procurement organizations were forced to purchase goods and services through a simplified procurement in the case of urgent necessity. This means that in accordance with the law, the contract authorities directly signed a contract with the company and after agreed with the State Procurement Agency.

Therefore, it is necessary to analyze the additional costs incurred in the field of public procurement due to the coronavirus to make predictions about the procurement process for the next year.

KEYWORDS: PUBLIC PROCUREMENT, PUBLIC ORGANIZATION (CONTRACT AUTHORITIES), PRIVATE ORGANIZATION (SUPPLIER), GOODS AND SERVICES.

For citation: Sisoshvili, G., (2020). Problems caused by the Pandemic in Public Procurement of Georgia. *Globalization and Business, 10.* 278-286. (In Georgian) https://doi.org/10.35945/gb.2020.10.038

JEL Classification: D2, H5, I1, K4 https://doi.org/10.35945/gb.2020.10.038

პანდემიით გამოწვეული პრობლემები საქართველოს სახელმწიფო შესყიდვებში

გვანცა სისოშვილი
დოქტორანტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი, საქართველო
gsisoshvili@gmail.com

საკვანძო სიტყვები: სახელმწიფო შესყიდვები, შემსყიდველი ორგანიზაცია, მიმწოდებელი ორგანიზაცია, საქონელი და მომსახურება.

ციტირებისთვის: სისოშვილი გ. (2020). პანდემიით გამოწვეული პრობლემები საქართველოს სახელმწიფო შესყიდვებში. *გლობალიზაცია და ბიზნესი, №10,* გვ. 278-286. https://doi.org/10.35945/gb.2020.10.038

შესავალი

კორონავირუსის გავრცელებამ მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია როგორც გლობალურად, ისე ცალკეული ქვეყნების ეკონომიკის მასშტაბით. ცხადად გამოჩნდა, რომ ეკონომიკურად და ტექნოლოგიურად განვითარებული ქვეყნებიც კი სათანადოდ ვერ გაუმკლავდნენ ვირუსის შედეგად დამდგარ არასასურველ პროცესებს, რაც, რიგ შემთხვევებში, გამოწვეული იყო სიტუაციის სიმძიმის გაუაზრებლობით, დაგვიანებული ღონისძიებებით და სამეცნიერო ინფორმაციის არარსებობით კორონავირუსის შესახებ. ცნობილი ეკონომისტი ნურილ რუბინი აღნიშნავდა, რომ კორონავირუსის შედეგად მიღებული შოკი უფრო სწრაფი და მძიმე აღმოჩნდა, ვიდრე 2008 წლის გლობალური ფინანსური კრიზისი და დიდი დეპრესია. იმას, რაც სამი წლის განმავლობაში ხდებოდა წინა შემთხვევაში, covid19-ის პირობებში სამი კვირა დასჭირდა – საფონდო ბირჟების ჩამოშლა, საკრედიტო ბაზრების გაყინვა, მასობრივი გაკოტრება, მთლიანი სამამულო პროდუქტის შემცირება წლიურ 10%-ზე მეტად და სხვ. (Roubini, 2020). ამერიკელი მეცნიერი და ნობელი პრემიის ლაურეატი – პოლ კრუგმანი წერდა, რომ მსოფლიო მზად არ იყო ვირუსთან საბრძოლველად და ეკონომიკური დარტყმების მოსაგერიებლად, მიუხედავად იმისა, რომ დაბალი იყო უმუშევრობის დონე აშშ-სა და ევროპაში. იგი აღნიშნავდა, რომ საქმე ეხებოდა არა უბრალოდ მსოფლიო ვაჭრობის შეფერხებას, არამედ რეაგირების სერიოზულ პრობლემებს ჯანდაცვის სფეროში (Krugman, 2020). მარტიდან უკვე ადგილი ჰქონდა ეკონომიკურ რეცესიას და ფინანსურ დეფოლტებს, რის ფონზეც, გასაკვირი არაა, რომ განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ განვითარებადი ქვეყნები. აღსანიშნავია ეკონომისტ რიკარდო ჰაუსმენის სტატია, რომელშიც იგი მიუთეთბს, რომ უმთავრესი პრობლემა არა მოთხოვნის, არამედ მიწოდების არარსებობით გამოწვეული შოკები იყო. იგი პროგნოზირებდა, რომ განვითარებადი ქვეყნების უცხოური შემოსავლების ძირითადი საყრდენი – ტურიზმი და გზავნილები – კოლაფსის წინაშე აღმოჩნდებოდა, რაც ნიშნავდა ამ ქვეყნების ფისკალური სივრცის გარეშე დატოვებას (Hausmann, 2020).

ამ პროცესში საქართველო ბევრი სირთულის წინაშე აღმოჩნდა, ხოლო ამ სირთულეების გადაჭრის გზები და მიმართულებები ქართველი მეცნიერ-ეკონომისტების შესწავლის საგნად იქცა. აკადემიკოსი და ეკონომისტი ვლადიმერ პაპავა, რომელმაც ქართულ სივრცეში შემოიტანა შრილანკელი პროფესორის – აჯით დე ალვისის შემოღებული ტერმინი – „კორონომიკსი“, აღნიშნავდა რომ „ეკონომიკა მედიცინის მძევალია“ და „კრიზისის გამომწვევი მიზეზები გენერირებულია არა ეკონომიკაში, არამედ პროვოცირებულია ეკონომიკის ფარგლებს გარეთ არსებული წყაროს – კორონავირუსის სწრაფი გავრცელების შედეგად“. იგი მიუთითებდა, რომ ეკონომიკური ღონისძიებები უნდა გამიჯნულიყო კორონომიკური კრიზისის და პოსტკრიზისული პერიოდებისთვის (Papava, 2020). საინტერესო ანალიზი გაკეთდა ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის მკვლევარების მიერაც, რომელთაც განიხილეს ძირითადი ეკონომიკური და სოციალური ეფექტები, რამაც გამოიწვია შიდა მოხმარების, შიდა ინვესტიციების, ვაჭრობის, პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისა და ფულადი გზავნილების შემცირება, ტურიზმის შეფერხება, წარმოების შეფერხება, ვალუტის გაუფასურება და სხვ. (Babichi, Keshelava D, Mzhavanadze, 2020). კვლევითი ნაშრომია გამოქვეყნებული „თიბისი კაპიტალის“ ეკონომისტებისა და ფინანსისტების მიერაც, რომელთაც მიმოიხილეს პროცესების განვითარების სავარაუდო

სცენარები და გააკეთეს გარკვეული პროგნოზები. კვლევაში ასევე გამოყოფილია ის სფეროები, რომლებიც განსაკუთრებით დაზარალდნენ: ძლიერი ნეგატიური შედეგებით გამოირჩევა – ტურიზმი, ავიაცია, კაფეები და რესტორნები, ხოლო შედარებით მდგრადი სფეროებია – ინფრასტრუქტურა, ტელეკომუნიკაციები, სოფლის მეურნეობა (Nadaraia, Chachanidze, Bluashvili, Kordzaia, 2020).

კორონა ვირუსის გავრცელებამ მნიშვნელოვანი ნეგატიური გავლენა იქონია სახელმწიფო შესყიდვების პროცესზეც. ქვეყანამ მნიშვნელოვანი ხარჯები გასწია ვირუსთან გასამკლავებლად, რამაც გააჩინა ბიუჯეტის დეფიციტი და აუცილებელი გახდა ადმინისტრაციული ხარჯების შემცირება. პანდემიის პერიოდში მოთხოვნა სახელმწიფოს მხრიდან განსაკუთრებით გაიზარდა ჯანდაცვის სფეროში, ხოლო პარალელურად შემცირდა სხვა მიმართულებები, ბევრი დაგეგმილი შესყიდვა გაუქმდა, ტენდერები არ შედგა, შეწყდა ან მათი გამოცხადება გადაიდო. ამან გავლენა მოახდინა იმ კომპანიებზე, რომელთა საქმიანობის მნიშვნელოვანი ნაწილიც სახელმწიფო დაკვეთებს მოიცავდა. ამას დაემატა ინფლაციის ზრდა და ვალუტის დევალვაცია, რამაც გააძვირა მათ მიერ სახელმწიფოსთვის შეთავაზებული საქონლისა და მომსახურების ფასი. შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე სუბიექტებისთვის კომპლექსურმა პრობლემებმა იჩინა თავი.

სახელმწიფო შესყიდვები მთლიანი სამამულო პროდუქტის 10%-ზე მეტს, ხოლო ქვეყნის ბიუჯეტის 30%-ზე მეტს შეადგენს და იგი საჯარო და კერძო სექტორს შორის სტრატეგიულ თანამშრომლობას ემყარება, რომლის შედეგებიც საბოლოოდ აისახება ქვეყნის ეკონომიკურ მაჩვენებლებზე. აღნიშნული სფერო არც ისე დიდი ხანია, რაც სამეცნიერო კვლევის ობიექტად იქცა, თუმცა მას შემდეგ, რაც ე.წ „ქაღალდის შესყიდვები" მთლიანად გაციფრულდა (2010წ) და ერთიან ელექტრონულ სისტემაში მონაცემებიც ხელმისაწვდომი გახდა, ბევრი ახალბედა ქართველი მეცნიერის ყურადღებაც მიიქცია. ამ მხრივ აღსანიშნავია ნ. ხუციშვილის კვლევა საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ, რომელშიც სახელმწიფო შესყიდვები განხილულია, როგორც კერძო მეწარმეობის განვითარების მასტიმულირებელი ბერკეტი (Khutsishvili, 2019), ასევე, ო. კიკვაძის კვლევა სახელმწიფო შესყიდვების სფეროს ხარვეზებზე გამარტივებული შესყიდვების კუთხით (Kikvadze, 2016). რაც შეეხება უცხოელ ავტორებს, შეიძლება გამოვყოთ უახლესი ნაშრომები შემდეგ საკითხებზე: „COVID19-ის გავლენა ევროკავშირის სახელმწიფო შესყიდვებზე" რომელშიც გადაუდებელ შესყიდვებთან დაკავშირებულ პროცედურები და ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილებებია აღწერილი (Duncker, Aarikka, Puisto, 2020); „კორუფცია COVID-19-ის პერიოდში", რომელშიც განხილულია ვირუსის დროს დაბალი შემოსავლების მქონე ქვეყნებში არსებული საფრთხეები სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით (Steingrüber, Kirya, Jackson, Mullard, 2020); „2020 წელს მოსალოდნელი რეფორმები ჩინეთის სახელმწიფო შესყიდვებში" რომელშიც მიმოხილულია სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობა და უკვე განხორციელებული თუ დაგეგმილი ცვლილებები შესყიდვების პროცედურებში (Emch, Lyu, 2020);

მიზანი: წინამდებარე ნაშრომის მიზანია, კორონომიკით გამოწვეული სირთულეების განხილვა (რომელთა წინაშეც აღმოჩნდა სახელმწიფო ორგანიზაციები, როგორც შემსყიდველები და კომპანიები, როგორც არსებული ან პოტენციური მიმწოდებლები) და ანალიზი.

კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძველი: ნაშრომში გადმოცემული საკითხები ეყრდნობა სხვადასხვა საკანონმდებლო ნორმებს, სამთავრობო და არასამთავრობო ანგარიშებს, ეკონომისტთა და ექსპერტთა მიერ გამოქვეყნებულ სტატიებსა და პუბლიკაციებს. ჩატარებული კვლევ(ებ)ის ბაზად აღებულია სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონული სისტემა, საიდანაც დათვლილი და აღებულია შესაბამისი სტატისტიკური მონაცემები. სისტემაში არსებული ინფორმაციის შედარების, ანალიზისა და სინთეზის შედეგად გაკეთებულია შესაბამისი დასკვნები.


კორონა ვირუსით გამოწვეული პრობლემები სახელმწიფო შესყიდვებში

საქართველოში სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის მსურველთა რაოდენობა მუდმივად იზრდება, რაზეც სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში დარეგისტრირებული კერძო ორგანიზაციების ყოველწლიურად მზარდი რიცხვი მეტყველებს. 2020 წლის მაისი-ივნისის თვეში სისტემაში რეგისტრირებული იყო 42732 მიმწოდებელი და 4475 შემსყიდველი ორგანიზაცია, რაც აღემატება წინა წლების მაჩვენებლებს. (იხ. დიაგრამა №1). (SPA, Annual report 2019)

ამ ორგანიზაციებისთვის COVID19-ის გამოჩენამ ბევრი პრობლემა წარმოშვა სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებულ პროცესებთან მიმართებაში, რაც ნეგატიურად აისახა სახელმწიფო და კერძო სექტორის ურთიერთთანამშრომლობაზე:

- საგანგებო მდგომარეობისა და შემდგომში, კარანტინის პერიოდში, რიგი ორგანიზაციების საქმიანობა შეფერხდა. ზოგი მათგანი გადავიდა დისტანციურ რეჟიმზე, ხოლო ზოგმა ვერ უზრუნველყო თანამშრომლების სათანადოდ აღჭურვა სახლის პირობებში და დროებით შეაჩერა საქმიანობა.
- საჰაერო მიმოსვლისა და სატრანსპორტო გადაადგილების შეზღუდვის გამო კომპანიებმა დროულად ვერ შეასრულეს სახელმწიფოსთან დადებული ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებები, რის გამოც ცვლილებები შევიდა ხელშეკრულების პირობებში და გაიზარდა საქონლის მიწოდებისა და მომსახურების გაწევის ვადები.
- შემსყიდველმა ორგანიზაციებმა, ბიუჯეტის ეკონო-

დიაგრამა №1. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში რეგისტრირებულ მიმწოდებელთა რიცხვი წლების მიხედვით.



მიისა და ფინანსური რესურსების გამოთავისუფლების მიზნით, შეზღუდეს დაგეგმილი ტენდერების გამოცხადება. სსიპ სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში დაფიქსირდა შეწყვეტილი ტენდერების გარკვეული რაოდენობა, მათ შორის, ინფრასტრუქტურულ მსხვილბიუჯეტიან პროექტებზე, რომელთა უმეტესობა შერჩევა-შეფასების (პრეტენდენტების ტექნიკური დოკუმენტაციების გადარჩევის) ეტაპზე იმყოფებოდა, ნაწილზე კი გამარჯვებული უკვე გამოვლენილი იყო ან პრეტენდენტი მოწვეული იყო ხელშეკრულების გასაფორმებლად.

• როგორც საჯარო, ისე კერძო ორგანიზაციებს გაეზარდათ ხარჯები შემდეგი მიმართულებებით:

– სადეზინფექციო სამუშაოების ჩატარება, როგორც დახურულ სივრცეებში, ისე გარე ტერიტორიებზე.

– სამედიცინო ინვენტარით აღჭურვა ვირუსთან საბრძოლველად (პირბადეები, ხელთათმანები, სადეზინფექციო ხსნარები, სახის დამცავი ფარები, უკონტაქტო თერმომეტრები და სხვ.).


– თანამშრომლების სამსახურამდე ტრანსპორტირება საზოგადოებრივი ტრანსპორტის არარსებობის პირობებში.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა, უშუალოდ სახელმწიფო ორგანიზაციები რამდენიმე მნიშვნელოვანი გამოწვევის წინაშე დადგა. ქვეყანაში ვირუსის პირველივე შემთხვევის დაფიქსირების დღიდანვე მთავრობამ შესაბამისი ზომების მიღება დაიწყო და დაუყოვნებლივ შეკრიბა საგანგებო უწყებათაშორისი საკოორდინაციო ჯგუფი კორონა ვირუსთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილების მისაღებად. საბჭოს პირველ სხდომაზე გამოიყო 4 ძირითადი მიმართულება ვირუსთან ბრძოლაში: 1. ჯანდაცვა; 2. ეკონომიკა; 3. უსაფრთხოება; 4. მარაგები და ლოჯისტიკა. აღნიშნული სფეროების სამართავად სახელმწიფოს დასჭირდა ბიუჯეტიდან გაუთვალისწინებელი ხარჯების გაწევა, მათ შორის, სახელმწიფო შესყიდვების გზით. ესე ეხებოდა სასტუმროების საკარანტინოდ მოწყობას და მომარაგებას სამედიცინო აღჭურვილობით, საკვები პროდუქტებით და სხვა საჭირო სერვისებით, სამედიცინო სექტორის აღჭურვას ყველა საჭირო ინვენტარით, საქართველოს მასშტაბით ყველა სასაზღვრო-გამშვებ პუნქტსა და აეროპორტებში თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საველე კარვების განთავსებას და თერმოსკრინინგს, სამთავრობო ცხელი ხაზის (144) შექმნას და სხვ. (Rep. of Gov. 2020).

საქართველოს ვირუსთან საბრძოლველად დიდი მოცულობის გაუთვალისწინებელი ხარჯების გაწევა მოუწია, რამაც განაპირობა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილში ცვლილებების აუცილებლობა. ამისთვის მომზადდა საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის ცვლილების პროექტი, რომლის დეფიციტის დაფინანსების მიზნით მაქსიმალურად შემცირდა ადმინისტრაციული ხარჯები – შრომის ანაზღაურების ხარჯები – 57 მილიონი ლარით, ხოლო საქონლისა და მომსახურების მუხლი – 107 მილიონი ლარით. ბიუჯეტიდან საკარანტინო სივრცეების მომსახურების შესყიდვისა და ჯანდაცვის სხვადასხვა დამატებითი ხარჯების ანაზღაურებისათვის გამოიყო – 195 მილიონი ლარი, ხოლო საქონლისა და მომსახურების შესყიდვისთვის – 1,31 მილიარდი ლარი (IDFI, 2020). ლოგიკურია, რომ პანდემიის პერიოდში მოთხოვნა სახელმწიფოს მხრიდან განსაკუთრებით ჯანდაცვის სფეროში გაიზარდა, ხოლო არაპრიორიტეტული მიმართულებებით შესყიდვების განხორციელება შეიზღუდა.

შესყიდვების პროცესი მნიშვნელოვნად დაჩქარდა პირველადი საჭიროებების საქონელსა და მომსახურებაზე, რის გამოც, შემსყიდველი ორგანიზაციები, ნაცვლად სატენდერო პროცედურებისა, რომელსაც სჭირდება მინიმუმ რამდენიმე კვირა, მიმართავდნენ არაელექტრონული შესყიდვის მეთოდს და კომპანიებთან პირდაპირ, გამარტივებული წესით აფორმებდნენ ხელშეკრულებებს. აღსანიშნავია, რომ მსგავს გამოუვალ სიტუაციაში, როდესაც არსებობს გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული ვითარება, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონი და

დიაგრამა №2. სააგენტოსთან მიმართვიანობის რიცხვი გადაუდებელი აუცილებლობით შესყიდვის შემდგომ.



„გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების მე-3 მუხლის „ბ" ქვეპუნქტი შემსყიდველ ორგანიზაციებს აძლევს გამარტივებული შესყიდვის საშუალებას, რის წინაპირობასაც წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თანხმობა. თანხმობის მისაღებად შემსყიდველები ავსებენ ერთაინი ელექტრონული სისტემის შესაბამის (SMP) მოდულში გენერირებულ კითხვარს და ასაბუთებენ შესყიდვის საჭიროებას, რომელსაც 3 სამუშაო დღის ვადაში იხილავს სააგენტო და გასცემს თანხმობას ან უარყოფას. ამავე წესის მე-5 მუხლის მე-6 პუნქტი კი ითვალისწინებს გამონაკლისს, რომლის დროსაც იმ შემთხვევაში, თუ გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული შესყიდვის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების სააგენტოსთან შეთანხმება შეუძლებელია, რადგან შესყიდვის დაყოვნება, ალბათობის მაღალი ხარისხით, გამოუსწორებელ ზიანს მოიტანს, შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია, დაიწყოს შესყიდვის პროცედურები, რაზეც იგი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას და აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ მიმართავს სააგენტოს. გარდა გადაუდებელი აუცილებლობისა, შესყიდვები ხორციელდება გამარტივებულად მაშინაც, როდესაც სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეუფერხებლად ჩატარებისთვის გათვალისწინებულია შეზღუდული ვადები. მისი შეთანხმებაც იგივე პრინციპით ხდება სააგენტოსთან.

კორონა ვირუსის პანდემიის დროს სწორედ გადაუდებელი ვითარების წინაშე იდგა საჯარო ორგანიზაციების უმეტესობა, რაც აისახა კიდეც ზემოთ ხსენებულ SMP მოდულში სააგენტოსთან პოსტ-ფაქტუმ მიმართვიანობის რიცხვზე, კერძოდ, ჩვენს მიერ ერთიალ ელექტრონულ სისტემაზე დაყრდნობით ჩატარებული კვლევის შედეგად, 2020 წლის 1 მარტიდან 2020 წლის 31 მაისის ჩათვლით SMP მოდულში ხელშეკრულების დადებამდე, გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით სააგენტოსგან შესყიდვის ნებართვის მისაღებად სულ ფიქსირდება 722 ჩანაწერი, გადაუდებელი აუცილებლობით შესყიდვის შემდგომი შეთანხმების რიცხვი კი შეადგენს 827-ს, რომელთაგან თანხმობა გაცემულია 786-ზე, ხოლო დანარჩენი გახმობილია ან განუხილველია ვადებში დაუზუსტებლობის გამო. №2 დიაგრამაზე მოცემულია აღნიშნული მაჩვენებლების სტატისტიკა წლების მიხედვით.

დიაგრამიდან ჩანს, რომ 2015 წლიდან 2019 წლამდე მიმართვიანობა გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული შესყიდვის შემდგომ მუდმივად იზრდებოდა, ყველაზე მაღალი რაოდენობა 2019 წელსაა დაფიქსირებული, რომელსაც თითქმის უტოლდება 2020 წლის პირველი 4 თვის მაჩვენებელი. ამათგან მიმართვების 88% წარდგენილია მარტი-მაისის პერიოდში(სისტემის SMP მოდული).

პანდემიის დროს შეტანილი ცვლილებები კანონმდებლობაში

2020 წლის 1 მარტიდან მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელ კანონმდებლობაში:

- 2020 წლის 31 მარტს გამოიცა საქართველოს მთავრობის №619 განკარგულება „ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების ხელშეწყობის მიზნით განსახორციელებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ", რომელიც პანდემიის ან/და მის შემდგომ პერიოდში სამშენებლო მასალებზე მიმწოდებლების ხარჯების შესაძლო გაზრდის დაფინანსების მიზნით, საქართველოს კანონმდებლობით დაშვებული ხელშეკრულების ღირებულების 10%-იანი ზრდის შესაძლებლობის გარდა, უშვებს დამატებით 10%-20%-იანი ზრდას. აღნიშნული ხელშეკრულების ღირებულების ზრდა შესაძლებელია მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან დიდი ოთეულის აუდიტორული კომპანი(ებ)ის დასკვნის წარდგენის საფუძველზე, რითაც უნდა დასტურდებოდეს შესაბამისი ხელშეკრულების შესრულებისას სამუშაოების შესრულების მიზნით გამოყენებულ სამშენებლო მასალებზე მიმწოდებლის ხარჯის გაზრდა.

• ცვლილება შევიდა „შესყიდვებთან დაკავშირებით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 25 დეკემბრის №650 დადგენილებაში, რომელშიც ერთიანი ლექსიკონის (CPV კოდები) მიხედვით განსაზღვრულია საქართველოს მთავრობასთან წინასწარ შესათანხმებელი შესყიდვების კლასიფიკატორის კოდები. აღნიშნული კოდების ქვეშ გაერთიანებული სამუშაოების, საქონლისა და მომსახურების შესყიდვა შემსყიდველ ორგანიზაციებს შეზღუდული აქვთ მთავრობის განკარგულების გარეშე. დადგენილების თავდაპირველ ვარიანტში 30-მდე კოდი იყო შეზღუდული, ხოლო 1 აპრილიდან 200-ზე მეტი კოდიდან მხოლოდ 43 კოდზე არ ვრცელდება აღნიშნული შეზღუდვა, დანარჩენი კი საჭიროებს მთავრობის თანხმობას. ამ 43 კოდში ძირითადად გაერთიანებულია სოფლის მეურნეობის და საკვები პროდუქტები, სამუშაო და გარე ტანსაცმელი, ფარმაცევტული პროდუქტები, სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მომსახურება და სათადარიგო ნაწილები, სამშენებლო სამუშაოები, საინჟინრო, ლაბორატორიული და ნარჩენებთან დაკავშირებული მომსახურებები.

• ცვლილება შევიდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2017 წლის 15 დეკემბრის №01-69/ნ/№451 ერთობლივ ბრძანებაში და დღგ-სგან გათავისუფლდა სამედიცინო ინვენტარი, მათ შორის: ბახილები, სახის დამცავი ფარები, ხელთათმანები, საიზოლაციო კომბინიზონები, სამედიცინო ხალათები, სამედიცინო ქუდები, პირბადეები, დამცავი სათვალეები და უკონტაქტო თერმომეტრები.

საჯარო სექტორის მიერ გაწეული ხარჯების ანალიზი

რაც შეეხება უშუალოდ ხარჯებს, სამწუხაროდ, SMP მოდული არ იძლევა ჯამური მაჩვენებლების ამოღების შესაძლებლობას, ამიტომ ვეყრდნობით COVID-19-ის წინააღმდეგ საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებების ანგარიშს, რომლის თანახმადაც 2020 წლის 1 მარტიდან 2020 წლის 22 მაისამდე სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ელექტრონულ პლატფორმაში (SMP მოდული) ატვირთული გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველზე გაფორმებული გამარტივებული შესყიდვების ჯამური ღირებულება შეადგენს 94 562 594 ლარს. ეს მოიცავს სახის დამცავ პირბადეებს, სადეზინფექციო ხსნარებს, სპეციალური ეკიპირებისთვის საჭირო კომბინიზონებს, თერმოსკრინინგისთვის აუცილებელ მოწყობილობებს, მედიკამენტებს, შენობის დეზინფექციის მომსახურებას, საკარანტინო სივრცეში გადასაყვანად საჭირო 50 ტრანსპორტის დაქირავების მომსახურებას, კვებით მომსახურებას და სხვ. (Rep. of Gov. 2020)

ერთიან ელექტრონულ სისტემაზე დაყრდნობით ჩვენს მიერ ცალკეულად იქნა გამოკვლეული რამდენიმე მნიშვნელოვანი სტრუქტურის შესყიდვების მოცულობა იანვარი-მაისის საანგარიშო პერიოდისთვის. შემსყიდველთა სიმრავლის გამო, განვიხილეთ სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში 26 თებერვლიდან 31 მაისის ჩათვლით ატვირთული მიმართვები ორი საფუძვლით: „შეთანხმება გადაუდებელი აუცილებლობით შესყიდვის შემდგომ" და „ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარება", შემდეგ მონაცემები გავფილტრეთ მაღალი ღირებულების მიხედვით, რის საფუძველზეც გამოიკვეთა შემდეგი:

1. გადაუდებლობით გამოწვეული ვითარების აღმოსაფხვრელად ყველაზე დიდ თანხიან მიმართვაზე თანხმობა მიიღეს შემდეგმა სტრუქტურებმა (იხ. ცხრილი 1).

2. ღონისძიების შეუფერხებლად ჩატარებისთვის (პანდემიის მიზეზით) გათვალისწინებულ შეზღუდული ვადებში განხორციელებული შესყიდვების ყველაზე დიდ თანხაზე მიმართვიანობა მოდის შემდეგ სტრუქტურებზე (იხ. ცხრილი 2).

რაც შეეხება მიმწოდებლებს, გარდა იმისა, რომ გაეზარდათ ყოველდღიური ხარჯები, გაუძვირდათ პროდუქციისა და მომსახურების ფასი, შემცირდა შეკვეთების რაოდენობა, შეზღუდვების ფონზე დროებით შეუჩერდათ საქმიანობა. პრობლემები ნაკლებად შეეხო მომსახურე კომპანიებს,

ცხრილი №1. შესყიდვების ყველაზე დიდი მოცულობები საფუძვლით – „შეთანხმება გადაუდებელი აუცილებლობით შესყიდვის შემდგომ" (26.02.2020-31.05.2020)

სტრუქტურის დასახელება	შესყიდვის მოცულობა, რომელზეც გაიცა სააგენტოს ნებართვა	მიზნობრიობა
საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია	**25 975 674.96 ლარი**	სასტუმროს მომსახურება (საკარანტინე სივრცისთვის)
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი	**4 066 039 ლარი**	საკარანტინე ზონების მოწყობა
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	**1 329 680 აშშ დოლარი**	სამედიცინო მოწყობილობების შესყიდვა

ცხრილი №2. შესყიდვების ყველაზე დიდი მოცულობები საფუძვლით – „ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარება“ (26.02.2020-31.05.2020)

სტრუქტურის დასახელება	შესყიდვის მოცულობა, რომელზეც გაიცა სააგენტოს ნებართვა	მიზნობრიობა
საქართველოს თავდაცვის სამინისტრო	**9 500 000 ლარი**	საგანგებო მდგომარეობასთან დაკავშირებით სახელმწიფო შესყიდვების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელება
სსიპ. ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი	**5 051 556 ლარი**	ლაბორატორიული დიაგნოსტიკის ჩატარების მიზნით საჭირო სადიაგნოსტიკო ტესტების, ექსტრაქციის კიტების, რეაგენტების და სახარჯი მასალების შესყიდვა
შსს ჯანმრთელობის დაცვის სამსახური	**3 000 000 ლარი**	სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფისთვის საჭირო სხვადასხვა სამედიცინო საშუალებების შესყიდვა

რომლებმაც დისტანციურად გააგრძელეს მუშაობა, თუმცა მათი უმეტესობისთვის ფასების მატებამ და შეკვეთების შესრულების დაგვიანებამ გადაინაცვლა წინა პლანზე. მწარმოებელი და საცალოდ მოვაჭრე კომპანიების ნაწილს ამოეწურა ნედლეულისა და მასალების მარაგები, რომელთა შევსებაც ვერ მოახდინეს დაგეგმილ ვადაში, განსაკუთრებით ეს ეხება იმპორტირებულ პროდუქტებს, რომელთა ჩამოტანაც თუ მანამდე მოითხოვდა 10 დღიდან ორ კვირამდე პერიოდს, ამჟამად სჭირდება 30-60 დღე. ზოგიერთი დასახელების პროდუქცია, რომლის მსხვილ დამკვეთსაც წარმოადგენდა სახელმწიფო, ბაზარზე გახდა დეფიციტური (მაგალითად კომპიუტერული ტექნიკისა და სატრანსპორტო საშუალებების სათადარიგო ნაწილები). სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე კომპანიებსა და საჯარო სექტორს შორის ურთიერთთანამშრომლობისა და შეთანხმების შედეგად, გაიზარდა ხელშეკრულების ღირებულებები კანონით დაშვებული ნორმის ფარგლებში და ასევე, გაიზარდა მიწოდების ვადები. გარდა ამისა, პრობლემა შეიქმნა მომსახურე პერსონალის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, თუმცა აღნიშნული პრობლემა შეამსუბუქა კორონავირუსის პანდემიის შედეგად დაზარალებულთათვის საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებულმა კომპენსაციის გეგმამ, ასევე, საქართველოს ხელისუფლების ანტიკრიზისული გეგმით გათვალისწინებულმა საშემოსავლო გადასახადთან დაკავშირებულმა შეღავათმა.

ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲐ

სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით ითვლება, რომ კრიზისული თუ ფორს-მაჟორული სიტუაციები ნოყიერ ნიადაგს ქმნის კორუფციის რისკებისთვის, ვინაიდან გადაუდებელ ვითარებაში საქონლისა და მომსახურების პირდაპირი გზით შესყიდვა აჩენს კითხვებს შესყიდვის მიზნობრიობასა და მიმწოდებლის შერჩევის პრინციპთან დაკავშირებით (IDFI 2020). „კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლ სახელმწიფოთა ჯგუფის (GRECO)“ მიერ შემუშავებულ დოკუმენტში „კორუფციის რისკები და სასარგებლო სამართლებრივი მითითებები COVID-19-ის კონტექსტში“ აღნიშნულია, რომ „[სახელმწიფოებმა] უნდა დანერგონ სახელმწიფო შესყიდვების სფეროში სათანადო გამჭვირვალე პროცედურები, რომლებიც ხელს შეუწყობს სამართლიან კონკურენციას და აღკვეთს კორუფციას მთელ მსოფლიოში. სხვადასხვა ქვეყნების მთავრობები იღებენ კანონმდებლობას COVID-19-თან დაკავშირებულ გამოწვევებთან ბრძოლის მიზნით ჯანდაცვის სისტემების სათანადო აღჭურვის უზრუნველყოფის გზით.“(GRECO, 2020).

სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციების სამომავლო ურთიერთობაში პრობლემების აღმოფხვრის გზა ალბათ ისევ მათ შორის დადებული ხელშეკრულების პირობებში უნდა ვეძებოთ. მაგალითად, საქართველოში სახელმწიფო შესყიდვების შესახებ დადებულ ხელშეკრულებებში გაკეთებულია მითითება ფორს-მაჟორთან (ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და სხვ.) დაკავშირებით, რომლის დროსაც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს მხარის პასუხისმგებლობას. კორონავირუსის დროს ამ პუნქტის გამოყენება თავისთავად არ გულისხმობს სწორ ქმედებას, ვინაიდან, როგორც ზემოთ აღინიშნა, ყველა კომპანიას ერთნაირი სიმწვავით არ შეხებია კრიზისი (მაგალითად, მომსახურების სფერო, დისტანციურ რეჟიმში მომუშავე კომპანიები), ამიტომაც, ფორს-მაჟორის გამოყენებისას შემსყიდველმა ორგანიზაციებმა უნდა გასცენ პასუხი კითხვებზე, რამდენად შეუძლია მხარეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება. ამასთან, „თუ ხელშეკრულება იდება პანდემიისა და და გარკვეული შეზღუდვების დაწესების პირობებში“, იურიდიულად განიხილება, რომ „მხარე გაცნობიერებულად იღებს რისკს, შეასრულოს ხელშეკრულება ასეთ პირობებში, რამაც შეიძლება შეუზღუდოს მხარეს უფლება, დაეყრდნოს ფორს-მაჟორულ გარემოებას“ (Nodia, Urumashvili and Partn.2020).

გარდა ამისა, ხელშეკრულებებში გვხვდება ჩანაწერი შეცვლილ გარემოებებთან ხელშეკრულების პირობების მისადაგების თაობაზე, კერძოდ, ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა (არაუმეტეს 10%–ისა) დასაშვებია მხოლოდ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398—ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში, რომლის თანახმად: „თუ ის გარემოებები, რომლებიც ხელშეკრულების დადების საფუძველი გახდა, ხელშეკრულების დადების შემდეგ აშკარად შეიცვალა და მხარეები არ დადებდნენ ამ ხელშეკრულებას ან დადებდნენ სხვა შინაარსით, ეს ცვლილებები რომ გაეთვალისწინებინათ, მაშინ შეიძლება მოთხოვნილ იქნეს ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი.“ მართალია, მიზანშეწონილად შეიძლება იქნეს მიჩნეული ხელშეკრულებების ღირებულებების ზრდა ვირუსით გამოწვეული კრიზისის პერიოდში, თუმცა სამომავლოდ, როდესაც ჯერ კიდევ მოსალოდნელია მსგავსი გართულებები, უკეთესი იქნება თუ სიფრთხილით მოეკიდება თითოეული ორგანიზაცია ამ მუხლის გააქტიურების საკითხს, რათა არ მოხდეს გარემოების ბოროტად გამოყენება და ადგილი არ ჰქონდეს სახელმწიფო ბიუჯეტის არარაციონალურად ხარჯვას.

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც დგას სახელმწიფო შესყიდვების დღის წესრიგში, ესაა სატენდერო პირობები, რომელიც მოიცავს ტენდერის სავარაუდო ღირებულებას, მიწოდების ვადებს, საგარანტიო პერიოდს, ხელშეკრულების დარღვევის პირგასამტეხლოს ოდენობას, შესასყიდი ობიექტის ტექნიკური პარამეტრებს და სხვ. როგორც წესი, ტენდერის ფასს ბაზრის კვლევის შედეგები განსაზღვრავს, თუმცა რიგ შემთხვევებში შემსყიდველი ორგანიზაციები წარსულ გამოცდილებასაც ეყრდნობიან, რაც მიმდინარე პერიოდში არ მოგვცემს ადეკვატურ შედეგს, ვინაიდან პანდემიის პერიოდში მკვეთრად შეიცვალა ბაზარზე არსებული სიტუაცია, როგორც ფასის, ისე მიწოდების ვადებთან მიმართებაში. შესაბამისად, ტენდერის გამოცხადების მომენტისთვის, აუცილებელია, ინდივიდუალურად იქნეს შესწავლილი ბაზრის მდგომარეობა მოცემული მოენტისთვის და გათვალისწინებული იქნეს ყველა ის ნიუანსი, რამაც შეიძლება შეაფერხოს ტენდერის წარმატებით დასრულება.

ასევე უნდა აღინიშნოს სახელმწიფო შესყიდვებში კონკურენციის ხელშეწყობის საკითხიც. ეს შეიძლება მოხდეს მკაცრი სატენდერო პირობებისგან თავის არიდებით, რაც საშუალებას მისცემს ბევრ კომპანიას, გააკეთოს შესაბამისი შეთავაზება, თუმცა კრიზისული სიტუაციიდან გამოსავლად არ უნდა იქნეს აღქმული ისეთი მოთხოვნებისგან თავის შეკავება, როგორიცაა საგარანტიო ვადები, ხარისხის სერტიფიკატები, ლიცენზიები და სხვ. ერთი მხრივ, სატენდერო პირობებმა უნდა გააფართოოს შესყიდვებით დაინტერესებულ კომპანიათა არეალი, მეორე მხრივ, ეს არ უნდა აისახოს შესყიდული საქონლისა თუ მომსახურების ხარისხზე.

ლიტერატურა/REFERENCES

Babichi I., Keshelava D. & Mzhavanadze G., (2020). *«Economic Response to COVID-19: How does Georgia cope with the challenge?»,* ISET, Tbilisi, in Georgian.

Duncker K., Aarikka R. & Puisto A., (2020) „Impacts of COVID-19 on public procurement in the EU“, *Bird&Bird's.* https://www.twobirds.com/en/news/articles/2020/finland/koronaviruksen-vaikutukset-julkisiin-hankintoihin.

Emch A. & Lyu Q., (2020). *Reforms for China's public procurement regime expected in 2020*. https://www.hlregulation.com/2020/03/18/reforms-for-chinas-public-procurement-regime-expected-in-2020/

Hausmann, R., (2020). *Flattening the COVID-19 Curve in Developing Countries. Project Syndicate.*https://www.project-syndicate.org/commentary/flattening-covid19-curve-in-developing-countries-by-ricardo-hausmann-2020-03?referral=208627&barrier=accesspaylog

Khutsishvili, N., (2019). *Economic Policy Stimulating Private Entrepreneurship*, Tbilisi. (In Georgian)

Kikvadze, O., (2016). *Improving Public Procurement in Public Financial Administration*, Tbilisi. (In Georgian)

Krugman, P., (2020). *We're not ready for a pandemic, The New York Times.* https://messaging-custom-newsletters.nytimes.com/template/oakv2?uri=nyt://newsletter/87c61d7b-b428-4535-a94b-212a5a6090e5&productCode=PK&te=1&nl=paul-krugman&emc=edit_pk_20200225&campaign_id=116&instance_id=16271&segment_id=21604&user_id=bcb6ec40ca81f55384d37740da6f6b46&regi_id=76197941edit_pk_20200225

Nadaraia, O., Chachanidze M., Bluashvili A., Kordzaia T., (2020). *Impact of Covid19 on the business environment, TBC Capital*, Tbilisi. (In Georgian)

Nodia, Urumashvili &Partners (2020). *Legal Review of the State of Emergency*, Tbilisi. (In Georgian)

Papava V., (2020). *Coronomic and Economic in the Face of Crisis,* Tbilisi. (In Georgian) https://for.ge/view/182671/koronomika-da-ekonomika-krizisis-winaSe.html .

Roubini N., (2020). *A Greater Depression? Project Syndicate.* https://www.project-syndicate.org/commentary/coronavirus-greater-great-depression-by-nouriel-roubini-2020-03?utm_source=Project%20Syndicate%20Newsletter&utm_campaign=80fd5aabf4-sunday_newsletter_29_03_2020&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-80fd5aabf4-93567601&mc_cid=80fd5aabf4&mc_eid=e9fb6cbcc0&barrier=accesspaylog.

Steingrüber, S., Kirya, M., Jackson, D., & Mullard, S., (2020). *Corruption in the time of COVID-19: A double-threat for low income countries.*
https://www.u4.no/publications/corruption-in-the-time-of-covid-19-a-double-threat-for-low-income-countries.
Chairman of the State Procurement Agency (2015). *Approval the rules for defining simplified procurement criteria and simplified procurement,* Order 13, Tbilisi, in Georgian.
http://procurement.gov.ge/getattachment/ELibrary/LegalActs/gamartivebuli_Sesyidvis_Catarebis_wesi.pdf.aspx
GRECO (2020), *Risks of Corruption and Useful Legal Guidelines in the Context of COVID-19,* Tbilisi, in Georgian. https://rm.coe.int/georgian-version-corruption-covid-19/16809e3bf4.
IDFI (2020). *Analysis of the bureaucratic expenses of the emergency budget.* Tbilisi. (In Georgian)
https://idfi.ge/public/upload/Covid/analysis_of_the_bureaucratic_expenses_of_the_emergency_budget.pdf.
IDFI (2020). *Guidelines on the Proactive Publication of Information by Governments during the Covid-19 Crisis and on Covid-19 Related Public Procurement.* Tbilisi.
https://idfi.ge/ge/guidelines_on_the_proactive_publication_of_information_by_governments_during_the_covid-19_crisis_and_on_covid-19_related_public_procurement.
Legislative Herald of Georgia, Decree of the Government of Georgia №619, Some Measures to be Implemented to Support *the Implementation of Infrastructure Projects*, Tbilisi. (In Georgian)
https://matsne.gov.ge/ka/document/view/4843736?publication=0
Legislative Herald of Georgia (2017). *Order of Minister of Labour,* Health, and Social Affairs of Georgia 01-69/451, Determining the list of goods intended for medical / medical purposes, the supply and / or import of which is exempt from value added tax, Tbilisi. (In Georgian)
https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/3893311?publication=3
Legislative Herald of Georgia, Civil Code of Georgia, Article 398, Tbilisi. (In Georgian)
https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=109
State procurement agency (SPA), *Annual report 2019.* Tbilisi.
http://procurement.gov.ge/getattachment/ELibrary/AnalyticalStudiesReports/Angarishi_2019_GEO.pdf.aspx
Report of Government of Georgia against COVID-19 (2020). Tbilisi. (In Georgian)
http://gov.ge/files/76338_76338_444796_COVID-19angarishi...pdf

JEL Classification: M10, M31, L83 https://doi.org/10.35945/gb.2020.10.039

SUSTAINABLE RURAL TOURISM DEVELOPMENT RECOVERY FROM COVID-19 (IN ADJARA REGION)

ROSTOM BERIDZE
PhD, Professor
Batumi Shota Rustaveli State University, Georgia
beridze.rostom@bsu.edu.ge

MERAB DIASAMIDZE
PhD, Associated Professor
Batumi Shota Rustaveli State University, Georgia
diasamidze.merab@bsu.edu.ge

IRAKLI KORDZAIA
PhD, Associated Professor
Batumi Shota Rustaveli State University, Georgia
kordzaia.irakli@bsu.edu.ge

NATIA BERIDZE
PhD, Invited teacher
Batumi Shota Rustaveli State University, Georgia
beridze.natia@bsu.edu.ge

Abstract. Tourism is of particular importance to the world and many countries have chosen it as one of the main priorities of the country›s development. Based on the accepted practice and the critical ecological background, each country recognizes the sustainable socio-economic development of tourism, developing concepts, systematic and complex approaches, drafting of state action programs, long-term perspectives and other aspects whose existence and implementation depends on state government. Therefore, this field can bring significant positive socio-economic results compared to other fields of economy. Rural tourism is a pleasant and useful combination of two positive events. The first is the entrepreneurial activity that can bring other benefits to the entrepreneur and the second village where the main holidays are housed in which the tourist can get interesting services such as sanitation, cognitive, aesthetic or other.

According to the UNWTO, rural tourism will be more popular after the pandemic, as tourists avoid crowded places and prefer to relax in ecologically clean environment. This new trend will be a positive event and previously unpopular places among tourists will become a source of income. This in itself will help stimulate the development of rural tourism after the COVID-19 pandemic.

The objective of the research is to study the opportunities of the rural tourism development after COVID-19 pandemic in Georgia and in mountainous regions of Adjara. Main questions discussed in this paper are: to analyze the employment opportunities for the population of rural areas; to foresee the possible secondary income, how to reduce the migration of rural population, especially the youth; possibility to supply the locally produced goods and service and to increase their awareness; possibilities to develop tourism-related industries. The joint efforts of government, municipal authorities, and business providers, with involvement of rural area inhabitants, are essential for the development of rural populated territories.

KEYWORDS: RURAL TOURISM, SUSTAINABLE DEVELOPMENT, TOURISM MARKET, ADJARA REGION. COVID-19.

For citation: Beridze, R., Kordzaia, I., Diasamidze, M., Beridze, N., (2020). Sustainable Rural Tourism Development Recovery from Covid -19 (In Adjara Region). *Globalization and Business, 10.* 287-294. https://doi.org/10.35945/gb.2020.10.039

INTRODUCTION

